ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ისრაელის ცენტრი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Center for Israel Studies

კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები

XXXVI

ISSUES OF HISTORY AND THEORY OF CULTURE

XXXVI

კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები

XXXVI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Center for Israel Studies

ISSUES OF HISTORY AND THEORY OF CULTURE

XXXVI

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ისრაელის ცენტრი

კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები

XXXVI

უნივერსიტეტის
გამომცემლობა

რედაქტორი – მარიკა მშვილდაძე, თსუ პროფესორი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

Editor – Marika Mshvildadze, Doctor of
Historical Sciences, Professor

სარედაქციო კოლეგია: მარიკა მშვილდაძე (რედაქტორი, საქართველო), დევიდ ბრაუნდი (დიდი ბრიტანეთი), მამუკა ბუცხრიკიძე (საქართველო), ელენე გეგეშიძე (საქართველო), ნანა გელაშვილი (საქართველო), ლალი გულედანი (საქართველო), ზაირა დავარაშვილი (საქართველო), მალხაზ დათუკიშვილი (საქართველო), რუსუდან დოლიძე (საქართველო), რეუვენ ენოხი (ისრაელი), ტრევორ კარტლეჯი (დიდი ბრიტანეთი), ზვიად კვიციანი (საქართველო), კონსტანტინე ლერნერი (ისრაელი), ქეთევან ლორთქიფანიძე (საქართველო), იაკობ ოფირი (ისრაელი), გურამ პაატაშვილი (საქართველო), ანეგრეტ პლონტკე-ლუნინგი (გერმანია), მანანა რუსიეშვილი (საქართველო), მარიკა ჩაჩიბაია (საქართველო), დავით ყოლბაია (პოლონეთი).

Editooral Board: Marika Mshvildadze (Editor. Georgia), David Braund (Great Britain), Mamuka Butskhrikidze (Georgia), Trevor Cartledge (Great Britain), Marika Chachibaia (Georgia), Malkhaz Datukishvili (Georgia), Zaira Davarashvili (Georgia), Rusudan Dolidze(Georgia), Reuven Enoch (Israel), Elene Gegeshidze (Georgia), Nana Gelashvili (Georgia), Lali Guledani (Georgia), David Kolbaya (Poland), Zviad Kvitsiani (Georgia), Konstantin Lerner (Israel), Ketevan Lortkipanidze (Georgia), Jacob Offir (Israel), Guram Paatashvili (Georgia), Annegret Plontke-Lüning (Germany), Manana Rusieshvili (Georgia).

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022
Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2022

ISSN 1512-0694

შინაარსი

CONTENTS

ლერი ჯიბლაძე, მინდია ჯალაბაძე
ბრინჯაოს შუბისპირი ქუთაისიდან 9
Leri Jibladze, Mindia Jalabadze
BRONZE SPEARHEAD FROM KUTAISI 21

ნინო ოთხვანი
კერა-სადგრები, მტკვარ-არაქსის კულტურის
ერთ-ერთი სახასიათო დეტალი 24
Nino Otkhvani
HEARTHS AND STANDS AS PECULIAR FEATURES
OF KURA-ARAXES CULTURE 39

მარიკა მშვილდაძე
რომისა და ხანის იმპერიებს შორის
არსებული ურთიერთობის შესწავლის საკითხისათვის 41
Marika Mshvildadze
FOR THE STUDY OF THE RELATIONSHIP
ISSUES BETWEEN THE ROMAN AND HAN EMPIRES 49

ლალი გულედანი
მსოფლიო ებრაელობის ძირითადი ეთნიკური
განშტოებები- მიზრახები (ეთიოპიელი ებრაელები) 50
Lali Guledani
THE MAJOR ETHNIC DIVISIONS OF THE WORLD'S JEWS –
MIZRAHI JEWS (ETHIOPIAN JEWS) 61

ნანა გელაშვილი
ებრაელთა ჩინეთში დასახლების ისტორიიდან 63
Nana Gelashvili
FROM THE HISTORY OF THE SETTLEMENT
OF JEWS IN CHINA 77

ნინო თომაძე
XI საუკუნის ქართულ-ბიზანტიური
ურთიერთობების ისტორიიდან
(მარიამ არწრუნის ელჩობა ბიზანტიაში,
ისტორიულ-მენტალური ანალიზი) 79
Nino Tomadze
FROM THE HISTORY OF GEORGIAN-BYZANTINE
RELATIONSHIPS IN 11TH CENTUURY
(MARIAM ARTSRUNI'S MISSION TO BYZANTIUM,
HISTORICAL-MENTAL ANALYSIS) 88

იზოლდა ბელთაძე
ინგლისის სავაჭრო ბურჟუაზია და კათოლიკური
ეკლესია XV-XVI საუკუნეებში 91
Izolda Beltadze
RELATIONS OF THE ENGLISH COMMERCIAL
BOURGEOISIE WITH THE CATHOLIC
CHURCHIN THE XV-XVI CENTURIES 98

სოფიო გუგუნავა
ქრისტიანობის გზა კორეის ნახევარკუნძულზე 100
Sopio Gugunava
THE ROAD OF KOREAN CHRISTIANITY
ON KOREAN PENINSULA 104

ავთანდილ ნიკოლეიშვილი
ქართულ-თურქულ ურთიერთობათა პასაჟები
„ახალციხურ ქრონიკებში“ 106
Avtandil Nikoleishvili
PASSAGES OF GEORGIAN-TURKISH RELATIONS
IN "AKHALTSIKHE CHRONICLES" 132

მერაბ კეზევაძე
ქუთაისში ებრაელთა დასახლების
მთავარი ქუჩები მე-19 საუკუნეში 134
Merab Kezevadze
MAIN STREETS OF JEW SETTLEMENTS IN XIX GENTURY.....141

ქეთევან ლორთქიფანიძე, როინ მალაყმაძე
გიორგი ყაზბეგის (1839 –1921) უკანასკნელი
განსასვენებელი მიკვლეულია სტამბოლში 143
Ketevan Lortkipanidze, Roin Malakmadze
THE TOMB OF GIORGI KAZBEGI (1839-1921)
HAS BEEN TRACED IN ISTANBUL 147

მერაბ კალანდაძე
დიმიტრი უზნაძე კალიგულაზე და ნერონზე 151
Merab Kalandadze
DIMITRI UZNADZE ON CALIGULA AND NERO 177

ხატია ცეცხლაძე
ტრადიციული ქალის სახე გურიის
საზოგადოების მაგალითზე 180
Khatia Tsetskhladze
THE FACE OF A TRADITIONAL WOMAN AS
IN THE CASE OF THE GURIA COMMUNITY 187

ელენე გეგეშიძე
ებრაული თემა ქართულ კულტურაში (XX საუკუნე) 189
Elene Gegeshidze
THE JEWISH THEME IN GEORGIAN CULTURE IN
THE TWENTIETH CENTURY 205

უჩა ოქროპირიძე
„დიდი ღამის“ შემამზადებელი გარემოებანი
და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ქართული
არაფორმალური პრესის მიხედვით 207
Ucha Okropiridze
BIG NIGHT PREPARATIONS AND SOUTHWEST GEORGIA
ACCORDING TO THE GEORGIAN INFORMAL PRESS 231

ახალი წიგნი

გურამ პაატაშვილი
აზრთა კრებული „მაესტროს აზრთა სამყარო“ 233
Guram Paatashvili
MAESTRO’S IDEAS WORLD 283

ლერი ჯიბლაძე
მინდია ჯალაბაძე

ბრინჯაოს შუბისპირი ქუთაისიდან

ქ. ქუთაისში, მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროზე, მდ. რუასთან შეერთების ადგილზე, ბაგრატის ტაძრის აღმოსავლეთით 300-400 მ დაშორებით, ქვიშის კარიერში (სურ.1) ექსკავატორის მუშაობისას აღმოჩნდა ბრინჯაოს შუბისპირი თანმხლები ინვენტარის გარეშე (სურ.2).[1] ნივთი სრულადაა შემორჩენილი. მთლიანი სიგრძეა 47,7 სმ; შუბისპირის ღეროს სიგრძეა 6 სმ, ყუნწის კი – 7 სმ, რომელიც ბოლოსკენ თანდათანობით ვიწროვდება. არტეფაქტი ამ დეტალით მაგრდებოდა სატარე ნაწილში, რომელიც, სავარაუდოდ, ხისსახელურიანი უნდა ყოფილიყო. შუბისპირს გააჩნია გრძელი, მხრებში განიერი პირი, რომელსაც ფეხებზე უმნიშვნელო დაზიანება აღენიშნება. პირი ორივე მხრიდან გალესილი უნდა ყოფილიყო. შუბისპირის ზედაპირი პატინით ყოფილა დაფარული, რომელიც ალაგ-ალაგ არის შემორჩენილი. ბრტყელგანივკვეთიან პირს ბოლომდე გასდევს კარგად გამოკვეთილი ქედი, რომელიც ოვალური ფორმის ღეროს ნაწილზეც გადადის. ეს დეტალი, თავის მხრივ, უერთდება ოთხკუთხა განივკვეთიან, დაწახნაგებულ სატარეს. ღეროსა და ყუნწის შეერთების ადგილი შემსხვილებულია. ბრინჯაოს შუბისპირს გააჩნია დაქანებული მხრები. იგი ჩამოსხმული ჩანს ორსაგდულიან ყალიბში, შემდეგ კი ნაჭედია.

---

[1] ბრინჯაოს შუბისპირი აღმოაჩინა ქ.ქუთაისის მკვიდრმა დიმიტრი მიქაძემ. ნივთი ამჟამად დაცულია მის კერძო მფლობელობაში, რის გამოც ვერ ხერხდება ამ ნივთიდან ქიმიური ანალიზის აღება. ადრე შუბისპირის აღმოჩენის ადგილი ექცეოდა მდ. რიონის კალაპოტში, სადაც ახლა სანაპიროს გასამაგრებელი ჯებირებია მოწყობილი.

ქუთაისის შუბისპირი ზოგიერთი დეტალით ახლოს დგას ქვემო სვანეთში (სოფ. ჟახუნდერი) აღმოჩენილ ამ სახის იარაღთან [32.55, ტაბ. XV-2; 15.59, ტაბ. XV-2]. მათ შორის თანხვედრები შეინიშნება დაშვებული მაღალი მხრებით, გრძელი პირით და მკვეთრად გამოკვეთილი ქედით. თითქმის ერთნაირია ყუნწის მოყვანილობაც, იმ განსხვავებით, რომ ჟახუნდერის ნიმუშს ყუნწის ბოლოს ღილისებური დაბოლოება გააჩნია.[1] ქუთაისის შუბისპირს ზოგიერთი დეტალით ასევე ახლო პარალელები ეძებნება ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებით დათარიღებულ, საჩხერის რაიონში (სოფ. დურევის სამაროვანი და ბაზრის წყაროს მიდამოები) შემთხვევით აღმოჩენილ ორ სწორყუნწიან შუბისპირთან [17. ტაბ. XVI-2; 12.378, ტაბ. 012-447,448].

ვარაუდობენ, რომ ყუნწიანი, შუბისმაგვარი იარაღი ჩვენთან შემოდის წინა აზიის ტერიტორიიდან, სადაც იგი ძვ.წ. III ათასწლეულში ფართოდ ყოფილა გავრცელებული [18.133]. როგორც წინა აზიაში, ისე სამხრეთ კავკასიაში ძირითადად გვხვდება ყუნწიანი შუბისპირების ორი ვარიანტი: სწორღეროიანი და მოკაუჭებულღეროიანი [17.162].

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია დაახლოებით 2 ათეულამდე სწორღეროიანი და მოკაუჭებულღეროიანი შუბისპირები,[2] რომლებიც მტკვარ-არაქსის კულტურაში ძირითა-

---

[1] ჟახუნდერის ბრინჯაოს შუბისპირი ნაკლული სახითაა შემორჩენილი; მოტეხილია პირის ნაწილი. არტეფაქტის მთლიანი სიგრძეა 33 სმ, ღეროსი კი – 6 სმ [14.39]. აღსანიშნავია ისიც, რომ ზემო სვანეთში (სოფ. იფარი) აღმოჩენილია მეორე ცალი სპილენძისყუნწიანი შუბისპირის, რომელიც პირველთან შედარებით უფრო არქაულია: მთლიანი სიგრძეა 25,3 სმ; პირის სიფართე – 12,3 სმ; შუბისპირის ღეროს სიგრძეა 18 სმ, ყუნწის კი – 3 სმ [14.39].

[2] ადრებრინჯაოს ხანის სხვადასხვა ვარიანტის (სწორღეროიანი, მოკაულღეროიანი, ღეროღილაკიანი) შუბისპირებთან ერთად, პარალელურად გამოყოფენ ამ რიგის იარაღების ერთ ჯგუფს (ზემო ეშერა, V დოლმენი, თრიალეთის X და XIX ყორღანები, ურბნისი, ხიზანაანთ გორას მტკვარარაქსული ფენა და ცარცის გორა), რომელიც მორფოლოგიურად უკავშირდება წინააზიურ შუბისპირებს; თვლიან, რომ მათი დანიშნულება ბოლომდე არ

დად ცნობილია ცალკეული აღმოჩენების მიხედვით [17.158-161, სურ. 33-2,5,6,7, სურ. 34; 18.133-134; 5. ტაბ. 8; 38. ტაბ. 69, სურ.1185; 12.320,328, ტაბ. 012-216,244]. ადრეულ ყორღანულ კულტურაშიც კომპლექსურ მასალებთან ერთად გვხვდება რამდენადმე განსხვავებული ვარიანტის ყუნწიანი შუბისპირები [28.101, ტაბ. CXV; 26. ტაბ. XIV-8; 5.21,208-209, ტაბ. CXXXVI-3; 19.114; 12. 419, 422, 472, 432, ტაბ. 012-608, 619, 654, 810; 38. 112].

საქართველოში გავრცელებული ყუნწიანი შუბისპირების ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას, სხვა საკითხებთან ერთად, არაერთი სპეციალისტი შეეხო [28.11-12, სურ. 7-ნ,8-а,ნ,9-а,ნ,в; 29.299, სურ. 3; 30. 73-74, სურ. 73; 17.159-168, სურ. 33-1-7; 18.133-135, სურ. 53-12-18; 20.12; 8.81-83; 32.55-58; 12.167-168, ტაბ. 012]. ადრეულ შუბისპირებში ცალკე ჯგუფად გამოყოფენ ხიშტისებურ იარაღებსაც [12.167-168,ტაბ.012].[1] ქუთაისის შუბისპირი ყუნწისა და ღეროს მოყვანილობთ, ასევე ყუნწზე გამოყვანილი წახნაგებით, შეხების წერტილებს პოულობს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ ამ სახის არაერთ შუბისპირთან, თუმცა მათ შორის სხვაობა შე-

---

არის გარკვეული [8.84]. ამ ვარიანტის შუბისპირებს დანისპირებს (ბ.კუფტინი), ფოთლისებურპირიან შუბისპირებს (ო.ჯაფარიძე) ან სატევრისპირებს (ა.ტალგლერი) უწოდებენ [8.84]. ასევე იხსენიებენ არქეოლოგ ი.გრძელიშვილის პირად არქივში მოხსენიებულ ცნობას ლაჯანურჰესის ტერიტორიიდან მომდინარე უძველეს შუბისპირზე [8.81].

[1] სწორღეროიანი და ყუნწმოღუნული ხიშტისმაგვარი შუბისპირები აღმოჩენილია ცარცის გორაზე, ქვაცხელას ტვლეპია ქოხის (წყაროს) სამაროვანსა (N3 სამარხი) და ქვემო არანისის (ჟინვალი) ნამოსახლაზე (N10 ორმო) [16.23, ტაბ.XXXVI; 18.135, სურ.6; 12.167, 372, 389, ტაბ. 032-133, 425,493]. საქართველოს გარდა, ამ ტიპის იარაღები ცნობილია ჩრდილო კავკასიაში – გუნიბი (დაღესტანი) [18.135-136], ნახჭევანის ქიულ-თეფეს I-ის II ფენაში. რამდენადმე განსხვავებული ამ ტიპის შუბისპირი მომდინარეობს ხაჩბულაღის ყორღანიდან (აზერბაიჯანი). ხიშტისმაგვარი იარაღები გავრცელებულია წინა აზიაში (ასურის G ფენა, ლურისტანი) [17.159-161; 12.167], მესოპოტამიისა და ანატოლიის ძეგლებზე [34.ტაბ. 99-101; 35. ტაბ. 70:20, 21; 89:A,B,C; 12.167].

სამჩნევია ზოგიერთი ელემენტის მიხედვით. მტკვარ-არაქსისა და ბედენური კულტურის შუბისპირებს ახასიათებთ შედარებით მოკლე ზომები, ზოგჯერ ფოთლისებური მოყვანილობის პირი და გრძელი შუბისპირის ღერო. მაგალითად, საჩხერის შუბისპირების სიგრძეა 35,39 სმ, ბაგინეთის – 29 სმ, ეროვნული მუზეუმის ფონდებში დაცული ანალოგიური ნიმუშის კი – 37 სმ. კიდევ უფრო მცირე ზომაა დამახასიათებელი ბედენურ კულტურაში ცნობილი ე.წ. შუბისპირებისთვის. აქვე შევნიშნავთ, რომ მტკვარარაქსული და ბედენური კულტურის შუბისპირები ჩამოსხმულია ორსადგულიან ყალიბებში. მათ შორის გვხვდება სპილენძისაგან ჩამოსხმულიც; ჭარბობს დარიშხან-სპილენძიანი შენაერთებისაგან დამზადებული ნივთები. იშვიათად დასტურდება თუთია-დარიშხნიანი და ტყვია-დარიშხნიანი, მინარევიანი სპილენძი. ზოგჯერ ბედენურ კულტურაში გვხვდება კალიანი ბრინჯაოსგან დამზადებული ყუნწიანი შუბისპირები [2.63; 1.61; 12.320,326, 331,333,378, 419, 431,432].

III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ყუნწიანი შუბისპირები გვხვდება მაიკოპ-ნოვოსვაბოდნაიას კულტურაში, უფრო მეტად ყუბანისპირეთში. ისინი (სწორყუნწიანები) ცნობილია ნოვოსვაბოდნაიასა და პსებაისკაიას ყორღანებიდან, ვოზდვიჟენსკოეში და ჩირკეისკოეს ნამოსახლარზე; ასევე ბაქსანიდან (შემთხვევითი მონაპოვარი)[17. 162,133; 27.206, სურ.80-11,14].

მაიკოპურ-ნოვოსვაბოდნაიას შუბისპირებს საკმაოდ დიდი ზომები ახასიათებთ: პსებაისკაიას ყორღნის შუბისპირის სიგრძეა 46 სმ, პსეკუპსკის სამარხიდან მომდინარესი კი – 42 სმ, ბაკსანის – 54 სმ [27.43]. ამ მხრივ შეინიშნება მათი მიახლოებითი თანხვედრები ქუთაისის ნიმუშთან. ერთ-ერთი შუბისპირი (ბაქსანი – შემთხვევითი აღმოჩენა) მთელი რიგი კომპონენტებით (პირზე გამავალი მკვეთრი ქედით, მხრების მოყვანილობით, ღეროთი, ზომით და ყუნწის დაბოლოებით) თითქმის ორეულია ქუთაისის შუბისპირის [27.206,სურ.80-11]. როგორც

აღნიშნავენ, მაიკოპის ყუნწიანი შუბისპირები ფორმის მიხედვით მოგვაგონებენ არსლან-თეფეს VI-A განძის შუბისპირებს [27.43]. აღსანიშნავია, რომ პსეკუპსკის სამაროვანიდან (სამარხი N2) მომდინარე ყუნწიან შუბისპირს, ჟახუნდერის ანალოგიური არტეფაქტის მსგავსად, ღილისებური დაბოლოება გააჩნია [27.185, სურ. 55-4]. ღილისებურდაბოლოებიანი შუბისპირები ანატოლიაში გავრცელებულია ძვ.წ III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან და გვხვდებიან უფრო მოგვიანო პერიოდშიც [35. ტაბ. 89-12, ტაბ.94]. საინტერესოა, რომ, ამ დეტალის მიხედვით, სვანეთში გამოვლენილი ამ ვარიანტის შუბისპირი ღილისებურდაბოლოებიან ტიპად მიიჩნიეს [18.134]. თუმცა ეს მოსაზრება არ გაიზიარეს და ჩათვალეს, რომ ღილაკი იარაღს არა ტექნიკური განუვითარებლობით, არამედ უფრო დეფორმაციის შედეგად უნდა ჰქონოდა მიღებული [8.18,134]. ჩვენში ღილისებურბოლოიანმა შუბისპირებმა გავრცელება ვერ პოვეს. როგორც ჩანს, ეს დეტალი უფრო შუბისპირების სატარეში ჩამაგრების ტექნოლოგიურ მხარესთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

ქუთაისის შუბისპირს შორეული პარალელები მოეპოვება სუზის, ქარხემიშის[1] და თელ-ახმარის უძველესი სწორყუნწიანი შუბისპირების სახით [30.73, სურ. 29; 35. ტაბ. 89-C-4,5,D-7,8,9]. შეიძლება ითქვას, რომ ქუთაისის შუბისპირი ტიპოლოგიურად იმეორებს ურის მეფეთა სამარხში გამოვლენილ ბრინჯაოს შუბისპირების ფორმას, რომელსაც ძვ.წ. XXVI-XXV სს-ებით ათარიღებენ [29.299, სურ. 3-3,4; 30.73, სურ.29; 15. ტაბ. XV-3]. ასევე ახლო პარალელები შეინიშნება აღმოსავლეთ ანატოლიაში არსლან-თეფეს (VI A – განძი და VI-B – სამეფო სამარხი) ყუნწიან შუბისპირებთან [33. ტაბ. 17-1,2,14-17].

---

[1] ქარხემიშის შუბისპირების სიგრძე, ქუთაისის შუბისპირთან შედარებით, უფრო ნაკლებია: 28.3; 31; 30.9; 33 სმ.

აღნიშნული პუნქტების გარდა, სწორღეროიანი შუბისპირები აღმოჩენილია აზერბაიჯანში (ასტარინის ყორღანი), სომხეთში (სევანის ტბის მიდამოებში), აღმოსავლეთ ანატოლიაში – ტულინ-თეფეზე, ირანში (თეფე-ჰისარი II, III) და სხვ. [30.299-300, სურ. 3; 18.134; 12.167; 32.30, სურ. 4-1; 35. ტაბ. 89; 34. ტაბ. 3,27,34,43,46, 101,102, 103,104]. ანატოლიაში (ტარსუ, კილიკია, ტროა II-განძი-A, იკიზ-თეფე) ყუნწმოღუნული შუბისპირების დამზადების ტრადიცია შუაბრინჯაოს ხანაშიც გრძელდება [25.70, სურ. 6-8,9,10,11,12; 37. სურ.4]. ეს ნივთი ასევე გვხვდება რას-შარმასა (უგარიტი) და ტარსუ II-III-ზე [24.11, სურ. 2-10,11].

როგორც აღინიშნა, მიუხედავად გარკვეული დეტალების მსგავსებისა, მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ქუთაისისა და მტკვარ-არაქსულ, ბედენურ კულტურებში გავრცელებულ შუბისპირებს შორის გამოიხატება ზომებში. აღნიშნული კულტურების ყუნწიანი შუბისპირები, თუ არ ჩავთვლით საჩხერის ნიმუშებს, შედარებით მცირე ზომისაა. ამ დეტალით ქუთაისის შუბისპირი უფრო უახლოვდება მაიკოპისა და ანატოლიის (არლან-თეფე) ამ ვარიანტის შუბისპირებს.

საყურადღებოა ქუთაისის შუბისპირის წარმომავლობის გარკვევა და მისი კულტურული კუთვნილების საკითხი. საიდან ვრცელდება სწორყუნწიანი შუბისპირი მდ.რიონის აუზში? ხომ არ არის ეს იარაღი აქ მოხვედრილი საჩხერული მეტალურგიული ცენტრიდან მდ. ყვირილას გავლით, ანდა ხომ არ უნდა იყოს იგი დამზადებული დამოუკიდებელ მეტალურგიულ კერაში? საკითხის უკეთ გარკვევის მიზნით მოვიხმობთ ზოგიერთ მონაცემს.

კოლხეთის დაბლობზე და მის ბორცვოვან ზოლში ერთი ფაქტიც არ დასტურდება მტკვარ-არაქსული კულტურის ელემენტების შემოღწევის, თუ არ ჩავთვლით დაბლაგომის ნასახლარის ქვედა ფენას, სადაც გვხვდება პროტოკოლხურისა (ზედა ჰორიზონტი) და მტკვარ-არაქსული კულტურების (ქვედა

ჰორიზონტი) შეხვედრები [11.3-12]. ასევე მხედველობაშია მისაღები მტკვარ-არაქსის კულტურის იერის მქონე რამდენიმე კერამიკის ნატეხის აღმოჩენა ჭოლიპისა და შემოქმედის ნასახლარებზე [6.75].

აღსანიშნავია, რომ საჩხერული მეტალურგიული ცენტრის გავლენები ზოგიერთი ელემენტის მიხედვით იგრძნობა როგორც ზემო, ისე ქვემო სვანეთის ტერიტორიაზე. მხედველობაში გვაქვს აქ შემთხვევით აღმოჩენილი საჩხერული ტიპის ყუამილიანი ცულები [15.47- 51,სურ.2,1-6]; მათ შორის ქვემო სვანეთიდან მომდინარე, ტიპური საჩხერული მეტალურგიული კერისათვის დამახასიათებელი, ნამგლისებური ფორმის, წელში მოხრილი ყუამილიანი ცულები [15. ტაბ. XIV-1-3]. საინტერესოა, ეს ნივთები საიდან უნდა გავრცელებულიყო ამ რეგიონში, მით უმეტეს, როდესაც სვანეთში, საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად, ამ არტეფაქტების სინქრონული ხანის სამოსახლოები და სამაროვნები არ დასტურდება.

როგორც ფიქრობენ, კოლხეთის დაბლობის არახელსაყრელი გეოკლიმატური პირობების გამო, მტკვარ-არაქსის კულტურა დაბლაგომის ნამოსახლარის იქით, მის სიღრმეში არ ვრცელდება [11.216]. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ამის გამო ამ კულტურის მატარებელი ეთნიკური ჯგუფი გვერდს უვლის კოლხეთის დაბლობის ჭაობიან ზოლს და მისი ნაკვალევი უკვე ჩანს ზემო სვანეთის ტერიტორიაზე 18.292], თუმცა რამდენად რეალურია ეს მოსაზრება, ძნელი სათქმელია. ზემო და ქვემო სვანეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი, მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი სწორღეროიანი და ღილისებურდაბოლოებიანი შუბისპირების (ასევე მხედველობაში გვაქვს აქ გამოვლენილი ბდაძოროსა და იალბუზის ტიპის სპილენძის ფართოტანიანი ყუადაქანებული ცულები) წარმომავ-

ლობის გარკვევას ერთგვარი ახსნა მაინც უნდა მოეძებნოს [32. ტაბ. X-1,2,3;XI-1,4; XV-1,2].[1] იქნებ სვანეთის რეგიონზე გამავალი საუღელტეხილო გზები წარმოადგენდა ერთ-ერთ უმოკლეს დამაკავშირებელ მონაკვეთს ჩრდილო კავკასიის, შიდა ქართლისა და ზემო იმერეთის ტერიტორიებზე გავრცელებულ არქეოლოგიურ კულტურებს შორის, მათ შორის მაიკოპურ და მტკვარ-არაქსულ კულტურებთან კონტაქტების დამყარებისას. ეგებ ამ ურთიერთობათა ერთგვარ დანალექს წარმოადგენდეს აღნიშნული არტეფაქტები.

პროტოკოლხური კულტურის კერამიკის ერთი ნაწილით ასევე კონტაქტები ვლინდება ბედენური კულტურის თიხის ნაწარმთანაც, განსაკუთრებით მის შიდა ქართლურ ვარიანტთან (ბერიკლდეები, ციხია გორა, ნაცარგორა და ა. შ.) [22.371]. ამ კულტურასთან შეხების წერტილები შეინიშნება პირთან მიერთებული ფართოღეროიანი ლენტური ფორმის, ღეროდაღარული, ორლულიანი, ფრინველისმკერდისებური ყურებით; აგრეთვე იმ ვარიანტის ორლულიანი და ფრინველისმკერდისებური ყურებით, რომელსაც პირთან მიერთებისას ზემოდან აზის ვერტიკალური შვერილი [22.371]. ასევე მსგავსება შეინიშნება ბადური (რომბული) დეკორის დატანით, კერამიკის ზედაპირის ნაფოტისმაგვარი ნივთით მოსწორების შედეგად დარჩენილი უსისტემო ხაზებით, პირამიდისებური ორნამენტით, პატარა ზომის ორყურა კოჭბებით და ა.შ [22.37]. საინტერესოა, რომ ბედენურ და კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს ხანის კულტურაში თითქმის ერთ პერიოდში გვხვდება ზემოთ ჩა-

---

[1] ქვემო ლუჰას სპილენძის უყუნწო სატევრისპირი და ფართოპირიანი ყუადაქანებული ცული ზემო სვანეთიდან ჩვენ მივიჩნიეთ მაიკოპურ-ნოვოსვაბოდნაიას კულტურიდან მოხვედრილად. დიდი ალბათობით, ზემო სვანეთიდან ჩრდილო კავკასიაში გამავალი ზოგიერთი საუღელტეხილო გზის (მათი რაოდენობა 15-ს აღემატება) გამოყენებით, ძვ.წ. IV–III ათასწლეულებიდან ალბათ გარკვეული კონტაქტები ხორციელდებოდა ჩრდილო კავკასიის მხარესთან (მაიკოპური კულტურა – ნოვოსვაბოდნაიას ეტაპი) [იხ.: 3.53-65; 4].

მოთვლილი კერამიკული მასალებისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი ელემენტების დამკვიდრება. ეს მოვლენა არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგან შიდა ქართლი კოლხეთთან[1] ყველაზე ახლოს მდებარე მომიჯნავე რეგიონია. ამ მხარეში გავრცელებულ აღმოსავლურ და დასავლურ ქართულ არქეოლოგიურ კულტურებს შორის მჭიდრო კონტაქტები შეინიშნება მთელი ბრინჯაოს ხანის განმავლობაში, მათ შორის კოლხეთის მთიანეთსა და მის აღმოსავლეთ მხარეში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძების შემადგენლობაში (ბეჟათუბანი, ზემო სიმონეთი, პერევი, ლეჩხუმი – სოფ. ცაგერა, ასევე შემთხვევითი ცალკეული აღმოჩენა – ქვემო სვანეთი, ქვემო რაჭა-ახალსოფელი, ტბეთი) დადასტურებული ცენტრალური ამიერკავკასიური ცულებით.

კოლხეთის დაბლობის ადრე- და შუაბრინჯაოს ხანის კერამიკის ერთი ჯგუფი შემკულია რელიეფურ სარტყელზე დატანილი ნათითურ-დაჭდეული ფოსოებით. შეიძლება ითქვას, რომ შემკობის ეს სახე პროტოკოლხური თიხის ჭურჭლისათვის ძირითადი განმსაზღვრელი სახეა. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ანალოგიური დეკორით გაფორმებული კერამიკა ჩნდება მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანდელ საფეხურზე და ბედენურ კულტურაში [26.50, სურ. 10-11].

ამრიგად, ამ ეტაპზე ჩვენ უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია ვივარაუდოთ საჩხერის მეტალურგიული ცენტრიდან ქუთაისის შუბისპირის გავრცელება მდ.რიონის აუზში. თუმცა არ უნდა გამოვრიცხოთ ისიც, რომ ქუთაისის შუბისპირს შესაძლოა ჰქონოდა თავისი გავრცელების სხვა, დამოუკიდებელი გზაც მაიკოპის კულტურიდან, ანდა ანატოლიის ტერიტორიიდან. ქუთაისის შუბისპირს, ქვემო სვანეთში მიკვლეულ ჟახუნდე-

[1] ზემო იმერეთის პლატოსთან ერთად (საჩხერის რ-ნი), მხედველობაში გვაქვს დღევანდელი თერჯოლის, ზესტაფონისა და ხარაგაულის რაიონების ტერიტორიები.

რის ამგვარ იარაღთან ერთად, ვთვლით საქართველოში გავრცელებულ (მხედველობაში გვაქვს მტკვარ-არაქსული ტიპის ყუნწიანი შუბისპირები), ამ ტიპის იარაღებში არსებულ ერთ-ერთ მოგვიანო ნიმუშად, რომლის ასაკი დაახლოებით ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულით უნდა განისაზღვროს.

ლიტერატურა – REFERENSES

1. აბესაძე ც. ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიიდან საქართველოში, თბ., 2011.
2. აბესაძე ც. ლითონის წარმოება ამიერკავკასიაში ძვ. წ. III ათასწლეულში, თბ., 1969.
3. კვიციანი ზ. საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის საკომუნიკაციო სისტემები (სამიმოსვლო გზები), კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, VIII, თბ., 2000, გვ. 53-63.
4. კვიციანი ზ., ჯიბლაძე ლ. უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენები სვანეთში (ლითონის არტეფაქტები), თბ., 2015.
5. მირცხულავა გ., ორჯონიკიძე ალ., მინდიაშვილი გ., ჯაფარიძე ო. ადრებრინჯაოს ხანა, საქართველოს არქეოლოგია, ტ. II, თბ., 1992, გვ. 70-215.
6. მურვანიძე ბ. ჭოლიპას ნამოსახლარზე მოპოვებული თიხის ნაწარმი (წინასწარი ანალიზი), კრებული გურია, I, თბ., 1996, გვ. 73-77.
7. მურვანიძე ბ. რამდენიმე ექსპონატი ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან, კრებული გურია, III, თბ., 2001, გვ. 36-39.
8. სახაროვა ლ. უძველესი საბრძოლო იარაღების ისტორიისათვის (ბრინჯაოს შუბისპირები), მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, N3, თბ., 1973, გვ. 81-94.

9. ფიცხელაური კ. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევა-ძიების შედეგები 1980-1982 წწ. კაეშ, ტ.VI, თბ., 1984.
10. ფიცხელაური კ. სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ეთნო-კულტურული სისტემა ბრინჯაო-ადრე რკინის ხანაში, თბ., 2013.
11. ფხაკაძე გ. მტკვარ-არაქსისა და დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის კულტურათა ზოგიერთი შეხ-ვედრა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, სას II, თბ., 1978, გვ. 3-12 .
12. ღამბაშიძე ი., მინდიაშვილი გ., გოგოჭური გ., კახიანი კ., ჯაფარიძე ი. უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში ძვ.წ. VI-III ათასწლეულებში, თბ., 2010.
13. ჩართოლანი შ. სპილენძის უძველესი იარაღები სვანეთი-დან, საისტორიო კრებული II, თბ., 1971.
14. ჩართოლანი შ. სვანეთის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიუ-რი ძეგლები, თბ., 1977.
15. ჩართოლანი შ. ძველი სვანეთი, თბ., 1976.
16. ჯავახიშვილი ალ., ღლონტი ლ. ურბნისი I, ნაკვეთი პირ-ველი. ქვაცხელის (ტვლეპია ქოხის) ნამოსახლარზე 1954-1961 წელს ჩატარებული გათხრები, თბ., 1962.
17. ჯაფარიძე ო. ქართველი ტომების ისტორიისათვის ლი-თონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961.
18. ჯაფარიძე ო. ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის სა-კითხისათვის, თბ.,1976.
19. ჯაფარიძე ო. ქართველი ტომების ეთნოკულტურული ის-ტორიისათვის ძველი წელთაღრიცხვით მესამე ათასწლე-ულში, თბ., 1998.
20. ჯაფარიძე ო. ბრინჯაოს ინდუსტრიის ისტორიისათვის უძველეს საქართველოში, თბ., 2013.
21. ჯიბლაძე ლ. კოლხეთის დაბლობის ძვ.წ. III-II ათასწლეუ-ლების ნამოსახლარები, თბ., 2007.

22. ჯიბლაძე ლ. კოლხეთის დაბლობის ადრე- და შუაბრინ-ჯაოს ხანის კულტურების გავრცელების არეალები, შეხ-ვედრები და კონტაქტები მეზობელ არქეოლოგიურ კულ-ტურებთან. კრებ. კავკასიოლოგიური ძიებანი, N 6, თბ., 2014, გვ. 368-377.
23. ჯიბლაძე ლ., ბუაძე შ. ბრინჯაოს იარაღების ერთი ჯგუ-ფი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიიდან. კრებ. კავ-კასიოლოგიური ძიებანი, N 8, თბ., 2016, გვ. 229- 245.
24. Авилова Л., Древние бронзы Ирана. Энеолит-Средний бронзовый Век.КСИА 216, Москва, 2004, გვ.3-14.
25. Авилова Л., Металлопроизводство древней Анатолии: Специфика Региона, КСИА, 223, Москва, 2009, გვ.48-87.
26. Дедабришвили Ш., Курганы Алазанской долины, Тбилиси, 1979.
27. Кореневский С., Древнейшие Земледелцы скотоводы Предкавказя. Москва, 2004.
28. Куфтин Б., Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941.
29. Куфтин Б., К вопросу о древнейших корнях Грузинской культуры на Кавказе по данным археологии. XII, სსმმ-B, Тбилиси, 1944, გვ. 291-416.
30. Куфтин Б., Археологическая маршутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тбилиси, 1949.
31. Мартиросиян А., Армения в эпоху бронзы и раннего железа. Ереван, 1964.
32. Чартолани Ш., К истории нагорья Западной Грузии доклассовой эпохи. Тбилиси, 1949.
33. Frangipane M., The late Chalcolithis / Leb l sequence at Arslantepe.Chronological and cultural remarks from a frontier Site. In Chronologies des paus du Causase et de l'Euphrate aux IVe-IIIe millénaires. From the Euphrates to the Caucasus: Chronologies for the 4th -3rd millennium B.C.Vom Euphrat in den Kaukasus:Vergleichende Chronologie des 4 und 3 Jahrtaus-

ends v. Chr Astes du Colloque d' Istanbul 16-19 décembre 1998. Istanbul:Institut Francais d' Études Anatoliennes- Georges Dumézil, 2000, გვ. 439-471 (Varia Anatolica 11).
34. Hauptmann H., Perniska E., Die Mettalindustriae Mesopotamiens von Anfa ngen bis zum 2. Jahrtausend v .Chr., Orient-Archdologie Band 3, 2004.
35. Müller-Karpe A., Anatolisches Metallhandwerk. offa-Bücher, Band 75, 1994.
36. Neumünster:Anatolisches Metallhandwerk. offa-Bücher, Band 75, Neumünster,
37. Onder Bilgi, Ikiztepe Excavations. Istambul Universitys Contributions to Archaeology in Turkey (1932-2000), Istambul, 2001, გვ. 91-96.
38. Pizchelauri K., Waffen der bronzezeit aus Ost-Georgien, Archdologie Eurasien,Band 4. Berlin, 1997.

შემოკლებათა განმარტება

კაეშ – კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები
სას – საქართველოს არქეოლოგიის საკითხები
სსმმ – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე
КСИА – Краткие сообщения Института археологии АН СССР

LERI JIBLADZE
MINDIA JALABADZE

BRONZE SPEARHEAD FROM KUTAISI

Summary

In Kutaisi, on the right bank of the river Rioni, straight-stemmed and ridged bronze spearhead was accidentally found without accompanying inventory (Tabs. I, II). The Kutaisi spearhead stands close to this

type of spearheads found in Lentekhi (village Zhakhunderi) and Sachkhere districts with its tilted high edges, its blade shape and distinctively outlined ridge.

It is suggested that spearheads with stalk were spread in the South Caucasus, including Georgia, from the territory of the former Asia, where in the III millennium, BC its two versions straight-stemmed and curved-stemmed spearheads were known. The Kutaisi spearhead is close in some details to both the Mtkvari-Araks, as well as to the Maykop-Novosvabodnaya (Baksan) and Anatolia (Arslan-Tepe VI-A-A treasures and royal tombs VI-B, Uri royal tombs, etc.) and similar tools were known in the III millennium BC. We must assume that the Kutaisi spearhead is spread in the river Rioni basin from the Sachkhere metallurgical center. However, we should not exclude the possibility that these weapons may have had other independent origins from the Maykop culture and Anatolian territory.



სურ. 1. სიტუაციური რუკა: 1. ნივთის აღმოჩენის ადგილი; 2. ბაგრატის ტაძარი; 3. ქუთაისის ნაქალაქარი; 4. წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი.



სურ.2. შუბისპირი ქუთაისიდან

ნინო ოთხვანი

კერა-სადგრები, მტკვარ-არაქსის კულტურის ერთ-ერთი სახასიათო დეტალი

პრეისტორიული კულტურების კვლევის, დახასიათების და პერიოდიზაციის განსაზღვრის საკითხში თიხის ნაწარმი ერთ-ერთი საუკეთესო მასალაა, რამდენადაც იგი კონკრეტული საზოგადოების არსებობის გარკვეულ ეტაპზე იქმნება და მის ცოდნას, გემოვნებას, საჭიროებას და ესთეტიკას ასახავს. მტკვარ-არაქსის კულტურის ერთ-ერთი გამოკვეთილი მახასიათებელი (სხვა მრავალთა შორის) სხვადასხვა ფორმისა და ზომის თიხის კერები და სადგრებია, რომელზედაც ამჯერად ვაჩერებ ყურადღებას. საინტერესოა მათი როლი, დანიშნულება და კუთვნილება მთელს იმ კულტურულ სივრცეზე, სადაც ამ კულტურამ ფეხი მოიკიდა. თავიდანვე კულტურის პერიოდიზაციისათვის მიჩნეული იყო მისი სამსაფეხუროვანი დაყოფა. სადღეისოდ გამოჩნდა მეოთხე მონაკვეთის გამოყოფის აუცილებლობაც. დიფერენცირების ეს მოდელი ეყრდნობა ძირითადად თიხის ნაწარმის მარტივიდან რთულისაკენ ევოლუციას, მომდევნო და თანადროულ მეზობელ კულტურებთან ურთიერთობის პარალელებს [3. 13]. საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული კერები და კერის ზესადგრები კულტურის ქრონოლოგიზაციის ოთხივე პერიოდზე აქტუალური ჩანს. მათგან მრგვალი, შვერილებიანი კერა და ასევე შვერილებიანი ზესადგრები გამორჩეული არქეოლოგიური ინვენტარია. ისინი, როგორც ჩანს, მენტალურად მჭიდროდ დაკავშირებული უნდა იყოს სოციუმის ტრადიციებთან, კოსმოგონიურ შეხედულებებთან, მათ რწმენა-წარმოდგენებთან [4. 16]. კერები, სადგრები, ცალ-ცალკე თუ ერთობლიობაში, მტკვარ-არაქსის კულტურის ყველა საკულტო თუ ნაკლებად მნიშვნელოვან ნამოსახ-

ლარზე გვხვდება. სავარაუდოდ, კერებისა და სადგრების გავრცელების ფართო არეალი თვით კულტურის გავლენის ზრდას კი არ უნდა მოასწავებდეს (მიუხედავად იმისა, რომ, შესაძლოა, ზოგან მათი მხრიდან ადგილობრივ კულტურაზე დომინანტობასაც ჰქონდა რაღაც ეტაპზე ადგილი – მაგ., არსლან თეფეს საზოგადოებაში სოლივით შეჭრილი მტკვარ-არაქსის კულტურის მოსახლეთა კვალი), არამედ მოსახლეობის აქტიურ მიგრაცია-ემიგრაციაზე უნდა მეტყველებდეს. ორივე მათგანი მხოლოდ ამ კულტურის ჩარჩოებში არსებობს და უშუალოდ მასთან ერთად ქრება, მაგრამ, სანამ კულტურა აქტუალურია, სახეზეა როგორც კერების, ისე სადგრების მრავალსახეობა. მტკვარ-არაქსის კულტურის ამ სახეობებზე მსჯელობას ისიც აადვილებს, რომ გამოვლენილი მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლების უმეტესობა ნამოსახლარია, რომლებიც გეოგრაფიულად სხვადასხვა არეალში, ხშირ შემთხვევაში წყალუხვი მდინარეების მახლობლადაა გაშენებული. მათ სიახლოვეს გვხვდება თანადროული სამაროვნებიც, რომლებიც, გარკვეულ შემთხვევებში, ავსებს ნამოსახლარის დაზიანებებიდან გამომდინარე არსებულ ინფორმაციულ ხარვეზებს. გვაქვს ნამოსახლარები, რომელთა კერამიკული მასალა იმდენად ფრაგმენტულია, რომ მათი ფორმების აღდგენა, რომ არა სამარხებში აღმოჩენილი არტეფაქტები, ხშირად შეუძლებელია (მაგ. ძეძვები, ღრმახევისთავი).

მტკვარ-არაქსის კულტურის მთელ არეალზე გამოვლენილი კერები ძირითადად შემდეგი კატეგორიისაა: მრგვალი, ქორდიანი, ბორდიურიანი კერა ცენტრში ნახვრეტით, შვერილებიანი და ცილინდრული კერები. გარდა ჩამოთვლილი სახეობებისა, გვაქვს აგრეთვე ორმოს თავზე გამართული ბრტყელი დისკი, შუაში ნახვრეტით [1. 164; 9. 80-87]. საქართველოში ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ტიპი პოულობს გავრცელებას; დაცულია მათი დადგმა-გამართვის ტრადიციაც. ყველა მათგანი, რა სახეობისაც არ უნდა იყოს იგი, ნაგებობის ცენტრშია

გამართული და, გამომდინარე აქედან, საგანგებო დატვირთვის მატარებელი უნდა იყოს.

არსებულ ტიპებს შორის ყველაზე ადრეული ბორდიურიანი კერა ჩანს. იგი მიწაში ჩადგმულ, საგულდაგულოდ ამოლესილ ორმოს წარმოადგენს. მსგავსი კერების პროტოტიპს ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლები უნდა წარმოადგენდეს – შულავერი, ხრამის დიდი გორა, სადაც ნაპოვნია საგანგებოდ მიწაში ჩადგმული, გადაჭრილი თიხის მოზრდილი ჭურჭელი, უქრობი ცეცხლის შესანახად. ბორდიურიანი კერაც მიწაში საგანგებოდ ჩაჭრილი და წმინდად ამოლესილია; იქვეა საგანგებოდ მოლესილი ადგილი წმინდა ნაცრით. კერების საკრალურობაზე მეტყველებს მათთან ხშირად თანაარსებული ანთროპომორფული ფიგურები [6. 6].

შემდეგი ტიპი, ბორდიურიანი კერა, მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ნასახლარებიდან სახეზეა ხიზანაანთგორას E ფენასა და თეთრიწყაროს ქვედა ჰორიზონტზე. მოგვიანებით – მაგ.: ოზნის, თეთრიწყაროს ძეგლებზე – ბორდიური უკვე ქვითაა ამოშენებული. იგი ხშირად შემკულია ორნამენტებით, წეროების გამოსახულებებით (ამირანის გორა), რელიეფური ხაზებითა და M-ისებური დანაძერწებით (სიგიტმას ნასახლარი, 14.20), სპირალებითა და ორმაგი დროშებით (ელარის კერა, 15. 34; ტაბ. XV).

უცხო და მცირერიცხოვანია ქორდიანი კერები. გ. გობეჯიშვილი ამ კატეგორიის კერებს „ლამპარს“ უწოდებს. მსგავსი კერები ცნობილია მხოლოდ თეთრიწყაროს მრგვალი ნაგებობიდან და არგვეთის ნასახლარიდან.

განსაკუთრებული გავრცელება შვერილიან კერას ხვდა წილად, სადაც შვერილების რაოდენობა 1-დან 5-მდე მერყეობს; სხვადასხვაგვარია მათი კონფიგურაციაც.

მრავალსახეობაა სადგრების შემთხვევაშიც. თითოეული მათგანი თავისი ინდივიდუალური ფორმებითა და სემანტიკური დატვირთვით საზოგადოების კულტურულ-იდეოლოგიური

ხასიათის თუ საფეხურის განმსაზღვრელი უნდა იყოს. ყველაზე გავრცელებული და პოპულარული სახეობა ნალისებური სადგრები ჩანს. მტკვარ-არაქსის კულტურის საზოგადოების კულტურული განვითარების პარალელურად იცვლება ნალისებური სადგრების ფორმები მარტივიდან რთულისაკენ. თუ მარტივ ნალისებურ სადგრებს შუაში, ზურგის მხრიდან, ხშირად ყური აქვს მიბმული (სავარაუდოდ, ტრანსპორტირებისათვის მოსახერხებლად. მათ სხვანაირად გადასატან კერებსაც უწოდებენ), რთული სადგრები უკვე მჯდომიარე მამაკაცებს წააგავს, გამოკვეთილი ფიზიკური მონაცემებით და მამაკაცური ატრიბუტიკით (სახე, ფეხის თითები, ფალოსი). საქართველოში ნალისებური სადგრები ნაპოვნია ამირანის გორაზე [7. 57], ხიზანაანთ გორაზე [2. 52, სურ. 85], ზღუდერის გვერდზე [8. 83], ოზნში [15. 34]. მათი გავრცელების ძირითადი არეალი მაინც სამხრეთი კავკასიაა. იგი განსაკუთრებით ბევრია მდ. არაქსის აუზში: არმავირბლურში, ქიულ ტეფეზე, შენგავითში, ელარში, ამასიასა და ა.შ. [14. 20].

ქიულ ტეფეს სადგარის დაბოლოებებს ადამიანის ტერფის ფორმა აქვს, ზოგიერთ მათგანს გამოკვეთილი ფეხის თითებიც კი გააჩნია [9. 135, ტაბ. 23]. დაღესტნურ სადგარზე, შარაკუნიდან, ცენტრალურ ნაწილში ადამიანის სახეა გამოსახული [17. 45]. ადამიანის, კონკრეტულად, მამაკაცის სახეა აღბეჭდილი ახალციხის ამირანის გორის სადგარებზეც. დაბრტყელებულ თავებზე კი ფოსოა დატანილი, სავარაუდოდ, რაიმეს დასადებად. საინტერესოა ნალისებური სადგრები სომხეთიდან. ისინი სტილისტურად უფრო დახვეწილი და კომპოზიციურად გართულებულია. სადგართა შვერილები აქაც ადამიანის ფეხის ტერფის ფორმისაა, სადაც ასევე ადამიანის სახეები, თვალის ფოსოები და გამოკვეთილი რელიეფური ცხვირია დატანილი (15. სურ. 13, ტაბ.). ცნობილია სამფეხა სადგრები არიჭიდან, ამასიიდან, შენგავითიდან, რომელთა დაბოლოებები ცხვრის თავებია და, ამასთან, ყველა მათგანი სხვადასხვაგვა-

რია. ზოგ შვერილს ფალოსის ფორმა აქვს [5. 17]. ზოგადად, შვერილებიანი კერები და ნალისებური სადგრები ქრონოლოგიურად მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებული ეტაპის კუთვნილი ჩანს.

შემდეგი სახეობა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს, არის ხარის რქისებური სადგრები. საერთოდ, ყველა სახეობა ინდივიდუალურ მიდგომას ითხოვს და მრავალი ვარაუდის გამოთქმის შესაძლებლობას იძლევა.

ეს სახეობა თავიდანვე მიბმული იყო ხარის კულტის გამოჩენასთან, მეურნეობაში მისი როლის გაზრდასთან და შესაბამისი კულტმსახურების ჩამოყალიბებასთან. ბ. კუფტინი პარალელს ავლებდა კრეტა-მიკენის სამსხვერპლოებთან, სადაც კვიპროსზე აღმოჩენილ მიკენურ ლარნაკზე გამოსახულია წყვილი ხარის თავი, რომელთა შუაშიც მოთავსებულია ორმაგი ცული. იქვეა გამოსახული რქისებური სადგარი, რომლის შუაშიც ასევე ორმაგი ცულია დაფიქსირებული. მკვლევარი მიიჩნევდა, რომ როგორც სადგარს, ისე კერას ერთი და იგივე დატვირთვა თუ ძალა გააჩნდა და მათ არსობრივად დიდი დედის კულტთან აიგივებდა [12. 128-170]. მისი აზრით, კერის შვერილები ქალის ლოცვისას ზეაღპყრობილი ხელებია, ხოლო სადგარში დატანებული ხვრელი, სიცოცხლის ხის იმიტაციის, ჩიჩილაკის, დასამაგრებელი სპეციალური დეტალია [13. 59-81]. ერთიც და მეორეც ნაყოფიერებას ასახიერებს. ამ მოსაზრებას, გარკვეულწილად, იმეორებდნენ ნ. მარი და ო. ჯაფარიძე. ნიკო მარს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (სამეგრელო-აფხაზეთში) გავრცელებული დღესასწაული „ილორობა“ სწორედ ამის გამოსახულება ჰგონია. რაც შეეხება ო. ჯაფარიძეს, იგი თვლიდა, რომ ხარი, როგორც გამწევი ძალა, სატრანსპორტო საშუალება და, თუნდაც, მისი პროდუქტიულობიდან გამომდინარე, გამრავლება და ხორცი, როგორც საკვები, სხვა საოჯახო პირუტყვთან უკონკურენტო იყო, რადგანაც შეუცვლელი იყო მისი ძალა მიწათმოქმედებაში, როგორც

მყარად დამკვიდრებული საზოგადოების ძირითადი მეურნეობის წარმოების წარმმართველი, რაც აისახა კიდეც თანადროულ რეალობაში; ასევე, მესაქონლეობის, როგორც ბინადარი საზოგადოების არსებობისთვის რიგით მეორე მეურნეობის, დარგის საყრდენი. მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ მის განსაკუთრებულობაზე მეტყველებს არიჭის ხარისგამოსახულებიან შვერილებიან სადგარზე დატანილი სამკუთხედებისა და წერტილების კომბინაცია, სადაც სამკუთხედები დამუშავებული მიწის ფართობია, ხოლო წერტილები – დათესილი მარცვლეული [16. 78]. გარკვეული მოსაზრებით, ხარის რქისებური სადგარი, კერასთან ერთად, წმინდა ცეცხლის სამყოფ ადგილად მიიჩნევა. სადგრები მართლაც, უმრავლეს შემთხვევაში, კერებთთან ერთად არის აღმოჩენილი. მაგ.: ხიზანაანთ გორის E ფენაში ნაპოვნია ბორდიურიანი კერა, რომლის ფსკერზეც რქისებური სადგარია დაძერწილი [11. 52]. ხარის გამოსახვისას ხაზგასმულია რქები, როგორც ძალის დემონსტრირება. იგი გაიგივებულია ნახევარმთვარესთან. მაგალითად: ძვ.წ. III ათასწლეულის შუა აზიაში, ალტინ-თეფეზე გათხრილ სამლოცველო ტაძარში აღმოჩნდა ხარის ოქროს ქანდაკება, თავზე დადგმული ნახევარმთვარით. თრიალეთურ ვერცხლის სარტყელზე გამოსახულ ხარსაც რქების მაგივრად ნახევარმთვარე ადგას თავზე. კოსმოგონიური დატვირთვა უნდა ჰქონდეს შეძენილ კერასაც და იგი ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ, მზის დისკოს განასახიერებს. აღსანიშნავია ხიზანაანთ გორას D ფენის მე-18 სათავსო, სადაც ტრადიციული შვერილებიანი კერის ერთ-ერთ შიდა კედელზე მიძერწილია ორი ნახევარმთვარის გამოსახულება. კ.კივიძე თვლის, რომ, თუ ხარი მთვარის სიმბოლოა და კერა მზის, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ორი კულტის შერწყმას უნდა ჰქონდეს ადგილი [11. 82].

სადგრების მნიშვნელობა-დანიშნულების და გავრცელების შესახებ დღემდე გაუნელებელი ინტერესებია. სტ. დიამანტისა და ჯ. რუტერის მიერ შემუშავებულია კლასიფიკაცია; გა-

მოიყო სამი ჯგუფი: 1 ჯგუფში გაერთიანებულია ის კერა-სადგრები, რომლებიც განეკუთვნება ადრებრინჯაო II ეტაპს და გვიანბრინჯაომდე ინარჩუნებენ აქტუალობას. მათი უმეტესობა აღმოჩენილია ძირითადად ტაძრებში – ბეიჯისულტანიუ, ტარზუსი.

მე-2 ჯგუფში კი გაერთიანებულია ნალისებური სადგრები, რომლებიც, კავკასიის შემთხვევაში, მტკვარ-არაქსის კულტურის თანმდევია, ხოლო სირია-პალესტინა-ანატოლიაში – კირბეთ-კერაკის.

საქართველოს შემთხვევაში ნალისებური სადგრები სამცხე-ჯავახეთში მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების მოგვიანო ეტაპზე ჩნდება და სრულიად ლოკალკურ ხასიათს ატარებს. ის უცხოა შიდა ქართლისა და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ აქაც ძლიერია სამხრეთკავკასიური გავლენები. მათი კონცენტრაცია ახალციხის ამირანის გორაზე, მეორე ფენაშა თავმოყრილი – X სახლში ნაპოვნ სადგარს თავზე რქისებური წანაზარდები აქვს; XII შენობის სადგარს შუაში ჩაზნექილი, მრგვალი შვერილი აქვს, რომელზედაც ფოსოებთ გამოყვანილია თვალები და პირი, ხოლო რელიეფით კი – მოზრდილი ცხვირი [3. 17]. სახე იმდენად მარტივად და, იმავდროულად, ზუსტადაა გამოყვანილი, რომ, სავარაუდოდ, ზუსტ ემოციას უნდა გადმოგვცემდეს. აღწერისას აღნიშნავდნენ, რომ ზედ ადამიანის გაკვირვებული სახე იყო დატანილი. გარკვეულწილად გვიჩნდება ეჭვი: თუ კერა-სადგრების ვიზუალიზაცია მართლაც გარკვეულ კოსმოგონიურ ასპექტებს უკავშირდება, საქმე ხომ არ გვაქვს სარიტუალო ჰიმნების, სიმღერების შესრულებასთან? როგორც ვიცით, კულტმსახურება თავისებური რიტუალების შესრულებას ითხოვს, მათ შორისაა ჰიმნებიც. თუ კერა-სადგრები იტიფალური კულტის სახეა, რატომ არ შეიძლება მათზე გამოსახული მამაკაცები (სქესი აშკარად უდავოა) სწორედაც რომ ამდაგვარ რიტუალს ასრულებდნენ? ვარაუდი გაამძაფრა პულურის ცნო-

ბილმა სამსხვერპლომ. ამ ნალისებურ სადგარს ასევე მჯდომარე მამაკაცის ფორმა აქვს, ოღონდ ფეხის ტერფებზე ორ-ორი მცირე ზომის, ხოლო ცენტრალურ შემაღლებაზე ერთი მასიური სახეა გამოსახული – საგანგებოდ გამოყვანილი პირისახით. ანფასში შეხედვისას იქმნება შთაბეჭდილება ქოროსი, სადაც ხუთი მოღერალი მამაკაცია გამოსახული. ვარაუდს გვიმძაფრებს სიუჟეტის გადმოცემის სრულყოფილება, რომ არ ვთქვათ მიზანმიმართულება. ამასთან, გაცილებით მარტივია, თუნდაც რელიეფურად, მხოლოდ წარმოაჩინო ადამიანის სახე. პულურის სადგრის შემთხვევაში კი, ჩემი აზრით, აშკარაა, რომ გამომსახველობითი დატვირთვა აღბეჭდილი ადამიანების პირზე მოდის, როგორც ღვთაებრივი ნების გადმოცემის საშუალებასთან. მსოფლიო ჰიმნოგრაფიის ფესვებიც, სავარაუდოდ, პრეისტორიაში და წარმართულ ყოფაში უნდა ვეძებოთ. გამონაკლისი არც საქართველოა, სადაც არცთუ ისე ცოტა საგალობელია მიძღვნილი ციური სხეულებისადმი, რომელთა ამოსვლა-დაბადებას ადამიანი სიმღერითა და ცეცხლის დანთებით ხვდება. რა თქმა უნდა, გვაქვს სადგრები, რომელთაც მხოლოდ გამოკვეთილი ცხვირი გააჩნიათ, ყოველგვარი თვალებისა და პირის გარეშე, მაგრამ ეს შემთხვევები ჩვენს ვარაუდს არ უნდა აფუჭებდეს, რადგან საკმაოდ ხშირია კულტურაში, მის საწყის და ბოლო ეტაპზე გამარტივებისა და დამახინჯების შემთხვევები, თუნდაც საქმე ყოვლისშემძლე კულტს ეხებოდეს.

3 ჯგუფში კლასიკური რქისებური სადგრები ერთიანდება: სტანდარტული მრგვალი ან ოთხკუთხედი საფუძვლით, მკვეთრი შვერილებით, რომელსაც საპირისპირო მხარეს ყური ან რამდენიმე ნახვრეტი აქვს. ეს ტიპი სადგრების გაცილებით მოზრდილ ტერიტორიაზე ვრცელდება და ქრონოლოგიურად არ იზღუდება [19. 147-177]. ანატოლიური სადგრები თავდაპირველად ჭურჭლის დასადგამ მოწყობილობად ითვლებოდა [20. 134, 138, 172]. იმავდროულად, ლოიდი და მელაარტი ხაზ-

გასმით აღნიშნავდნენ, რომ ეს სადგრები კონკრეტულად საკულტო და სამლოცველო ფუნქციის მატარებელი ნივთებია. მათ ახლოს ნაცრისა და დამწვარი ძვლების სიუხვეც ამით უნდა იყოს განპირობებულიო [24. 29-53]. დიამანტი და რუტერი მათ კონკრეტული საოჯახო საქმიანობისათვის განკუთვნილ საგნებად მიიჩნევენ, ამასთან, რქებს შორის სივრცე ცეცხლის ცირკულაციისათვის ხელსაყრელად მიაჩნიათ, მაგრამ, იმავდროულად, არ გამორიცხავენ მის საკულტო დანიშნულებასაც. სავარაუდოდ, რქათაშორის თუკი იდგმებოდა რაიმე სახის ჭურჭელი, ეს ალბათ მაინც ე.წ. წმინდა სითხისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. მათი აზრით, რქისებური სადგრების წარმოშობის ადგილი ჩრდილო-დასავლეთი მესოპოტამიაა, რომლის გავრცელების არეალი თანდათანობით დასავლეთისაკენ გრძელდება. გ. ფხაკაძის აზრით, სამწუხაროდ, მკვლევრები, როგორც ჩანს, არ იცნობენ საქართველოს მასალებს, ვინაიდან როგორც აღმოჩენილი სადგრების დიდი რაოდენობა, ისე ადგილზე გავრცელებული მთელი რიგი რიტუალები, სადაც ხარი, სიცოცხლის ხე, ციური მნათობები და კერა ფიგურირებს, კავკასიის ეთნოგრაფიულ ყოფას ბოლომდე შემორჩა. გამომდინარე აქედან, „მათი წარმოქმნის ადგილობრიობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს“ - ასკვნის მკვლევარი [5. 18]. კავკასიური სადგრების დანიშნულების კონკრეტიზაციისას აზრთა სხვადასხვაობა, მიუხედავად დიდი მსგავსებისა, მათმა არასტანდარტულობამ გამოიწვია. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ სადგართა ჭურჭლის სადგომებად წარმოდგენა ჭირს, ვინაიდან რქებს შორის მანძილიც არაა იმდენად დიდი, რომ თუნდაც საშუალო სიდიდის ნივთი მოხერხებულად დაიდგას. მსგავსი ალბათობა გამოირიცხება ორი სადგარის კომბინაციის შემთხვევაშიც. თუ არა საკულტო დანიშნულება, სხვა ფუნქციის მოძებნა მათთვის ძნელია. ჩრდილოკავკასიური რქისებური სადგრებისაგან განსხვავებით (ქიულ თეფე, ბაბა დევრიში), რომლებიც მძიმე, მასიური ფორმისაა (მათ „რქიან

აგურებსაც“ უწოდებენ), საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი სადგრები გამოირჩევა დახვეწილობით და ფორმის სიმცირით (ქულბაქები, ზემო ავჭალა, ზღუდერის გორა).

ერთი-ორი სიტყვით უნდა შევეხოთ კოჭისებურ, ცილინდრულ და სამფეხა სადგრებს. ისინი, როგორც თვლიან, ან ჭურჭლის სადგამებია, ან საშამფურეები [5. 17]. საკითხავია, რატომ არ შეიძლება, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვქონდეს რომელიმე კერპისათვის განკუთვნილ ინდივიდუალურ „სამსხვერპლოსთან?“.

ერთი რამ უდავოა – მტვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ხალხი რთული კოსმოგონიის მქონე საზოგადოებაა. მასთან, როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში ქალური საწყისის კულტისა და მამაკაცურის შერწყმა ხდებოდა და ინოვაციურ, ერთიან სახეს იღებდა. ეს მაშინ, როდესაც სხვა კულტურულ ანალოგიებში, ძირითადად, ერთი ძლიერი კულტი გამოდევნის მეორე, შედარებით ნაკლებად აქტუალურს. ეს გზა შემდგომ, მოგვიანებით გაჩენილმა და დამკვიდრებულმა ყველა მსოფლიო რელიგიამაც გაიარა, როცა თითოეული მათგანი შეეცადა ძირფესვიანად წაეშალა მათი წინამორბედი რელიგიური პანთეონი და როცა მათი აღგვა ვერ მოახერხა, სახე უცვალა და ასიმილირებული ფორმით გაითავისა. ამ შემთხვევაში კი, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ თანაარსებობს ორი თანატოლი გავლენის კულტი. ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი ზეპირსიტყვიერების შედევრი „მზე დედაა ჩემი, მთვარე მამა ჩემი“ ამ ორივე ღვთაების თანაბარ გავლენებსა და სტატუსზე უნდა მეტყველებდეს. ვიმეორებთ, ეს იმ შემთხვევაში, თუკი დავუშვებთ, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ამ ორ უმთავრეს ატრიბუტს, კერას და სადგარს, კოსმოგონიური შეხედულებების ვიზუალიზაციად მივიჩნევთ, სადაც სადგარი განასახიერებს მთვარეს და მამაკაცს, ხოლო კერა – მზეს, ანუ დედაკაცს.

როგორი სიტუაციაა კავკასიის მიღმა, სამხრეთით, სადაც ასევე ძლიერია მტკვარ-არაქსის კულტურის გავლენა? ანატოლია-სირია-პალესტინის ძეგლებზე, სადაც კი გამოვლინდა ამ კულტურის ძეგლები, არტეფაქტებს შორის ნაპოვნია კერა-სადგრებიც. გამონაკლისია ირანი, სადაც საერთოდ არ გვაქვს კერები, მაგრამ გვაქვს სადგრები და აზერბაიჯანი, სადაც ისინი შედარებით ნაკლებადაა გამოყენებული.

რაც შეეხება ანატოლიას, აქ მტკვარ-არაქსის კულტურის წამყვანი მახასიათებლები სრული სახითაა წარმოდგენილი.

მივყვეთ თანმიმდევრობით: 1. ქარაზის დასახლების 15-17 ფენაში გამოვლინდა ქვის საფუძველზე ნაგები ტიპური მტკვარარაქსული დასახლება, წრიული შვერილებზემოთაღმართული კერებით. მათგან ხშირია შვერილების ორნამენტით შემკობა.

2. პულური – გორანამოსახლარია. სახლებში თუ ოთახებში აღმოჩნდა ბორდიურიანი კერები და ნალისებური სადგრები. რამდენიმე შემთხვევაში სადგარი ჩადგმული იყო კერაში. მათი ეს სტაციონარული მდგომარეობა თავიდანვე გამორიცხავდა შემთხვევითობას და განაყოფიერების რიტუალის აღსრულებას გავდა. სადგრების როგორც ცენტრში, ისე ფეხებზე მამაკაცის სახე იყო გამოსახული. კერებთან ახლოს მოწყობილი იყო შემაღლებები, სადაც ეყარა ნაცარი, რომელიც შემდეგ საგანგებოდ იყო მოსწორებული. პულურის ნამოსახლარი კავკასია-ირანისა და სირია-პალესტინის დამაკავშირებელ მერიდიანს წარმოადგენს და, ამდენად, დიდი შესაძლებლობაა მოსახლეობის აქტიური მიმოსვლისა თუ კულტურული მახასიათებლების იმპორტირებისა [20. 38. ტაბ. X].

3. დეჯერმენთეფე I-IV ფენები ადრებრინჯაოს ხანას მიეკუთვნება. მასალის 84% მტკვარ-არაქსის კულტურის კუთვნილია. საცხოვრებელი სახლები ნაგებია თიხა-ალიზით და სტილით უტოლდება ისეთ ძეგლებს, როგორებიცაა: ქარაზი, ნორშუნთეფე, პულური [21. 76-77].

4. თეფეჯიკი ადრებრინჯაოს ხანის II-III ეტაპებს მიეკუთვნება; ნაგებია ასევე ალიზით. წრიულ სახლებში მრგვალი, ბორდიურიანი ან ნალისებური კერებია გამართული. ისინი ხანდახან წითელი ოხრით საგანგებოდაა შეღებილი. ადგილობრივ ტიპურ მტკვარარაქსულ კერამიკას, რომელიც აქ აღმოჩნდა, კირბეტ-კერაკის სახელით მოიხსენებენ [22. 95-127]. წითლად შეღებილია გუდაბერტყას ნამოსახლარზე აღმოჩენილი მრგვალი ხუთშვერილიანი კერაც [25. 161]. ეს ფაქტიც მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობა-დანიშნულება-დატვირთვაზე უნდა მეტყველებდეს.

5. ნორშუნთეფე ხელოვნურად ნაგები ბორცვია. ასევე განეკუთვნება ადრეული ბრინჯაოს ხანის I-II-III საფეხურებს. მის 18-19 ფენებში დადასტურებული ოთხკუთხა ნაგებობები ნაგებია ალიზით. ნამოსახლარზე გამოვლენილია რამდენიმე სახეობის კერა: ბორდიურიანი, ორშვერილიანი და სამშვერილიანი; ნაპოვნია ნალისებური სადგარი, რომელსაც უკან თიხის სკამი აქვს მიძერწილი ზედ დამხობილი თიხისავე ჯამით. ამ ე.წ. V ფორმის სადგარმა გაამყარა მოსაზრება სპეციალური საკულტო შემაღლების არსებობის შესახებ. აქაური კერამიკა მთლიანად მტკვარ-არაქსის კულტურას განეკუთვნება [23. 41-95].

6. თეპე-ჰუიუკის ნამოსახლარის მტკვარარაქსული ფენა ძვ.წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება. იგი ქვის საფუძველზე ნაგები მოწნული, წრიული ნაგებობებისაგან შედგება. ოთახებში გამართულია მრგვალი კერები და ანტროპომორფული სადგრები ფალოსისებური დაბოლოებებით, რაც ტიპურია ტრანსკავკასია-ანატოლია ლევანტესათვის [26. 41-69].

დაბოლოს 7. სოს ჰუიუკის ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისისა და შუახანების ნამოსახლარი (ძვ.წ. 28-25 სს), სადაც ადრებრინჯაოს ხუთი სამშენებლო ჰორიზონტია დაფიქსირებული. აქაური კერამიკა ა. საგონასთან მოხსენიებულია, როგორც „ტრანსკავკასიური“, რომელთა კერები მრგვალია, ზევით აწეული შვერილებით. სადგრები ნალისებურია, ფალოსის

მსგავსი დაბოლოებებით ან თავებზე ფოსოებით. საგონა ამ დეტალს საკრალურ დატვირთვას, ნაყოფიერების ხელისშეწყობას, ანიჭებს. აქვე აღნიშნავს, რომ ამ ტიპის როგორც კერებს, ისე სადგრებს პარალელები ეძებნებათ; კერებს ტაშკუნ-მევიკსა და გუზელოვას ნამოსახლარზე [27. 33, 27-53], ხოლო სადგრებს – ამუქის, კირბეტ-კერაკის, აის, ბეტ-შადის, ბეტ-იადის დასახლებებთან. ამასთან, აის დასახლების ერთ ცენტრალურ შვერილსა და ტაფისებურ ბოლოზე ადამიანის გამოსახულებაა ამოკვეთილი.

მსგავსი „ტრანსკავკასიური“ კერამიკა და მათ შორის კერამიკული კერა-სადგრების აქტიური გავრცელება თითქმის მთელ კირბეთ-კერაკში (სირია-პალესტინა) ვაჭარ-ხელოსნებთან, გაცვლა-გამოცვლით დაკავებულ საზოგადოებასთან ერთად, მწარმოებელი მოსახლეობის სოლიდურ მიგრაციასთანაც უნდა იყოს დაკავშირებული [18. 9]. შედეგად, ადგილზე დამატებული ახალი ცალკეული ელემენტები ამ კულტურის ლოკალური ვარიანტების ჩამოყალიბებას უნდა უწყობდეს ხელს.

კერის საკრალური დატვირთვა ჩანს ძეძვების ნამოსახლარის II,7 და II,8 უბნების ორივე შემთხვევაში. ე.წ. II,8 უბანზე აღმოჩენილ, ცენტრში ფოსოს მქონე ცილინდრული ფორმის კერაში საგანგებოდ ჩადგმული იყო ტაფისებური ჭურჭელი, რომლის ლაბორატორიულმა შესწავლამ მის ფორებში ოქროს მიკროსკოპული ნაწილაკები დააფიქსირა [28. 154], ხოლო II,7 უბნის მთელი მოედანი, რომლის ცენტრშიც გამართული იყო შვერილებიანი მასიური კერა, ნატეხი ქვით მოკირწყლულ ფუნდამენტზე იყო გამართული. კონკრეტული მონაკვეთის განსაკუთრებულობაზე უნდა მიგვანიშნებდეს მის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მოწყობილი სამარხი აკლდამა, სადაც საგანგებოდ შესრულებულ აღაპის რიტუალში, თიხის ჭურჭელთან ერთად, მელითონეობისათვის საჭირო ინვენტარიც ფიგურირებს [28. 155]. მთელი მოედანი კულტმსახურების ძირითადი თავშეყრის ადგილს მოგვაგონებს.

ამ მოკლე მიმოხილვითაც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ის დატვირთვა და აქტუალობა, რაც პრეისტორიულმა მაცხოვრებელმა მტკვარ-არაქსის კულტურის ეპოქაში მიანიჭა კერა-სადგრებს. ახალ-ახალი არქეოლოგიური კამპანიების დროს არაა გამორიცხული მონაცემთა გაახლება-გამრავალფეროვნება, ოღონდ ეს არ გამორიცხავს ორი ძირითადი ვარაუდის – საყოფაცხოვრებო და საკულტო – თანაარსებობას. ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში მათ სიმბიოზთან უფრო უნდა გვქონდეს საქმე.

ლიტერატურა – REFERENSES

1. კიკვიძე ი. მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1971.
2. კიკვიძე ი. ხიზანაანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი, თბ., 1972, გვ. 52, სურ. 85.
3. ორჯონიკიძე ა. მტკვარ-არაქსის კულტურის კერა-ზესადგრები- საქართველოს მასალის მიხედვით, ძიებანი, 1999, N4 , გვ. 13-19.
4. ფხაკაძე გ. ხარის რქისებური სადგარი კავკასიასა და წინა აზიაში, ძიებანი, N 13-14, თბ., 2004.
5. ფხაკაძე გ. მტკვარ-არაქსული კერების და სადგრების გავრცელების საკითხისათვის, ძიებანი №13-14, თბ., 2004.
6. ჩუბინიშვილი ტ. ამირანის გორა, თბ., 1963.
7. ჩუბინიშვილი ტ. მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის უძველესი კულტურა, თბ., 1965.
8. ჯაფარიძე ო. ქართველ ტომთა ისტორიისათვის. ლითონის წარმოება ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961.
9. Абибулаеви О., Енеолот и бронза на територии Нахичеванскоии АССР. Баку, 1982, გვ.135, ტაბ. 23.

10. Глонти Л., Джавахишвили Ал. Новые даанные о многослойном помиатнике эпохи енеолита и поздней Бронзы в Шида Картли-Бериклдееби, Тбилиси, КСИА, 1982. გვ. 80-87
11. Киквидзе К., Земледелие и земледельчесщкий культь в древнеи Грузии. Тбилиси, 1988, გვ. 52-82.
12. Куфтини Б., Урартский колумбарии у подошви Арарата и куро-аракскии енеолит-სსმმ, XIII-B 1944. გვ.128-170.
13. Куфтини Б., К проблеме енеолита в нутренней Картли и иуго Осетии. სსმმ. XIV-B, 1947, გვ. 59-81.
14. Исмаилов Г., Археологические иследования древного поселениа Баба-девриш, Баку, 1977.
15. Хандазиани Е., Культура армаианского нагориа в III тис. до н.е. Ереван, 1967, Тбилиси, XV.
16. Хачатриан Т., Древнаия культура Ширака. Ереван 1975, გვ. 78-82.
17. Пикул М., Раскопки в иужном Дагестане в 1961-1962 г. Махачкала, 1973. გვ. 45
18. Amiran R., Anote on two items of thi Kirbet-Kerak ware kulture. Anatolia and the Ancient Near Est. Ankara 1989.
19. Diamant S., Rutter J., Horned objects' in Anatolia and Near East possibli contections with the Minoan, Horns of consecration'- Anatolien Studies, vol. XIX, 1969, გვ. 147-177.
20. Garstang J., Prehistorik Mersin,Yümük Tepe in Southern Turkay: thr Neilson Expeditionin Cilieia. London: Oxsford, 1953. გვ. 134, 138, 172, tab. X
21. Duru R., Decermentene excavations Keban project, 1977, Ankara 1978. გვ. 76-77.
22. Esin exscavation 1974. Keban project. Ankara 1982. გვ. 95-127.
23. Hauptman H., DI grabungen oft them Norshuntepe 1974. Keban projekt. Ankara 1982. გვ. 41-95.

24. Loid S., Mellaart J. Biseculten exscavations. London, 1962, ᲒᲒ. 29-53.
25. Mindiashvili G., Gudabertqa – Eine Siedlung der Kura-Araxes Kultur/ Gold & Wein Geotgiens älteste Schätze Begleibtband zur Sonderausstellung 6. Oktober 2018-10 Februar 2019 Archäologisches Muzeum Franfurt., 2018. Mainz am Rhein, ISBN 978-3-961760-54-1.
26. Sagona A., Büyük tepe Hüyük _ Anatolien Studies, XLIII, 1993, ᲒᲒ. 41-69.
27. Sagona A., Sos tepe excavations _ Anatolien Studies, XLVI, 1996, ᲒᲒ. 33 27-53.
28. Stöllner T., Gambashidze I. Das prehistorischew Siedlungsplatau Dzedzwebi nahe Balitschi in Unterkartli/ Gold & Wein Geotgiens älteste Schätze Begleibtband zur Sonderausstellung 6. Oktober 2018-10 Februar 2019 Archäologisches Muzeum Franfurt., 2018. Mainz am Rhein, ISBN 978-3-961760-54-1.

NINO OTKHVANI

HEARTHS AND STANDS AS PECULIAR FEATURES OF KURA-ARAXES CULTURE

Summary

One of the peculiarities of Kura-Araxes culture is clay hearths and stands of diverse form and size. Their role and function is of great interest, because they seem to have a strong mental connection with the traditions, cosmogony and religious faith of representatives of this culture. The hearths are placed in special areas of buildings; they are frequently ornamented and painted. The stands are placed beside the hearths. However, unlike the hearths, the stands, taken together or separately, are found in every religious building or less important place of habitation of Kura-Araxes culture. Most probably, the broad area of spreading of he-

arths and stands does not imply the increased influence of the culture itself (although dominance over certain local cultures is vivid in some places – for instance, there are traces of representatives of Kura-Araxes culture in the society of Arslantepe). The influence of Kura-Araxes culture is obviously felt in daily routine, agriculture, commerce and trade. All this points to active migration-emigration of the given society. This factor is always accompanied by the export of leading cultural features. It should be noted that both hearths and stands exist within the given culture and disappear together with the culture. Yet, while the culture is present there is a diversity of hearths and stands. The assumption regarding the religious function of hearths and stands is acceptable and widespread among the scholarly circles worldwide. Hence, we can assume that these two key attributes of Kura-Araxes culture, the hearth and the stand, were visual expressions of cosmogonic ideas, according to which these objects represent heavenly bodies: the hearth represents the sun i.e. a female essence, great mother, while the stand represents the moon i.e. male essence. In this case, it is not surprising that they are placed in a special area of the house and ornamented with graphic images. Their location is a place of special religious rituals. The hearths and stands serve the purpose of visualization of implementation of such rituals, which is part of culture and daily routine of the given society, wherever the representatives of this culture settle, on the entire area of dissemination of their culture.

მარიკა მშვილდაძე

რომისა და ხანის იმპერიებს შორის არსებული ურთიერთობის შესწავლის საკითხისათვის

ორი იმპერია – აღმოსავლეთი ჩინეთის ხანის და დასავლეთი რომის იმპერიების სახით მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა ელინისტური პერიოდის ბოლოსა და გვიანანტიკური პერიოდის პირველ საუკუნეებში.

რომი მეორე პუნიკური ომის შემდეგ, ძვ.წ. II საუკუნის დასაწყისში ხმელთაშუაზღვისპირეთის იმპერიად გადაიქცა და დაიწყო აღმოსავლეთის ექსპანსია, დაიმორჩილა რა: ილირია, საბერძნეთი, მცირე აზია, სირია – იუდეა. ძვ.წ. I საუკუნეში რომი სამოქალაქო ომებმა შეძრა, რომელიც საბოლოოდ ოქტავიანე ავგუსტუსის პრინციპატით დასრულდა. იმპერიას ჯერ იულიუს-კლავდიუსების დინასტია მართავდა, შემდეგ, მცირე ხნით, ოთხი იმპერატორი. საბოლოოდ, ვესპასიანემ 69 წელს ფლავიუსების დინასტიას ჩაუყარა საფუძველი, რომელსაც ახ.წ. II საუკუნეში ანტონინუსების დინასტიის მმართველობა მოჰყვა. I-II საუკუნეებში რომი ძლიერ იმპერიას წარმოადგენდა. იგი სამ კონტინენტზე (ევროპა, აზია, აფრიკა) იყო გადაჭიმული. მთელი აღნიშნული პერიოდის განმავლობაში რომის ისტორიას წითელ ზოლად გასდევს პართიასთან საომარი მოქმედებები.

რომის იმპერიაში პოლიტიკურ ცვლილებებს რელიგიურიც ახლდა თან. სწორედ იმპერიის პერიოდის რომში ხდება აღმოსავლეთის გავლენით პრინცეპსის – იმპერატორის გაღმერთება. პირველ გაღმერთებულ იმპერატორად კი ოქტავიანე ავგუსტუსი (ძვ.წ.27-ახ.წ.14) გვევლინება, რომლის ღვთაებრივ თაყვანისცემას საფუძველი მცირე აზიაში ჩაეყარა. ახ.წ. 14

წლის 17 სექტემბერს, მისი გარდაცვალებიდან ერთი თვის თავზე, სენატმა ოქტავიანე ღმერთად აღიარა და მისი სახელობის სახელმწიფო კულტი დააწესა. ოქტავიანეს მოიხსენიებდნენ ღვთაებრივი ავგუსტუსის (divus Augustus) სახელით. ახალი იმპერატორი – მისი მემკვიდრე ტიბერიუსი – ყველანაირად მიესალმებოდა მამობილის ღვთაებრივ თაყვანისცემას, რაც, საბოლოოდ, ოქტავიანეს სახელზე ტაძრის (templum divi Augusti ou templum novum) აშენებით დამთავრდა. ჩვენ საკვლევ პერიოდს ემთხვევა, აგრეთვე, რომში ახალი მონოთეისტური რელიგიის – ქრისტიანობის წარმოქმნაც, რომელსაც საფუძველი იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციის – სირიის შემადგენელ ნაწილში მყოფ იუდეაში ეყრება საფუძველი.

ჩინეთში ხანის დინასტიას (რომანიზებული Hàn cháo) საფუძველი ძვ.წ. 206 წელს ჩაეყარა, რომელმაც ახ.წ. 220 წლამდე იარსება. თავის მხრივ, ხანის დინასტიის ჩინეთის ისტორია ორ პერიოდად იყოფა: ადრეულად, ანუ დასავლეთ ხანის (ძვ.წ. 206 -ახ.წ. 9 წწ.) და გვიან, ანუ აღმოსავლეთ ხანის (ახ.წ. 25-220 წწ.) პერიოდები. ხანის იმპერია ძლიერი სახელმწიფო იყო როგორც ეკონომიკური, ისე კულტურული თვალსაზრისით. სწორედ ხანის იმპერიის დროს გამოცხადდა ჩინეთში კოფუციანელობა სახელმწიფო რელიგიად, რომელიც, თავის მხრივ, ჩინური ფილოსოფიისა და რელიგიის კომპლექსურ სისტემას წარმოადგენს.

ხანის დინასტიის ჩინეთში არსებობდა ჯერ კიდევ ცინის დინასტიის დროს (ძვ.წ.III ს.) შექმნილი სინოცენტრული იდეა, რაც ეთნოცენტრულ იდეოლოგიას წარმოადგენდა, რომლის მიხედვითაც ჩინეთი მსოფლიოს კულტურულ ცენტრად გვევლინებოდა, ჩინური კულტურა კი სხვა ხალხთა (ეთნოსების) კულტურაზე მაღლა იდგა. აღნიშნული იდეოლოგიის მიხედვით, ჩინეთი, როგორც მსოფლიოს ცენტრი, როგორც ერთა-

დერთი ცივილიზაცია, სხვა ხალხებზე მაღლა აყენებდა თავს. დანარჩენ მოსახლეობას ის „ბარბაროსებად“ მიიჩნევდა.

სინოცენტრული სისტემა საერთაშორისო იერარქიულ სისტემას წარმოადგენდა,[1] რომლის მიხედვითაც ჩინეთის მეზობელი ქვეყნები (იაპონია,[2] კორეა, ვიეტნამი, რიუკიუს სახელმწიფო) ჩინეთის ვასალურ ქვეყნებად ითვლებოდნენ და ძღვენს უხდიდნენ ჩინეთის იმპერატორს. ხოლო ოლქები, რომლებიც ჩინეთის ქვეშ არ იყო მოქცეული, „არაცივილიზებულ მიწებად“ ითვლებოდა. სისტემის ცენტრში იდგა ჩინეთის მმართველი დინასტია – „ზეციური დინასტია“, რომელმაც, ითვლებოდა, რომ, ზეციდან მიიღო მანდატი. დინასტია კონფუციანელობის მორალური კოდექსით გამოირჩეოდა, თვლიდა რა თავს მსოფლიოს ერთადერთ კანონიერ იმპერატორად, ხოლო ჩინურ ცივილიზაციას, როგორც აღვნიშნეთ, ყველაზე გამორჩეულ ცივილიზაციად მსოფლიოში. ამ სქემის მიხედვით, საერთაშორისო ურთიერთობებში მხოლოდ ჩინეთს შეეძლო გამოეყენებინა იმპერატორის ტიტული, იმ დროს, როდესაც სხვა ქვეყნებს მეფეები მართავდნენ. ჩინეთის იმპერატორები ცის შვილებად ითვლებოდნენ.

ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს იმის გარკვევა, თუ როგორი ურთიერთობები არსებობდა ამ ორ იმპერიას შორის. შესაბამისად, როგორი იყო მათ შორის პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური თუ კულტურული კონტაქტები. ეს ორი იმპერია ხომ ევრაზიული კონტინენტის ორ ჰეგემონ იმპერიას წარმოადგენდა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ამ ორ იმპერიას ერთმანეთისგან ორი დიდი სახელმწიფო – პართია და კუშანის სამეფო ყოფდა.

---

[1] აღმოსავლეთ აზიაში ვესტფალის სისტემამდე იარსება.

[2] იაპონიამ ასუკას პერიოდში (538-710 წწ.) განყვიტა ვასალური დამოკიდებულება ჩინეთთან.

ნიშანდობლივია, რომ სწორედ ხანის დინასტიის დროს ჩაეყარა საფუძველი აბრეშუმის ტრანსკონტინენტურ საქარავნო-სავაჭრო გზას, რომელიც შორეულ აღმოსავლეთს – ჩინეთს ხმელთაშუა ზღვასთან აკავშირებდა. აბრეშუმის გზას ორი – ჩრდილოეთი და სამხრეთი მიმართულება ჰქონდა. არსებობდა კიდევ საზღვაო გზა ინდოეთის ოკეანის გავლით. გზას, რომის მიერ ეგვიპტის დაპყრობამდე, წარმოადგენდა გზა ანატოლიისა და სპარსეთის გავლით. მეწამულ ზღვაზე პტოლემაიოსები იყვნენ გაბატონებულნი. რომის იმპერიის მიერ ძვ.წ. 31 წელს ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ კი სახმელეთო გზა შეცვალა საზღვაომ, რაც ძალზედ მნიშვნელოვანი იყო, რადგან ზღვით მოგზაურობა, ხმელეთით მოგზაურობასთან შედარებით, უფრო სტაბილური იყო.

გზის უსაფრთხოება ისტორიის ყველა მონაკვეთზე აქტუალური იყო, აღებ-მიცემის უსაფრთხოებისათვის კი – განსაკუთრებით. ისე ვაჭრობის ფუნქციონირება წარმოუდგენელი იყო. გამონაკლისს არც ჩვენ მიერ შესასწავლი პერიოდი წარმოადგენს. ხანის დინასტია ამისათვის სახსრებს ნამდვილად არ იშურებდა. ცნობილია დასავლეთ ხანის დინასტიის მეშვიდე იმპერატორ უ-დის (ძვ.წ. 156-187) მიერ ძვ.წ. 139 წელს დასავლეთში ჩინელი მოგზაურისა და დიპლომატის, ზანგ ციანის გაგზავნა, რომელმაც ძვ.წ. 126 წელს ფასდაუდებელი ინფორმაცია ჩაიტანა ჩინეთში ბაქტრიის, პართიისა და ფერგანის შესახებ, რის საფუძველზეც დაიწყო ცენტრალური აზიის სავაჭრო გზის გაფართოება. რა თქმა უნდა, იმავდროულად არ უნდა გამოვრიცხოთ ხანის დინასტიის მიერ ახალი ტერიტორიების დაკავების სურვილიც. ამავე პერიოდში ადგილი აქვს დიდი ჩინური კედლის გაფართოებას დასავლეთისაკენ უდაბნოს მიმართულებით, სადაც მომთაბარე ტომები ბინადრობდნენ. სწორედ მათგან თავდაცვის მიზნით, ძვ.წ. 121 წელს აშენდა აქ პირველი ფორპოსტი დუნჰუანგი (რომან. Dūnhuáng shì). გუან

უ-ძის (რომან. Guāngwǔ dì, ძვ.წ.5-ახ.წ.57 წწ.) იმპერატორობისას საქარავნო გზამ აღმოსავლეთისკენ გადაინაცვლა.

რომაელმა ისტორიკოსმა ლუციუს ანეუს ფლორუსმა (Lucius [Publius] Anneus [Annius] Florus, 70 (?) -140 (?) წწ.) შემოგვინახა ცნობები რომის იმპერიასა და ხანის დინასტიას შორის არსებული სავაჭრო და პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ, საიდანაც ვიგებთ, რომ ჩინეთის დელეგაცია რომის იმპერიაში ჩავიდა რომის პირველი იმპერატორის, ოქტავიანე ავგუსტუსის (ძვ.წ.27-ახ.წ.14.) მმართველობის პერიოდში. ნიშანდობლივია, რომ, აღნიშნული წყაროს მიხედვით, ჩინელებს გზაში 4 წელი გაუტარებიათ. ფლორუსი ყურადღებას ამახვილებს ჩინელების კანის ფერზე და აღნიშნავს, რომ მათი კანის ფერი არის დადასტურება იმისა, რომ ისინი სხვა ცის ქვეშ არიან დაბადებულნიო. იმავდროულად, ხანის იმპერიის ტერიტორიაზე ფიქსირდება რომაული მონეტები, რაც ასევე სავაჭრო ურთიერთობის დამადასტურებელი ფაქტია. პლინიუს უფროსის (23/24-79 წწ.) ცნობით კი, ძვ.წ. 53 წელს კრასუის კარასთან დამარცხების შემდეგ, მარგიანეში (ავესტა Mouru; ძვ.ბერძნ. Μαργιανή) წაასხეს რომაელი მებრძოლები (Naturalis Historia, VI, 18), რომლებმაც ძვ.წ. 36 წელს მიიღეს მონაწილეობა ჩიჩჯის ბრძოლაში და დასახლდნენ კიდეც ჩინეთში. იგივე პლინიუს უფროსი საუბრობს რომის იმპერიასა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის არსებულ სავაჭრო ურთიერთობის მნიშვნელობაზე ახ.წ. I საუკუნეში, რომელიც ძვ.წ. I საუკუნეში იწყება (Naturalis Historia, 12, 84).

ორ იმპერიას შორის არსებული სავაჭრო ურთიერთობები მნიშვნელოვნად შემცირდა ახ. წ. 166 წელს რომში მარკუს ანტონინუსის (161-180) პერიოდში არსებული შავი ჭირის პანდემიის დროს, რომელიც წყაროებში გალენოსის (ძვ. ბერძნ. Γαληνός) – პანდემიის აღმწერი ექიმის სახელითაა ცნობილი. აღნიშნულმა პანდემიამ რომის იმპერატორი ლუციუს ვერუ-

სიც (161-169) კი იმსხვერპლა. დიონ კასიუსის მიხედვით, შავმა ჭირმა რომის იმპერიის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი – 25% გაანადგურა (Dio Cassius, LXXII 14.3-4). გარდაცვლილთა საერთო რაოდენობა 5 მილიონს აჭარბებდა. ნიშანდობლივია, რომ ანალოგიური ეპიდემიური სიტუაცია იყო ჩინეთშიც, სადაც შავი ჭირის პანდემიამ იფეთქა 151 წელს და გაგრძელდა ხუან-ძის (146-168) და ლინ-ძის (168-189) იმპერატორობისას. მეცნიერთა ნაწილი არ გამორიცხავს რომისა და ხანის იმპერიებში არსებულ ეპიდემიებს შორის კავშირს. ანტონინუსის პერიოდის შავი ჭირის პანდემია ემთხვევა რომის ელჩობის ვიზიტს ჩინეთში 166 წელს, საიდანაც ისინი გადავიდნენ ჯიაოზში (ჩრდილო ვიეტნამი) და მივიდნენ ხუან-ძის კარზე [2.59-60].

ხანის პერიოდის ჩინეთში ფასობდა რომის იმპერიის პროვინციებში, კერძოდ, ალექსანდრიასა და სირიაში წარმოებული მინის ჭურჭელი, ფუფუნების საგნები – ოქროს მოქარგული ხალიჩები, მოოქროვილი და აზბესტის ნაჭრები...[1. 466-476].

რომაელ მატრონებში, და არამარტო მათ შორის, დიდი პოპულარობით სარგებლობდა ჩინური აბრეშუმი. პლინიუს უფროსის მიხედვით, რომის იმპერიიდან დიდი რაოდენობის ფინანსები გაედინებოდა აბრეშუმის ქსოვილის საყიდლად (Pli nius Maior, Naturalis historia). საქმე იქამდე მივიდა, რომ ახ.წ. 14 წელს სენატმა კანონიც კი გამოსცა, რომლის მიხედვითაც, რომაელ მამაკაცებს ეკრძალებოდათ აბრეშუმის ტარება.

ჩინური ქსოვილების კვალი რომის იმპერიის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების მეშვეობითაც დასტურდება. ანტიკური პალმირას (სირია) სამხრეთ-დასავლეთით ფრანგული არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ წარმოებული გათხრები, რომელსაც გ. პფისტერი ხელმძღვანელობდა, სამი სეზონი (1933,1937,1938 წწ.) გაგრძელდა. შესწავლილ იქნა ახ.წ. 83 და ახ.წ. 103 წელს აგებული ელაჰბელის დასაკრძალავი კოშკები [3;4;5], რომლებიც წარმოადგენდა ნეკროპოლს დიდი რაოდე-

ნობის სამარხებით. ყველა სამარხი გაძარცული აღმოჩნდა, რამაც საკმაოდ გააძნელა მათი დათარიღება. აღნიშნულ ტერიტორიაზე აღმოჩენილ მასალებს შორის განსაკუთრებული როლი ენიჭება შალის, სელისა და აბრეშუმის ქსოვილებს, რომელთა რაოდენობა 50-ს აჭარბებდა. მათ შორის საკმაო რაოდენობით დაფიქსირდა ჩინური აბრეშუმის ქსოვილები, ძირითადად ელაჰბელის კოშკში. შალის, სელისა და აბრეშუმის ქსოვილები იქნა აღმოჩენილი დურა ევროპოსის (ევფრატზე) ტერიტორიაზეც, იელის უნივერსიტეტის (აშშ) არქეოლოგების – ლ.პ. ბელინჯერისა და გ. პფისტერის მიერ 1932/1933 წლებში, რომელიც ახ.წ. III საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება. უნგრეთის ტერიტორიაზე 1963 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ჩინური ქსოვილები კი II-IV საუკუნეებს განეკუთვნება. ინგლისში 1959 წელს ჰოლბორუნგის (Holborough) – კენტის საგრაფოს ტერიტორიაზე გათხრებისას სამარხში დაფიქსირდა ჩინური აბრეშუმის სამი ნაგლეჯი, რომელიც II-III საუკუნეებით თარიღდება [6.246-250;7.45-63].

რაც შეეხება ორ სახელმწიფოს შორის არსებულ ოფიციალურ კონტაქტებს, ცნობილია, რომ ისიც ასევე ხანის დინასტიის პერიოდს განეკუთვნება. კერძოდ, ხანის დინასტიის მხედართმთავარმა ბან ჩაომ (რომ. Bān Chāo, 32-102 წწ.) 97 წელს ელჩობა გაგზავნა რომში დაზვერვის მიზნით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 166 წელს ლოიანში ჩავიდა ანტონინუს პიუსის დელეგაცია სამხრეთიდან ზღვის მეშვეობით [1.5,12,18,27]. ჩინეთში დაცინის ქვეყნიდან დელეგაციის სტუმრობის შესახებ 161, 230 და 284 წლებში მოგვითხრობს ჰოუ ჰანშუს (hòu hàn shū - გვიანი ხანის დინასტიის) ისტორია. რომის იმპერიას ჩინეთთან აკავშირებდა, ერთი მხრივ, დიდი აბრეშუმის გზა, ხოლო, მეორე მხრივ, ინდოეთის გავლით საზღვაო მიმოსვლის გზა, რომელიც ინტენსიურად იყო ათვისებული. დაბოლოს უნ-

და აღინიშნოს, რომ, მიუხედავად სინოცენტრული იდეისა, ჩინელები პატივისცემით მოიხსენიებდნენ რომს (შემდეგ უკვე ბიზანტიას) „დაცინად“ (დიდი ცინი); რომაელები კი, თავის მხრივ, ჩინეთს „სერესს“ (ლათ. seres – აბრეშუმი), ანუ „აბრეშუმის ქვეყანას“ უწოდებდნენ.

ლიტერატურა – REFERENSES

1. John E. Hill., Through the Jade Gate to Rome, A Study of the Silk Routes during the Later Han Dynasty 1st to 2nd Centuries CE, 2009, გვ. 466-476.
2. McLaughlin Raoul, Rome and the Distant East: Trade Routes to the Ancient Lands of Arabia, India, and China. London: Continuum, 2010, გვ. 59-60.
3. Pfister R. Textiles de Palmyre. Paris, 1934. https://www.persee.fr/doc/mefao_0253-164x_1935_num_19_1_-1484_t1_0132_0000_2
4. Pfister R., Nouveaux Textiles de Palmyre. Paris, 1937.
5. Pfister R., Textiles de Palmyre. III. Paris, 1940.
6. Wild J.P., A Roman Silk Damask from Kent. Archaeologia Cantiana. Vol. 80, 1965, გვ. 246-250.
7. Лубо-Лесниченко Е. И., Китай на Шёлковом пути (Шёлк и внешние связи древнего и раннесредневекового Китая), Москва, 1994.

MARIKA MSHVILDADZE

FOR THE STUDY OF THE RELATIONSHIP ISSUES BETWEEN THE ROMAN AND HAN EMPIRES

Summary

Two empires - Eastern Han Empire and Roman Empire of the West represented the two hegemonic empires of the Eurasian continent by the end of Hellenistic period and the first centuries of late antiquity. The paper analyzes the Sinocentrism idea established back in Qin dynasty of Han empire in China, according to which China was a World's cultural centre, and at the given background, relying upon the historical sources (Pliny the Elder, Lucius Aneus Florius...) arte facts and scientific literature, study and analyses of the existing political, trade-economic or cultural contacts, between the Roman and Han Empires, which were carried out through the transcontinental trade routes (Silk Road, which took its beginning in the period of Han Dynasty).

By the I century A.D. the link is established between Europe and China, which is proved by the discovery of Roman coins and objects on the territory of Han Empire. In Han Empire the glassware, objects of luxury – gold embroidered carpets gold-plated and asbestos pieces produced in Roman Empire – Alexandria and Syria were highly valued in the period of Han Empire. While in Rome Chinese silk was highly popular. It is noteworthy that despite the ethnocentric ideology of the Han dynasty, the Chinese reverently referred to Rome and called "Daqin" the Great Qin, while the Romans called China "Seres" (Latin Seres) - "the Land of Silk" or "Silk".

ლალი გულედანი

მსოფლიო ებრაელობის ძირითადი ეთნიკური განშტოებები – მიზრახები (ეთიოპიელი ებრაელები)

საუკუნეების მანძილზე ებრაელების მშობლიური ადგილებიდან განდევნის გამო, ძველი მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას, ხშირად ერთმანეთისგან შორს, წარმოიქმნა ებრაული თემები, რამაც გამოიწვია მათი ერთმანეთისგან გახანგრძლივებული იზოლაცია. დიასპორის თემები განვითარდა ისრაელის მკვიდრი მოსახლეობის გეოგრაფიული სიშორის და ადგილობრივი გარემოს გავლენის ქვეშ ენობრივი, პოლიტიკური, კულტურული, დემოგრაფიული და ბევრი სხვა თვალსაზრისით, რაც გამოვლინდა მათ შორის ებრაული ენობრივი მრავალფეროვნების, კულინარიული თავისებურებების, ლიტურგიკული წეს-ჩვეულებების, რელიგიური ინტერპრეტაციების წყაროებში და სხვა.

ადრინდელი დროიდან მოყოლებული, დიასპორების უმეტესობა იყოფა სამ ძირითად ეთნიკურ განშტოებად (ებრაულად עדות ნიშნავს „თემებს“).

ებრაელებს შორის ყველაზე დიდი ეთნიკური ჯგუფებია **აშქენაზები** (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან, კერძოდ, თითქმის ყველა ებრაელი რუსეთში) და **სეფარდები** (წარმოშობით ესპანეთიდან და პორტუგალიიდან, შემდეგ კი ხმელთაშუაზღვისპირეთში მიმოფანტული) [1. 315].

დიდ ეთნიკურ ჯგუფად გამოიყოფა ასევე **მიზრახებად** წოდებული ებრაელები აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, რომელიც მოიცავს: არაბ, ეთიოპიელ, სპარს, ბუხარელ, მთიელ ებრაელებს და ლახლუხებს.

მიზრახები ებრაელთა მნიშვნელოვან ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ. מזרחי – ეს სიტყვა ებრაულ ენაში აღმოსავლელს ნიშნავს. მიზრახები ანუ აღმოსავლელი ებრაელები ითვლებიან ცალკე ეთნოჯგუფად, ძირითადად გეოგრაფიული არეალის გათვალისწინებით და არიან ახლო აღმოსავლეთის, ჩრდილოეთ აფრიკისა და დასავლეთ აზიის ქვეყნებში მცხოვრები ებრაელები (ებრაულად სხვადასხვანაირად მოიხსენიებენ მათ: (יהודי המִזְרָח) – იეჰუდეი ჰამიზრახ ან მიზრახიმ (מִזְרָחִים), ასევე ზოგჯერ მიზრახი (מִזְרָחִי), ‘ედოთ ჰა-მიზრახ (עֲדוֹת-הַמִּזְרָח – ებრაული თემები). ისინი, ფართო გაგებით, მოიცავენ არა მხოლოდ ისლამური, ძირითადად, არაბული ქვეყნების (ერაყი, ეგვიპტე, სუდანი, ტუნისი, ალჟირი, ლიბანი, ლიბია, სირია, მაროკო) ებრაელებს, არამედ ასევე ქურთ, ირანელ, ბუხარის, კავკასიის მთიელ ებრაელებს და სხვა. მიზრახები გვხვდებიან ყველგან – მაროკოდან კალკუტამდე. ეს განსხვავებული ებრაული საზოგადოება პირველად ოფიციალურად დაჯგუფდა ერთ ეთნიკურ იდენტობაში მეორე მსოფლიო ომის დროს. ხშირად ამ ჯგუფში მოიაზრებიან ქართველი ებრაელები, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ოდითგანვე დამკვიდრებული მათი პირველი ნაკადის წარმომადგენლები თავს სეფარდებად მიიჩნევენ [2.126; 3.129].

ამრიგად, „მიზრახი“ არის სოციალურ-პოლიტიკური ტერმინი, რომელიც მოიცავს ებრაელებს როგორც არაბული ან მუსლიმური მიწებიდან, ასევე არამუსლიმური ქვეყნებიდანაც. ისრაელში აშკენაზურმა მმართველმა წრეებმა ეს ტერმინი შემოიღეს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არაბული ქვეყნებიდან იმდროინდელი ემიგრანტების დიდი ტალღის საპასუხოდ. ტერმინი მალევე დამკვიდრდა თავად ემიგრანტებს შორის საკუთარი თავის იდენტიფიკაციის მიზნით[8].

ჩრდილოეთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ებრაული თემები, სხვა ებრაული ეთნიკური ჯგუფებისგან განსხვავე-

ბით, ჰეტეროგენული საზოგადოებაა; შედგება მრავალფეროვანი და განსხვავებული კულტურის მქონე ებრაული თემებისგან, რომლებსაც ხშირად ერთმანეთთან არანაირი კავშირი არ აქვთ. „მიზრახი“ დამოუკიდებელი განშტოებაა და სრულიად განსხვავებული, მაგრამ ხშირად მას ტერმინ „სეფარდთან“ აიგივებენ, ვინაიდან ისინი გარკვეულ რელიგიურ ტრადიციებს იზიარებენ [7].

ისრაელის სახელმწიფოს შექმნამდე, მიზრახი ებრაელების ზოგიერთი ჯგუფი თავს არ მიიჩნევდა ცალკე ებრაულ ქვეჯგუფად. ისინი თვლიდნენ, რომ სეფარდები არიან, რადგან იცავდნენ სეფარდული იუდაიზმის ჩვეულებებს და ტრადიციებს ცალკეულ თემებში გავრცელებული წეს-ჩვეულებებისგან გარკვეული განსხვავებებით. ასეთ გამონაკლის ჯგუფს წარმოადგენს, როგორც აღინიშნა, პირველი ნაკადი ქართველი ებრაელებისა, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ცხოვრობდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

მიზრახი ებრაელები არ არიან გაერთიანებული ერთი ებრაული ენით. თითოეული ქვეჯგუფი საუბრობს საკუთარ ენაზე. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე დიდი განშტოებაა არაბული ქვეყნების ებრაელობა, რომელიც მრავალი ქვეჯგუფით არის წარმოდგენილი. არაბულენოვანი ებრაელები (al-yahud al-'arab; : اليهود العرب; יהודים ערבים, არაბი ებრაელები), არაბული ქვეყნების ებრაელთა ერთობლიობა, საუბრობდა ებრაულ-არაბული ენის სხვადასხვა დიალექტზე. 1940-1970 წლებში მათმა უმეტესობამ დატოვა საცხოვრებელი ადგილები, გადასახლდა ისრაელში და სხვა მრავალ ქვეყანაში, რის შედეგადაც არაბულ ქვეყნებში ებრაული თემები მინიმუმამდე შემცირდა ან მთლიანად გაქრა. იგივე შეიძლება ითქვას მეორე დიდ განშტოებაზე – სპარსელ ებრაელებზე. ტერმინი „სპარსელი ებრაელები“ გამოიყენება ირანის ებრაული საზოგადოების უმრავლესობის აღსანიშნავად, რომლებიც საუბრობენ, ავღანეთის, ცენტრალური აზიის და აღმოსავლეთ კავკასიის მთის ებრაელების

მსგავსად, ებრაულ-ირანულ ენაზე არამეული და ებრაული ნაზავით, რომელიც იყოფა მრავალ დიალექტად. ფართო გაგებით, ეს ტერმინი ხშირად გამოიყენებოდა ავღანელი და ბუხარის ებრაელობის მიმართებითაც. მე-16 საუკუნის დასაწყისამდე ირანის, შუა აზიისა და ავღანეთის ებრაელობა, ფაქტობრივად, გაერთიანებულ თემს წარმოადგენდა, ხოლო ამ ერთიანი და დიდი თემის ეთნიკურ ჯგუფებად დაყოფა გამოიწვია რიგმა პოლიტიკურმა მოვლენებმა და, ბუნებრივია, დროთა განმავლობაში ეს დიდი ეთნიკური საზოგადოება დაიყო ქვეჯგუფებად [9.448].[1]

დღეს მიზრახი ებრაელების უმეტესობა ცხოვრობს ისრაელში ან შეერთებულ შტატებში. ისინი, სხვა ებრაელებთან შედარებით, უფრო მეტად ინარჩუნებენ კავშირებს თავიანთი წარმოშობის ფესვებთან. მიუხედავად იმისა, რომ მიზრახი ებრაელები თავდაპირველად ისრაელში მკაცრი დისკრიმინაციის წინაშე აღმოჩნდნენ მათი დაბალი სოციალური დონის გამო, დროთა განმავლობაში უფრო მეტი აღიარება მოიპოვეს ისრაელის საზოგადოებაში და თავისი წვლილი შეიტანეს ქვეყნის აღმშენებლობაში.

ებრაული საზოგადოება ეთიოპიაში – ბეტა ისრაელი (ებრაული ბეით ისრაელიდან, „ისრაელის სახლი“) – არსებობს, სულ მცირე, 15 საუკუნის განმავლობაში. ეთიოპიელი ებრაელები ან ფალაშა (ეთიოპიური ეთნონიმი ფალაშა ძველ ეთიოპიურ ენაზე (geez) „არაადგილობრივებს“, „მოხეტიალეებს“ ნიშნავს) არის საზოგადოება ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ ეთიოპიაში. თავად ფალაშები თავს სოლომონისა და შიბა დე-

---

[1] წინამდებარე სტატიაში მიზრახების ეთნიკური განშტოებებიდან წარმოვადგენთ მხოლოდ ეთიოპიელ ებრაელებს, როგორც სრულიად თავისებურ ეთნიკურ წარმონაქმნს, ხოლო მიზრახი ებრაელების დანარჩენი მსხვილი განშტოებების ჩამოყალიბების პროცესისა და ეთნიკური თავისებურების შესახებ ინფორმაციას განვიხილავთ სამომავლოდ, ცალ-ცალკე ჯგუფების მიხედვით.

დოფლის შთამომავლებად თვლიდნენ. ამბობენ, როდესაც სოლომონმა დედოფალზე უარი თქვა, იგი უკვე ფეხმძიმედ იყო და სასახლიდან წასვლისთანავე შეეძინა ვაჟი მენელიკი, რომელმაც მოგვიანებით დააარსა დასახლება ეთიოპიაში [11].

ეთიოპიელი ებრაელების ეთნოლინგვისტური ჯგუფის (საზოგადოების) უმეტესობის სასაუბრო ენა არის ამჰარული – ეთიოპიის ოფიციალური ენა, მცირე ნაწილი კი საუბრობს ტიგრაიზე. ფალაშას ლიტურგიული ენა არის გეეზი [4]. ისრაელში ბევრი მათგანი ცდილობდა ებრაულის შესწავლას, თუმცა, ზოგადად, მათთან ივრითის ცოდნა ერთ-ერთ ყველაზე დაბალ დონედ ითვლება სხვა ქვეყნების ებრაელ ემიგრანტებს შორის.

არსებობს ბეტა ისრაელის ჩამოყალიბების შესახებ სხვადასხვა მოსაზრება: მათი წარმოშობის შესახებ ინფორმაცია ვარაუდის დონეზეა, თუმცა ერთ-ერთი ვერსიით, ფალაშა იუდაიზმზე მოქცეული ერთ-ერთი ადგილობრივი ტომი უნდა იყოს. თავდაპირველად ისინი, ძირითადად, დასახლებულები იყვნენ ტანას ტბის მიდამოებში და მის ჩრდილოეთით. ეთიოპიური ქრონიკები მოწმობენ, რომ იუდაიზმი ფართოდ გავრცელებული იყო ჩრდილო ეთიოპიაში აქსუმის მეფობისას, ქრისტიანობის მიღებამდე (4-5 სს.). სავარაუდოდ, ბეტა ისრაელის საზოგადოება არსებითად წარმოადგენდა იმ მოსახლეობის ნარჩენს, რომელიც ცხოვრობდა ძველი ეთიოპიის სამეფო აქსუმის წინაქრისტიანული პერიოდიდან. თანამედროვე მკვლევრები აღიარებენ, რომ ბეტა ისრაელის ფორმირება უნდა იქნეს აღქმული, როგორც მე-14-16 საუკუნეებში ეთიოპიაში მომხდარი პროცესების შედეგი. ამ პერიოდში ბევრი, ეგრეთ წოდებული, „ეიჰუდების“ ადრინდელი ჯგუფი (მოიცავდნენ: აჯანყებულებს, ერეტიკოსებს, აგრეთვე ადამიანებს, რომლებიც ასწავლიდნენ იუდაიზმს), მცხოვრები ჩრდილო-დასავლეთ ეთიოპიაში, გაერთიანდა ერთ ეთნიკურ საზოგადოებად, მეტსახელით „ფალაშა“ [9. 756].

ბეტა ისრაელის საკუთარი, საკმაოდ თავისებური იდენტობის გაჩენა სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური ფაქტორების შედეგი იყო. სხვა თეორიის მიხედვით, ბეტა ისრაელის თემი არ წარმოდგება ადგილობრივი მოსახლეობისგან, რომლებმაც მიიღეს ებრაული რელიგია ჩვენი ეპოქის პირველ საუკუნეებში, არამედ არის ეთიოპიის ქრისტიანობის ერთ-ერთი განშტოების თავისებური განვითარების შედეგი, რომელიც უფრო მეტად იყო იუდაიზმის გავლენის ქვეშ. გარეგნულად, ეთიოპიელი ებრაელები ცოტათი განსხვავდებიან ეთიოპიის ადგილობრივი მოსახლეობისგან – ამჰარასგან, თუმცა თავად საზოგადოებაში არ არსებობს ერთგვაროვანი ტიპი. ქამიტური და სემიტური ელემენტების შერევის გამო, ეთიოპიელ ებრაელებს შორის დიდი განსხვავებაა კანის ფერსა და სახის მახასიათებლებში. ისინი ემსგავსებიან ზოგჯერ აფრიკულ ტიპს (აგაუს) და ზოგჯერ – სემიტურს, კერძოდ, აღმოსავლელი ებრაელების ტიპს [14].

პირველი სარწმუნო ცნობები ფალაშას შესახებ ჩნდება სამხედრო ქრონიკებში, რომლის მიხედვითაც, ეთიოპიის იმპერატორ ამდა სეიონის პერიოდში დაიწყო ომი ებრაელების წინააღმდეგ, რამაც ტრაგიკული როლი ითამაშა ბეტა ისრაელის თემის ჩამოყალიბების პროცესში. ებრაელების შევიწროება გრძელდებოდა მე-15 საუკუნეში იმპერატორ იეშაგის მმართველობისას. მან არა მხოლოდ სასტიკად დაამარცხა ისინი, არამედ აიძულა მიეღოთ ქრისტიანობა. ამასთან დაკავშირებით გამოსცა დეკრეტი გაქრისტიანებული ებრაელებისთვის მიწების საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. ებრაელების დიდი ნაწილი იძულებული გახდა გადასახლებულიყო პერიფერიულ რეგიონებში, სადაც ცენტრალური ხელისუფლების გავლენა შედარებით შესუსტებული იყო, ხოლო დანარჩენებმა მიიღეს გამოცემული დეკრეტის პირობები, რითაც საგრძნობლად გაუარესდა მათი სოციალური მდგომარეობა. მე-16-17 საუკუნეებში სხვადასხვა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და რელიგიურმა

ფაქტორმა კიდევ უფრო გაამწვავა ურთიერთობა ბეტა ისრაელსა და ქრისტიან მმართველებს შორის.

ეთიოპიის ისტორიის თანამედროვე პერიოდი დაიწყო ნეგუს თეოდროსის (თეოდორე II; 1855) ხელისუფლებაში მოსვლით, რომელმაც მოახერხა უზენაესი ძალაუფლების აღდგენა. მან, იმ დროის ერთ-ერთმა ყველაზე ძლიერმა სამხედრო ლიდერმა, გააცოცხლა უზენაესი ხელისუფლების ძალა და ავტორიტეტი შეეცადა ქვეყნის გაერთიანებასა და რეფორმირებას, სექტანტობის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ გაილაშქრა და როგორც იუდაიზმი, ისე ისლამი სეპარატიზმის იდეოლოგიურ გამოხატულებად გამოაცხადა, რის გამოც მისი მმართველობის დროს მოხდა ბეტა ისრაელის წევრების მასობრივი ძალადობრივი ნათლობა (1850-80-იანი წლები).

განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ეთიოპიელი ებრაელების ისტორიაში არის მე-14-17 საუკუნეები, როცა ისინი თავიანთი იდენტობის შესანარჩუნებლად იბრძოდნენ ეთიოპიის სახელმწიფოს დომინანტური ქრისტიანული საზოგადოების პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და რელიგიური ზეწოლის ფონზე. ეს პროცესი გრძელდებოდა საუკუნეების მანძილზე. უნდა აღინიშნოს მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში მათი პოლიტიკური დამოუკიდებლობის და, ნაწილობრივ, ასიმილაციის პროცესიც გონდართა დინასტიის საზოგადოებასა და სახელმწიფოში. ასევე, შემდგომი ახალი გამოწვევები და გავლენები ევროპელი პროტესტანტი მისიონერებისა და დასავლელი ებრაელებისგან მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეებში, რაც გამჭვირვალედ ვლინდება ეთიოპიური და ევროპული წერილობითი წყაროების დეტალური შესწავლითა და შიდა ზეპირ ტრადიციებზე დაყრდნობით [5].

ეთიოპიელი ებრაელები მისდევდნენ არათალმუდური იუდაიზმის გარკვეულ ნაირსახეობას. მათი რელიგიური იდეოლოგიისა და პრაქტიკის ტრანსფორმაციის შედეგად ჩამოყალიბდა მკვეთრად განსხვავებული რელიგიური სისტემა, რომ-

ლის ძირითადმა ელემენტებმა (სისუფთავის კანონები, დღესასწაულები, ლიტურგია) განიცადეს მე-14-15 საუკუნეების ქრისტიანელი ბერების გავლენა [6.282]. ფალაშის რწმენა ემყარებოდა ძველ აღთქმას, ბერძნულიდან თარგმნილს გეეზე და ზეპირ ტრადიციას. ფალაშები მკაცრად იცავდნენ შაბათს, იყენებდნენ მთვარის კალენდარს რელიგიურ ყოველდღიურ ცხოვრებაში; ნაწილობრივ იცავდნენ ქოშერს, იკეთებდნენ წინადაცვეთას, მაგრამ არ აღნიშნავდნენ ხანუქას და ფურიმს. ფარაშა აღიარებს ხუთწიგნეულს და უარყოფს თალმუდს [13]. XX საუკუნეში ბეტა ისრაელში, მონაზვნობის ინსტიტუტის გაქრობის შემდეგ, სასულიერო პირები საზოგადოების მთავარი სულიერი ლიდერები გახდნენ. ისინი ასრულებდნენ ლიტურგიულ წეს-ჩვეულებებს, აღასრულებდნენ მსხვერპლშეწირვას, ასრულებდნენ წინადაცვეთას და ეწეოდნენ აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას. ადგილობრივ ქრისტიან მოსახლეობასთან მჭიდრო ურთიერთობით ორივე რელიგია ავსებდა არსებულ რწმენას, რაც გახდა იუდაიზმის ასეთი ორიგინალური ადგილობრივი ვერსიის საფუძველი [12].

ასე რომ, ბეტა ისრაელის ეთნიკური თვითშეგნების საფუძველი იყო რელიგიური სისტემა, რომელიც აერთიანებდა ძველი აღთქმის ებრაულ, ქრისტიანულ და პანეთიოპიურ შეხედულებებსა და რიტუალებს.

ასობით წლის განმავლობაში ეთიოპიაში, მათი რელიგიის წყალობით, ისინი ებრაელებად ითვლებოდნენ და ეჭვგარეშეა, რომ ფალაშები განსაკუთრებული ეთნიკური ჯგუფი იყო, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი თანამედროვე დროში მათი მყისიერი და სრული აღიარებისთვის დანარჩენი ებრაული სამყაროს მიერ. ისრაელში, სახელმწიფო დონეზე, ისინი ებრაელებად აღიარეს მხოლოდ 1973 წელს, დიდი ყოყმანის შემდეგ. ამ წელს ისრაელის მთავარმა სეფარდმა რაბინმა ოვადია იოსეფმა გადაწყვიტა, რომ ეთიოპიის საზოგადოების წევრები უნდა ჩაითვალონ დანის დაკარგული ტომის შთამომავლებად [10].

80-იან წლებში ისრაელმა გადაწყვიტა ეთიოპიის ხელისუფლების აკრძალვა დაეძლია და მაინც გამოეყვანა ებრაელები აფრიკიდან; მოეხდინა მათი ისრაელში რეპატრიაცია, რაც რამდენიმე ეტაპად განხორციელდა კიდეც ისრაელის სახელმწიფოს მთავრობის დიდი ხელშეწყობით. ჩატარდა ეთიოპიელი ებრაელების ევაკუაციისთვის ისრაელის სამხედრო ოპერაცია „მოსე“, „იესო“, „სოლომონი“ და ა.შ. [15. 68]. რეპატრიაციის პროცესში ბევრი ეთიოპიელი დაიღუპა. ეთიოპიელ ებრაელებს შორის განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ფალაშმურას საზოგადოება. ესენი ძალდატანებით გაქრისტიანებული ებრაელები იყვნენ, მაგრამ, ისრაელში ასვლის სურვილით, გიურის მიღების შემდეგ, ამ ჯგუფის გარკვეულმა ნაწილმა შეძლო მიზნის მიღწევა, რაც ისრაელის მთავრობის ხანგრძლივი და რთული დისკუსიის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით გახდა შესაძლებელი.

ისრაელში შეიქმნა ადაპტაციის სპეციალური პროგრამა ეთიოპიიდან და სუდანიდან ასული ახალი რეპატრიანტებისთვის: ეთიოპიელი ებრაელები, ძირითადად, დაბალი ინტელექტუალური დონის, გაუნათლებელი საზოგადოება იყო; არ ლაპარაკობდნენ ებრაულად, თანამედროვე ქალაქები და ურბანული ცხოვრება მათთვის უცხო რამ იყო. ისინი მიჩვეულები იყვნენ ხელოსნობითა და სოფლის მეურნეობით საარსებო პირობების შექმნასა და ამ გზით ოჯახების რჩენას. მათ უმძიმეს პირობებსა და დისკრიმინაციას დააღწიეს თავი და მოუწიათ ადაპტირება სრულიად განსხვავებულ კულტურასთან.

ამრიგად, ეთიოპიელი ებრაელები სხვა ეთნიკური ჯგუფებისგან სრულიად განსხვავებული და განსაკუთრებული მახასიათებლებით გამოირჩევიან. მათი პროფესია არ ყოფილა ვაჭრობა, რაც მსოფლიო ებრაელობისგან განსხვავებული იდენტური ნიშანია. ისინი არიან ბიბლიური, რაბინამდელი ებრაელები; აღიარებენ თორას (დაწერილ კანონს), მაგრამ არა თალმუდს. მათი ენა არ არის ებრაული, არამედ გეეზია. მათი ლი-

დერები არიან მღვდლები (კოჰანები) და არა რაბინები. ისინი არ აღნიშნავენ პოსტბიბლიურ ებრაულ დღესასწაულებს (ხანუქა. ფურიმი), არც კანონის პოსტბიბლიურ ინტერპრეტაციებს იცავენ (მაგალითად, ხორცისა და რძის შერევის აკრძალვას) და ა.შ., მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, საუკუნეების მანძილზე თავიანთი იდენტობის შესანარჩუნებლად იბრძოდნენ ეთიოპიის სახელმწიფოს დომინანტური ქრისტიანული საზოგადოების და სხვადასხვა განწყობის ხელისუფალთა პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და რელიგიური ზეწოლის ფონზე.

ლიტერატურა – REFERENSES

1. გულედანი ლ. მსოფლიო ებრაელობის ძირითადი ეთნიკური განშტოებები – აშქენაზები და სეფარდები, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, XIII, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2021.
2. გულედანი ლ. მე-19 საუკუნეში საქართველოში მიგრირებული ებრაელები, კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, XXXIV, 2021.
3. ლომთაძე თ. საქართველოს ებრაელთა ენობრივი რეპერტუარი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XLVIII, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არნ. ჩიქობავას სახ.ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, 2020.
4. Anbessa Teferra, Jewish Amharic – https://brill.com/view/book/edcoll/9789004359543/B9789004359543_003.xml
5. Quirin James. The Evolution of the Ethiopian Jews: A History of the Beta Israel (Falasha) to I920, Los Angeles: TSEHAI Publishers, 2010.

6. Rabbi Steven Saltzman, The Status of Jews Rabbi Steven Saltzman saltzman_ethiopian.pdf
7. Rabbi Rachel M. Solomin, Sephardic, Ashkenazic and Ethiopian Jews https://www.myjew
8. Rachael Gelfman Schultz, Mizrahi Jews in Israel https://www.myjewishlearning.com/article/mizrahim-in-israel/
9. Краткая Еврейская Энциклопедия, Главные редакторы: Ари Авнер, д-р Нафтали Прат; т.6 (1992); т.10. (2001), Общество по исследований еврейских общин, Иерусалим.
10. Макеенко Елена, Кто такие евреи-эфиопы и ли 19 фактов о Фалашах, 7, 5 июля 2015 г. http://booknik.ru/today/facts/kto-takie-evrei-efiopy/
11. Русский перевод эфиопской книги "Слава Царей" /Кебра Негаст/, глава 32 - http://odnapl1yazyk.narod.ru/000kn1.htm
12. Сливина Марина,Откуда взялись евреи в Эфиопии? https://isralove.org/load/2-1-0-3185
13. Фалаша, Народы и культуры, Словари и энциклопедии на академике https://people_and_cultures.academic.ru/1484/%D0%A4%D0%B0%D0%BB%D0%B0%D1%88%D0%B0
14. Эфиопские евреи, Электронная энциклопедия, OPT, 2001 https://eleven.co.il/diaspora/ethno-linguistic-groups/15132/
15. רחל חלד,רחל מא'ר, בשער' העבר'ת, 'צא לאור בחוצת המרכז לטכנולוגוה חינוכית
תל- אביב 1992

LALI GULEDANI

THE MAJOR ETHNIC DIVISIONS OF THE WORLD'S JEWS – MIZRAHI JEWS

(ETHIOPIAN JEWS)

Sammery

Since ancient times, the Jews scattered throughout the world were divided into different ethnic groups, far from their homeland. Most diasporas are divided into three major ethnic groups (עדות in Hebrew means "communities"):

The largest ethnic groups among the Jews are the Ashkenazim (from Central and Eastern Europe, in particular almost all Jews in Russia) and the Sephardim (originally from Spain and Portugal and then scattered across the Mediterranean).

There is also a large ethnic group of so-called Mizrakhim - the Jews from Eastern countries, which in a broad sense includes Arabs, Ethiopians, Persians, Bukharan, mountain Jews, and Lakhlukhs.

The Mizrakhim are an important ethnic group of Jews. מזרחי in Hebrew means "Eastern". The Mizrakhim, or Eastern Jews, are considered to be a separate ethnic group, mainly based on geographical area, and are predominantly Jewish in the Middle East, North Africa, and West Asia. Jews from Islamic, mainly Arab countries (Iraq, Egypt, Sudan, Tunisia, Algeria, Lebanon, Libya, Syria, Morocco), but also Kurds, Jews from Iran, Bukhara, the Caucasus Mountains, etc. Mizrakhim are found everywhere from Morocco to Calcutta. For the first time, they were officially grouped in one ethnic identity during World War II, and are often considered to be Georgian Jews, despite the fact that the members of the first migration flow to Georgia have long regarded themselves as Sephardim.

Thus, "Mizrahi" is a socio-political term that includes Jews from Arab or Muslim lands, including Jews from North Africa, the Middle East, and parts of the Caucasus.

Jewish communities in North Africa and the Middle East, unlike other Jewish ethnic groups, are heterogeneous communities, composed of Jewish communities with diverse and different cultures that often have no connection to each other.

Mizrahi Jews are not united by a single Hebrew language. Each subgroup speaks its language. One of the largest branches among them is the Jewish population in the Arab countries, which is represented by many subgroups. The same can be said of the second great branch, the Persian Jews. The term "Persian Jews" in a broad sense was often used in reference to Afghan and Bukharan Jews as well. Until the beginning of the 16th century, the Jews of Iran, Central Asia, and Afghanistan were a united community and the division of this single and large community into ethnic groups was led by several political events and naturally over time this large ethnic community was subdivided.

In this article, we present only the Ethiopian Jews from the Mizrahi ethnic sects as a completely peculiar ethnic formation (group) - the Beta Israel (Jewish Beit from Israel, "House of Israel") - has existed for at least 15 centuries. Ethiopian Jews, or Falasha, is a community in northern and northwestern Ethiopia. The study discusses the assumptions of the emergence of this community, colloquial and liturgical language, identical and cultural characteristics. A brief history of Beta Israel is also given, which makes it clear that Ethiopian Jews are distinguished from other ethnic groups by completely different and special characteristics. They are biblical, pre-rabbinic Jews, recognizing the the Torah (written law) but not the Talmud. Their language is not Hebrew but Geesia. Their leaders are priests (kohens) and not rabbis. They do not celebrate post-biblical Jewish holidays (Hanukkah, Furim), nor do they adhere to post-biblical interpretations of the law (for example, the prohibition of mixing meat and milk), etc ... Throughout centuries, they fought against the odds to maintain their identity and struggled through the political, military, economic and religious pressure coming from the dominant Christian community of the Ethiopian state and the authorities of various moods.

ნანა გელაშვილი

ებრაელთა ჩინეთში დასახლების ისტორიიდან

ებრაელი ხალხის კონტაქტები ჩინეთთან შორეულ წარსულში იღებს სათავეს, კერძოდ, ჯერ კიდევ აბრეშუმის დიდი გზის ამოქმედების დროიდან (ძვ. წ. II საუკუნე). როგორც ცნობილია, აღნიშნულმა გზამ, რომლის საწყის პუნქტსაც ჩინეთი წარმოადგენდა, პირველი ტრანსკონტინენტური მაგისტრალის მეშვეობით, ერთმანეთთან დააკავშირა დასავლური სამყარო და აზიის ქვეყნები. იმ დროიდან მოყოლებული, აბრეშუმის გზაზე ინტენსიურად მოძრაობდნენ სხვადასხვა ეროვნების ხალხთა სავაჭრო ქარავნები ცენტრალურ და აღმოსავლეთ აზიაში, სპარსეთში, ამიერკავკასიის და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში. მათ შორის იყვნენ ებრაელებიც, რომლებიც უძველესი დროიდან მიგრირებდნენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ებრაელთა ჩინეთში ჩასვლისა და მათი იქ ჩასახლების ისტორიასთან დაკავშირებული საკითხები. ებრაელთა პირველი ტალღა ჩინეთში აზიის დასავლეთ ნაწილიდან მოხვდა (სავარაუდოდ, სპარსეთის ტერიტორიიდან) აბრეშუმის გზით. მოგვიანებით, VIII საუკუნეში – თანგის დინასტიის მმართველობის პერიოდში (618-907), ებრაელების გარკვეული ნაწილი სპარსეთიდან – სპარსეთის ყურიდან ინდოეთის გზით (ინდოეთის ოკეანიდან) შევიდა ჩინეთში, რომლებმაც ადგილობრივი ხელისუფლებისგან ქაიფენგში ცხოვრების ნებართვა მიიღეს. სპარსეთიდან წამოსულ ებრაელთა ეს ნაკადი ახალ სპარსულ ენაზე მეტყველებდა [8. 18]. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის თანახმად, ებრაელები ჩინეთში ჯერ კიდევ ჭოუს დინასტიის მმართველობის დროს ჩავიდნენ, ძვ. წ. VI საუკუნეში,

თუმცა არქეოლოგიური მასალით აღნიშნული ვერსია არ დასტურდება [1. 42]. დასავლელ მეცნიერთა გარკვეული ნაწილის აზრით, ებრაელები პირველად ჩინეთში აღმოსავლეთ ხანის დინასტიის მმართველობის პერიოდში (ახ. წ. 25-220) მოხვდნენ, იმპერატორ მინგ ტის ზეობის დროს (58-75). აღნიშნული პერიოდი ქრონოლოგიურად ემთხვევა ებრაელთა დევნას რომაელთა მხრიდან, რასაც ადგილი ჰქონდა ამ უკანასკნელთა მიერ ახ. წ. 70 წელს იერუსალიმის აღებისა და იერუსალიმის ტაძრის განადგურების შემდგომ. იმ პერიოდში დევნილი ებრაელები მთელი ევრაზიის ტერიტორიაზე მიმოიფანტნენ, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით – შუა აზიაში (სადაც ბუხარელი ებრაელების თემი ჩამოყალიბდა). შემდგომ სწორედ ებრაელთა ეს ნაკადი ჩავიდა ბუხარიდან ჩინეთში [8. 205]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმხანად ებრაელთა ჩინეთში ყოფნა ჯერ კიდევ არ იყო დაკავშირებული იქ მუდმივად ჩასახლებასთან. ეს პროცესი მოგვიანებით დაიწყო, როდესაც მათ ჩინეთის სხვადასხვა ქალაქში მცირე ჯგუფებად დაიწყეს დასახლება.

IX-XIV საუკუნეების წერილობითი წყაროები (ჩინური, არაბული, სპარსული და ევროპული) ერთხმად ადასტურებენ ებრაელი ვაჭრების ყოფნას, თანგის დინასტიის პერიოდში (618-907), ჩინეთის დიდ ქალაქებში, კერძოდ: პეკინში, შანგხაიში, სიანში, ქაიფენგში, ხანგჭოუში, ნანკინში, სადაც ისინი უმთავრესად ვაჭრობა-ხელოსნობით იყვნენ დაკავებულნი [13. 154-157]. აღსანიშნავია, რომ თანგის დინასტიის მმართველობის პერიოდი ჩინეთის ისტორიაში ოქროს ხანადაა აღიარებული როგორც პოლიტიკური, ისე კულტურის განვითარების კუთხით. მისი დედაქალაქი ჩანგანი (თანამედროვე – სიანი) კი მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს და ბრწყინვალე ქალაქს წარმოადგენდა. ჩინეთი იმხანად არა მხოლოდ მაღალგანვითარებული მძლავრი იმპერია იყო, არამედ გახსნილი ქვეყანა ყველასთვის, რომელიც ანდამატივით იზიდავდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის ადამიანებს: ვაჭრებს, სხვადასხვა რელიგიის აღ-

მსარებლებს, დიპლომატებს და მოგზაურებს [13. 5]. აქედან გამომდინარე, VIII-X საუკუნეებში ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთში ბევრი უცხოელი ჩასახლდა. ადგილობრივი მთავრობა, თავის მხრივ, ხელგაშლილი ხვდებოდა ყველას და არც უცხო რელიგიების (ნესტორიანელობა, ისლამი, იუდაიზმი, ზოროასტრიზმი) გავრცელებას უქმნიდა რაიმე დაბრკოლებას.

მომდევნო ხანებში – სუნგის დინასტიის მმართველობის (960-1278) დასაწყისში, ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთში მუსლიმთა მიერ დასახლებული რეგიონიდან (კანგსუს პროვინცია), ებრაელებმა მიგრირება დაიწყეს ხენანის პროვინციაში. განსაკუთრებით კომპაქტურად ისინი ჩინეთის ერთ-ერთ უძველეს ისტორიულ ქალაქში – ქაიფენგში (ხენანის პროვინცია, მდ. ხუანგხეს სამხრეთ სანაპიროსთან) დასახლდნენ. ისინი უმთავრესად დაკავებულნი იყვნენ სამღებრო საქმით, კულინარიით, ბამბეული ქსოვილების დაჩითვით და გაფორმებით. წყაროებში დაცული ცნობების თანახმად, სუნგის დინასტიის გაბატონების შემდეგ, ებრაელთა 70 ოჯახისგან შემდგარი ახალი ნაკადი ქაიფენგში ჩავიდა. მათი წარმომადგენლები, უპირველეს ყოვლისა, იმპერატორს ეახლნენ ძვირფასი საჩუქრებით. იმპერატორმა თბილად მიიღო ისინი და ქაიფენგში დასახლების უფლებაც მისცა. ამასთან ერთად, მათ ფართო სპექტრის უფლებებიც მიენიჭათ. კერძოდ, მათ შეეძლოთ სავაჭრო-საფინანსო ოპერაციები ეწარმოებინათ, თავისუფლად გადაადგილებულიყვნენ ქვეყნის ტერიტორიაზე, აეშენებინათ სახლები, ექორწინათ ჩინელებზე [2. 207]. ძალზე მნიშვნელოვან შეღავათს წარმოადგენდა ასევე ის, რომ ებრაელებს ნება ეძლეოდათ თავიანთი ბავშვებისთვის ებრაული ტრადიციები ესწავლებინათ და ყველა იუდეისტური რელიგიური დოგმები დაეცვათ.

მას შემდეგ, რაც ებრაელებმა ქაიფენგში თავი დაცულად და კომფორტულად იგრძნეს, თავიანთი ეკონომიკური მდგომარეობაც გაიუმჯობესეს. 1163 წელს ქაიფენგის ცენტრში სინაგოგა ააგეს, რომელსაც „სიწმინდის და სიმართლის ტაძარი“

უწოდეს [12. 6; 13. 4]. მოგვიანებით ის გადაკეთდა, უფრო გაფართოვდა და, იმავდროულად, გარეგნული იერსახით ჩინურ პაგოდას დაემსგავსა. ეს უკვე ადგილობრივი კულტურის ზეგავლენაზე მიუთითებდა. საუკუნეთა მანძილზე ხსენებული სინაგოგა არაერთხელ დაზიანდა ხანძრების, წყალდიდობების, აჯანყებების, მომთაბარეთა შემოსევების და სხვა კატაკლიზმების გამო, თუმცა, ყოველ ჯერზე, ებრაელთა თემისა და ხელისუფლების ძალისხმევით, მისი აღდგენა ხდებოდა და სინაგოგაში მსახურებაც უწინდებურად გრძელდებოდა (ის მოქმედი იყო 1849 წლამდე].

ქაიფენგში ებრაელთა დასახლების შესახებ ცნობები დაცულია ქაიფენგშივე აღმოჩენილ სამ სტელაზე. მათგან ყველაზე ადრინდელი 1489 წლით თარიღდება, რომელიც ეძღვნება სინაგოგის მშენებლობას 1163 წელს. მასზე არსებული წარწერის თანახმად, ებრაელები ჩინეთში ინდოეთიდან ჩავიდნეენ აღმოსავლეთ ხანის დინასტიის პერიოდში (25-220). ასევე დაფიქსირებულია ებრაელთა 70 ოჯახის ჩასვლა ჩინეთში და სუნგის დინასტიის იმპერატორისგან დედაქალაქ ქაიფენგში ცხოვრების უფლების მიღება, სადაც მათი კომპაქტურად დასახლება დაიწყო [6. 29]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქაიფენგი სუნგის დინასტიის დედაქალაქი იყო 1127 წლამდე, ანუ ტუნგუსურ-მონღოლური ტომების – ჯურჯენების მიერ ქალაქის დაკავებამდე და ჩრდილოეთ ჩინეთში მათ გაბატონებამდე. აქედან გამომდინარე, ზემოთ ხსენებულ მოვლენებს ადგილი ექნებოდა 1127 წლამდე, ხოლო სტელაზე მითითებული თარიღი (1163 წ.), სინაგოგის აშენებასთან დაკავშირებით, განეკუთვნება უკვე ჩრდილოეთ ჩინეთში ჯურჯენების ბატონობის პერიოდს. ამის შემდგომ სუნგის დინასტიამ სამხრეთში გადაინაცვლა, სადაც 1279 წლამდე აგრძელებდა არსებობას (ხსენებულ წელს მონღოლებმა ბოლო მოუღეს სამხრეთ სუნგის დინასტიას). მეორე სტელაზე არსებულ წარწერაზე, რომელიც 1512 წლით თარიღდება, დაწვრილებითაა აღწერილი ებრაელ-

თა ადათ-წესები [11. 17-19; 12. 35-36]. მესამე სტელა 1663 წელს მიეკუთვნება. მასზე დაფიქსირებულია ერთ-ერთი სინაგოგის – ცინჟენ სი-ს რეკონსტრუქციის ამბები (რომელიც 1642 წელს ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული აჯანყების დროს დაინგრა), ჩამოთვლილია იმათი სახელები, ვინც აქტიურად მონაწილეობდა მის აშენებაში და წმინდა ტექსტების გადაწერაში. ასევე მასზე რეზიუმირებულია დანარჩენ ორი სტელაზე არსებული ინფორმაცია. იქვე საგანგებოდაა აღნიშნული ებრაელთა „უსაზღვრო ერთგულება იმპერატორისა და ქვეყნის მიმართ“, ასევე მათი წარმატებული სამხედრო სამსახური ჩინეთში [6. 29; 13. 3]. საყურადღებოა, რომ ამ სტელაზე არის მტკიცებები იმის თაობაზე, რომ კონფუცის მოძღვრების ნორმები არ ეწინააღმდეგებოდა ებრაულ კანონებს და თორას დოგმებს [2, 49]. როგორც ჩანს, ხსენებულ პერიოდში უკვე დაწყებული იყო ებრაელთა ეთნიკური თვითშეგნების შეცვლის პროცესი, რის შედეგადაც მოგვიანებით აკულტურაცია თანდათან გადაიზარდა ასიმილაციაში. ხსენებული სტელები ამჟამად ქაიფენგის ისტორიულ მუზეუმშია დაცული.

ქაიფენგში არსებული ხელსაყრელი გარემო პირობების წყალობით, ებრაელთა დიდმა ნაწილმა წარმატებით გაიკვალა გზა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ებრაელებს უკვე ჰქონდათ მუდმივი საცხოვრებლები, თავიანთი სასულიერო სასწავლებლები, მიწები, სავაჭრო პუნქტები, რაბინის ინსტიტუტი და საკულტო ტაძრები, რათა ებრაული წესისამებრ აღესრულებინათ მსახურება; უფლებამოსილნი იყვნენ ესწავლათ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სასწავლებლებში [1. 42]. გარდა ამისა, ჩინეთში არსებული წესისამებრ, სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების შედეგად, ისინი სახელმწიფო სამსახურში მაღალ თანამდებობებსაც იკავებდნენ. საამისოდ ებრაელ კანდიდატს უნდა შეეცვალა ივრითული სახელი ჩინურით, ეტარებინა ტრადიციული ჩინური ტანსაცმელი და სრულყოფილად უნდა შეძლებოდა ჩინურ ენაზე მეტყველება.

ასპარეზზე გამოჩნდნენ წარმატებული ებრაელი ექიმები, საქმოსნები, სწავლულები და სხვ. ყოველივე ამის შედეგად, მოკლე ხანში ქაიფენგელი ებრაელები ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ და გავლენიან ფენად იქცნენ.

ჩინეთის სხვადასხვა მხარეში ებრაელთა თემებმა განსაკუთრებულ აყვავებას XIII-XIV საუკუნეებში მიაღწიეს, თუმცა XV საუკუნის შემდგომ მათ შესახებ ინფორმაცია მცირდება. დრო-ჟამის ქარტეხილებს და ბუნების კატაკლიზმებს მხოლოდ ქაიფენგის თემმა გაუძლო, რომელმაც დროთა ვითარებაში განსაკუთრებული ეთნიკური სახე შეიძინა ჩინეთში. ადგილობრივ მოსახლეობასთან შეზრდილი ქაიფენგის ებრაელები პრაქტიკულად თითქმის აღარ განსხვავდებოდნენ ჩინელებისგან. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათ ძველი ებრაული ტრადიციები და რიტუალებიც შეინარჩუნეს: აღნიშნავდნენ ებრაულ დღესასწაულებს, იცავდნენ მარხვას, პატივს მიაგებდნენ შაბათს, როგორც განსაკუთრებულ დღეს, ლოცულობდნენ სახით იერუსალიმისკენ და სინაგოგისკენ, ბავშვებს ერთდროულად ჩინურ და ებრაულ სახელებს არქმევდნენ, წინადაცვეთის რიტუალი XX საუკუნის დამდეგამდე შემოინახეს. ამ ყველაფრის მიუხედავად, როგორც ზემოთ აღინიშნა, მიმდინარეობდა ჩინური ადათ-წესების და მენტალობის გათავისების პროცესი, გახშირდა შერეული ებრაულ-ჩინური ქორწინებები; ებრაელებშიც, ჩინელების მსგავსად, გავრცელებული იყო მრავალცოლიანობა და ხარჭის ყოლა. ამასთან, პირველი ცოლი ებრაელი იყო ხოლმე, მომდევნო ცოლები კი – ჩინელები. ნათლად გამოიკვეთა კონფუციონიზმის და იუდაიზმის გარკვეული ნორმების სინკრეტიზაციაც [12. 37-39].

ჩინეთში ებრაელების ჩასახლების შესახებ ცნობებს გვაწვდიან IX საუკუნის შუა ხანების მუსლიმი ავტორები. მათი გადმოცემით, ცისქვეშეთში (როგორც თავად ჩინელები უწოდებდნენ თავიანთ ქვეყანას) ებრაელები უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, დაზუსტე-

ბული მასალა ამის თაობაზე დღემდე არ მოიპოვება. IX საუკუნის სპარსელი გეოგრაფის, იბნ ხორდადბეგის ნაშრომი „წიგნი გზებისა და ქვეყნების შესახებ“ („ქეთაბ ალ-მასალიქ ვა ალ-მამალიქ“) უხვ ცნობებს შეიცავს სახალიფოსა და სხვა ქვეყნების ისტორიის და ტოპონიმიკის შესახებ. ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით, ნაშრომში აღნიშნულია, რომ აბრეშუმის გზაზე მოგზაურობამ ებრაელი ვაჭრები შუა აზიიდან და ინდოეთიდან ჩინეთში მოახვედრა. ავტორი აფიქსირებს მათ ყოფნას ჩინეთის მთელ რიგ ქალაქებში, ხაზს უსვამს იმ მნიშვნელოვან ეკონომიკურ როლს, რასაც ებრაელი ვაჭრები ასრულებდნენ როგორც სახმელეთო, ისე საწყლო გზებით საქონლის ტრანსპორტირებაში და სამეცნიერო-ტექნიკური გამოცდილების გადაცემაში ესპანეთიდან და საფრანგეთიდან ჩინეთში. ხსენებულ ნაშრომში აღნიშნულია, რომ ჩინეთი განსაკუთრებული დანიშნულების ადგილს წარმოადგენდა ებრაელ-რადხანიტებისათვის (ასე უწოდებდნენ ევროპიდან აზიაში მოხეტიალე ებრაელ ვაჭრებს), რომლებსაც, სხვა საქონელთან ერთად, ევროპიდან ჩინეთში გასაყიდად ჩაჰყავდათ ახალგაზრდა ვაჟები და მონა ქალები. თანამედროვე ჩინელი მკვლევრის, სიუ სინის აზრით, ტერმინი რადხანიტები მომდინარეობს სპარსულიდან და ითარგმნება, როგორც „გზების მცოდნეები“ [13. 10].

IX საუკუნის არაბი მოგზაურ იბნ ზეიდ ალ-ჰასანის ცნობით, 879 წელს ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული აჯანყების დროს, ამბოხებულებმა (ხუან ჩაოს მეთაურობით) ქ. გუანჭოუ დაარბიეს და შეტაკებების დროს დიდი რაოდენობით არაბი, სპარსელი, ებრაელი და ქრისტიანი ვაჭრები დახოცეს [3. 163]. საქმე ისაა, რომ წყაროებში თანგის დინასტიის პერიოდის (618-907) გუანჭოუ (რომელსაც ევროპელებმა ძველთაგანვე კანტონი უწოდეს) მოხსენიებულია, როგორც უმნიშვნელოვანესი ნავსადგური. სწორედ აქედან იწყებოდა აბრეშუმის საზღვაო გზა, საიდანაც რეგულარულად გაჰქონდათ ჩინური

საქონელი მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში. შესაბამისად, ქალაქის ყველაზე მრავალრიცხოვან ფენას ვაჭრები შეადგენდნენ, რომელთა შორის განსაკუთრებით მრავლად იყვნენ არაბები, ებრაელები და სპარსელები.

ჩინეთში ებრაელთა ყოფნის შესახებ მოგვითხრობს ასევე IX საუკუნის იუდეურ-სპარსულ ენაზე შედგენილი დოკუმენტი, რომელიც აბრეშუმის გზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაკვეთზე – ტაკლამაკანის უდაბნოში არსებულ ძველ ნამოსახლარში – დანდან უილიკში (ჩინეთის ჩრდილოეთ ნაწილში) 1901 წელს აღმოაჩინა და ინგლისურად თარგმნა ებრაული წარმოშობის ცნობილმა უნგრელმა ეთნოგრაფმა და მოგზაურმა მარკ აურელ შტაინმა (1862-1943). აღნიშნულ ტერიტორიაზე მან აღმოაჩინა ასევე ბუდისტური სიწმინდეები, ბუდას გამოსახულებები და სხვ.; მანვე დაადგინა საქარავნო გზების მარშრუტები, რომლებიც რომის იმპერიის პერიოდში ევროპას ჩინეთთან აკავშირებდა. აღნიშნული იუდეურ-სპარსული წერილი, რომელიც ამჟამად ბრიტანეთის მუზეუმში ინახება, ქაღალდზე დაწერილი 37 სტრიქონისგან შედგება, რომელიც უმთავრესად ეხება ცხვრებით ვაჭრობას, გოგონების სწავლების საკითხებს და უსამართლობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საჩივარს. ცნობილმა ინგლისელმა აღმოსავლეთმცოდნე დევიდ სამუელ მარგოლიუტმა (1858-1940) ხსენებული წერილი 718 წლით დაათარიღა [9. 571-574]. სავარაუდოა, რომ ეს იყო ყველაზე ადრინდელი საბუთი, რომელიც ადასტურებდა ებრაელების ჩინეთში ყოფნას. ამ კონტექსტში აღსანიშნავია ასევე, ძველ ისტორიულ ქალაქ ჩანგანში (თანამედროვე სიანი) აღმოჩენილი, 779 წელს (სხვა მონაცემით – 781 წელს) აღმართული ნესტორიანული სტელა, რომელზეც მოცემულია ებრაული ბიბლიის ნაწილის ჩინური თარგმანი [2. Xvi].

სუნგის დინასტიის დამხობის შემდეგ ჩინეთში მონღოლთა იუენის დინასტიის მმართველობის უმძიმესი ხანა დაიწყო (1271-1368). რაც შეეხება ებრაელთა ყოფას იმ პერიოდში, ისი-

ნი ხელისუფლების მხრიდან განსაკუთრებული თანადგომით სარგებლობდნენ [5. 234]. ვენეციელი ვაჭარი მარკო პოლო (1254-1324), რომელმაც ჩინეთში 17 წელი გაატარა და ხუბილაი-ყაენის კარზე მაღალი თანამდებობა ეკავა, სხვა საინტერესო ამბებთან ერთად, თავის ნაშრომში ჩინეთში ებრაელთა ყოფა-ცხოვრებასაც აღწერს. ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს ებრაელ ვაჭართა პრესტიჟულ სტატუსს არა მხოლოდ სავაჭრო სფეროში, არამედ, მთლიანად, ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში [16]. ანალოგიურ ცნობებს გვაწვდის იტალიელი ფრანცისკანელი მისიონერი ჯოვანი მონტეკორვინო (1246-1328), რომელიც 1294 წელს ჩავიდა პეკინში და სიცოცხლის ბოლომდე იქ დარჩა. ის იყო რომის პაპის წარგზავნილი პირველი არქიეპისკოპოსი პეკინში. აღსანიშნავია, რომ მონტეკორვინომ ააგო პეკინში პირველი კათოლიკური ეკლესია 1299 წელს. „ჩინელი ებრაელების“ შესახებ საინტერესო ინფორმაცია გააცნო ევროპას იტალიელმა იეზუიტმა მისიონერმა მათეო რიჩიმ (1552-1610). 1605 წელს მან პეკინში ქაიფენგელი ებრაელი აი თიენი გაიცნო, რომელიც თავდაპირველად ქრისტიანი ეგონა. როდესაც მისგან მოისმინა, რომ ღვთისმშობლის ყრმით გამოსახულებას აღიქვამდა, როგორც რებეკას იაკობთან ერთად და კიდევ სხვა უცხო დეტალები, მათეო მიხვდა, რომ ის ებრაელი იყო. ამის შემდეგ ის დაინტერესდა ჩინეთში, და კონკრეტულად, ქაიფენგში, ებრაელთა ყოფა-ცხოვრებით. აი თიენისგან მათეომ შეიტყო, რომ ისინი ერთ ღმერთს აღიარებდნენ, რომ ჩინეთში თავისუფლად იცავდნენ თავიანთ ტრადიციებს, მათ შორის – კვების რეჟიმს (არ ჭამდნენ ღორის ხორცს), დადიოდნენ სინაგოგაში და ა. შ. თუმცა, იმავდროულად, მათ გათავისებული ჰქონდათ ჩინური ადათ-წესებიც [2. xvi; 10. 75].

აღსანიშნავია მონღოლთა იმპერიაში არაბული ქვეყნების წარგზავნილი მოგზაურის და ვაჭარ იბნ ბატუტას (1304-1377) ინფორმაცია. მან ბევრ ქვეყანაში იმოგზაურა, ჩინეთში კი

1342 წელს ჩავიდა (ინდოეთის სულთნის ელჩის სტატუსით). მისი გადმოცემით, ჩინეთის მეორე ქალაქში შესასვლელ ალაყაფს „ებრაელთა ალაყაფი“ ეწოდებოდა, თვით ქალაქში კი ცხოვრობდნენ ებრაელები, ქრისტიანები და თურქები [5. 240]. ამ კონტექსტში ინტერესს იმსახურებს ჩინგიზ ყაენის (1167-1227) დამოკიდებულება ებრაელების მიმართ. ებრაელებს, ნესტრიანელ ქრისტიანებს და მუსლიმებს ის თურმე ერთი სახელით მოიხსენიებდა, კერძოდ – ჰუიჰუეი, ასევე – ლურჯქუდიანების სახელწოდებით, სხვა ხალხებისგან განსასხვავებლად, რომლებიც თავიანთ იდენტიფიკაციას სხვა ფერის ქუდებით ახდენდნენ. დიდი ყაენი ებრაელებს და მუსლიმებს მონებს ეძახდა და ბრაზობდა, რომ ისინი უარს ამბობდნენ მონღოლური საკვების მიღებაზე. ამიტომაც მან საგანგებო ედიქტი გამოსცა, რომელიც ებრაელებს და მუსლიმებს უკრძალავდა თავიანთი საკვების მომზადებას და აიძულებდა მონღოლური საჭმელი ეჭამათ; ასევე ეკრძალებოდათ მათ წინადაცვეთის ტრადიციის აღსრულება [5. 235]. აღნიშნული რეგულაციები ჩინგიზ ყაენის მემკვიდრის – უღედეი ყაენის დროს გაუქმდა.

ჩინგიზ ყაენისგან განსხვავებით, მომდევნო მონღოლი მმართველები უკვე რელიგიურ შემწყნარებლობას იჩენდნენ სხვა სარწმუნოებების, მათ შორის, ისლამის და იუდაიზმის მიმართ. სპარსელი ავტორები ხოტბას ასხამდნენ უღედეი ყაენს (1229-1241), ისლამის მიმართ განსაკუთრებული პოზიტიური დამოკიდებულების გამო. მან ნება დართო ასევე მონღოლების და ჩინელების ქორწინებას. მომდევნო ყაენი გუიუკი (1246-1248) ნესტორიანელი იყო და, შესაბამისად, – ქრისტიანობის დამცველი; მუნქე ყაენი (1251-1258) მუსლიმთა ინტერესების ქომაგად გამოდიოდა [5. 241]. განსაკუთრებული რელიგიური ტოლერანტობით გამოირჩეოდა ხუბილაი ყაენი (1260-1294). როდესაც მისთვის ამის მიზეზი უკითხავთ, მისი პასუხი ასეთი იყო: არსებობს ოთხი წინასწარმეტყველი, რომლებსაც პატივი მიეგება და მათ წინაშე ყველამ ქედი უნდა მოიხაროს. ქრისტი-

ანებისთვის ესაა იესო, მუსლიმთათვის – მუჰამმადი, ებრაელებისთვის – მოსე და კერპთაყვანისმცემლებისთვის – ბუდა, რომელიც იყო კერპების პირველი ღმერთი. მე პატივს მივაგებ და ვეთაყვანები ოთხივე მათგანს [5. 238]. ამრიგად, მთლიანობაში, მონღოლი მმართველები ჩინეთში პოზიტიურად იყვნენ განწყობილნი ებრაელების და მუსლიმების მიმართ, რომლებიც იმხანად ჩინეთში უზარმაზარ ეკონომიკურ ძალას და პოლიტიკურ გავლენას ფლობდნენ [15. 303-305]. როგორც ჩანს, ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ეს უკანასკნელნი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდნენ ჩინეთის საგარეო სავაჭრო ურთიერთობებში. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლების მხრიდან გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ ასევე ქრისტიანები და ბუდისტები, განსაკუთრებით ტიბეტური ბუდიზმის ანუ ლამაიზმის მიმდევრები.

ჩინეთიდან მონღოლთა განდევნის შემდეგ, ხელისუფლების სათავეში მინგის დინასტია მოექცა (1368-1644). XIV-XVI საუკუნეები ჩინეთში ებრაელებისთვის დიდი აღმავლობის ხანას წარმოადგენდა. იმ დროისათვის ქაიფენგის ებრაელთა თემი უკვე რამდენიმე ასეული ოჯახისგან შედგებოდა, რომელიც 6 ათასამდე ადამიანს მოიცავდა. ახალი დინასტიის ფუძემდებელმა, იმპერატორმა ჭუ იუან-ჭანმა (1368-1398) 1390 წელს ებრაელებს მიწები აჩუქა და სხვადასხვა პრივილეგია მიანიჭა. ხაზგასასმელია, რომ ებრაელთა ევროპული თემებისგან მოწყვეტილობა, კონფუციანური ნორმების და ჩინური ადათების ყოველდღიურ გარემოცვაში ყოფნა, დროთა ვითარებაში თავის კვალს აჩნევდა ჩინეთში დამკვიდრებულ ებრაელთა ყოფას. ჩინური ზეგავლენა განსაკუთრებით ხელშესახები გახდა 1420 წლიდან, როდესაც, იმპერატორის წინაშე დიდ დამსახურებათა გამო, ქაიფენგელ ებრაელებს ნება მიეცათ ჩინური გვარ-სახელები მიეღოთ. ამასთან ერთად, მათი გარკვეული ნაწილი მაღალ თანამდებობებზე იმყოფებოდა, რომლებიც, ცხოვრების ახლებურ გარემოებათა გამო, უკვე ნაკლებად ით-

ვალისწინებდა ებრაულ ტრადიციებს [14. 5]. ამის პარალელურად, ებრაელთა მხრიდან სულ უფრო ძლიერდებოდა ჩინური ტრადიციების და ყოფითი ნორმების მიდევნება. მაგალითად, გადმოღებულ იქნა გოგონებისთვის ფეხების დოლბანდით გადახვევა, რათა ფეხი არ გაზრდილიყო (პატარა ზომის ფეხი ქალის სილამაზის ერთ-ერთ კრიტერიუმად ითვლებოდა), მამაკაცების მიერ ნაწნავის ტარება, ჩინური ტრადიციული სამოსის ტარება, ჩინური საზეიმო თარიღების აღნიშვნა. თვით რელიგიაშიც გარკვეული ცვლილებები გამოიკვეთა – კერძოდ, იუდაიზმის და კონფუციანიზმის ცალკეული ასპექტების სინკრეტიზაცია მოხდა [12. 95]. მართალია, იუდეური დღესასწაულების აღნიშვნაც ხდებოდა, მაგრამ არა ებრაული, არამედ ჩინური კალენდრის მიხედვით. ასე რომ, მინგის დინასტიის პერიოდში ინტენსიურად მიმდინარეობდა ებრაელების აკულტურიზაციის და ჩინელებთან ასიმილაციის პროცესი. ზოგადად, ეს დამახასიათებელ და კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენდა ხანგრძლივი დროის მანძილზე სხვა ხალხთა გარემოცვაში მცხოვრები მცირე ეთნოსური ჯგუფისათვის, რომელიც თანდათან ითვისებდა უცხო ქვეყნის ენას, მატერიალური და სულიერი კულტურის ცალკეულ ელემენტებს ან კიდევ – მთელ კომპლექსს. ბუნებრივია, რომ, შერეული ქორწინებების გამო, შეიცვალა ებრაელთა ანტროპოლოგიური ტიპიც. ქაიფენგელ ებრაელებთან ერთად კი თვით ქალაქი ქაიფენგიც თანდათან კარგავდა ებრაულ იდენტობას და „ჩინური“ ხდებოდა. რაც შეეხება ტერმინს – „ჩინელი ებრაელები“, ის XVI-XVII საუკუნეებში გაჩნდა, როდესაც კათოლიკე მისიონერები პირველად შეხვდნენ ჩინეთში უკვე ტრანსფორმირებულ ებრაელებს [7; 10. 75-77]. თავად ჩინელები კი იუდაიზმს უწოდებდნენ „ძარღვების (მყესების) გამომცლელ რელიგიას“. ებრაული კვების დიეტის წესი, რომელიც კრძალავდა საკვებში მოლუსკების, რეპტილიების და ძუძუმწოვრების გამოყენებას, ისედაც ადვილად გამოარჩევდა ებრაულ თემს ჩინელი მოსახლეობის-

გან. მისგან განსხვავებით, როგორც ცნობილია, ჩინური სამზარეულო და კვების კულტურა მეტად თავისუფალი და მდიდარია არჩევანში.

შესწავლილი მასალიდან ნათლად ჩანს, რომ, ზოგადად, ჩინეთის ხელისუფლება (მათ შორის ჩინეთში გაბატონებული მონღოლი ყაენებიც) ებრაელთა მიმართ იმთავითვე შემწყნარებლურ პოლიტიკას ახორციელებდა. ანალოგიურად იყო მათ მიმართ განწყობილი შუა საუკუნეებში სამართალდამცავი ორგანოებიც. ამის დასტურია, მაგალითად, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაწესებული რეგულაცია იმის თაობაზე, რომ სინაგოგის სიახლოვეს არ უნდა გაყიდულიყო ღორის ხორცი; სხვა აღმსარებლობის წარმომადგენლებს ხელი არ უნდა შეეშალათ ან რაიმე ფორმით არ უნდა შეეზღუდათ ებრაელთა უფლებები, მათი რელიგიური მსახურება და სხვ. [14. 10].

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩინეთში ყველაზე სიცოცხლისუნარიანი ქაიფენგის ებრაული თემი აღმოჩნდა. სწორედ ქაიფენგში მდებარეობს დღესდღეობით მსოფლიოში განთქმული ებრაული კვლევითი ცენტრი, რომელიც ჩინეთის 4 წამყვანი უნივერსიტეტის ებრაისტიკის 7 ცენტრს აერთიანებს. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ქაიფენგში ცხოვრობენ ებრაელები. ისინი ძველთაგანვე დასახლებულები არიან ჩინეთის ბევრ ქალაქში (პეკინში, სიანში, ხანგჭოუში, შანგხაიში, ნანკინში, კანტონში.....). ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, ებრაელთა მთლიანად შერწყმა უძველესი ცივილიზაციის მქონე მსოფლიოს ყველაზე მრავალრიცხოვან მოსახლეობასთან მაინც არ მომხდარა. ისინი შესანიშნავად აცნობიერებდნენ და აფასებდნენ იმას, რომ თავადაც სხვა უძველესი კულტურის მქონე ერის წარმომადგენლები იყვნენ. საბოლოო ჯამში, ებრაელთა ჩინეთში ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის შესწავლა ცხადყოფს, რომ ჩინეთში დასახლებული ებრაელები, იცავდნენ რა თავიანთ იდენტობას, იმავდროულად, ერთგულად ემსახურებოდნენ ჩინეთის სახელმწიფოს, სათანადო პატივს მია-

გებდნენ ჩინურ რეალობაში არსებულ ნორმებს, ტრადიციებს, კულტურას და სხვ. შესაბამისად, ადეკვატური იყო ჩინეთის სხვადასხვა დინასტიის ხელისუფალთა დამოკიდებულებაც ებრაელების მიმართ. კერძოდ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ისინი ადგილობრივ მოსახლეობასთან გათანაბრებული უფლებებით სარგებლობდნენ. დიასპორის ისტორიაში არ ყოფილა პერიოდი, როდესაც ებრაელები რაიმე სახის დევნა-შევიწროების ობიექტები გამხდარიყვნენ ჩინეთში.

ლიტერატურა – REFERENSES

1. კაკიტელაშვილი ზ. ებრაელები ჩინეთში, ჩინეთი ჟამთა სივრცეში, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2007.
2. Ehrlich M. Avrum (ed.), The Jewish-Chinese Nexus, A Meeting of Civilization, Routledge - UK, 2008.
3. Fuwei, Shen, Cultural flow between China and the outside World, Throughout History, Beijing: Foreign Language Press, 1996.
4. Guang, Pan, The Jews in China, Beijing: China International Press, 2016.
5. Leslie D. Daniel, The Mongol Attitude to Jews in China, Central Asiatic Journal, vol. 39, #2, published by Harrassowitz Verlag, 1995.
6. Leslie D. Daniel, The Survival of Chinese Jews: The Jewish Community of Kaifeng, Leiden, 1972.
7. Loewe, Michael, The Jewish Presence in Imperial China, Jewish Historical Studies, 30, Published by: Jewish historical society of England, 1988.
8. Pollak, Michael, Mandarins, Jews and Missionaries, The Jewish Experience in the Chinese Empire, The Jewish publication society of America, 1980.

9. Stain, M. Aurel, Ancient Khotan: Detailed Report of Archaeological Explorations in Chinese Turkestan, Oxford University Press, 1907.
10. Wald S. Salomon, China and the Jewish People, Old Civilizations in a New Era, Ierusalem, published by: Gefen Books, 2004.
11. Weisz, Tiberiu, The Kaifeng Stone Inscriptions: the legacy of the Jewish Community in Ancient China, publisher: Universe, 2006.
12. White, Ch. William, Chinese Jews, 2nd edition, pt.2, Toronto: University of Toronto Press, 1966.
13. Xin, Xu, The Jews of Kaifeng, China: history, Culture and Religion, USA: KTAV publishing house, 2003.
14. Xin, Xu, Tracing Judaism in China, Jismor, #8, 20013.
15. Россаби М., Золотой век империи монголов. перевод с Английского С.В. Иванова, С.-Пб., 2009.
16. Харт Г., Венецианец Марко Поло, перевод с Английского Н. В.Банникова, М., 2001.

NANA GELASHVILI

FROM THE HISTORY OF THE SETTLEMENT OF JEWS IN CHINA

Summary

The contacts of the Jewish people with China began with the launch of the Great Silk Road (2nd century BC), which connected the Western world and the countries of Asia through the first transcontinental highway. From that time on, trade caravans of peoples of different nationalities traveled along the Silk Road to Central and East Asia, Iran, the Transcaucasia, and the Mediterranean basin. Among them were Jews who migrated to different parts of the world from ancient times-.The paper highlights on the first arrival of Jews in China and their set-

tlement there. Information about these events is kept in written sources of the Middle Ages (IX-XIV centuries) in various languages according to which, the first influx of Jews hit China from Iran and India, through the Silk Road. Sources unanimously state the existence of Jewish communities and colonies in various cities of China, as well as their successful activities, especially in trade and crafts.

The compact settlement of large groups of Jews in China began during the reign of Tang Dynasty (618-907), namely in the VIII century. Distinguished in this respect was the ancient historical city of Kaifeng (Henan Province), where the first Jewish community was established and the first synagogue was built in 1663. It is noteworthy that the Jewish religion did not suffer persecution in China. Moreover, after some time, the Jews who settled in China, received a wide range of rights from the government as a reward for their loyal service to the country.They could practice all their religious customs without restriction. In fact, the powers of the "Chinese" Jews were almost equal to the rights of the local Chinese population. In the course of time process of assimilation of Jews to a certain extent with Chinese culture, Confucian ideology and the reality norms of middle ages China.

ნინო თომაძე

XI საუკუნის ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობების ისტორიიდან

(მარიამ არწრუნის ელჩობა ბიზანტიაში, ისტორიულ-მენტალური ანალიზი)

XI საუკუნის დასაწყისში ქრისტიანულ აღმოსავლეთში ახალი სახელმწიფო – საქართველო იქმნება; ერთიანდება ქართული მიწები: აფხაზეთი, ტაო-კლარჯეთი, ჰერეთი, კახეთი; ყალიბდება გაერთიანებული ქართული მონარქია ბაგრატ III-ით სათავეში; საფუძველი ეყრება ქართულ სახელმწიფოებრიობას [3. 153-159].

ბუნებრივია, ყოველივე ეს აღმოსავლეთ რომის იმპერიის, ე.წ. ბიზანტიის თვალწინ ხდება. ერთმნიშვნელოვნად ძნელია თქმა ბიზანტიის, მართლმადიდებლობის ფორპოსტის მაშინდელ მესვეურებს რა ემოციებს აღუძრავს ასევე უძველესი მართლმადიდებლური მიწების ერთ ძლიერ მონარქიად გარდაქმნა, თუმცა ამაზე პასუხს ისევ და ისევ ისტორია იძლევა, საიდანაც ჩანს, რომ ახალი მართლმადიდებლური სამეფოს შექმნა ბიზანტიისთვის ერთგვარი გამოწვევაა. ფაქტია, რომ ბიზანტია მთელი XI საუკუნის განმავლობაში საქართველოსთან მიმართებაში ერთმანეთს უნაცვლებს ომისა და ზავის, მოყვრობისა და შიდა დაპირისპირების მომენტებს, რა დროსაც მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ ინტერესებს იცავს, ხშირად საქართველოს დასუსტების და ქართული პოლიტიკის არევის ხარჯზე, რაც ადასტურებს, რომ მისთვის გაერთიანებული ქართული მონარქიის არსებობა (ყოველ შემთხვევაში, თურქ-სელჩუკთა შემოსევებამდე მაინც, რამაც ბიზანტია-საქართველო ძალაუნებურად მოკავში-

რეებად გადააქცია) პოლიტიკური კონკურენტის გაჩენაა საერთაშორისო ასპარეზზე [3. 199].

როგორც ცნობილია, ტაოს მეფე დავით III კურაპალატს ბიზანტიის კეისარმა ბასილი II მაკედონელმა, ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩახშობაში დახმარებისათვის, იმიერტაოს მიწები უბოძა. გაერთიანებული საქართველოს მეორე მეფემ, ბაგრატ III-ის ვაჟმა, გიორგი I-მა, რომელიც გამეფებისას, მისი მამის მსგავსად, ოთხ ტიტულს ატარებდა – მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა, ჰერეთზე და კახეთზე კონტროლი დაკარგა. ეს მიწები გაერთიანდა და ახალ სამეფოდ – კახეთ-ჰერეთად იქცა. გიორგიმ, რომელსაც ამის მერე ორი ტიტული „მეფე აფხაზთა და ქართველთა“ შერჩა, ქართული მიწების შემოერთებას იმიერტაოს დაბრუნებისათვის ბრძოლა არჩია, რასაც მოჰყვა ომი ბიზანტიასთან და ამ მიწების მისთვის გადაცემა. ეს მიწები კეისარ ბასილისათვის ომით დაბრუნებული, თუმცა მაინც დიდი პოლიტიკური სარგებელი იყო, რაც მან თავის სასარგებლოდ გამოიყენა [5.285; 3.160].

1027 წელს გარდაიცვალა გიორგი I, რომელსაც ორი მეუღლე ჰყავდა, პირველი – ვასპურაკანის მეფე სენექერიმ არწრუნის ასული მარიამ არწრუნი და მეორე – ოსთა მეფის ასული ალდე. გიორგი, როგორც ზემოთ აღინიშნა, სხვა ქართველი ბაგრატიონებისაგან განსხვავებით, მკვეთრ ანტიბიზანტიურ პოლიტიკას ატარებდა. მან, რომელსაც არ ჰქონდა ბიზანტიური საკარისკაცო ტიტული, საკმაოდ მძიმე შიდაპოლიტიკური პრობლემების მოგვარების მაგივრად, კეისარ ბასილი II-სთან ომი დაიწყო, რაც საქართველოს დამარცხებით დამთავრდა. ამ ომს მოჰყვა მცირეწლოვანი ტახტის მემკვიდრის, ბაგრატ უფლისწულის ბიზანტიაში მძევლობა, რომელიც 1025 წელს ბასილი II-მ საქართველოში დააბრუნა. მისმა ტახტზე ახლად ასულმა ძმამ, კონსტანტინე VIII-მ ბაგრატის უკან წაყვანა სცდა, მაგრამ ამაოდ.

1027 წლიდან საქართველოს მეფე გახდა მცირეწლოვანი ბაგრატ IV (1027-1072 წწ.), რომელსაც, გიორგი I-ის მსგავსად,

ორი ტიტული – „მეფე აფხაზთა და ქართველთა“ ჰქონდა. მეფის ასაკის გამო, სამეფოს მართავდა მისი დედა მარიამ არწრუნი. ამ პერიოდში საქართველო დიდი გამოწვევების წინაშე იდგა: თავაშვებული ფეოდალების ალაგმვა, თბილისის საამიროს და კახეთ-ჰერეთის დამოუკიდებელი სამეფოს შემოერთება; ასევე ბიზანტიის იმპერატორ ბასილი II-თან ომის დროს დაკარგული იმიერტაოს მიწების გადაუჭრელი საკითხი.

ბიზანტიის იმპერიას რომ ძლიერი ქართული სახელმწიფოს შექმნა არაფრად ეპიტნავებოდა, კარგად გამოჩნდა 1028 წელს, ბიზანტიელთა შემოსევისას. მართალია ამ შემოსევას კონკრეტული მიზეზები ჰქონდა [კეისარ კონსტანტინე VIII-ზე (1025-1028 წწ.) გიორგი I-თან დაკავშირებული ნიკიფორე კომნენოსის თავდასხმა; დიდებულთა რჩევა, გიორგი I-ის ვაჟის, ბაგრატ IV-სათვის დაებრუნებინა იმიერტაოს ციხეები], თუმცა, თუ ამ შემოსევის მასშტაბებს გავითვალისწინებთ [„მოვლო და მოაოხრა ქუეყანანი (კონსტანტინე VIII-ის გამოგზავნილმა ბიზანტიელთა სარდალმა – ნ.თ.) იგი, რომელნი პირველ მოეოხრნეს ქუეყანანი ბასილი მეფესცა და უმეტესცა“, თრიალეთში შეჭრა, შავშეთ-კლარჯეთის დალაშქვრა, ქართველი აზნაურების და ე.წ. „წურილი ერის“ მოქრთამვა-გადაბირება, ბაგრატ IV-ისა და დემეტრე კლარჯის დაპირისპირება], აშკარა ხდება, რომ საქმე გვაქვს ბევრად ღრმა მოვლენასთან, ვიდრე შეურაცხყოფილი კეისრის მარბიელი თავდასხმაა. ფაქტია – ბიზანტია ვერ ეგუებოდა საქართველოს ვერც არსებობას, ვერც ძლიერებას [1.54; 5. 292; 8. 382, 385].

1028 წლის შემოსევა შეაჩერა კონსტანტინე VIII-ის სიკვდილმა. კონსტანტინეს ვაჟი არ ჰყავდა და ტახტზე მის შემდეგ მიყოლებით ავიდნენ მისი ქალიშვილი ზოიას ფავორიტები, ხოლო შემდეგ ქმრები: რომანოზ III არგირი (1028-1034 წწ.), მიხეილ IV პაფლაგონი (1034-1041 წწ.) და კონსტანტინე IX მონომახი (1042-1050 წწ.). მათი მმართველობა ბიზანტიის იმპერიის დეგრადაციის ხანად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან

დიდწილად ისინი დედოფალ ზოიას ხელში არსებული მარიონეტები იყვნენ.

რომანოზ III არგირს თავისი ხანმოკლე მმართველობის პერიოდში საქართველოში ლაშქრობა არ განუხორციელებია. ის მეუღლესთან არსებული უთანხმოებისა და საშინაო საკითხების მოგვარებით იყო დაკავებული [12.337; 13.164,171,180].

ქართული სამეფო კარი მცირეწლოვანი მეფით და რეგენტი ქვრივი დედოფლით ცდილობს ბიზანტიასთან უახლოეს წარსულში არსებული მწვავე კონფლიქტები „დაივიწყოს“ და მასთან ახლებური დამოკიდებულებით ორი მნიშვნელოვანი პრობლემა მოაგვაროს: გაიხადოს ბიზანტია მოკავშირედ და მფარველად, რაც საშუალებას მისცემს მისგან საფრთხეც აიცილოს და შიდაპოლიტიკური საკითხებიც დაარეგულიროს.

1031 წელს ეწყობა ქართველთა დიდი ელჩობა ბიზანტიაში, რომელსაც, ქართული წყაროების თანახმად, თავად დედოფალი მარიამ არწრუნი ხელმძღვანელობს, ხოლო ბერძენი ავტორი გიორგი კედრენე წერს, რომ ბიზანტიაში ჩავიდნენ მარიამის წარმომადგენლები. ელჩობის მიზანი იყო მშვიდობის დამყარება და ბაგრატ მეფისთვის „პატივის მითხრობა“, ანუ მეფედ აღიარება და ბიზანტიური მაღალი საკარისკაცო თანამდებობის მინიჭება [2.55].

როგორც ზემოთ აღვნიშნე, აღმოსავლეთ საქრისტიანოს ცენტრი ბიზანტია, ისტორიული ფაქტებიდან გამომდინარე, ძნელად ეგუებოდა საქართველოს შექმნას. ეს მის ინტერესებში არ შედიოდა, თუმცა, ქართული მიწების გაერთიანებამდეც, დაშლილი საქართველოს მმართველნი, განსაკუთრებით ქართლის ერისმთავრები და ტაო-კლარჯეთის მპყრობელი ბაგრატიონები, ბიზანტიას სხვა იმპერიებზე (სასანური ირანი, არაბთა სახალიფო) წინ აყენებდნენ და მასთან დაახლოებას ცდილობდნენ, რასაც რელიგიურ-პოლიტიკური ფაქტორი განსაზღვრავდა. ამისი დასტურია ზემომოყვანილ მმართველთა ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულები (კურაპალატი, ვიპატოსი და ა.შ.) [11.49-56].

ამ ტიტულებს ბაგრატიონნი დიდი სიამაყით ატარებდნენ, რაც მათ სააზროვნო სისტემაში ბიზანტიის უპირატესობის და უზენაესობის აშკარა განმსაზღვრელია. ეს ტენდენცია, სამწუხაროდ, ქართული მიწების გაერთიანების და საქართველოს შექმნის შემდეგაც შენარჩუნდა. აღსანიშნავია, რომ ბიზანტიის მესვეურები გაერთიანებული საქართველოს მეფეებს მეფის ტიტულით არც იხსენიებდნენ და მათ მთავარზე „არხონ“ მაღლა არ აყენებდნენ [3.173], რაც უფრო გამოკვეთს ზემომოყვანილ მენტალურ სუბსტანციას. ბიზანტიის უზენაესად და უპირატესად აღიარება საქართველოს მეფეების მიერ (თუ გიორგი პირველის ანტიბიზანტიურ პოლიტიკას არ ჩავთვლით) გრძელდება დავით აღმაშენებლამდე, რომელსაც აღარაფრად სჭირდება ბიზანტიური ტიტულები, რადგან თავს ბიზანტიის იმპერატორებზე ნაკლებად არ თვლის. ამისი დამადასტურებელია, რომ მას არ ჰქონდა ის ბიზანტიური „პატივი“, რის მისაღებადაც მეფე ბაგრატ მეოთხისათვის ასე ილტვოდა დედამისი, საქართველოს დედოფალი მარიამ არწრუნი [4.255].

ფაქტია, რომ ბაგრატ მეოთხის გამეფებისას დედოფალი მარიამი ბიზანტიას, მის მხარდაჭერასა და ბიზანტიურ ტიტულს თავისი ვაჟისთვის იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რომ შიდაპოლიტიკური, საკმაოდ აწეწილი საქმეების მოგვარება გვერდზე გადადო და ბიზანტიაში წავიდა ელჩად ან, თუ კედრენეს დავუჯერებთ, ელჩები გააგზავნა, რათა მოეგვარებინა მთავარი საკითხი: დაეშოშმინებინა მრისხანე მეზობელი და მიეღო მისგან პატივი თავისი ვაჟისათვის. ნებისმიერ შემთხვევაში ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულის ტარება და ამის პატივად მიჩნევა ბიზანტიის უპირატესობის აღიარებას ნიშნავდა, რაც, როგორც აღვნიშნეთ, დავით აღმაშენებლის ზეობაში დასრულდა, როდესაც ქართველი მეფე ბიზანტიას გაემიჯნა და აღმოსავლეთის უდიდესი სახელმწიფოს მბრძანებელი გახდა.

სუმბატ დავითის ძე წერს: „დედოფალმან მარიამ, დედამან ბაგრატ მეფისამან, შეიმოსა სიმხნე და ახოვანება, რამეთუ ნაშობი იყო ბრწყინვალეთა მათ ძლიერთა და დიდთა მეფეთა არშაკუნიანთა და წარვიდა კონსტანტინეპოლედ წინაშე რომანოზ მეფისა, ვედრებად მისა, რათა მშვიდობა ყოს აღმოსავლეთს და რათა არღარ იყოს ბრძოლა ბერძენთა და ქართველთა, და გლახაკნი დაწყნარებულ და მყუდრო იყვნენ, და რათა მიუთხრეს პატივი ძესა თვისსა ბაგრატს მეფისა წესისაებრ სახელისა“ [8.386].

მარიამის ვიზიტს ადასტურებს მეორე ქართული წყაროს, „მატიანე ქართლისაჲს“ უცნობი ავტორიც: „ამისა წელსა მესამესა წარვიდა დედოფალი მარიამ, დედა ბაგრატისი, აფხაზთა მეფისა საბერძნეთად ძიებად მშვიდობისა და ერთობისა, და კუალად ძიებად პატივისა კურაპალატობისა ძისათვის თვისისა... და მოყვანებისათვს ძის ცოლისა. და ვითარცა მიიწია საბერძნეთად წინაშე ბერძენთა მეფისა, აღუსრულა ყოველი სათხოველი სიხარულით: მისცა ფიცი და სიმტკიცენი ერთობისა და სიყვარულისათვს, დაუწერა ოქრო-ბეჭედნი, მოსცა პატივი კურაპალატობისა და მოსცა ცოლად ბაგრატისთვს ელენე დედოფალ“ [5.294].

გიორგი კედრენე, მესამე წყაროს ავტორი, აღნიშნავს: „ამასობაში ავადმყოფობისგან გარდაიცვალა აფხაზეთის მთავარი გიორგი, ხოლო მისმა მეუღლემ მეფესთან ელჩები გამოგზავნა საჩუქრებით და სთხოვდა საზავო ხელშეკრულებას და თავისი ვაჟისათვის, ბაგრატისათვის საცოლეს. მეფემ მისი თხოვნა შეიწყნარა, ზავი განუმტკიცა და თავისი ძმისწული ელენე, თავისი ძმის ბასილის ქალიშვილი, აფხაზეთში გაგზავნა სარძლოდ. ხოლო ბაგრატი კურაპალატის წოდებაში აღაზევა“ [2.55].

სამივე წყარო მეტ-ნაკლები ცვლილებით ერთსა და იმავე ამბავს გადმოგვცემს, მარიამის ელჩობას – მშვიდობის დამყარების და ბაგრატისთვის კურაპალატობის „პატივის“ მინიჭების მიზნით. რაც შეეხება ელენე არგირს, რომანოზ არგირის

ბასილის ქალიშვილს, ეს ქორწინება, როგორც ჩანს, საქართველო-ბიზანტიის სამშვიდობო გარიგების მერე დადგა დღის წესრიგში, რაც ბაგრატისთვის, კურაპალატობის პატივის მინიჭებასთან ერთად, ქართველების დიდ დიპლომატიურ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს.

აღსანიშნავია, რომ „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეულ ნუსხაში „მატიანე ქართლისას“ წინ ერთვის ჩანაწერი, რომელიც ამოღებულია საქართველოს მაშინდელი კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ პირველის „დაწერილიდან“, სადაც მოთხრობილია, რომ რომან არგირთან ჩასულა მელქისედეკ კათოლიკოსი, რომლისთვისაც კეისარს საყდართა შესამკობელი ხატები, ჯვრები და სამღვდელთმთავრო-სამღვდელო სამკაული და შესამოსელი უბოძებია [5.294; 6]. ჩანაწერიდან ნიკოლოზ ბერძენიშვილი ასკვნის, რომ, სავარაუდოდ, დედოფალ მარიამთან ერთად კეისართან მოლაპარაკებას კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკიც აწარმოებდა [9.193].

მარიამის ელჩობაზე და მასში კათოლიკოს მელქისედეკის სავარაუდო მონაწილეობაზე საუბრობს იაჰია ანტიოქიელიც: „და მოვიდნენ ქალაქ კონსტანტინოპოლს – დედამისი სანახაბირის ასული, კათალიკოსი, ე.ი. ჯასალიკი, რომელიც მათი სამღვდელოების მეთაურია და ჯგუფი მათი მთავრებისა, დადეს ეს (ხელშეკრულება), წაიყვანეს სარძლო მის მეუღლესთან, ბაგრატთან და მოწესრიგდა ვითარება ბიზანტიელებსა და აბხაზებს შორის“ [10.628].

წყაროთა ურთიერთშეჯერებით ირკვევა, რომ მარიამის ელჩობა (რომელსაც, სავარაუდოდ, დიდ ამალასთან ერთად კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკიც ახლდა თან) წარმატებით დაგვირგვინდა, ბიზანტიის კეისარმა რომან არგირმა მშვიდობის პირობა მისცა ქართველებს. ამ პირობის განსამტკიცებლად, ბაგრატ IV-ს კურაპალატის ტიტული უწყალობა და ძმისწული ელენე არგირი ცოლად გამოაყოლა.

სამწუხაროდ, ელენე დედოფალი, რომელთანაც ბაგრატმა ბანას ტაძარში პომპეზური ქორწილი გადაიხადა [14.204], მალე გარდაიცვალა და ამ ეტაპზე ბიზანტია-საქართველოს შორის არსებული ნათესაური კავშირი შეწყდა, თუმცა ბაგრატ IV მთელი სიცოცხლე ატარებდა კურაპალატის ტიტულს, რაც მის ცნობიერებაში ბიზანტიის საქართველოზე უპირატეს სახელმწიფოდ აღიარებად უნდა ჩაითვალოს.

ზოგი მეცნიერის აზრით, მარიამ არწრუნის პრობიზანტიური პოლიტიკა აღიზიანებდა მის ქმარს, მეფე გიორგი I, რის გამოც მოხდა მათი განქორწინება და გიორგის ოსთა მეფის ასულ ალდეზე დაქორწინება [7.153]. ასეა თუ ისე, გიორგის სიკვდილის შემდეგ, საქართველოს მეფეთა ცნობიერებაში ბიზანტიის უპირატესობის და უზენაესობის აღიარება აშკარაა, რაც მათ პოლიტიკაში კარგადაა გამოხატული და წითელ ზოლად გასდევს მთელი მეთერთმეტე საუკუნის საქართველოს ისტორიას. მიუხედავად ქართული მიწების გაერთიანებისა და საქართველოს დამოუკიდებელი სამეფოს შექმნისა, დავით IV აღმაშენებლის ზეობამდე (1089 წ.), გარდა გიორგი I-ისა, გაერთიანებული საქართველოს ყველა მეფე (ბაგრატ III, ბაგრატ IV, გიორგი II) ატარებს ბიზანტიურ ტიტულს, რაც, მარიამ არწრუნის ელჩობასთან ერთად, ბიზანტიისადმი ზემომოყვანილი დამოკიდებულების დადასტურებად უნდა ჩაითვალოს.

ლიტერატურა – REFERENSES

1. არისტაკეს ლასტივერტეცი. „ისტორია“, ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებით და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, წიგნი XXXIII , თბ., 1974.

2. კედრენე გ. გეორგიკა, ტ. V, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1963.
3. ლორთქიფნიძე მ. საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X საუკუნის 80-იანი წლებიდან XI საუკუნის 80-იანი წლებამდე, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი III, თბ., 1979.
4. ლორთქიფანიძე მ. საქართველო XI საუკუნის ბოლოსა და XII საუკუნის პირველ მეოთხედში, დავით IV აღმაშენებელი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი III, თბ., 1979.
5. მატიანე ქართლისაი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I , თბ.,1955.
6. მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, ნ. ბერძენიშვილის გამოცემა, საქართველოს ისტორიის საკითხები, IV , თბ., 1967.
7. პაპასქირი ზ. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეოპოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1990.
8. სუმბატ დავითის ძე. „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბ.,1955.
9. საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, I , თბ., 1958.
10. ქართული დიპლომატია, წელიწდეული, IX წიგნი, თბ., 2002.
11. VIII-IX საუკუნეების ქვაზე კვეთილი რელიეფის ადგილი შუა საუკუნეების ქართული სკულპტურის განვითარებაში (ოპიზის რელიეფი აშოტ კუროპალატის გამოსახ-

ულებით, ბორჯომის ტიმპანი, თელოვანის და უბისის რელიეფები, უსანეთის სტელა, გველდესის კანკელი, მათი დახასიათება და ანალოგი დასავლეთ ევროპის ხელოვნებასთან), ნათელა ალადაშვილი. „საქართველოს სიძველენი“, 2005, N7-8.
12. Величко А. М., История Византийских императоров. Москва, 2010.
13. Диль Ш., Византийские портреты: (Пер. с фр.), Москва, 1994.
14. Eastmond, Antony, Royal Imagery in Medieval Georgia. Univercity Press, Univercity Park, Pennsylvania, 1998.

NINO TOMADZE

FROM THE HISTORY OF GEORGIAN-BYZANTINE RELATIONSHIPS IN 11TH CENTUURY

(MARIAM ARTSRUNI'S MISSION TO BYZANTIUM, HISTORICAL-MENTAL ANALYSIS)

Summary

In early 11th century, in the Christian east a new state of Georgia has emerged, Georgian lands – Abkhazia, Tao-Klarjeti, Hereti, Kakheti were unified and new, united Georgian monarchy headed by Bagrat III (975-1014) was formed, thus creating basis of Georgian statehood.

Certainly, all these events occurred in the view of the Eastern Roman Empire, so called Byzantium. We can hardly propose the emotions caused in the rulers of Byzantium, outpost of Orthodox Christianity by transformation of ancient Orthodox lands into one powerful monarchy, but the history hives answer to this question, showing that emergence of the new Orthodox Christian kingdom was some kind of challenge for Byzantium. It is fact that for 11th century the Byzantine policies to Georgia were not uniform, with the periods of war and armistice, friendly relationships and internal confrontations, protecting its interests only,

frequently at account of weakening of Georgia and destabilizing Georgian policies. And this evidences that existence of unified Georgian monarchy (at least before invasion of Seljuk Turks, making Byzantium and Georgia into allies) meant new political competitor at international arena.

In 1027, George I (1014-1027), son of Bagrat III died. He had two wives, first Mariam Artsrun and the second – Alde, daughter of the king of Ossetians. Unlike the other Georgian Bagrations, George implemented prominently anti-Byzantium policies. He had no title of Byzantine nobility and instead of dealing with quite severe domestic problems, he commenced war against Caesar Basil II (978-1025) which ended with the defeat of Georgia. As a result of this war, young Prince Bagrat, heir to the throne was taken to Byzantium, as a hostage. In 1025, before his death, Basil II returned him to Georgia. His brother, newly enthroned Constantine VIII (1025-1028) attempted to take Bagrat back, but the effort was vain. In 1027, young Bagrat IV (1027-1082) was enthroned in Georgia. Because of the king's age, the kingdom was ruled by his mother, Mariam Artsruni. In that period, Georgia faced significant challenges, clamping down of the feudal lords that have gone out of hand, joining of Tbilisi Emirate and Kakhet-Hereti independent kingdom, as well as the unsolved issue of the Tao lands beyond border lost at a time of war with Emperor Basil II.

In 1031, visit of large group of Georgian envoys to Byzantium was arranged. According to Georgian sources, the group was led by Queen Mariam Artsruni and Greek author, George Kedrenos wrote that representatives of Mariam have visited Byzantium. Goal of the envoys was achievement of peace and recognition of Bagrat, as a king and awarding high Byzantine position to him.

As I have mentioned above, for Byzantium, the center of Eastern Orthodox Christianity, creation of Georgia was hardly acceptable, this was not in its interests, though, before unification of Georgian lands, the rulers of decomposed Georgia, especially rulers of Kartli and Bagrationi, possessing Tao-Klarjeti gave preference to Byzantium, among the other empires (Sasanian Iran, Arab Caliphate) and attempted to be clo-

ser to it, due to religious-political factors and this can be clearly seen regarding their Byzantine titles of court nobles (kuropalates, hypatos etc.). Bagrationi were very proud to have such titles and this apparently emphasizes preference and supremacy of Byzantium in their thinking. This mental substance (disregarding anti-Byzantine policies of George I) persisted up to reign of David IV the Builder (1089-1125), which did not need the Byzantine titles as he regarded that he was no lower than the Byzantine emperors, This is evidenced by the fact that he rejected the Byzantine "honors", for which Bagrat IV's mother, Mariam Artsruni, Queen of Georgia strived so much, for her son.

Mariam's mission (supposedly accompanied by Catholicos-Patriarch Melkisedek) was successful, Caesar of Byzantium, Romanos Argyros promised the Georgians that he would support peace and to confirm this promise, awarded title of kuropalates to Bagrat VI and gave his nephew, Helena Argyre as his wife.

Unfortunately, Queen Helena, with whom Bagrat has celebrated great wedding at Bana Monastery, died soon and at that stage the relative links between Byzantium and Georgia ended, while Bagrat IV had the title of kuropalates for entire his life and this should be regarded as recognition of Byzantium as the state superior to Georgia.

In the opinion of some scientists, George I was against Mariam Artsruni's pro-Byzantine policies and for this cause he divorced her and married Alde, daughter of the king of Ossetians. Anyway, after George's death, recognition of eminence and supremacy of Byzantium by Georgian kings is apparent and this can be clearly seen in their policies and this is emphasized for the history of Georgia for entire 11th century, before enthronement of David the Builder, as, irrespective of unification of Georgian lands and creation of independent Georgian state, before reign of David IV the Builder (1089), with the exclusion of George I, all kings of unified Georgia, including Bagrat III, Bagrat IV, George II had Byzantine titles and this is apparent sign of eminence and supremacy of Byzantium in their thinking system and this is also confirmed by Mariam Artsruni's mission to Byzantium.

იზოლდა ბელთაძე

ინგლისის სავაჭრო ბურჟუაზია და კათოლიკური ეკლესია XV–XVI საუკუნეებში

XV-XVI საუკუნეების ინგლისის სავაჭრო ბურჟუაზიის და მისი დამოკიდებულების ისტორიის შესწავლა კათოლიკურ ეკლესიასთან მეტად მნიშვნელოვანია. ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ როგორ ყალიბდებოდა ეს ურთიერთობა ტიუდორების ეპოქაში, რა ადგილი ეჭირა ღვთისმსახურებას ვაჭართა ცხოვრებაში, როგორ ექცეოდა ეკლესია მათი პატრონატის ქვეშ, როგორ განსაზღვრავდნენ ეს უკანასკნელნი ორდონანსებით და სტატუტებით ეკლესიის შინაგანაწესს და როგორ მივიდა ინგლისი სამეფო რეფორმაციამდე, რომელსაც მოჰყვა, ბურჟუაზიის ინტერესებიდან გამომდინარე, საეკლესიო და სამონასტრო მიწების სეკულარიზაცია.

ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტები, რომელიც თავმოყრილია XVI ს-ის უნიკალურ წყაროში – „The Acts of Court of the Mercer's Company", გვაძლევს საშუალებას შევისწავლოთ ზემოთ აღნიშნული საკითხები.

ღვთისმსახურებას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ინგლისელ ვაჭართა ცხოვრებაში. ამის დასტურია ლონდონის მერსერთა (ქსოვილით მოვაჭრეთა) კომპანიის დამოკიდებულება წმინდა თომასის კათოლიკური ეკლესიისადმი.

როგორც ცნობილია, მერსერთა კორპორაცია ითვლებოდა ფუძემდებლად და პატრონად წმინდა თომასის კათოლიკური ეკლესიისა და ამიტომაც კორპორაცია დიდ გავლენას ახდენდა ამ ეკლესიის ცხოვრებაზე. ეკლესიას უფლება არ ჰქონდა გადაეწყვიტა საეკლესიო საქმეები მერსერ ვაჭართა გარეშე [1.164].

ამ მხრივ საინტერესოა ერთი ფაქტი: ლონდონის ეპისკოპოსი აცნობებდა მერსერთა კორპორაციას იმის შესახებ, რომ წმინდა თომასის ეკლესიის წინამძღვრის ადგილი განთავისუფლდა, ვაკანტურია და, მისი აზრით, ყველაზე კარგი კანდიდატურა იყო დოქტორი იანგი. ხოლო ეს უკანასკნელი უარზე იყო დაეკავებინა ეს ადგილი. ლორდ ეპისკოპოსი ითხოვდა, რომ მერსერთა კორპორაციას დაეთანხმებინა იანგი, რათა დაეკავებინა აღნიშნული თანამდებობა [3. 375].

ისმის კითხვა: რატომ მიმართა ლონდონის ეპისკოპოსმა მერსერებს? ჩვენი აზრით, ეს იმიტომ მოხდა, რომ, ჯერ ერთი, მერსერთა კორპორაცია დიდ გავლენას ახდენდა წმინდა თომასის ეკლესიაზე და მის რჩევას აუცილებლად გაითვალისწინებდა და, მეორე, კორპორაცია დიდად იყო დაინტერესებული ხსენებული ეკლესიის ბედ-იღბლით. მართლაც, იანგი მერსერების გავლენით დაინიშნა წმინდა თომასის ეკლესიის წინამძღვრად.

ამავე დროს, როდესაც ირჩევდნენ აღნიშნული ეკლესიის კაპელანებს, აუცილებლად უნდა მიეღოთ მერსერთა კორპორაციისაგან წერილობითი ნებართვა, რომელიც დამოწმებული უნდა ყოფილიყო კორპორაციის ბეჭდით [3.319].

უფრო მეტიც, მერსერები თვითონ ირჩევდნენ და ამტკიცებდნენ კანდიდატებს ეკლესიის კაპელანების, წინამძღვრის თანამდებობაზე.

იყო შემთხვევები, როდესაც კაპელანები არ ასრულებდნენ კეთილსინდისიერად თავიანთ მოვალეობას და ეს გამხდარა კორპორაციის მსჯელობის საკითხი. ასე მაგალითად, 1512 წელს წმინდა თომასის ეკლესიის წინამძღვარმა იჩივლა მერსერებთან, რომ კაპელანები ყოველთვის არ ცხადდებოდნენ დაწესებულ დღესასწაულებზე და არ იცავდნენ წირვის ჟამს საეკლესიო გალობისათვის დანიშნულ დროს. სწორედ ამიტომ, მერსერთა კორპორაციამ დაამტკიცა ორდონანსი წმინდა თომასის ეკლესიის კაპელანებზე, რომლის მიხედვით მათ უნდა

დაედოთ ფიცი ერთგულების შესახებ მეფისა და მერსერთა კორპორაციის წინაშე და დაეცვათ შემდეგი მუხლები:

1. კაპელანს ყოველდღე უნდა ჩაეტარებინა წირვა ლონდონის მერსერთა სამლოცველოში – წმინდა თომასის ეკლესიაში და ღვთისმსახურების დროს ყოველთვის ელოცა კომპანიის კეთილდღეობისა და მისი საქმიანობის წარმატებისათვის; უნდა ელოცათ მეფე რიჩარდ II-ის სულის მოსახსენებლად, იმ მეფისა, რომელმაც პირველმა გამოსცა ქარტია და შექმნა მერსერთა კორპორაცია და ნება მისცა მათ შეეძინათ მიწები და სამფლობელოები ამ ეკლესიის კაპელანების და ეკლესიის მსახურთა სარჩენად. ასევე მოვალენი იყვნენ ელოცათ რიჩარდ უიტინგტონზე, რობერტ კაპაზე და მათ სხვა მეგობრებზე, რომელთა სახელები დაწერილი იყო საკურთხევლის პატარა მაგიდაზე (როგორც ჩანს, ამ პირებსაც დიდი წვლილი ექნებოდათ ეკლესიის დაარსებაზე – ი. ბ).

2. კაპელანები ყოველთვის თან უნდა ხლებოდნენ კორპორაციის მამასახლისებს ყველა ღვთისმსახურებაზე ლონდონის სიტის ფარგლებში.

3. კაპელანები ნებისმიერ დღესასწაულზე უნდა გამოცხადებულიყვნენ ეკლესიაში დილის 6 საათზე.

4. თუ კვირის განმავლობაში რომელიმე კაპელანი ილოთებდა, განთავისუფლდებოდა თავისი მოვალეობისაგან [3.411].

ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ ისახება ახალი წესი ურთიერთობისა სავაჭრო ბურჟუაზიასა და ეკლესიას შორის, რომლის მიხედვით სასულიერო პირები უნდა დამორჩილებოდნენ საერო ხელისუფლებას. სწორედ ასეთი მოთხოვნა შეესაბამებოდა გერმანელი ჰუმანისტისა და რეფორმატორ მარტინ ლუთერის მოძღვრებას. ამასვე მოითხოვდნენ გერმანელი გლეხები თომას მიუნცერის მეთაურობით „12 მუხლის“ მიხედვით (გერმანიაში გლეხთა ომის დროს1524-1525 წწ.).

იმავეს ადასტურებს 1517 წლის წყარო, საიდანაც ირკვევა, რომ სწავლულთა საბჭოს შეუდგენია ორდონანსები და სტატუტები, რომელიც უნდა შეესრულებინა ეკლესიის წინამძღვარს და მის ყველა მსახურს (ეს სტატუტები და ორდონანსები განსაზღვრავდა, რა თქმა უნდა, მათ უფლება-მოვალეობას – ი.ბ).

ორდონანსები დაწერილი იყო ინგლისურ ენაზე და განუხილავთ ის მერსერთა კორპორაციის მამასახლისთა თანაშემწეების კრებაზე 1517 წლის 5 მარტს. ყოველი მუხლის თაობაზე გამართულა კამათი. ბოლოს გადაუწყვეტიათ ტექსტი ეჩვენებინათ თომას მორისათვის და ეთხოვათ მისთვის რჩევა.

ჩვენთვის ცნობილია, რომ თომას მორი, ინგლისელი ჰუმანისტი, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ლონდონის მდიდარ სავაჭრო კომპანიებთან და როგორც ე. წ. „თავისუფალი ვაჭარი“ მონაწილეობას იღებდა მერსერთა კომპანიის სხვადასხვა საკითხის განხილვაში და ასევე სავაჭრო მოლაპარაკებებში [3.320; 2.54], რაც განპირობებული უნდა ყოფილიყო მისი უაღრესად დიდი განათლებით, ლათინური და ინგლისური ენების კარგი ცოდნით. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ამჯერადაც კომპანიამ მიმართა თომას მორს და მისი დახმარებით განსაზღვრა სტატუტები და ორდონანსები წმინდა ტომასის ეკლესიის მსახურთათვის. თომას მორის რჩევით შეუდგენიათ (წიგნის) ორი ასლი. ერთი დაუტოვებიათ მერსერთა ხოლში (სასახლეში) მამასახლისებთან და მის დამხმარეებთან, ხოლო მეორე გადაუციათ ეკლესიისათვის. როდესაც ასლები საბოლოოდ შეუდგენიათ, მერსერთა კორპორაციას ბეჭდით დაუმტკიცებია [3.452].

აქ უნდა მივაქციოთ ყურადღება იმ გარემოებას, თუ როგორ გადაიქცა რეფორმაციის წინა პერიოდში ბურჟუაზია ეკლესიის ბატონ-პატრონად, მაგრამ ეს მეტყველებს არა მათ მიერ საეკლესიო მიწების დაუფლების მისწრაფებაზე (პირიქით, ისინი ამ ეკლესიისათვის მიწებს თვითონ ყიდულობდნენ), არა-

მედ სურვილზე, გადაექციათ ეკლესია თავიანთ მსახურებზე (ქარგლებზე და შეგირდებზე) ზემოქმედების იარაღად, გამოეყენებინათ იგი აღზრდის საშუალებად, დაემორჩილებინათ ისინი თავიანთი ნორმებისათვის და წესებისათვის.

თანდათანობით საეკლესიო თანამდებობა საერო პირთა პატრონატის ობიექტად გადაქცეულა. ეს შეინიშნებოდა არა მარტო ლონდონის სიტიში, წმინდა ტომასის ეკლესიაში, არამედ ინგლისის სხვა ადგილებშიც. ასე მაგალითად, ნორტჰემპტონის შაირში ფარდინგოს ეკლესიის მღვდელი მიუღიათ კაპელანად ოლდერმენების და მამასახლისების თანდასწრებით და შემდეგ უცნობებიათ ამის შესახებ ეკლესიის მსახურებისათვის.

1526 წელს, როცა განთავისუფლებულა წმინდა თომასის ეკლესიის წინამძღვრის ადგილი, ჩატარებულა არჩევნები, სადაც გადამწყვეტი ხმის უფლება ეკლესიის მსახურებს მიუციათ მილორდ-კანცლერისათვის, რომელსაც უნდა დაესახელებინა კანდიდატურა [3.453]. აქაც ირკვევა, რომ ისევ საერო პირი წყვეტდა ეკლესიის წინამძღვრის დანიშვნის საკითხს.

მერსერთა კორპორაცია, ეკლესიის წინამძღვრისა და კაპელანების დანიშვნის გარდა, სასულიერო პირების სხვა თანამდებობაზე დანიშვნასაც ახდენდა. ასე მაგალითად, სასულიერო პირი, წმინდა პავლეს კოლეჯის წინამძღვრის, ჯონ კოლეტის შთამომავალი, უილიამ ნიუბოლდი აურჩევიათ კომპანიის კლერკად (რეგისტრატორად), რომელსაც უნდა ჩაეწერა ყველა დოკუმენტი [3.96].

წმინდა თომასის ეკლესიასა და კორპორაციას შორის ხდებოდა გარკვეული პირობით გარიგებაც. ასე მაგალითად, 1515 წელს წმინდა თომასის ეკლესიის წინამძღვარს უთხოვია კორპორაციისათვის სახსრების გამოყოფა ეკლესიის მსახურთა სახლის აშენებისათვის, რაზეც კორპორაცია დათანხმებულა, მაგრამ ეკლესიისაგან მოუთხოვია წერილობითი ვალდებულება, რომ სამლოცველოს ეზოში ვაჭრებს ჰქონოდათ იქ დაკ-

რძალვის გარანტია, გარდაცვალების შემდეგ [3.429-430]. გამოდის, რომ სავაჭრო კომპანია, ეკლესიისათვის სახსრების გამოყოფის სანაცვლოდ, ითხოვდა საფლავის ადგილის გამოყოფას ეკლესიის ეზოში.

ამრიგად, ლონდონის „მესერთა სავაჭრო კომპანიის აქტებში“ არსებული დოკუმენტების შესწავლამ ნათელყო, რომ წმინდა თომასის ეკლესია იმყოფებოდა მერსერთა პატრონატის ქვეშ. საეკლესიო მსახურები ვაჭრების მიერ გადაიქცნენ კორპორაციის ჩინოვნიკებად. აი, სად უნდა ვეძებოთ რეფორმაციის ფესვები.

ტიუდორების მმართველობის ბოლოს, XVI საუკუნის მეორე ნახევარში, წარმოიშვა ოპოზიცია აბსოლუტური რეჟიმის წინააღმდეგ. ამ ოპოზიციამ მიიღო რელიგიური ელფერი. ინგლისში სწრაფად ვითარდებოდა რელიგიური ხასიათის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც ცნობილია პურიტანიზმის სახელწოდებით. პურიტანების მიხედვით, ინგლისური რეფორმაცია დარჩა დაუმთავრებელი. პურიტანები და მასთან ერთად ლონდონელი ვაჭრები მიიჩნევდნენ, რომ ინგლისის კათოლიკური ეკლესია უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი სამეფო ხელისუფლებისაგან.

საბოლოო ჯამში, ინგლისური ეკლესია არ იყო ისეთი ეკლესია, რომელიც შეესაბამებოდა ლონდონის ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ბურჟუაზიის ინტერესებს [5.62].

ჰენრი VIII-ის ფეოდალურ-აბსოლუტური ხელისუფლება, ეყრდნობოდა რა გაბატონებულ დიდგვაროვნებს და ბურჟუაზიას, იძულებული იყო თავის პოლიტიკაში გაეთვალისწინებინა ამ ფენების ინტერესები, რაც მოითხოვდა იაფი, ნაციონალური ეკლესიის შექმნას [1.96]. ეს საბოლოოდ დასრულდა ინგლისში სამეფო რეფორმაციით, რომელსაც მოჰყვა ანგლიკანური ეკლესიის შექმნა.

რაც შეეხება ვაჭარ-მერსერთა ურთიერთობას კათოლიკურ ეკლესიასთან, განისაზღვრებოდა შემდეგნაირად: სასუ-

ლიერო ხელისუფლება (წმინდა თომასის ეკლესიის მაგალითზე) მოექცა ვაჭართა გავლენის ქვეშ. ამ ეკლესიას არ შეეძლო საეკლესიო თანამდებობაზე აერჩია სასულიერო პირი, მერსერთა კორპორაციის თანხმობის გარეშე. მოგვიანებით კორპორაცია თვითონ არჩევდა კანდიდატებს საეკლესიო თანამდებობაზე და ამტკიცებდა მათ თავისი ბეჭდით. სასულიერო პირები, რომლებიც მსახურობდნენ აღნიშნულ კათოლიკურ ეკლესიაში, გადაიქცნენ ვაჭართა მოხელეებად. ვაჭარ-მერსერები თვითონ შეიმუშავებდნენ საეკლესიო სტატუტებს და ორდონანსებს. ერთი სიტყვით, წმინდა თომასის ეკლესია გახდა დამოკიდებული მერსერთა სავაჭრო კომპანიაზე. ასეთი ურთიერთობა დამყარდა იმ ეკლესიებთან, რომლებიც იმყოფებოდა ბურჟუაზიული კომპანიების პატრონატის ქვეშ. ყოველივე ეს კი ამზადებდა ნიადაგს რეფორმაციული მოძრაობისათვის ინგლისში.

ლიტერატურა – REFERENSES

1. ბელთაძე-ხინიკაძე ი. ლონდონის მერსერთა და ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანია XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე, ბათუმი, 1997.
2. ბელთაძე-ხინიკაძე ი. ინგლისის სავაჭრო კომპანიები და კოლონიური ექსპანსია XV-XVII საუკუნეების დასაწყისში, თბ., 2009.
3. The Acts of Court of the Mercer's Company (1453-1527) w.th. an introduction by L. lyell assisted by E. D. Watney. Cambridge, 1936.
4. Ивонин Ю. Е., Религиозно-политические союзы в западноевропейской политике первой половины XVI века, ВИ, Москва, 1978 № 11.
5. Исаенко А.В., Английкая реформация XVI века, Орджоникидзе. 1982.

IZOLDA BELTADZE

RELATIONS OF THE ENGLISH COMMERCIAL BOURGEOISIE WITH THE CATHOLIC CHURCHIN THE XV-XVI CENTURIES

Summary

Study of the history of dependence of the XVI-XVI century England trade bourgeoisie is more important than the Catholic Church. Our goal is to show how it has evolved this relationship in Tudor era, what was the place in worship merchants life dealings with the church for their patronage of how to define the latter ordonnance and the Statute of the church's internal regulations and how it came up to England's royal Reformation, which was followed by the bourgeoisie in the interest of Church and secularization of monastic lands.

The documents available at our disposal are unique dating to XVI c. "The Acts of Court of the Mercer's Company" gives us the opportunity to study the above issues.

The study of existing documents in the Lamborg Meyers' Trading Company revealed that the St. Thomas Church was under the patronage of the Mersers. The ecclesiastical servants turned into merchants as corporations. Here's where to look for the roots of the reform.

In the second half of the XVI century, at the end of the Tudor's rule, the opposition has emerged against the absolute regime. This opposition has received a religious tone. In England the rapidly evolving religious character, socio-political movement known as the Puritanism. According to Puritans, the English Reform is not finished. Puritans and the merchants of London believe that the Catholic Church of England should be independent from royal authority.

The merchants' relationship with the Catholic Church was as follows: the clergy (under the example of St. Thomas Church) was under the influence of the business. This church could not have been elected to a church position without the consent of the Mercer Corporation. La-

ter, the corporation had chosen candidates for the church and approved their stamp. The clergy who served in the Catholic Church were turned into businessmen. The merchants will develop their own ecclesiastical statutes and orders. In a word, St. Thomas Church became dependent on Mercer's Trading Company. Similar relations were established with the churches that were under the patronage of bourgeois companies. All this made the groundwork for the reform movement in England.

სოფიო გუგუნავა

ქრისტიანობის გზა კორეის ნახევარკუნძულზე

კორეის რესპუბლიკა საკმაოდ უნიკალურია რელიგიის თვალსაზრისით, რადგან, ეთნიკური ჰომოგენურობის მაღალი დონის მიუხედავად, არ არსებობს ერთი დომინანტი რელიგია. მიუხედავად იმისა, რომ კორეელთა უმეტესობა არ აღიარებს არცერთ რელიგიურ მიმდევრობას, ბევრი მათგანი მაინც ეწევა რელიგიურ მსახურებას. აღსანიშნავია, რომ ქრისტიანობის გამოჩენას კორეის ნახევარკუნძულზე თავდაპირველად უარყოფითად შეხვდნენ, თუმცა მან საკმაო პოპულარობა მოიპოვა, რაც დღემდე არ კარგავს აქტუალობას.

კათოლიციზმი კორეაში პირველად მე-17 საუკუნეში გამოჩნდა, ხოლო „დასავლური სწავლებები" ჩინეთში მოღვაწე კათოლიკე მისიონერების მიერ ითარგმნებოდა და ნელ-ნელა ვრცელდებოდა კორეის ტერიტორიაზე [1.118]. მიუხედავად იმისა, რომ კორეელები დაინტერესებულნი იყვნენ დასავლური მეცნიერებებით, მათ უარყვეს ის რელიგიური გზავნილი, რასაც „დასავლური სწავლებები" გადმოსცემდა. მე-18 საუკუნიდან ვითარება შეიცვალა, როდესაც კორეელი მეცნიერი **პიტერ ი სუნხუნი** მისიით გაემგზავრა პეკინში, სადაც, 1784 წლის გაზაფხულზე, კათოლიკედ მოინათლა. იგი იყო პირველი რომაელი კათოლიკე მოწამე კორეაში. მისი მამა გახლდათ თავად **სოამ ი დონ უკი**, პიონჩანგის კლანის წევრი, რომელიც ვიცემინისტრის პოსტს იკავებდა და სასტიკად ეწინააღმდეგებოდა კორეაში ქრისტიანული სწავლებების გავრცელებას [3.56].

კორეაში დაბრუნებლმა პიტერ ი სუნხუნმა თან წამოიღო რელიგიური წიგნები, ასევე რელიგიური ატრიბუტები (ჯვარცმა, ხატები და სხვა), დაიწყო ქრისტიანობის ქადაგება და ხალხის მონათვლა. გაქრისტიანების მსურველთა რიცხვი თან-

დათანობით იზრდებოდა, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია კორეის ხელისუფლებაში. ისინი კათოლიკობის გავრცელებას აღიქვამდნენ, როგორც საფრთხეს; შიშობდნენ, რომ კათოლიკეთა საგარეო კავშირები ხელს შეუწყობდა ქვეყანაში აჯანყებების გაღვივებას და დესტაბილიზაციას შემოიტანდა სახელმწიფო მმართველობაში [3.62].

1801 წელს კორეის ხელისუფლებამ დაიწყო მასიური რეპრესიების გატარება კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ, რასაც 300-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, მათ შორის იყო ი სუნხუნი (1801 წლის 8 აპრილი). ხოლო 1860 წელს დასავლური იმპერიალიზმის აღზევებამ და დასავლეთის ზეწოლამ კორეაზე რეპრესიების მეორე, უფრო მასიური ტალღა გამოიწვია, რის შედეგადაც ათასობით ადამიანი სიკვდილით დასაჯეს, რომელთა შორის იყვნენ ფრანგი მისიონერებიც [2.45-46]. ყოველივე ამის გამო, კორეელი კათოლიკეები საზოგადოებრივი ცხოვრების ზღურბლზე არსებობდნენ, ქმნიდნენ „გეტო ეკლესიებს“ და ცდილობდნენ როგორმე თავი გადაერჩინათ. კათოლიციზმის დევნა მე-20 საუკუნის შუა პერიოდამდე გრძელდებოდა.

მე-19 საუკუნის ბოლოს კორეის ნახევარკუნძულზე მოხდა პროტესტანტი მისიონერების გამოჩენა. მანამდე, 1832-1866 წლებში, იყო აქტიური, მაგრამ უშედეგო მცდელობები ქვეყნის ტერიტორიაზე ფეხის მოკიდების. თავდაპირველად საზღვარგარეთ, კერძოდ, მანჯურიაში მყოფი კორეელები პროტესტანტიზმს ეზიარნენ შოტლანდიელი მისიონერების მეშვეობით. ერთ-ერთი ასეთი მისიონერი იყო ჯონ როსი (1842-1910). მისი მეშვეობით ნახევარკუნძულზე ფარულად შეიტანეს კორეულ ენაზე თარგმნილი სახარებები და ახალი აღთქმა. პროტესტანტიზმის პირველი მქადაგებელი იყო ჰორას ალენი (1858-1932), რომელიც 1884 წელს ჩავიდა კორეაში. მომდევნო წელს პრესვიტარიანელმა ჰორას ანდერვუდმა ფეხი დადგა კორეის ტერიტორიაზე, როგორც პირველმა ხელდასხმულმა პროტესტანტმა მინისტრმა. მან დაიწყო იონსეის უნივერსიტეტის შენება, ასევე, ალენთან ერ-

თად, ორგანიზება გაუწია სევერანსის საავადმყოფოს მშენებლობას, რომელიც დღესაც ფუნქციონირებს [4.58-64].

ხალხისათვის პროტესტანტიზმი უფრო და უფრო მიმზიდველი იყო, რადგან მიმდევრები ქადაგებდნენ არა მხოლოდ სახარებას, არამედ დასავლურ ანგლოსაქსურ ცივილიზაციასაც უზიარებდნენ მოსახლეობას. ისინი ჰპირდებოდნენ როგორც სულიერ, ისე ეროვნულ ხსნას, რაც ბევრი ჩაგრული კორეელისთვის მიმზიდველი და საჭირო იყო, ვინაიდან იაპონია სულ უფრო და უფრო აძლიერებდა თავის პოზიციებს კორეის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი იაპონია-რუსეთის ომში გამარჯვების შემდეგ. ამას გარდა, პროტესტანტები შემდეგნაირ პოლიტიკას ატარებდნენ. ადგილობრივ ხელისუფალთ თანამდებობებს ურიგებდნენ, რათა მათ თავად შეძლებოდათ ეკლესიების მართვა და შემდგომ ქადაგება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროტესტანტიზმი ერთგვარი ხსნა იყო კორეელი ხალხისთვის. 1910 წლის იაპონიის მიერ კორეის ანექსიის შემდეგაც კი არ შესუსტებულა ხალხის რწმენა. პირიქით, როდესაც იაპონელმა გენერლებმა კორეა მილიტარისტულ კოლონიად აქციეს და თავისუფლება დაუკარგვინეს, სწორედაც რომ რელიგია გახდა თავისუფლებისა და სიმშვიდის მომნიჭებელი თავშესაფარი ხალხისთვის.

დღესდღეობით ქრისტიანობა კორეაში, როგორც კათოლიკობა, ისე პროტესტანტობა, ერთი და იმავე პრობლემების წინაშე დგას. კორეის ლიბერალურმა დემოკრატიამ და ეკონომიკურმა განვითარებამ ხალხი უფრო დამოუკიდებელი გახადა და, შესაბამისად, ნაკლებად მომზადებულები იმისათვის, რომ სრული პასუხისმგებლობა აიღონ რელიგიური ორგანიზაციების წინაშე. ცხოვრების ტემპის და სტილის ცვალებადობამ, ასევე დროის ნაკლებობამ ხალხში პრიორიტეტების ცვლა გამოიწვია, რის შედეგადაც ისინი რელიგიას ნაკლებ დროს უთმობენ. უფრო მეტიც, იზრდება სხვა მსოფლმხედველობა, რომელსაც შეუძლია კონკურენცია გაუწიოს რელიგიას. მაგალი-

თად, სექსუალური ორიენტაციის შესახებ შეხედულებების შეცვლა ეწინააღმდეგება ტრადიციულ ქრისტიანულ სწავლებებს ამ თემაზე. მიუხედავად იმისა, რომ პროტესტანტები დღესდღეობით ყველაზე დიდ რელიგიურ ჯგუფს წარმოადგენს (მოსახლეობის 20 პროცენტზე მეტი) ქვეყანაში, მათი პოპულარობის რეიტინგი 10 პროცენტსაც ვერ აღწევს. ყველაზე მეტი პოპულარობით ბუდიზმი სარგებლობს. ახალგაზრდები პროტესტანტულ ეკლესიებს მოიხსენიებენ ეგოისტურ, მატერიალისტურ და ავტორიტარულ დაწესებულებად. ასევე თვლიან, რომ მიონდონის „ქალწული ღვთისმშობელი მარიამის“ სახელობის ტაძარი, რომელიც კორეაში ქრისტიანობის სიმბოლოდ მიიჩნევა, შეურაცხყოფს აზიურ ფილოსოფიურ რელიგიურ მოძღვრებებს. ყოველივე ამან პროტესტანტული ეკლესიის მსახურები დააფიქრა იმაზე, რომ ყურადღება მეტად მიმართონ მრევლის სულიერ განვითარებაზე, ვიდრე მათი ყოფითი პრობლემების მოგვარებაზე.

თავისი არსებობის მანძილზე ქრისტიანობა კორეაში განიცდიდა დევნას, კოლონიურ ჩაგვრას, რასაც იგი წარმატებით გაუმკლავდა და შეძლო ძლიერი ფესვების გადგმა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დღევანდელ დღეს ემიგრაციაში წასული კორეელები აარსებენ ეკლესიებს კორეის ნახევარკუნძულის საზღვრებს გარეთ, მსახურობენ მისიონერებად და ეწევიან ქრისტიანობის გავრცელების პროპაგანდას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კორეელი ქრისტიანები, როგორც კათოლიკეები, ისე პროტესტანტები, მრავალი გამოწვევის წინაშე დგანან, თუმცა ქრისტიანობის სიცოცხლისუნარიანობა, გარდაუვალი ცვლილებების მიუხედავად საკუთარი თავის შენარჩუნება, მიანიშნებს იმაზე, რომ, კორეაში მიმდინარე სოციალური ტრანსფორმაციის მიუხედავად, ქრისტიანობა დიდი ხნით შენარჩუნდება, როგორც კორეის რესპუბლიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილი.

ლიტერატურა – REFERENSES

1. გელაშვილი ნ. შორეული აღმოსავლეთის რელიგიები, თბ., 2018.
2. Robert E., Buswell, Timothy S.Lee - Christianity in Korea, NY, 2007
3. Sebastian Kim, Kirsten Kim - A history of Korean Christianity, Cambridge University Press, 2014.
4. Sung Duk Oak – The Makong of Korean Christianity: Protestant Encounters with Korean Religions, 1876-1915 (Studies in World Christianity), Baylor University Press, 2015.

SOPIO GUGUNAVA

THE ROAD OF KOREAN CHRISTIANITY ON KOREAN PENINSULA

Summary

The Korean Republic is quite unique in terms of religion. Despite the high level of ethnic homogeneity, there is not a single dominant religion. Although most Koreans do not profess any religious affiliation, many still engage religious worship. It is Noteworthy that the emergence of Christianity on the Korean Peninsula was initially regarded negatively, although it gained considerable popularity which is still relevant today.

Koreans were first introduced to Catholicism in the early seventeenth century through books on “Western learning” that had been translated by Catholic missionaries in China and their Chinese collaborators. Koreans could easily read the classical Chinese these books were written in, and while interested in the technology, science, and maths they contained, they rejected their religious message. This began to

change in the late eighteenth century with one Korean scholar, Peter Yi Sŭnghun (1756–1801), traveling to Beijing as part of a tribute mission where he received baptism. In the 19th century Koreans abroad, especially those who were in Manchuria came into contact with Protestantism through Scottish missionaries, such as John Ross (1842–1910), and smuggled Korean translations of the Gospels and then the entire New Testament into Korea before the first resident missionary Methodist Horace Allen (1858–1932), arrived in 1884.

Catholics and Protestants face common problems. Korea's liberal democracy and economic development have led people to become more independent and therefore less willing to fully commit to a religious organization. Moreover, the hypercompetitive nature of Korean society means that people have comparatively little time and are less willing to spend it on religion. Moreover, other worldviews are rising that can compete with religion. Younger non-Protestant Koreans frequently describe Protestant churches as selfish, materialist, and authoritarian, and many feel that Cathedral Church of Virgin Mary of the Immaculate Conception (Myeongdong Cathedral) is a threat to traditional Eastern religion beliefs.

Christianity in Korean Peninsula has overcome a history of persecution, colonial oppression, but Christian vitality in Korea, its ability to change with the times while still remaining itself, means that while transformation is inevitable, Christianity, in both its Catholic and Protestant forms, will likely remain for years to come as a significant part of the Republic of Korea.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ქართულ-თურქულ ურთიერთობათა პასაჟები „ახალციხურ ქრონიკებში“

საქართველოსა და თურქეთს შორის XVIII-XIX საუკუნეებში არსებულ ურთიერთობათა შესახებ საინტერესო ცნობებს ვხვდებით ხსენებულ პერიოდში მოღვაწე სასულიერო პირების: იოანე ხოჯაშვილის, სტეფანე აბინაშვილისა და სტეფანე ნავროზაშვილის „დღიურ-მატიანეებში“, რომლებიც 2015 წელს „ახალციხური ქრონიკების“ სახელწოდებით გამოსცეს საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა და სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტმა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს აკად. ნიკო ბერძენიშვილმა და პროფ. მიხეილ ქავთარიამ; წიგნს საკმაოდ ვრცელი გამოკვლევა და საძიებლები დაურთო მიხეილ ქავთარიამ.

აღნიშნული მასალა წარმოადგენს ძირითადად სამცხე-საათაბაგოში მოღვაწე კათოლიკე მღვდელმსახურთა დღიურებს, რომელთა მეშვეობითაც ავტორები უაღრესად საინტერესო ცნობებს გვაწვდიან მათი პერიოდის საქართველოში, უპირველეს ყოვლისა კი უშუალოდ მათ რეგიონში, არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით. იქიდან გამომდინარე, რომ სამცხე-საათაბაგო იმხანად ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალ სამთავროს წარმოადგენდა, ხსენებულ ქრონიკებში ქართულ-თურქულ ურთიერთობებთან დაკავშირებულ საკითხებსაც აქვს დათმობილი საკმაოდ დიდი ადგილი.

„ახალციხური ქრონიკების“ სახელწოდებით გამოცემული ამ ჩანაწერების აღნიშნულ ეპიზოდებზე კონკრეტული საუბრის დაწყებამდე მინდა ხსენებული დღიურების ავტორთა შესახებაც ვთქვა რამდენიმე სიტყვა.

როგორც მათ შესახებ არსებული სამეცნიერო ნაშრომებიდან თვალნათლივ ჩანს (შ. ლომსაძე, ა. იოსელიანი, მ. ქავთარია, შ. მესხია...), ხსენებულ მღვდელმსახურთა ბიოგრაფიის ბევრი დეტალი, სათანადო დოკუმენტური მასალების არარსებობისა და მიუკვლევლობის გამო, დღესდღეობით უცნობია და ბოლომდე დაუზუსტებელი.

„ახალციხური ქრონიკების“ პირველი ავტორი, კათოლიკე მღვდელმსახური იოანე ხოჯაშვილი, რომლის ჩანაწერებიც მოიცავს პერიოდს 1762 წლიდან 1809 წლის ჩათვლით, დაბადებული უნდა იყოს XVIII საუკუნის 30-იან წლებში. კერძოდ, შ. ლომსაძის აზრით – 1730-1733 წლებს შორის, მ. ქავთარიას მტკიცებით კი – 1737-1740 წლებს შორის. აზრთა სხვადასხვაობის საგნადაა ქცეული იოანეს გვარიც. სახელდობრ, ნ. ბერძენიშვილი მას ხან ნაზარიშვილად მოიხსენიებს, ხან კი ხოჯავანას ფორმით; შ. ლომსაძე – იოანე ხუცესად და ხოჯა ოჰანათ იოანედ; ა. იოსელიანი – ხოჯაშვილად; ხოლო მ. ქავთარია – ხოჯა ოჰანაშვილად და ხოჯაშვილად (ამასთან დაკავშირებით, საერთოდ, ი. ხოჯაშვილის ბიოგრაფიის შესახებ, დაწვრილებით იხ: 1).

რაც შეეხება თავად იოანეს, ის საკუთარ თავს ამგვარი ფორმით მოიხსენიებს: „მე ხოჯა ოჰანანთ ტერ იოვანე“.

როგორც კათოლიკე მღვდელმსახური, იოვანე ძირითადად ახალციხესა და მის მიმდებარე სოფლებში ეწეოდა სასულიერო მოღვაწეობას, გარკვეული დროის განმავლობაში კი იმერეთის სამეფოსა (1767-1777 წწ.) და არტაანის სანჯაყში (1777-1783 წწ.) იყო მღვდელმსახურად.

იმერეთშიცა და არტაანშიც სამუშაოდ იოანე ხოჯაშვილის გადასვლას მ. ქავთარია იძულებით მიღებულ გადაწყვეტილებად მიიჩნევს, კერძოდ, იმ დევნის შედეგად, რასაც ის ახალციხეში ცხოვრების პერიოდში განიცდიდა. სწორედ მის მიმართ განხორციელებული ამგვარი შევიწროების გამო (კონკრეტულად ვისგან ან რატომ, ეს მისი ჩანაწერებიდან არ ჩანს) გამ-

ხდარა იგი იძულებული მშობლიური კუთხე დაეტოვებინა და თავი იმერეთისათვის შეეფარებინა.

მ. ქავთარიას აზრით, ახალ საცხოვრებელ და სამოღვაწეო ადგილად იმერეთის სამეფოს არჩევა არსებითად განსაზღვრა იმ ფაქტმა, რომ „XVIII საუკუნის 60-იანი წლების მიწურულს ახალციხესა და იმერეთს შორის კონტაქტები უფრო აქტიურია, ვიდრე ახალციხესა და ქართლს შორის. ეს ადვილი ასახსნელიცაა. თურქეთი იმერეთის სამეფოს მასზე დამოკიდებულ (თუ საკუთარ) ერთეულად თვლიდა, ახალციხის მაჰმადიანური საფაშო კი პორტის პოლიტიკის გამტარებელია და, მაშასადამე, იგიც უცერემონიოდ იქცეოდა იმერეთის მიმართ... ამიტომ ახალციხის საფაშოდან გახიზნულ მოსახლეობას გული უფრო იმერეთისაკენ მიუწევდა“ [1.279].

ამას ემატებოდა ისიც, რომ კათოლიკეებისადმი იმერეთის სამეფო კარს იმხანად საკმაოდ კარგი დამოკიდებულება ჰქონდა, რაც იოანეს იმდროინდელი ჩანაწერებიდანაც თვალნათლივ ჩანს.

ყოველივე ზემოთქმული სიმართლე რომ იყო, ამაში თავად იოანეც ნათლად დარწმუნდა იმერეთში ყოფნის პერიოდში. იგი საკმაოდ პრივილეგირებულ და უფლებრივად დაწინაურებულ პიროვნებას წარმოადგენდა როგორც სამეფო კარზე და დიდგვაროვანთა შორის, ისე მართლმადიდებელ ქრისტიან მღვდელმსახურთა შორისაც. საკმაოდ ახლო ურთიერთობებით ყოფილა იოანე დაკავშირებული იმერეთის იმჟამინდელ მეფე სოლომონ პირველთანაც (მეფობდა 1752-1784 წლებში). თუმცა იმერეთში ჩასვლიდან ათი წლის შემდეგ, 1777 წლის 9 აპრილს, იგი სოლომონს თავისი სამეფოდან გაუძევებია.

ახალციხეში დაბრუნებული იოანე აქტიურად შეუდგა სასულიერო საქმიანობას, მაგრამ ასე დიდხანს არ გაგრძელებულა. როგორც მისივე დღიურებიდან ვგებულობთ, იმავე წლის 8 ივნისს, ერთ-ერთი დამბეზღებლის დასმენით, იგი ახალციხის ფაშას ტყვედ აუყვანია. აი, რას წერს თავად ის ამასთან დაკავ-

შირებით: „ფაშამ ტყვეთ ჩამაგდო ზინჯალხანაში თათოზას შვილის დაბეზღებით, ტყვილად უბრალოთ“ (გვ. 51. აქაც და ქვემოთაც, ყველგან, „ახალციხური ქრონიკებიდან“ ციტატების დამოწმების დროს მითითებული იქნება მხოლოდ გვერდები).

საკმაოდ დიდი თანხის გადახდის შემდეგ, მესამე დღეს, იოანე ტყვეობიდან გაუთავისუფლებიათ. „ივნისი 10. ზინჯილიდგან გამოვედი და წამივიდა უკე (425) ყურუში და ღ[მერთმა]ნ ადღეგრძელოსთ ყველანი, მრავალს გაისარჯენ“. განთავისუფლებით კი გაუთავისუფლებიათ, მაგრამ იმის გამო, რომ ახალციხეში დარჩენა სარისკო საქმედ მიუჩნევია, იოანეს საქმიანობა არტაანში, ველსა და ისტორიული მესხეთის სხვა განაპირა სოფლებში გაუგრძელებია.

ამ ფაქტით ორი მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანა შეგვიძლია: პირველი, მიუხედავად ოსმალეთის იმპერიის ხელისუფლებისაგან დევნა-შევიწროებისა, კათოლიკური რელიგიის აღმსარებელთ არა მარტო ახალციხესა და მის მიმდებარე სოფლებში უცხოვრიათ საკმაოდ მრავლად, არამედ ახალციხის საფაშოს განაპირა ადგილებშიც; და მეორე, ხსენებულ რეგიონებში მცხოვრებ კათოლიკეთა უმეტესობა, რომელთაც მღვდელმსახურებას იოანე უწევდა, ქართველები იყვნენ.

იოანეს ინფორმაციით, ახალციხეში საღვთისმსახურებო საქმიანობის გასაგრძელებლად იგი 1778 წლის ოქტომბერში დაბრუნებულა. აი, რა ჩანაწერი გაუკეთებია მას ამასთან დაკავშირებით: „ოკტონბერი 16, ღმრთით ველითგან წამოვედი. ოკტონბერი 16. ახალციხეს მოველი ველიდგან“ [გვ. 55]. თუმცა მის მოწინააღმდეგეებს მისთვის ახალციხეში დარჩენისა და საქმიანობის გაგრძელების უფლება არ მიუციათ, რის გამოც იძულებული გამხდარა, ამჯერად სოფელ ველში წასულიყო, ახალციხეში სამოღვაწეოდ კი 1783 წლიდან გადასულიყო.

იოანე ხოჯაშვილი გარდაიცვალა 1809 წელს.

მიუხედავად იმისა, რომ მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა ჩვენამდე მხოლოდ ნაწილობრივაა მოღწეული, „დღიური-მა-

ტიანის“ ფორმით შედგენილი ის ჩანაწერები, რაც ი. ხოჯაშვილის ნააზრევიდან გადარჩა, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა შეფასდეს ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან დოკუმენტურ პირველწყაროდ. შ. ლომსაძის მტკიცებით, „თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვახუშტი ბაგრატიონის ქრონიკების შემდეგ ქართულ ისტორიოგრაფიაში გვიანი საუკუნეებისათვის უფრო მნიშვნელოვანი ამ ხასიათის ნაწარმოები არ მოიპოვება“ [3.91].

„ახალციხური ქრონიკების“ მეორე ავტორი სტეფანე აბინაშვილი, რომლის ჩანაწერებიც 1789-1842 წლებს მოიცავს, დაბადებული უნდა იყოს 1771 წელს. მღვდლად კურთხევის მიზნით, 1794 წლის 15 მაისს, იგი სტამბოლში გამგზავრებულა. მ. ქავთარიას აზრით, ამ ფაქტით ნათლად ჩანს, რომ „ადგილობრივ პატრებს, უფრო სწორად ახალციხეში მცხოვრებ კათოლიკური მისიონის წარმომადგენელთ, მღვდლად ხელდასხმის უფლება არ ჰქონდათ და ახალციხური კათოლიკური მისიონი... იერარქიულად დამოუკიდებელი არ იყო“ [გვ. 289].

სტამბოლში ჩასვლის, ყოფნისა და უკან დაბრუნების პროცესი საკმაოდ დიდხანს – თითქმის წელიწადნახევარი – გაგრძელებულა და მღვდლად ნაკურთხი სტეფანე უკან 1795 წლის ოქტომბერში დაბრუნებულა. ამის შესახებ ცნობას იოანე ხოჯაშვილი გვაწვდის. კერძოდ, იმავე წლის 17 ოქტომბრის ჩანაწერით იგი გვაუწყებს: „ჲესეს შვილი და მღებრის შვილი სტამბოლიდგან მოვიდნენ მღვდლებად“.

„ახალციხური ქრონიკები“ საინტერესო იმ თვალსაზრისითაცაა, რომ მათში სტამბოლამდე მგზავრობის მარშრუტებიცაა დაკონკრეტებული. კერძოდ, როგორც სტეფანე აბინაშვილის დღიური ჩანაწერებიდან ვგებულობთ, მღვდლად კურთხევის მიზნით, 1794 წლის 15 მაისს სტამბოლში წასულს, ოთხი თვის განმავლობაში მას ამ მარშრუტით უმგზავრია: ახალციხე-ართვინი-ჩხალა--ხოფა-კარნა-გერძა-თაქა-ქჲარფა-იზმითი-სტამბოლი. 1795 წლის 4 სექტემბერს სტამბოლიდან უკან გამომგზავრებული კი ახალციხეში 21 ოქტომბერს დაბრუნებულა შემდეგი მარშრუტის გავ-

ლით: სტამბოლი-ბასრა-მასათა-აღლიმანი-ვანა-ათინა-ხოფა-ყარა(ყარსი)-ართვინი-ახალციხე.

მღვდლად კურთხევის შემდეგ ს. აბინაშვილი მშობლიურ კუთხეში დამკვიდრდა და ახალციხესა და მის მახლობელ სოფლებში ეწეოდა საღვთისმსახურებო მოღვაწეობას; გარდაიცვალა 1842 წელს.

„ახალციხური ქრონიკების“ მესამე ავტორი, რომლის ჩანაწერებიც 1808-1833 წლებში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით გვაწვდის ცნობებს, სტეფანე ნავროზაშვილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მისი ბიოგრაფიის ბევრი დეტალი ჯერჯერობით უცნობია, ს. ნავროზაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე „ახალციხური ქრონიკების“ საშუალებით მაინც გვექმნება გარკვეული წარმოდგენა.

მკითხველის ყურადღება ამ თვალსაზრისით, პირველ ყოვლისა, 1808 წლის 2 ენკენისთვით დათარიღებულ მის შემდეგ ჩანაწერს მინდა მივაპყრო: „ენკენისთვის 2, ოთხშაფათი. ახალციხიდან წავედი სამღვდლოთ მე უღირსი ტირაც სტეფანე ნავროზაანთი. და ახალციხიდამ არზრუმს ჩავედი ღვინობისთვის 11, კვირას. და არზრუმიდან გავედი ჩემი ამხანიკითურთ, ვითამც ართვინელი მაზმანიანთ ოვაკიმას ძე ტირაცუ სტეფანითა, ქარ{ა}ვნით ამავე თვის 19, ორშაფათს. და იქიდამ გავედით ამავე თვის 5 და მივედით მერდიას... და ამავე დღეს იქინდის უკან, საჰათის ათს ნახევარზე ამ ადგილის ჲეპისკოპოზი ვნახეთ, სახელათ ოვაკიმი მთავარჲეპისკოპოზი და გვარათ თასჰაზიანი. ამან კარგი სიყვარულით შეგვიწყნარა... და სიყვარულით თავზე აიღო ჩვენი მღვდლათ კურთხევა... ამავე თვის 15, კვირას დღეს წმიდა აღსავალი მღვდლობისა მოგვცა. და ამ ბატონმა ჲეპისკოპოზმან და ჩვენ ორმა ამავე დღეს სამივე ერთათ ერთ ტრაპეზზე ვსწირეთ“ [გვ. 228].

როგორც დამოწმებული ფრაგმენტითაც ირკვევა, კათოლიკე მღვდელმსახურად კურთხევა XIX საუკუნის დასაწყისის ოსმალეთში არა მარტო სტამბოლში ხდებოდა, არამედ სხვაგა-

ნაც. კერძოდ, სტეფანე ნავროზაშვილი ამ მიზნით ქალაქ მერდინში გამგზავრებულა და 1808 წლის 18 ნოემბერს უკან წამოსული, ახალციხეში შემდეგი მარშრუტის გავლით დაბრუნებულა: „ამ დღეს წამოვედით მერდინიდამ და გზაზე ბევრი შევიცადეთ შიშისათვის. და დიარბექირს მივედით გიორგობის 28, და დიარბექირიდამ წამოვედით ქრისტეშობის 1, სამშაფათს. აზრუმს მოვედით ამავე თვის 14, ორშაფათს... ახალციხეს მოვედი ამავე თვის 30“ [გვ. 228].

სტეფანე ნავროზაშვილი გარდაიცვალა 1839 წელს.

* * *

მიუხედავად იმისა, რომ ახალციხის საფაშოს განმგებლები იქაურ კათოლიკე მღვდელმსახურთა მიმართ რამდენადმე ლოიალურ დამოკიდებულებას იჩენდნენ, ისინი დროდადრო მაინც ხდებოდნენ მკაცრი დევნისა და რეპრესირების მსხვერპლნი. ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევართა შევიწროების ეს პროცესი არა მარტო მათი რელიგიური უფლებამოსილების შეზღუდვას ისახავდა მიზნად, არამედ იქაურ მკვიდრთა შორის მუსლიმანობის კიდევ უფრო ფართოდ გავრცელებას. ხელისუფლების მესვეურთა მიერ გატარებული ამგვარი პოლიტიკის უმთავრეს მიზანს ეროვნული ფესვებისაგან ადგილობრივი მოსახლეობის მოწყვეტა და თურქულ ეთნოსთან ასიმილირება წარმოადგენდა.

ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმოწმებ ფრაგმენტებს „ახალციხური ქრონიკების“ ავტორთა ჩანაწერებიდან: ი. ხოჯაშვილი. 1801 წლის 28 მაისი: „ფაშამ ხუცები ტყვეთ ჩაგვყარა“ [გვ. 111]; 1803 წლის 19 ივნისი: „ახალმან ფაშამ ჩვენი ვაჟები ტყვეთ ჩაყარა საყდრის დავაზედ“ [გვ. 118]; ს. აბინაშვილი. 1801 წლის 29 მაისი: „არ მიწირავს, ტყვეთ ვიყავი“ [გვ. 177]; 1806 წლის 11 სექტემბერი: „საყდრის კარები დაგვიბეჭდეს“ [გვ. 181]...

იმის დასტურად, კათოლიკე მღვდელმსახურთა მიმართ გატარებული რეპრესიული პოლიტიკა ცალკეულ შემთხვევებ-

ში უაღრესად ფართო მასშტაბების მომცველ მოვლენადაც რომ იქცეოდა, აქ სტეფანე აბინაშვილისა და სტეფანე ნავროზაშვილის მიერ მოწოდებულ ამ ინფორმაციებსაც გავიხსენებ.

ს. ნავროზაშვილი: 1828 წლის „მარტის 24 – ამ დილას ლოგინშიდვე ვიყავ მწოლიერე, რომ სომეხთ მწვალებელთაგან დევნულობისათვის ყარაული და ჩახადარი მოვიდა არლის სოფელსა შინა და შინ შემოვიდა: მაშინვე სარეცელიდამ აღმაყენა და მითხრა: ბატონი ფაშა გიძახისთ. მაშინვე სახლი აღმიბეჭდა და არლის საყდარიცა. და უდიდამ მღვდელი მათი აღოშან. უფალი ტერ სტეფანიც იქ გარდმოიყვანეს თავისმა ჲასაულმან. ურთიერთთან მსწრაფლ აღსარება ვსთქუვით და ისრე წარმოგვიყვანეს ახალციხეს... და ტყვეთ შეჰვარდით ციხეში... ახალციხის მღვდლებიც დიდ პარასკევს ღამეს შეეყარათ. მათთან ერთად ხიზაბავრის მღვდელიც ტერ ანტონი, ვალედამაც მღვდელი ტერ პოღოსი ამავე დღესა ჩამოიყვანეს ჩვენთან. წმიდა აღდგომას უფლისას სატყვეოში ვიყავით. და მერმე და მერმედ სხვა ადგილებიდამ ანუ სანჯაღებიდამ სხვა მღვდლებიც მოიყვანეს და ახალციხისა და სანჯახებისაგან. ვჰგონებ ათს დღემდი აღდგომის შემდგომად მოასხეს და ურთიერთას ვიყოვნეთ“ [გვ. 245].

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოკლე ინფორმაციას გვაწვდის ს. აბინაშვილიც: „24 მარტი. დღეს მუბაშორმა ჩამომიყვანა ტყვეთ, უვანქის ბაშის ყონასშიდ“ [გვ. 209].

კათოლიკე მღვდელმსახურთა მიმართ გატარებულ ამგვარ სადამსჯელო ღონისძიებათა მომწყობნი არა მარტო თურქი ხელისუფალნი იყვნენ, არამედ ამ ხელისუფლების სამსახურში მყოფი ჩვენი მუსლიმანი თანამემამულენიც. ერთ-ერთი მათგანი ყოფილა ახალციხის ფაშა სელიმ ხიმშიაშვილი.

მაგალითად: 1804 წლის 10 ივლისი: „ფაშამ (იგულისხმება სელიმ ხიმშიაშვილი, რომელსაც ამ დროისათვის უკვე მოპოვებული ჰქონდა ფაშას თანამდებობა – ა. ნ.) დესპოტი გრიგოლ და ბასილი მღვდელნი მოაკვლევინა დათიათ იოვანეს ეზოში“

(გვ. 121); 1805 წლის 14 აპრილი: „ფაშამ ტერ სტეფანიანთ აკოფასთვის სრულ ხუცები შუბაშხანაში ტყვეთ ჩაგვყარა“ [გვ. 123].

კათოლიკე მღვდელმსახურთა წინააღმდეგ მიმართული ასეთი სადამსჯელო ღონისძიებები არა მარტო ახალციხესა და მის მახლობელ სოფლებში იმართებოდა, არამედ ოსმალეთის იმპერიის სხვა რეგიონებშიც. მაგალითად, აი, რას წერს ერთ-ერთი ასეთი რეპრესიის შესახებ ს. ნავროზაშვილი:

1828 წლის აპრილში, დიდ ხუთშაბათს, მასთან საჩქაროდ მისულა არზრუმელი თათეოზ ვართაპეტი, რომელსაც მისთვის უამბნია, იქაურ კათოლიკეებს აღდგომის დღესასწაული რომ არ აღენიშნათ, ხონთქრის ბრძანების საფუძველზე როგორ დააჭერინა და ჩააყრევინა საპყრობილეში სეიდ აჰმედ ფაშამ იმ რეგიონის 43 მღვდელი.

აი, როგორ აღუწერს თათეოზ ვართაპეტი ს. ნავროზაშვილს იმ პირობებს, რაშიც ისინი პატიმრობის პერიოდში იმყოფებოდნენ: „ამ სატყვეოსა შინა მრავალი შიში და ჭირი არც ნაკლები გვქონა, რათგან მუცელა შეგვეყარა შეწუხებისაგან და დარდისაგან... და როდის ასრულდა 43 დღე-ღამე, კვირა საღამოს, საათის შვიდსა, ცხენები მოგვიყვანეს, შევჯექით და დიდის უპატიურობით წარგვიყვანეს და 20 ბასაულის გამოტანებითა არზრუმამდისინ. და ახალციხე დიდს ზარზარასა შინა და მწუხარებასა შინა ჩაჰვარდა კათოლიკების. და ამფერად ტირილით წარვედით“. საკმაოდ ხანგრძლივი მგზავრობის შედეგად სწორედ ასეთი ტანჯვითა და წვალებით გაუვლიათ ვართაპეტსა და მის თანმხლებ მღვდელმსახურებს არტაანი, ოლთისი, არზრუმი და მისულან ახალციხეში.

იმის ნათელსაყოფად, ახალციხეში წამოყვანილ მღვდლებს ამ მგზავრობის დროს რა დიდი უსიამოვნებანი გადახდენიათ თავს, კვლავაც დავიმოწმებ ფრაგმენტებს თათეოზ ვართაპეტის ხსენებული მონათხრობიდან: „ინმქს რომ მოვედით, დიდი ტირილი კათოლიკეთაგან იქმნა, რათგან მათი ორი მღვდელი წარეყვანათ ექსორიასა შინა, გაუახლდათ ჩვენის ხილვითა. და

დიდი პატივით და ქრთამის მიცემით ჩვენი ბასაულისა თავათ სახლებშიდ მრთელი მღვდლები შეგვიწყნარეს იმ ღამეს, და თან ყოველმან აღსარება თქვეს“ [გვ. 246].

არზრუმში მისული ვართაპეტი და მისი თანმხლები მღვდლები თურმე „სატყვეოში“ შეიყვანეს, სადაც „მსწრაფლ უჩვენეს სატანჯველების ꙋარაღნი და დაუწყეს ფეხთა შეყოფა მას შინა“. ამ სატანჯველისგან 704 ყურუშისა და „უფრო მეტი“ თანხის გადახდის შემდეგ, მართალია, ისინი გაუთავისუფლებიათ, მაგრამ მეორე დღეს თავს ახალი განსაცდელი დასტყდომიათ. აი, რა უამბნია ვართაპეტს ს. ნავროზაშვილისათვის ამასთან დაკავშირებით: „ისევ სატყვეოში შეგვაგდეს. და ესფერ გვაცოცხლეს კლიტეს შინა ზანჯირხანისა...

და ასრე იმ სატყვეოს შინა სიცხისაგან ვიხარშებოდით. გარეთ გამოვიდოდით, სიცივისაგან ვკანკალობდით... ამფერ გავატარეთ კუალად ოცდაექვსი დღე“ [გვ. 247].

ასეთი ტანჯვა-წამებით ჩამოუღწევიათ ვართაპეტსა და მის თანამგზავრებს ახალციხეში. ხსენებული ჩანაწერის ბოლოს, ვართაპეტის მონათხრობის საფუძველზე, ს. ნავროზაშვილი ამ სადამსჯელო ღონისძიების მსხვერპლად ქცეულ მღვდელმსახურებსაც ასახელებს კონკრეტულად. კერძოდ, ესენი ყოფილან: „1. შაჰყულიან პოღოს ვართაპეტი; 2. ლაზარიანი; 3. მეფისანი ტერ სტეფანი; 4. აბინიან ტერ-სტეფანი; 5. მღებრიანთ ტერ-სტეფანი; 6. ოჰანიან ტერ-ანტონი; 7. შილაჯიან ტერ ოვანესი; 8. ხიზაბავრის ხუციან ტერ ანტონი; 9. მაზმნიან ტერ სტეფანი ავლიტისა; 10. ხარისჭირიან ტერ-პოღოსა ვალისა; 11. აღოშიან ტერ სტეფანი უდისა; 12. ზაქარიან ტერ-იოვანესი არტანის ველისა იერლი; 13. ყულახსიზიან ტერ პეტროს კუალად ვალისა იერლი; 14. გათენიან ტერ აკოფი შავშეთის სათლელი იერლი; 15. ტერ პეტროსი ფხოვურისა; 16. ყაზანჯიან ტერ პოღოსი არტანუჯისა იერლი; 17. ყოანიან ტერ იოვანე ამისა შინა მყოფი; 18. ტერ თომასი კორმულისა ხოტიჯურისა; 19. ტერ პოღოსი იესე შვილი ართანისა იერლი; 20.

ტერ გრიქორი ყალფახჩიანი ართვინისა; 21. ტერ გრიქორ მეფისიანი ივლიტისა იერლდი; 22. ტერ სტეფანი, მე უღირსი ნავროზიანი არლის ახალციხის იერლი“ [გვ. 24].

ს. ნავროზაშვილის მიერ მოწოდებული ეს სია აქ იმის საჩვენებლადაც მოვიტანე, რომ მისი მეშვეობით შესაბამისი რეგიონის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზეც შეგვექმნას გარკვეული წარმოდგენა. როგორც აღნიშნული ჩამონათვალითაც თვალნათლივ ჩანს, ავტორის მიერ დასახელებულ მღვდელმსახურთა უდიდესი ნაწილი ეთნიკურად სომეხია.

თუმცა მკითხველი იქვე იმასაც აშკარად დაინახავს, რომ თავდაპირველად სომხურ ენაზე გაკეთებულ ამ ჩანაწერში, რომელიც თავად ავტორს მხოლოდ შემდეგ უთარგმნია ქართულად, ქართველ მღვდელმსახურთა გვარებიც კი სომხური გვარის ფორმითაა მოცემული, რამაც შეიძლება მათ ეთნიკურ კუთვნილებაზეც შეგვიქმნას არასწორი წარმოდგენა (მაგალითად, ს. ნავროზაშვილის მიერ თავისი გვარის მოხსენიება ნავროზიანად, ხარისჭირაშვილისა – ხარისჭირიანად, აბინაშვილისა – აბინიანად და ა. შ.).

მიუხედავად კათოლიკე მღვდელმსახურთა წინააღმდეგ მიზანმიმართულად გატარებული ამგვარი სადამსჯელო ღონისძიებებისა, ახალციხის საფაშოს განმგებელნი მათი გულის მოსაგებად ზოგჯერ ეკლესიებშიც მიდიოდნენ ქრისტიანულ ღვთისმსახურებაზე დასასწრებად. მაგალითად, აი, რა ინფორმაციას გვაწვდის ერთ-ერთ ასეთ შემთხვევასთან დაკავშირებით ი. ხოჯაშვილი: 1801 წლის 26 დეკემბერი, „ფაშა ზემოსაყდარს საღამოს ლოცვაზედ შემობრძანდა“ [გვ. 113].

* * *

„ახალციხური ქრონიკების“ თურქულ პასაჟებზე საუბრის დროს განსაკუთრებული ყურადღება მინდა მივაქციო იოანე ხოჯაშვილის „დღიური-მატიანის“ იმ ნაწილს, სადაც ავტორი

უაღრესად მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ქუთაისში უქიმერიონის ციხიდან თურქი მეციხოვნეების საბოლოოდ განდევნასთან და ბაგრატის ტაძრის დანგრევასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, იმერეთის სამეფო იმხანად ოსმალეთის იმპერიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და სტრატეგიულად მნიშვნელოვან მის ციხე-სიმაგრეებში თურქი მეციხოვნეები იყვნენ გამაგრებულნი.

ერთ-ერთ ასეთ ადგილს წარმოადგენდა ქუთაისში მდებარე უქიმერიონის გორა და იქ არსებული ბაგრატის საკათედრო ტაძარი, საიდანაც მთელი ქალაქის გაკონტროლება ხდებოდა. ამ ციხე-სიმაგრეში თურქული ჯარი ერთი საუკუნის განმავლობაში, 1669 წლიდან 1770 წლამდე იყო გამაგრებული.

ოსმალთა ბატონობისაგან აღნიშნული ციხე-სიმაგრე იმერეთის იმჟამინდელმა მეფე სოლომონ პირველმა გაათავისუფლა 1770 წელს რუსული ჯარის დახმარებით. რადგანაც ეს ამბავი ქუთაისში იოანე ხოჯაშვილის ყოფნის დროს მოხდა, იგი ამ მოვლენის მიმდინარეობასთან დაკავშირებითაც გვაწვდის უაღრესად მნიშვნელოვან ცნობებს. კერძოდ, განსხვავებით იმ ისტორიკოსებისაგან, რომელნიც ბაგრატის ტაძრის დანგრევაში თურქ მეციხოვნეებს სდებენ ბრალს, ი. ხოჯაშვილი, როგორც ამ ტრაგიკული მოვლენის უშუალოდ მხილველი, თავის დღიურ ჩანაწერებში გარკვევით აღნიშნავს, რომ ამ ბარბაროსული საქმის შემოქმედნი სინამდვილეში გენერალი ტოტლებენი და მისი ჯარისკაცები იყვნენ. ციხის გასათავისუფლებლად განხორციელებული საბრძოლო ოპერაციის დროს ბაგრატის ტაძარი სწორედ მათ დაანგრიეს რუსული ქვემეხებიდან გასროლილი ჭურვების მეშვეობით [ამასთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ: 5. 23–30].

როგორც ითქვა, იოანე ხოჯაშვილი იმ დროისათვის ქუთაისში იმყოფებოდა და პირადად იყო მხილველი აღნიშნული მოვლენისა. ნათქვამის დასტურად გავიხსენოთ შესაბამისი ჩანაწერები მისი „დღიური-მატიანიდან“:

„მკათათვე 8, ხუთ[თშაბათი] ქუთაისის ციხეს რუსებმან ზარბაზნის სროლა დაუწყეს მწვანე ყვავილიდგან გინა თუ ჩვენი საყდრიდგან პირველად.

მკათათვე 9, პა [რასკევი] რუსებმა ზარბაზნის და ყუმბარის სროლად აუწყეს ქუთაისის ციხეს და დღეში ასოდენ გინა მეტი.

მკათათვე 14, ოთ[ხშაბათი] რუსებმან ქუთაისს შუაღამისა[ს] დიაღ მრავალი ყუმბარა და ზარბაზნები ესროლეს.

მკათათვე 21, ოთ [ხშაბათი] რუსის ჯარი სილაზე დაებარგა.

მარიობისთვე 6, პა[რასკევი]... ქუთაისის ციხეზე რუსებმან იერიში ქნეს და აიღეს და თათრები ზოგი დახოცეს და ზოგი დაიჭირეს და ზოგნიც გაიქცნენ“ [1.20; აგრეთვე:3.129].

ი. ხოჯაშვილის მიერ მოწოდებული ეს ინფორმაცია სიმართლეს რომ წარმოადგენს, ამას მოგვიანო პერიოდის ქუთაისში ნამყოფ ევროპელ და რუს ავტორთა ცალკეული წარმომადგენლებიც ადასტურებენ. მაგალითად, გერმანელი მოგზაური, გეოგრაფი და ბუნებისმეტყველი მორი ცვაგნერი (1813-1887წწ.), რომელმაც XIX საუკუნის 40-იან წლებში იმოგზაურა ქუთაისში, წერს: სოლომონ პირველის დასახმარებლად ქართლიდან იმერეთში გადასული გენერალი ტოტლებენი თავისი ჯარით ქუთაისის ციხეს მიადგა და თავისი არტილერია „მეზობელ სიმაღლეზე“ (იგულისხმება მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე მდებარე მწვანეყვავილას გორაკი) განალაგა, საიდანაც ყუმბარები დაუშინა თურქთაგან გამაგრებულ უქიმერიონის ციხესიმაგრეს. თურქებმა, როგორც კი დაინახეს, რომ ციხის „ძველი გახეთქილი ლოდები რუსული ყუმბარების წინააღმდეგ დასაცავად არ გამოადგებოდათ, მიატოვეს ქუთაისი და თავისი პროტეჟეები და ასევე დაცალეს იმერეთის სხვა გამაგრებული ადგილებიც...

ასე დაანგრია რუსმა გენერალმა უპირველეს ყოვლისა ქუთაისის ციხე და მასთან ერთად უმრავლესი სიძველენი; ახლაც ვხედავთ უამრავ დახეთქილ გალავნის ქვებს, რომლებიც მთის

საკმაოდ დიდ ნაწილზეა მოფენილი,ხოლო ციტადელში ეკლესიის ნარჩენებს, რომლის სკულპტურები მიგვანიშნებენ ჭიშკრის თაღის ქართულ სტილზე“ [2.113].

ვაგნერის მიერ მოწოდებულ ამ ინფორმაციას XIX საუკუნის 80-იან წლებში ქუთაისში ნამყოფი რუსი მწერალი და ეთნოგრაფი ევგენი მარკოვიც ადასტურებს. კერძოდ, მისი ინფორმაციით, უქიმერიონის გორაზე მდებარე ბაგრატის ტაძრის „კედლები და კოშკები მთიანი ქუთაისის სხვა სიმაგრეებთან და შენობებთან ერთად ბოლოს 1769 (უნდა იყოს1770) წელს იქნა დანგრეული რუსეთის ჯარის მიერ ტოტლებენის მეთაურობით“ [4.128].

როგორც ცნობილია, „ახალციხური ქრონიკების“ დროინდელი ქართული სამეფო-სამთავროების განმგებელთა დიდი ნაწილი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნების რეალურ გზად რუსეთის სამხედრო მფარველობის მოპოვებას მიიჩნევდა. მათი ამ სურვილის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორს ჩვენი ხალხების რელიგიური ერთმორწმუნეობა წარმოადგენდა.

თუმცა მათ ამგვარ მცდელობას ქართული სამეფოებისა და სამთავროებისათვის არათუ იმხანად არ მოჰყოლია სასიკეთო შედეგი, არამედ რუსეთის იმპერიასთან შეერთების შემდეგაც. როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერიის მიერ ჩვენი ქვეყნის ფაქტობრივი დაპყრობის შედეგად, რასაც საბჭოთა პერიოდში მოღვაწე ისტორიკოსთა დიდი ნაწილი ამ იმპერიასთან საქართველოს ნებაყოფლობითი შეერთების აქტად ნათლავდა, ჩვენმა ქვეყანამ არა მარტო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დაკარგა, არამედ ქართველი საზოგადოების გარკვეული ნაწილი ეროვნული გადაგვარების საფრთხის წინაშეც დადგა.

ფართოდ ცნობილ ამ გარემოებას აქ კიდევ ერთხელ იმიტომაც მივაპყრობ მკითხველის ყურადღებას, რომ „ახალციხური ქრონიკების“ ავტორები იმ მოქმედებათა შესახებაც გვაწვდიან საგულისხმო ინფორმაციებს, რასაც რუსეთისა და ოს-

მალეთის მესვეურები ეწეოდნენ საქართველოს დასაპყრობად XVIII-XIX საუკუნეებში.

როგორც ცნობილია, ირანსა და ოსმალეთს შორის 1555 წელს გაფორმებული ამასიის საზავო ხელშეკრულებით, საქართველოს დასავლეთი და სამხრეთი ნაწილები ოსმალეთის იმპერიის კუთვნილებად გამოცხადდა, აღმოსავლეთ საქართველო კი ირანის იურისდიქციაში მოქცეულ ტერიტორიად. ოფიციალურად გაფორმებული ამ შეთანხმების შედეგად ოსმალეთის იმპერიის განმგებლობაში არა მარტო ის ტერიტორიული ერთეულები (ახალციხის საფაშოდ სახელდებული სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, ტაო-კლარჯეთი...) მოხვდა, რომლებიც ოსმალეთს მანამდე უკვე ჰქონდა დაპყრობილი, არამედ იმერეთის სამეფოცა და სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის სამთავროებიც.

მიუხედავად იმისა, რომ ამასიის საზავო ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ პერიოდში ოსმალეთის იმპერია მიზანმიმართულად ცდილობდა ჩვენი ქვეყნის ხსენებული რეგიონების მოქცევას მის დაქვემდებარებაში, რუსეთის იმპერიასთან მიერთებამდე მათ მაინც შეძლეს დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

„ახალციხური ქრონიკების“ ავტორები აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებითაც გვაწვდიან საგულისხმო ცნობებს. როგორც მათი ჩანაწერებიდანაც ნათლად ჩანს, ქართული სამეფოებისა და სამთავროების მიმართ ოსმალეთის იმპერიული ხელისუფლების მესვეურთა დამპყრობლური პოლიტიკა ერთგვაროვანი არ ყოფილა და ისინი ამ პოლიტიკას ხან ღიად და ნიღაბახდილი ფორმით ატარებდნენ, ხან კი – შენიღბულად და მოჩვენებითი ლოიალობით.

ნათქვამის დასტურად „ახალციხური ქრონიკების“ ავტორები თავიანთ ჩანაწერებში მრავალ საგულისხმო ინფორმაციას გვთავაზობენ. კერძოდ, როგორც მათი დღიურებიდან ნათლად ჩანს, ახალციხის ფაშათა უფლებამოსილება არა მარტო მათ საფაშოზე ვრცელდებოდა, არამედ, ოსმალეთის იმპერიის

ხელისუფალთა დამპყრობლური პოლიტიკის ხორცშესასხმელად, ისინი დროდადრო იმერეთის სამეფოშიც გადმოდიოდნენ ხოლმე და ხან ძალადობრივი გზით ცდილობდნენ ამ მხარეში ოსმალური ძალაუფლების დამყარებას, ხანაც კეთილმოსურნეობის ნიღბით.

მაგალითად, 1763 წლის 18 ოქტომბერი: „თათრის ჯარი დაბრუნდა იმერეთიდგან სარი ფაშისა“ [გვ. 7]; 1765 წლის 9 ივნისი: „მესამედ ჰასან ფაშა წავიდა იმერეთზე, სარასქარიც თვითან იყო“ [გვ. 10]; იმავე წლის 8 ოქტომბერი: „ჰასან ფაშა და ჰაჯი და ბეგი იმერეთიდგან მოვიდნენ“ [გვ. 10]; 1809 წლის 12 სექტემბერი: „თათრის ჯარი წავიდა იმერეთზე“ [გვ. 186] და სხვ.

განსხვავებით იმერეთის სამეფოსაგან, რომელიც ოსმალური განმგებლობის ქვეშ ნაკლებად იყო მოქცეული, ოსმალეთის დაქვემდებარებაში საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მყოფ ახალციხის საფაშოში იქაური ფაშების მოქმედება ფაქტობრივად სრულიად შეუზღუდველი იყო. უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ გარემოების შედეგს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ იმერეთში შეიარაღებული ძალის თანხლებით გადმოსული ახალციხის ფაშები არა მარტო შედარებით თავშეკავებულად მოქმედებდნენ, არამედ აქაური მოსახლეობის გულის მონადირებასაც ცდილობდნენ სხვადასხვაგვარი ფორმით.

მაგალითად: ი. ხოჯაშვილი, 1769 წლის 15 ივნისი: „თათრებმან მადლი ქნეს იმერეთის სრულ ყველა თათრის ციხებში და ხიზანშიაც“ [გვ. 16].

ასეთი ლოიალური დამოკიდებულებით ფაშები არა მარტო მოსახლეობის კეთილგანწყობითი დამოკიდებულების მოპოვებას ცდილობდნენ, არამედ მეფეებისაც და დიდგვაროვნებისაც. მაგალითად, იოანეს 1768 წლის 10 ივლისის ჩანაწერში ვკითხულობთ: „სულეიმან ფაშა ქეჰა და გომრუვჯი მოვიდნენ ქუთაისს. მოვიდნენ მეფე სოლომონის შესარიგებლად“ [გვ. 15]. ქუთაისში ისინი 28 ივლისამდე დარჩენილან, შემდეგ კი ახალციხეში გამგზავრებულან.

„ახალციხური ქრონიკების“ შეფასების დროს აქ ერთ გარემოებასაც მინდა მივაქციო ყურადღება: მიუხედავად იმისა, რომ ახალციხის საფაშოს კათოლიკური მღვდელმსახურები დროდადრო რელიგიური დევნისა და რეპრესირების მსხვერპლნიც ხდებოდნენ, წარმოდგენილ დღიურ-მატიანეთა ავტორები ადგილობრივი ფაშებისა და იმპერიის ხელისუფლების სხვა მაღალი პირებისადმი საყვედურს არათუ ძალზე იშვიათად გამოთქვამდნენ, არამედ აშკარა კეთილგანწყობითაც კი საუბრობდნენ ხოლმე მათ შესახებ.

ი. ხოჯაშვილის ჩანაწერების განმარტების დროს ამ მოვლენას მ. ქავთარია ასეთ კომენტარს უკეთებს: „იოანე მიუხედავად თავისი შინაგანი დამოკიდებულებისა, აგრესიულად არ არის განწყობილი ახალციხის ფაშების მიმართ, რომელთაც ხშირად „ჩვენ ფაშასაც“ ეძახის. ამიტომ ახალციხის ფაშათა მოქმედებაში იგი ყოველთვის ვერ ხედავს მათ ნამდვილ ზრახვებს“ [გვ. 351].

მკვლევრის აზრით, ამას ის გარემოებაც განაპირობებდა არსებითად, რომ ახალციხეში მცხოვრები იოანეს ცხოვრებისეულ უსაფრთხოებას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა იქაური ფაშების პიროვნული დამოკიდებულება მისადმი.

თუმცა, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ამგვარი ლოიალობის მიუხედავად, იოანეცა და სხვა კათოლიკე მღვდელმსახურებიც არაერთგზის ქცეულან ფაშების მხრიდან დევნისა და რეპრესირების მსხვერპლად. მაგალითად, აი, რა ჩანაწერი გაუკეთებია ი. ხოჯაშვილს 1769 წლის 11 მკათათვეს, ქუთაისში ყოფნის დროს, ამასთან დაკავშირებით: „ჩვენი ხუცები დაიჭირა მამან ფაშამ და ეჩმიაძინის კათოლიკოზს სვიმონს გაუგზავნა: 1. პოღოს ეპისკოპოზი, 2. ოჰანნეზ ვარდაპეტი, 3. გორელი ტერ სტეფანი. 4. ტერ აკობი. ფეხებგამოკრული რაბათის თავისკენ წაუყვანიათ. წმინდა იოვანეს საყდარიც მესამე დღეს პოებს მისცეს და ორი საყდრებიც დაგვიბეჭდეს. პატრებიც მეორე დღეს ექსორიაში გააძაღეს“ [გვ. 16].

„დღიური-მატიანის“ ავტორთა მიერ მოხსენიებულ ფაშა-თაგან განსაკუთრებული ყურადღება მინდა მივაქციო სელიმ ფაშა-აჭარელს, რომელიც ხსენებული ქრონიკების მიხედვით, 1800-იანი წლებიდან მოყოლებული, 1815 წლის 1 (3) ივნისამ-დე მართავდა ახალციხის საფაშოს გარკვეული ქრონოლოგიუ-რი ინტერვალით.

„ქრონიკების“ ავტორთა ჩანაწერების მიხედვით, რაც ზუს-ტად შეესაბამება ს. ხემშიაშვილის ბიოგრაფიიდან ჩვენთვის ცნობილ მონაცემებს, ახალციხის საფაშოს ხელში ჩასაგდებად სელიმ აჭარელი 1790-იანი წლების მიწურულიდან აქტიურ ბრძოლებს აწარმოებდა შერიფ ფაშას წინააღმდეგ.

მაგალითად, აი, რა ცნობებს გვაწვდის ამასთან დაკავში-რებით ი. ხოჯაშვილი: 1799 წლის 15 ივნისი: „ჩვენი სელიმ აღა აჭარიდგან ჯარით მოვიდა“ [გვ. 104]; 1800 წლის 16 სექტემბე-რი: „შარიფ ფაშაზე ჯარი წავიდა, სელიმ აღა თავათ“ (გვ. 109); 20 სექტემბერი: „შარიფ ფაშის არტანუჯს წასვლა თქვეს“; 22 სექტემბერი: „აჭარელი სელიმ აღაც წავიდა“; 1 ოქტომბერი: „შარიფ ფაშის კაცები ყ{ვე}ლაღა ციხეში ავიდა“; 6 ოქტომბერი: „შერიფ ფაშის ხანუმი მხლებლებით დაარჩვეს სხვილს“; 12 ნო-ემბერი: „აჭარელი სელიმ აღას მოსლვა თქვეს. აქ არეულობა რამე იქნა, შარიფ ფაშის გამო რომ შფოთი ჩამოვარდა“; 18 დე-კემბერი: „აჭარელი სელიმ აღა კიდევ გარდმოვიდა“; 20 დეკემ-ბერი: „ვალეს მოვიდა სელიმ აღა“; 31 დეკემბერი: „ახალციხის ჯარი წავიდა აჭარელს სელიმ აღაზე, რომ ფოცხოვს იყო“ [გვ. 109–110].

1801 წლის 4 მაისი: „აჭარელი სელიმ აღა ჯარით ახალცი-ხეს ქალაქში შემოვიდა, მაგრამ ციხე კი არ მისცეს... აჭარლებ-მან და მეციხოვნებმან ბრძოლა დაიწყეს, დღე და ღამე ციხიდ-გან მრავალი ზარბაზნები ისროლეს.

მაისი 6... შარიფ ფაშის ჯარი ცხენოსანი მოვიდა ხანჯრს წვერზედ მომშველი ციხისა და სხვილს დადგნენ.

მაისის 7... ამ დღეს აჭარლები სხვილსს დაეცნენ შარიფ ფაშის ჯარს და მოშალეს“ [გვ. 111].

1802 წლის 22 ოქტომბერი: „აჭარელი სელიმ აღა მოვიდა ახალციხეს...

ოქტონბერი 29... სელიმ აღა აჭარელი შარიფ ფაშაზე წავიდა ჯარითა...

ნოემბერი 10... ზარბაზნები ისროლეს შარიფ ფაშის გაქცევისა...

ნოემბერი 21... ოლთისის ციხე აჭარლებმან რომ აიღეს, ზარბაზნები ისროლეს.

ნოემბერი 29... აჭარელი სელიმ აღა მოვიდა“ [გვ. 116].

1803 წლის 25 თებერვალი: „აჭარელი სელიმ აღა მობძანდა“ [გვ. 117].

როგორც ითქვა, შერიფ ფაშას წინააღმდეგ წლების განმავლობაში მიმდინარე აქტიური ბრძოლა 1803 წელს სელიმის გამარჯვებით დამთავრდა და იგი ახალციხის ფაშას ტიტულის მფლობელი გახდა. თუმცა შერიფს არც ამის შემდეგ შეუწყვეტია საბრძოლო ქმედებანი და აქტიურად ცდილობდა დაკარგული თანამდებობის უკან დაბრუნებას. აი, რა ცნობებს გვაწვდის ი. ხოჯაშვილი ამასთან დაკავშირებით:

1803 წლის 6 აგვისტო: „შარიფ ფაშის ერევნიდგან წამოსვლა თქვეს.

აგვისტოსი 8... მეორედ კიდევ შარიფ ფაშის მოსლვის შიში იქნა.

აგვისტოსი 12... მესამედ სარიფ ფაშის მოსლვის შიში ჩამოაგდეს...

აგვისტოსი 13... მეოთხედ შერიფ ფაშის მოსლვა თქვეს ახალქალაქს...

სეპტენბერი 2... შარიფ ფაშას გაქცევა თქვეს თავის ადგილიდგან“ [გვ. 118-119].

როგორც ი. ხოჯაშვილის ჩანაწერებიდან ნათლად ჩანს, ახალციხის ფაშობის თანამდებობიდან იძულებით გადამდგარი

შერიფის ადგილი სელიმს დაუჭერია: 1803 წლის 7 სექტემბერი: „სელიმ ფაშა (უკვე ფაშა! – ა. ნ.) მობძანდა...

14 სეპტენბერი... სელიმ ფაშას თუღები და მუყალამა მოუვიდა“ [გვ. 119].

1804 წლის 24 იანვარი: „სელიმ ფაშას ფაშობის მუჟდა მოუვიდა“ [გვ. 120].

1805 წლის 15 იანვარი: „სელიმ ფაშას ფაშობის მახარობელი მოუვიდა“ [გვ. 123].

ი. ხოჯაშვილის ჩანაწერებიდან ზემოთ დამოწმებულ ციტატებში მოხსენიებული სელიმ აღა აჭარელი, რომელიც ახალციხის ფაშად გახდომამდე აღას ტიტულის მფლობელი იყო, და სელიმ აღა ყიფიანი სხვადასხვა პიროვნებები რომ იყვნენ, ამის დასტურად აქ ი. ხოჯაშვილის მიერ 1803 წლის 20 აგვისტოს გაკეთებული ეს ჩანაწერიც მინდა დავიმოწმო: „ყიფიანს მოუვიდა მუსალიმობა აჭარელი ფაშასაგან“ [გვ. 118].

ალბათ არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ავტორის მიერ მოხსენიებულ აჭარელ ფაშაში, რომელმაც სელიმ ყიფიანს მუსალიმობის ტიტული უბოძა (როგორც ჩანს, იმხანად მისი აქტიური მხარდაჭერისა და თანამებრძოლობისათვის), ამჯერად ახალციხის საფაშოს ახლად დაპატრონებული სელიმ ხიმშიაშვილი იგულისხმება.

ზემოთ აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით კონკრეტულ ცნობებს სტეფანე აბინაშვილიცა და სტეფანე ნავროზაშვილიც გვაწვდიან. ს. აბინაშვილი: 1801 წლის 5 მაისი: „დღეს აჭარელი მოვიდა და ციხეს შარიფის ძმა დაემწყვდა“; 6 მაისი: „დღეს შარიფ ფაშა ქალაქს შემოადგა“; 6 მაისი: „აჭარელი გაიქცა, შარიფ ფაშა მოვიდა“ [გვ. 177].

1802 წლის ოქტომბერი: „დღეს აჭარლის შიში დიდი იქნა... 18 – შარიფ ფაშა წავიდა... 22 – აჭარელი მოვიდა. 29 – ჯარი შარიფზე წავიდნენ“ [გვ. 178]; 1803 წლის სექტემბერი: „შარიფი არტანიდამ გაიქცა ყარსა, ვერა ქნა. 7 – სელიმ ფაშა შემოვიდა ხემში“ [გვ. 179].

თავდაპირველად სელიმი ახალციხის ფაშას თანამდებობაზე 1809 წლამდე იმყოფებოდა, თუმცა შერიფი ამ პერიოდის განმავლობაში კვლავაც განაგრძობდა აქტიურ ბრძოლას დაკარგული თანამდებობის უკან დასაბრუნებლად, რასაც 1810 წელს მიაღწია კიდეც. აი, რას წერს სელიმის წინააღმდეგ გამართული ერთ-ერთი ასეთი ბრძოლის შესახებ ს. ნავროზაშვილი: 1810 წლის 1 მარტი: „აჭარელი სელიმ ფაშას ჯარი მოვიდა და შარიფ ფაშას ჯარსა სხვილოსის სახლებში შეანწყვდიეს, იქიდამ ომს უშვრებიან. 5 – წუხელის ღამეს, საჰათის 4, სხვილისიდამ სელიმ ფაშის გაიპარნენ დიდათ დამარცხებული და მრავალი დაიხოცა და მრავალიც მოიყვანეს აჭარლები. და ამათმა ფაშამაც მთა გარდაიარა შერცხვენილი“ [გვ. 230].

1810 წელს შერიფთან ბრძოლაში დამარცხებულმა სელიმმა დაკარგული თანამდებობა 1812 წელს კვლავ დაიბრუნა და ფაშას ტიტულს იგი უკვე სიკვდილით დასჯამდე ფლობდა.

როგორც ცნობილია, სელიმ ხიმშიაშვილს, ოსმალეთის იმპერიის ხელისუფლებასთან ურჩობის გამო, 1815 წლის ივნისში სულთანის ბრძანებით თავი მოჰკვეთეს. სტეფანე ნავროზაშვილი სელიმისთვის თავის მოკვეთის თარიღად 1 ივნისს ასახელებს: „სელიმ ფაშას აჭარელსა თავი მოსჭრეს“ (გვ. 236); ს. აბინაშვილი კი – 3 ივნისს: „თიბათვეში, 3. სელიმ ფაშას თავი მოსჭრეს“ (გვ. 193).

ყველაფერ ამას აქ ყურადღება იმიტომაც მივაქციე, რომ იოანე ხოჯაშვილის, სტეფანე აბინაშვილისა და სტეფანე ნავროზაშვილის მიერ მოწოდებული ცნობები ახალი დეტალებით ავსებს და ამდიდრებს სელიმ ხიმშიაშვილის ბიოგრაფიას.

„ახალციხური ქრონიკების“ ავტორები იმ ურთიერთობის შესახებაც გვაწვდიან ცნობებს, რაც ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიებს შორის არსებობდა XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველ მესამედში. როგორც ცნობილია, კავკასიის რეგიონში გავლენის სფეროების გასაფართოებლად და ახალ-ახალი ტერიტორიების მისატაცებლად ამ პერიოდში რუსეთსა

და თურქეთს შორის ურთიერთობა იმდენად გამწვავდა, რომ საომარ დაპირისპირებებშიც არაერთხელ გადაიზარდა.

ამ მოვლენათა შედეგად, რუსეთი საქართველოს არა მარტო იმ ტერიტორიების მიტაცებას ცდილობდა აქტიურად, რაც ოსმალეთის იმპერიის იურისდიქციაში არ იყო მოქცეული, არამედ ამ სახელმწიფოს მიერ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მისაკუთრებული სამცხე-ჯავახეთისა და აჭარის დაპყრობასაც.

ამ მიზნის მიღწევას ორივე სახელმწიფოს მესვეურები აქტიურად ცდილობდნენ როგორც დიპლომატიური გზებითა და მშვიდობიანი ხერხებით, ისე შეიარაღებული ძალების გამოყენებით. „ახალციხური ქრონიკების“ ავტორთა მიერ ამასთან დაკავშირებით მოწოდებული ცნობების მნიშვნელობას არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ ისინი უშუალოდ თვითმხილველნი იყვნენ იმ პროცესებისა, რაც ამ მიმართულებით ვითარდებოდა ჩვენს ქვეყანაში იმხანად. ნათქვამისთვის მეტი კონკრეტულობის მისაცემად დავიმოწმებ რამდენიმე ფრაგმენტს მათი ჩანაწერებიდან.

იოანე ხოჯაშვილი: 1772 წლის 29 ივლისი: „ქუთაისს შიში შეიქმნა თათრისა და ლეკისაგან“; 4 სექტემბერი: „კვლავ თათრის და ლეკის შიში იქმნა ქუთაისს“ (გვ. 31); 1773 წლის 24 ივნისი: „ქუთაისს ავიყარეთ სრულ თათრის და ლეკის შიშით“ (გვ. 36); 1774 წლის 9 იანვარი: „ქუტათისი აიყარა თათრისა და ლეკის შიშისაგან“ (გვ. 39); 1807 წლის 12 მაისი: „თათრებმან ახალქალაქს გამარჯვებისათვის ზარბაზნები ისროლეს და რუსის ქუთაისიდგან წასლვა თქვეს... რუსების სამი ზარბაზანი და სამიც ჯაბა ყუთით მოიტანეს. ზარბაზანის და ხელთოფების სროლით, შადლუღით“ [გვ. 129]; 1808 წლის 19 აგვისტო: „ახალქალაქისკენ შიში ჩამოვარდა რუსისა“ [გვ. 133].

სტეფანე აბინაშვილი: 1810 წლის 6 ნოემბერი: „ამ კვირაში რუსებმა დაიჭირეს კოთელია, ხიზაბავრა, ასპინძა და უფრო ქვეითაც. 11 – კლდის გზაზე კარვები დაიდგეს რუსთა და თათრის ჯარი მოშალეს, გააშიშვლეს... 18 – დილის საჰათის

12-ზე დაიწყეს დიდი სროლა, ასე რომ, ცა ჩამობნელდა, შუადღემდე დიდი ყვირილი {იყო} ყარანაშზედ. 1 მათარისი აიღო რუსმა, უსარგებლოდ, უფრო ბევრი რუსი გაწყდა თათრისაგან. 9 საჰათი იბრძოლეს, თათარმა 2 ზარბაზანი დაიჭირა“ [გვ. 187]; 1811 წლის 9 დეკემბერი: „ახალქალაქის ციხე აიღო რუსმა გუშინ“ [გვ. 188]; 1828 წლის 17 ივლისი: „ჯარი წავიდა რუსზე. 3 თვე გახდა. 22 – მოშლილი მოვიდა... ლაშქარ წავიდა რუსზედ აწყვერს. 4 – დღეს ქოსა ფაშა და 2 სხვა ფაშები მოვიდნენ ჯარითა. 5 – რუსის ჯარი ამოვიდა ტავშანთაბაზედა ბიბაურიდამ და კლდის ამოსავალზედ ნახირის ჩამოსავალზედ ისროლა მრავალი. ამათაც ბევრი ისროლეს. 2 დღეს დიდი ომი იქნა და ამათი ბევრი დაიკოდა, 2 საჰათი იბრძოლეს“ [გვ. 210].

სტეფანე ნავროზაშვილი: 1810 წლის 4 ნოემბერი: „დღეს რუსის ჯარი შემოერტყა ახალციხეს... 19 – დღეს მოუხტნენ რუსები კლდის თავზე და ვერ შემოუვიდნენ და 200-მდი დაიხოცა რუსი და ორი ზარბაზანი, ერთი ბაირახი და ბალაბანები წაართვეს რუსებსა ახალციხის თათრებმა. 26 – დღეს გაბრუნდა რუსის ჯარი“ [გვ. 230]; 1811 წლის 8 დეკემბერი: „დღეს ამბავი მოვიდა, რომ რუსმა ახალქალაქის ციხე აიღო. და აღებაც დამტკიცდა“ (გვ. 232); 1828 წლის 15 აგვისტო: „დღეს საჰათის შვიდს რუსი შემორტყმული ახალციხეს ზედა ძრიელი ცეცხლივით აწვიმა ზარბაზანი და აიღო ახალციხე მწუხრისა და შეასია ჯარია და იაღაშა აქმნევინა და ცეცხლს მისცა. ამათი მთავარმართებელი, სახელად პასკოვიჩი და დაიზავათა ახალციხე. 21 – დღეს აღბეჭდილი საყდრები გაიღო და ვსწირეთ“; 14 სექტემბერი: „დღეს ციხეში პასკოვიჩი ვნახეთ და 5 ბაჯაღლო თვითოს მოგვცა, 7 მღვდელს“ [გვ. 249].

„ახალციხური ქრონიკები“ საინტერესო იმ თვალსაზრისითაცაა, რომ ამ ჩანაწერების ერთ-ერთი ავტორი – ს. აბინაშვილი ოსმალეთში იმერეთის უკანასკნელი მეფის – სოლომონ მეორის (მეფობდა 1790-1810 წლებში) გადახვეწასთან დაკავშირებითაც გვაწვდის ორიოდე ცნობას. როგორც ცნობილია, რუ-

სი დამპყრობლების წინააღმდეგ თავგანწირვით მებრძოლი სოლომონი, რომელსაც არა მარტო მის სამეფოში დარჩენა აღარ შეეძლო, არამედ ჩვენი ქვეყნის ვერცერთ მხარეში ვერ პოვა საიმედო თავშესაფარი, იძულებული გახდა, 1810 წელს ჯერ ახალციხის საფაშოში გადახვეწილიყო, შემდეგ კი, ოსმალეთის ხონთქრის მფარველობით, ტრაპიზონში დამკვიდრებულიყო და 1815 წელს სწორედ იქ დაესრულებინა თავისი სიცოცხლის დარჩენილი წლები.

აი, რა ინფორმაციას გვაწვდის ამასთან დაკავშირებით ს. აბინაშვილი: 1810 წლის 20 ივნისი: „მეფე სოლომონი წავიდა იმერეთს რუსზე tatvis (თათრის) ჯარით"; 2 ნოემბერი: „მეფე სოლომონ ხელმეორე {დ} იმერეთიდამ გამოქცეული წავიდა არტაჰანს. და იქიდამაც ერევანს 150 კაცითა" [გვ. 186-187].

როგორც „ახალციხური ქრონიკების" ავტორთა „დღიურიჩანაწერებიდან" ცხადად ჩანს, მათ მიერ აღწერილ პერიოდში ახალციხის საფაშოს (იგულისხმება XVIII საუკუნის მეორე ნახევარი და XIX საუკუნის პირველი ნახევარი) მეტად აქტიური ადმინისტრაციული, სავაჭრო-ეკონომიკური, რელიგიურ-მისიონერული და სხვა სახის ურთიერთობები ჰქონია დამყარებული ოსმალეთის იმჟამინდელ დედაქალაქ სტამბოლთან და ამ იმპერიის სხვა რეგიონებთან. ამ მიზნით ფართოდ ყოფილა გამოყენებული როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო გზებით მიმოსვლა.

ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ რამდენიმე ფრაგმენტს განსახილველი ტექსტებიდან: 1763 წ: „მამაი მოვიდა სტანბოლიდგან" [გვ. 7]; 1766 წ: „პატრი ვიქარი ლეონარდე წავიდა სტანბოლს" [გვ. 11]; 1767 წ: „სტანბოლის ქარავანი უდეს ამოვიდა" [გვ. 13]; 1778 წ: „სტამბოლს ქარავანი წავიდა" [გვ. 54]; 1790 წ: „პირველი ქარავანი სტამბოლს წავიდა"; „პოღოს ბიძაი სტანბოლიდამ მოვიდა ახალციხეს" [გვ. 75]; 1772 წ: „პატრები წავიდნენ სტამბოლს ქარავნით" [გვ. 82]; 1793 წ: „ტფილისიდგან ელჩა მდივანი მოვიდა, რომ სტანბოლსაც

აპირებდა წასვლას“ [გვ. 83]; 1794 წ: „იესე შვილი, მღებრის შვილი და სხვანიც წავიდნენ სტანბოლს“; „ფრანციის ყალინების მოსლვა თქვეს სტანბოლის ზღვით“ [გვ. 85]; 1795 წ: „იესეს შვილი და მღებრის შვილი სტამბოლიდგან მოვიდნენ მღვდლებად“ [გვ. 90]; 1798 წ: „ნარიბეგათ პარუნ პოღოსი წავიდა სტანბოლს ართვინისგან“ [გვ. 101]; 1806 წ: „ჩვენი სიძე პეტრეი ხმელეთით სტანბოლს წავიდა“ [გვ. 127]; 1835 წ: „სარი კონოთ თომაი წავიდა სტამბოლს“ [გვ. 218]; 1839 წ: „პალიათ პეტროსაი და სარი თომაი წავიდნენ სტამბოლს. ამათ გავატანე 10 წყვილი წინდა პეტოსას და წიგნი, თომასაც გავატანე 10 წყვილი წინდა“ [გვ. 221].

თურქეთის სხვა რეგიონებთან ურთიერთობის დამადასტურებელი ფრაგმენტები: ი. ხოჯაშვილი, 1763 წ: „ჩვენი დავითთაი მოვიდა ტრაპიზონიდგან“; 1764 წ: „მამაი აზრუმს წავიდა“; „პატრი ვიქარი ართვინითგან მობრძანდა“ [გვ. 8]; 1765 წ: „მამას გამოგზავნილი აზრუმიდგან ხარა და სხვა არაბოღლის ხელით დაიკარგა“ [გვ. 9]; „აზრუმს წავიდა ლუკაი, ჩემი ძმა“ (როგორც იოანეს ჩანაწერებიდან ნათლად ჩანს, მისი ძმა ლუკა მეტად აქტიური და ხშირი სავაჭრო მიმოსვლებით ყოფილა დაკავშირებული ოსმალეთის სხვადასხვა ქალაქთან, უპირველეს ყოვლისა კი არზრუმთან, სადაც თავისი კომერციული საქმეების მოსაგვარებლად სისტემატურად უხდებოდა წასვლა); „არტანს წავედით სძლის მოსაყვანათ“ [გვ. 12]; 1777 წ: „ტერ სტეფანე ველს წავიდა არტანისას“ [გვ. 51]; 1779 წ: „ველისკენ წავედი არტანიდგან... ველიდგან წამოვედით ახალციხეს“ [გვ. 57]; 1781 წ: „პატრი ფრანჩისკე მეორედ წავიდა ხოფას“ [გვ. 59]; 1783 წ: „ქეჰა შავშეთიდან მოვიდა დიდი ნაშოვრითა“ [გვ. 64]; 1791 წ: „ლუკაი ყარს წავიდა“; „ჩვენი ლუკაი შავშეთისკენ წავიდა თერძი ხატინჯანასთან“ [გვ. 77]; 1793 წ: „აზრუმს ქარავანი წავიდა“ [გვ. 82]; 1800 წ: „ჩვენი ლუკაი ოლთისიდგან დაბრუნდა და აქ ახალციხეს მოვიდა. ჰალვა ვერ აეღო“ [გვ. 108]...

ს. აბინაშვილი, 1794 წ: „ველელი იოვანესაი წავიდა მერ-დინს“; „ოვანას შვილი მოვიდა სათლელიდამ“; „ართვინს წამოვედი... ოჰამათი არტანუჯს წავიდა ბაროხათ“ [გვ. 166]; „ართვინიდამ ჩხალას მოვედი. ჩხალადამ ხოფას წავედი ში-შით... ხოფადამ წავედი სტამბოლს... ყარაზედ წავედით. იზ-მითს მივედით... გავედით სტანბოლს“ [გვ. 167]; 1802 წ: „ძმა პეტრე წავიდა ბეგთან შავშეთსა“ [გვ. 178]...

„ახალციხური ქრონიკებისადმი“ ინტერესს მნიშვნელოვან-წილად განსაზღვრავს ის ფაქტიც, რომ მათი ავტორები იმ აქ-ტიურ პოლიტიკურ და სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებ-თან დაკავშირებითაც გვაწვდიან საგულისხმო ცნობებს, რაც ხსენებულ პერიოდში არსებობდა ახალციხის საფაშოსა და იმე-რეთის სამეფოს, პირველ ყოვლისა კი მის დედაქალაქ ქუთა-ისს, შორის. როგორც აღნიშნული ჩანაწერებიდან ნათლად ჩანს, ამ ურთიერთობას სერიოზულ წინააღმდეგობას ვერ უქ-მნიდა ის ფაქტი, რომ ახალციხის საფაშო იმხანად ქართულ სა-ხელმწიფოებრივ სივრცეს მოწყვეტილ და ოსმალეთის იმპერი-ის დაქვემდებარებაში მოქცეულ რეგიონს წარმოადგენდა.

მაგალითად, 1767 წ: „ნარიბეგათ არუთენას შვილი [ქუთაი-სიდან – ა. ნ.] ახალციხეს წავიდა... მეფისათ ოსეფაი კვალად მოვიდა ქუთაისს... თებურ ბეგი ახალციხეს წავიდა ქუთაისიდ-გან“ [გვ. 14]; 1775 წ: „ჩემი ძმა ლუკაი [ახალციხიდან – ა. ნ.] ქუთაისს მოვიდა... ლუკაი ხონს და ყულაშს წავიდა“ [გვ. 44]; 1776 წ: „სარქის პაპათ ოჰანეზაი, პაატაი და სვიმონა ქუთაი-სიდგან ახალციხეს წავიდნენ“ [გვ. 48]; 1791 წ: „ჩვენი სტეფანაი იმერეთს წავიდა მეორედ... ჩვენი სტეფანაი, დაბრუნებული, კვალად წავიდა ქუთათისს“ [გვ. 91]; 1806 წ: „ჩვენი სტეფანაი ქუთაისს წავიდა... ჩვენი სტეფანაი ქუთაისიდგან მოვიდა“ [გვ. 127]...

ვფიქრობ, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე სულაც არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ „ახალციხური ქრონიკე-ბის“ ავტორთა ჩანაწერები, მიუხედავად მათი ფრაგმენტულო-

ბისა და სქემატურობისა, მაინც უნდა შეფასდეს მეტად მნიშვნელოვან იმ დოკუმენტურ მასალად, რომელიც ახალი წახნაგებით წარმოაჩენს შესაბამისი პერიოდის ისტორიულ რეალობას.

ლიტერატურა – REFERENSES

1. ახალციხური ქრონიკები, დღიური-მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს აკად. ნიკო ბერძენიშვილმა და მიხეილ ქავთარიამ, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო მიხეილ ქავთარიამ, თბ., 2015.
2. ვაგნერი მ. საქართველოს შესახებ, გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2002.
3. ლომსაძე შ. გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, ახალციხური ქრონიკები, თბ., 1979.
4. მარკოვი ე. რიონის დაბლობი, თარგმნა ზურაბ კუხიანიძემ, ჟურნალი „განთიადი“, ქუთაისი, 1993, №5-6.
5. ნიკოლეიშვილი ა., ნიკოლეიშვილი ო. ევროპელი ავტორები ქუთაისის შესახებ (XV-XIX საუკუნეები), ქუთაისი, 2012.

AVTANDIL NIKOLEISHVILI

PASSAGES OF GEORGIAN-TURKISH RELATIONS IN "AKHALTSIKHE CHRONICLES"

Summary

We find interesting information about Georgia-Turkey relations of XVIII–XIX centuries in the works of such famous cleric figures as Ioane Khojashvili, Stephane Abinashvili, and Stephane Navrozashvili. When talking about the Akhaltsikhe Chronicles, we should pay special attention to the part where Ioane Khojashvili provides extremely important information about the eventual expulsion of Turkish peasants from

the Ukimerioni fortress in Kutaisi and the demolition of the Bagrati temple. Because the Kingdom of Imereti was under Ottoman influence for a long time, Turkish soldiers were fortified in its fortresses. One such place was the existing fortress and Bagrati temple in Kutaisi, on Ukimerioni Hill. The Turkish army was fortified in this fortress for a century, from 1669 to 1770.

The fortress was liberated from Ottoman rule by the then King of Imereti, Solomon I, in 1770, with the help of Russian troops. According to I. Khojashvili's records, the Bagrati temple was destroyed during the military operation to liberate the fortress using shells fired from Russian cannons. The information provided by I. Khojashvili as an eyewitness to this incident was later confirmed by a German traveler, Moritz Wagner, who had previously visited Kutaisi, and by the Russian writer, Yevgeny Markov also.

The records of the authors of the "Akhaltsikhe Chronicles", despite their fragmentation, should still be considered very important documentary materials, which present the historical reality of the relevant period with a new perspective.

მერაბ კეზევაძე

ქუთაისში ებრაელთა დასახლების მთავარი ქუჩები მე-19 საუკუნეში

ნაშრომი ეძღვნება ქუთაისში მცხოვრებ გმირ ებრაელობას, რომელმაც გაუძლო მრავალგვარ ტანჯვას, ღირსეულად შემოინახა ებრაული რწმენა, მძიმე შრომითა და დიდი უნარით გამოისყიდა თავი ყმობისაგან; დაიბრუნა თავისუფლება; შვილები რწმენის, ერის, განათლების სიყვარულში გაზარდა და უცხო ქართველი მასპინძლის დაფასება და სიყვარულიც ასწავლა.

ქუთაისის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში გამორჩეულია მე-19 საუკუნე, როცა, ფაქტობრივად, ხელახლა დაიბადა ძველი და დიდი ტრადიციების გამგრძელებელი ახალი ქალაქი. საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლება და აღმავლობა, რომელიც ქუთაისის თურქთაგან განთავისუფლებას მოჰყვა (1770 წ.), ხანმოკლე აღმოჩნდა. 1818 წელს იმერეთის სამეფოს გაუქმებას, ქუთაისის სტატუსის დამცრობასთან ერთად, სხვა უბედურებებიც დაერთო – შავი ჭირი და მოუსავლიანობა, რამაც ქალაქის ისედაც მცირე მოსახლეობა კიდევ უფრო შეამცირა. ყოველივე ამან საქალაქო ცხოვრების დაქვეითება გამოიწვია. ქუთაისის აღმშენებლობის ახალი ეტაპი იწყება 1820 წლიდან (იმერეთის საეკლესიო აჯანყების სისხლში ჩახშობის შემდეგ, როდესაც, ფაქტობრივად, რუსეთი საბოლოოდ დამკვიდრდა იმერეთში). წამოიწყეს რიონის მარცხენა სანაპიროს ინტენსიური განაშენიანება და ქალაქის თანდათან დაბლობში, ვაკეზე „ჩამოსვლა“; ყალიბდებოდა დღეს ქალაქის ისტორიულ ნაწილად წოდებული „ცენტრი“. პროცესი თავიდან ქაოტურად მიმდინარეობდა, მაგრამ მე-19 საუკუნის 30-იან წლებში გეგმაზო-

მიერი ხასიათი მიიღო, რაც დიუბუა დე მონპერისეულ გეგმაზე (1833 წ.) კარგად ჩანს. ქალაქის ვაკეზე „ჩამოსვლა“ აბსოლუტურად სწორი იდეა იყო. სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით უნაკლო ადგილზე გაშენებულ ქალაქს ახლა უკვე სამრეწველო და სავაჭრო-კომერციულ ცენტრად ქცეული ქვედა ქალაქი ენაცვლებოდა და ავსებდა. ახალი გაშენებული ქალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანი გახდა ე. წ. „ებრაელთა დასახლება-უბანი“ [12.36].

ებრაელები, რომელთაც საქართველოში მოსახლეობის 2000 წელზე მეტი ხნის ისტორია გააჩნიათ, ქუთაისში, უფრო სწორედ, ქუთაისთან ახლოს მდებარე სოფელ მწვანეყვავილაში მცხოვრებლებად მე-17 საუკუნიდან ჩანან. კერძოდ, 1644 წლის სიგელში, როცა გაენათელი მიტროპოლიტი ზაქარია ქვარიანი ჰყვება მისსა და მამამისის მიერ სოფელ მწვანეყვავილას დასახლებაზე, ახსენებს იქ დასახლებულ ოჯახს – „ფიჩხაძე დანიელას კომლი ერთი“. მწვანეყვავილა არათუ იმ დროს, მე-19 საუკუნის შუა წლებამდე არ ეკუთვნოდა ქუთაისს [4.17], ამიტომაა ალბათ, რომ მე-17-მე-18 საუკუნის არცერთი უცხოელი მოგზაური (ლამბერტი, შარდენი, ტოლოჩანოვი, იევლევი, გიულდენშტედტი) არ ადასტურებს ქუთაისში ებრაელთა ცხოვრებას, რაც, ისტორიკოს დანიელ ხანანაშვილის, საქართველოს ებრაელთა ისტორიის დიდი მემატიანის აზრით, „იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ აქ, ამ პერიოდში ებრაელები ან ერთეულები იყვნენ, ან, რაც უფრო საფიქრებელია, არც კი სახლობდნენ“ [7.18].

ქუთაისში ებრაელთა პირველი მოხსენიება ეკუთვნის ვახუშტი ბატონიშვილს, რომელიც წერს (1745 წ.), რომ ქუთაისის მოსახლენი „არიან იმერნი, სომეხნი, ურიანი ვაჭარნი“ [2.21].

1822 წელს ფრანგი მოგზაური გამბა აღნიშნავს: „ქუთაისში მოსახლეობა ჯერ კიდევ ცოტაა, დაახლოებით 800 ებრაული ოჯახი აქაური მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენს“ [3.11]. 1833 წელს კი დიუბუა დე მონპერე ებრაელებზე წერს:

„ისინი ას წელზე მეტია, რაც მოვიდნენ ქუთაისში, სადაც უწინ არ ცხოვრობდნენ, ისინი მოიყვანეს მეფეებმა, რომლებიც მათ მფარველობდნენ. ქუთაისის ეკლესიამ მათ დაუთმო მიწის ფართობი, სადაც მოთავსდნენ გუბერნატორის სახლის (დღევანდელი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ტერიტორია – მ. კ.) მახლობლად“ [13.4]. დიუბუას ეს ცნობა კიდევ ერთხელ ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილის ზემოთ მოყვანილი სიტყვების სისწორეს, მაგრამ აჩენს კითხვას, რატომ არ ახსენებს ებრაელებს ქუთაისში 1771 წელს აქ ჩამოსული გიულდენშტედტი, რომელიც მწვანეყვავილიდან (ოკრიბიდან მომავალი) შემოვიდა ქალაქში. ამ კითხვაზეც პასუხს ქუთაისის ებრაელთა ისტორიის მკვლევარ დანიელ ხანანაშვილიდან დავიმოწმებთ, რომ 1770 წელს, ქალაქის ოსმალთაგან განთავისუფლებისას, ისინი ქალაქიდან ბრძოლებს განერიდნენ, რაც სულ მალე, როცა ქალაქის აღმშენებლობა დაიწყო, მათი ისევ დაბრუნება-დასახლებით აღინიშნა.

1776 წელს აფხაზეთის კათალიკოსი იოსები ქუთაისში რამდენიმე ებრაელ კომლს ასახლებს. აქაური ებრაელები ჩანან 1782 წელს იმერეთის დედოფალ გულქანის გოგნის მონასტრისადმი შეწირულობის სიგელში. 1803 წელს იმერეთის დედოფალი მარიამი მოწამეთას მონასტერს სწირავს ქუთაისში აბრამ და დავით შამოელაშვილებს. სხვათა შორის, ქუთაისში მცხოვრები ამ დედოფლის კუთვნილი 68 კომლიდან 33 ებრაელთა იყო [11.61].

1855 წლის მონაცემებით, ქუთაისში ცხოვრობდა 1155 ებრაელი, რომელთაგან 537 მოქალაქე, ხოლო 430 საეკლესიო ყმა იყო. მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ქუთაისში მცხოვრები 6589 ადამიანიდან 1290, 1885 წელს 23 644 მცხოვრებიდან – 2488, ხოლო 1897 წელს 32476-დან 3464 ებრაელი იყო [10.78,79].

ქუთაისში ებრაელთა დასახლება „ებრაელთა უბნის“ სახელწოდებით დატანილია 1833 წელს შედგენილ დიუბუა დე

მონპერეს გეგმაზე და იგი მოიცავს დღევანდელი ნიუ-პორტის ქუჩის ბოლო ნაწილს, გაპონოვისა და აზერბაიჯანის ქუჩების დასაწყისს და იერუსალიმის ქუჩას.

„ებრაელთა უბნის“ ერთ-ერთი ძირითადი ქუჩა „ებრაელთა ქუჩა“ იყო, რომელიც ქუთაისის პირველ სახელდებულ ქუჩებს შორის მე-19 საუკუნის 50-იანი წლების დასასრულიდან ჩანს. ის წარმოქმნილია მე-19 საუკუნის დასაწყისში. ქუჩა სახელდებულია აქ ებრაელთა ცხოვრების ფაქტის აღსანიშნავად, რომლებიც მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდნენ [2.44]. ჟურნალ „ცისკრის“ 1860 წლის №6-ში დაბეჭდილი წერილის თანახმად, რომელიც ზ. ერისთავს ეკუთვნის, ეს ქუჩა იყო „ერთ ძუელ ქუჩათაგანი, რომელთა ნახვას ჩუენ ვართ მიჩვეული აზიის ქალაქებში. მისი სივიწროვე და აღმოუხნელელი ტალახი უშლიდა თვით ურიებს სიარულს. ქუჩას აქეთ-იქით ნაპირებში აქუს არხები, რომელთაც ჩაყვება ყოველგვარი უწმინდურება. სახლები ურიების სულ ხისა არიან და ნაწილ არიან დადგენილნი შეუწყვეტელ რიგობითა ქუჩაში და ნაწილი მთაზედა აქა-იქ ბაღებში. გარედან ისინი არ არიან გათეთრებული, როგორათაც შიგნიდან“. მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ებრაელთა ქუჩა უკვე უკავშირდებოდა როგორც გაპონოვის (იმჟამინდელი გელათის), ისე გელათის (იმჟამინდელი პოლიციის) ქუჩებს. ფაქტობრივად, მთელი ებრაელთა უბანი ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული, ისე, როგორც თავად ქუჩაზე იყო მათი მჭიდრო დასახლება. აქ სახლი სახლზე იყო მიდგმული, რამაც ტრაგიკული შედეგი გამოიღო ამ უბანში გაჩენილი ორი ხანძრის დროს. მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ებრაელების ქუჩა ორად გაიყო. ქვედა ნაწილს, დღევანდელი პოლიციის მეორე განყოფილებიდან დიდ სინაგოგამდე, ებრაელების ქუჩის სახელი დარჩა, ზედა ნაწილს კი, სინაგოგიდან გელათის ქუჩამდე (იმჟამინდელი პოლიციის ქუჩა), ბერუჩოვის ქუჩა ეწოდა (დღევანდელი აზერბაიჯანის). 1921 წელს ეს ქუჩა ჩანს შაუმიანის (დღევანდელი ნიუ-პორტის) ქუჩის პირველ შე-

სახვევად; 1926 წელს ეწოდა გამოჩენილი ქართველი ებრაელი რევოლუციონერის, აბრამ (იცკა) იოსების ძე რიჟინაშვილის სახელი. 1995 წლიდან კი მას ეწოდება იერუსალიმის ქუჩა [14.2].

ებრაელთა კომპაქტური დასახლებით გამორჩეული იყო გელათის ქუჩა (ამჟამად გაპონოვის ქუჩა), რომელიც იწყება ნიუ-პორტის ქუჩიდან და მთავრდება მწვანეყვავილას ქუჩასთან. აქ გვიანფეოდალურ ხანაში ჩანს უკვე ქართველ ებრაელთა დასახლება, რომელიც, ქუჩის მიმართულებასთან ერთად, მწვანეყვავილასაკენ მიემართებოდა. იყო რა გელათის მონასტრისაკენ მიმავალი გზის ნაწილი, თავდაპირველად ქუჩას გელათის სახელი ეწოდა. როგორც დიუბუა დე მონპერეს გეგმიდან, ისე იმავე პერიოდში შესრულებული ნ. ჩერენცოვის ნახატიდან ჩანს, რომ მე-19 საუკუნის 30-იანი წლებისათვის ჯერ კიდევ მეჩხრადაა დასახლებული, 60-იანი წლებისათვის ქუჩაზე უკვე სახლების სიმჭიდროვეა, ხოლო 80-იანი წლებისათვის მთლიანად ათვისებულია. ამ ქუჩის მოშენების სახე, ისე როგორც იმდროინდელი „ებრაელების ქუჩისა“, განსხვავებული იყო ქუთაისის სხვა ქუჩების დაგეგმარებისაგან. აქ ყოველი სახლი სახლზე იყო მიდგმული და ქუთაისის დასახლებისათვის ტიპური ეზო-საკარმიდამო სისრულე და კეთილმოწყობა არ გააჩნდა. ამ ქუჩაზე იდგა როგორც სინაგოგები, ისე ებრაელების სკოლა. 1926 წელს ქუჩას მიენიჭა რევოლუციონერ სტეფანე შაუმიანის სახელი, ხოლო 1989 წელს ქუჩის საწყის მონაკვეთს (მე-6 შესახვევამდე) ეწოდა ჩვენი თანაქალაქელის, „ვეფხისტყაოსნის“ ძველებრაულად (ივრითზე) მთარგმნელის, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის, ბორის პანტელეიმონის ძე გაპონოვის სახელი [6.8,9].

ებრაელები წარმოადგენდნენ აზერბაიჯანის ქუჩის მოსახლეთა მნიშვნელოვან ნაწილს. ქუჩა, რომელიც მე-19 საუკუნის 30-იან წლებში შეიქმნა და რომელიც იმავე საუკუნის 60-იან წლებიდან ბერუჩოვის სახელს ატარებდა, ხანდახან ებრაელთა

ქუჩის ნაწილად ფიქსირდებოდა. მას 1922 წელს ეწოდა აზერ-ბაიჯანის სახელი. დროის მცირე მონაკვეთში, 1997-2008 წლებში, ქუჩა პოეტ ნიზამი განჯელის სახელს ატარებდა.

მე-19 საუკუნის მიწურულს ებრაული მოსახლეობა ჩანს ნიუ-პორტის ქუჩაზეც. ეს იყო ქუთაისის ერთ-ერთი უძველესი ქუჩა, რომელიც სხვადასხვა დროს გენერალ-გუბერნატორის (ქუჩის ბოლოში მდებარე ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის რეზიდენციის აღსანიშნავად), გაგარინის (ქუთაისის გუბერნა-ტორ ა. ი. გაგარინის მოსაგონრად), მე-3 ინტერნაციონალისა და პოეტ ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელს ატარებდა [1.38].

როგორც აღვნიშნეთ, ებრაელები ძირითადად ქუთაისში ცხოვრობდნენ ებრაელების, გელათის, გაგარინის, პოლიციის ქუჩებზე. ზოგიერთი ქუჩის მცხოვრებთა აბსოლუტური უმ-რავლესობა ებრაელი იყო. მაგალითად, 1880 წელს ებრაელე-ბის ქუჩაზე მცხოვრებ 39 კომლიდან 38, ხოლო გელათის ქუჩა-ზე 64 კომლიდან 63 ებრაელთა კომლი იყო. მე-19 საუკუნის ბოლომდე ქუთაისელ ებრაელთა ძირითადი საცხოვრისი „ებრაელების უბანია“, სხვა უბნებში აქვთ ძირითადად დუქნე-ბი. სახლი თუ აქვთ, ფლობენ დროებით, კომერციის მიზნით (ყიდულობენ და ყიდიან), ხოლო მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ისინი უკვე ჩანან ქალაქის ცენ-ტრალური ნაწილის სხვა ქუჩებზეც. 1903 წლის მონაცემებით, მიხეილის ქუჩაზე 59 კომლიდან 18, ვორონცოვის ქუჩაზე 56-დან 18, პოლიციის ქუჩაზე კი 81-დან 13 ებრაელებისაა [8.9].

სამწუხაროდ, „ებრაელთა უბნიდან“, მე-19 საუკუნის დრო-ინდელი შენობებიდან, გარდა სამი სინაგოგისა [დიდი სალოცა-ვი, აგებული მე-19 საუკუნის 80-იან წლებში და ნაკურთხი 1887 წლის 14 მაისს; ზედა, ანუ მწვანეყვავილას სალოცავი (1863 წ.) და პატარა სალოცავი (მე-19 საუკუნის დასაწყისი, მეორე სართული დაადგეს 1912 წელს)], თითქმის არაფერი შე-მოგვრჩა, რისი მიზეზიც გახდა ამ უბანში მომხდარი ორი დიდი ხანძარი, 1852 წლის 12 იანვარსა და 1928 წლის 10-11 მაისს.

დღეს ქალაქში არსებული გამორჩეული ისტორიულ-არქიტექ-ტურული ღირებულების მქონე შენობებიდან რამდენიმე ქუთა-ისელი ებრაელების მიერაა აგებული. ასეთია: ყოფილი „ვთბ ბანკი“-ს შენობა, რომელიც აბრამ მოშიაშვილის საცხოვრებელ სახლს წარმოადგენდა (აგებულია 1915-1916 წლებში); ცენ-ტრალურ მოედანზე მდგარი სამსართულიანი სახლი, რომე-ლიც არონ რიჟინაშვილს ეკუთვნოდა; სასტუმრო „ორიენტი“-ს შენობა, რომელიც ს. კაკიტელაშვილის საკუთრება იყო; ქუთა-ისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის (საჯარო ბიბლიოთეკის) შე-ნობა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ა. ელიგულაშვილს ეკუთვნოდა და მე-20 საუკუნის 10-იან წლებში მესამე სართუ-ლი დააშენა [9.31].

ქუთაისში, სადაც 30-ათასამდე ებრაელი ცხოვრობდა, დღემდე „ებრაელების უბანს“ ეძახიან გაპონოვის ქუჩასა და მწვანეყვავილას შორის დასახლებას, თუმცა ქალაქში დღეს-დღეობით მხოლოდ 70-მდე ებრაული ოჯახია შემორჩენილი. ქალაქის ერთ-ერთ უძველეს უბანში, საფიჩხიაზე, დარჩა ისრა-ელში დაბრუნებული ებრაელების წინაპართა საფლავები, რომლებსაც დიდი სიყვარულით უვლიან მათი მეგობარი ქუთა-თურები.

ლიტერატურა – REFERENSES

1. აიხვალდი ე. საქართველოს შესახებ, თბ., 2005.
2. ბატონიშვილი ვ. აღწერა სამეფოისა საქართველოისა, ქართლის ცხოვრება, ტ. 4, თბ., 1973.
3. გამბა ჟ. „მოგზაურობა ამიერკავკასიაში“, ტ. 1, თბ., 1987.
4. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. 1, თბ., 1962, ტ. 2, 1964.
5. დონ ქრისტოფორო დე კასტელი. „ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ“, თბ., 1976.

6. კოპალიანი გ. „ქუთაისის ქუჩები“, ქუთაისი, 2010.
7. „ლოცვის კარები. ქუთაისის ებრაელობა“, თელავივი, 2009.
8. პურადაშვილი ი., ისაკ და ივანე პურადაშვილები, „მოგონებები“, ქუთაისი, 2009.
9. ტოლოჩანოვი უ. იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, თბ., 1970.
10. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 3, თბ., 1970.
11. ქ.ცა.ა. ფ. № 513, ს.70, ს.72.
12. ქუთაისი მე-13 საუკუნის 60-იანი წლებიდან მე-20 საუკუნის 20-იან წლებამდე, ქუთაისი, 2013.
13. შარდენი ჟ. „შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“, თბ., 1975.
14. ჟ. „ცისკარი“, 1860, №6.

MERAB KEZEVADZE

MAIN STREETS OF JEWISH SETTLEMENTS IN XIX GENTURY

Summary

In XIX new stage of rebuilding began in Kutaisi. Intensive development of benches and process of settling in districts with flat landscape became measurable from 1820s. One of the important place of new ,,down” city became the so called ,,Jewish settlement-district”.

Jews become noticeable from XVII century in village Mtsvanekvavila, near Kutaisi.

Vakhushti Batonishvili is First who mentions Jews in the city, he writes that the settlers of Kutaisi are: ,,people from Imereti, Armenia, Uriah traders”.

In 20s of XIX century, according to French traveler Gamba, almost half of Kutaisi population were the Jews living here.

Jewish settlement in Kutaisi with the title „Jew district“ is denoted on the plan made by Diubuna de Monpere in 1833 and it combines present day New Port street, the last part, beginning parts of Gaponovi and Azerbaidjani streets and Jerusalem street.

Compact settlements of Jews were prominently noticeable on Gelati (then Shaumiani) street. On this street there were synagogues and school for Jews.

Nowadays the street is named atter Boris Gaponov, a person who translated „A man in the Panther' s skin" into Hebrew.

Thus XIXcentury Jews used to live in streets of Jews, Gelati, Gagarini, Police. In other districts they usually had shops. For today we have three synagogues left from „Jewish district“: bid and small shrines, up e. g. Mtsvane kvavila shrine.

ქეთევან ლორთქიფანიძე
როინ მალაყმაძე

გიორგი ყაზბეგის (1839 –1921) უკანასკნელი განსასვენებელი მიკვლეულია სტამბოლში

გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, „თერგდალეულის“, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის (1908-1918 წწ.) [2.253], რუსეთის იმპერიის გენშტაბის აკადემიის კურსდამთავრებულის, ინფანტერიის გენერალ-ლეიტენანტის, მწერლისა და მეცნიერ გიორგი ყაზბეგის სიცოცხლის ბოლო წლების შესახებ ბევრი ცნობები არ მოიპოვებდა, ასევე უცნობი იყო მისი უკანასკნელი განსასვენებელი.

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მიჩნეული იყო, რომ მან თავი აარიდა საბჭოთა ხელისუფლებას და მენშევიკურ მთავრობასთან ერთად წავიდა ევროპაში. ასევე არსებობდა მოსაზრება, რომ იგი ევროპაში წავიდა სამკურნალოდ, პოლონეთში თავისი შვილის საფლავის საძიებლად და სხვა. თუმცა ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში (იხ.: ტომი X, გვ. 616; თბ., 1976, ავტ. ვ. ჯავრიშვილი) გარდაცვალების ადგილად მითითებულია ქ. თბილისი, თვისა და რიცხვის მინიშნების გარეშე.

გიორგი ყაზბეგმა უდიდესი როლი ითამაშა 1878 წლის რუსეთ-თურქეთის ომში აჭარისა და ბათუმის ოლქის დედასამშობლოსთან, საქართველოსთან შემოერთების საქმეში. იგი მონაწილეობას ღებულობდა გრიგოლ გურიელის ექსპედიციაში, როგორც გურიელის მსახური. ამ ექსპედიციამ 1874 წელს იმოგზაურა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. გ. ყაზბეგს დავალებული ჰქონდა ფარულად ეწარმოებინა სამხედრო-სტრატეგიული ცნობების შეგროვება. მან კარგად შეასრულა

დაკისრებული მოვალეობა და მოგზაურობის შთაბეჭდილებებს ორი ნაშრომი მიუძღვნა: „სამი თვე თურქეთის საქართველოში“ და „ლაზისტანის სანჯაყის სამხედრო სტატისტიკური და სტრატეგიული ნარკვევი“. ორივე მათგანს დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა. საყურადღებოა, რომ მოგზაურობისას ყაზბეგმა შავშეთის სოფელ ტბეთში, ტბეთის მონასტერში აღმოაჩინა უძველესი ქართული ხელნაწერი, რომელიც ისტორიოგრაფიაში „ტბეთის სულთა მატეანედაა“ ცნობილი. თანამედროვენი უდიდეს პატივს მიაგებდნენ გიორგი ყაზბეგს. მან დააარსა ქართული დაწყებითი სკოლები ვლადიკავკაზში, სტეფანწმინდასა და ბაქოში, არაფერი რომ არ ვთქვათ სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის დაწყებით სასწავლებლებზე. უშუალოდ მისი თაოსნობით და სახსრებით შეიქმნა დღესაც არსებული დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი, სადაც მას არ ეღირსა დაკრძალვა. არადა, თავადაც ოცნებობდა მისთვისაც იქ მიეჩინათ სამარადისო სასუფეველი [1.32]. ისიც კი არ ვიცით, თუ ზუსტად სად მდებარეობდა ყველა გაჭირვებულისათვის ღია, მისი თბილისური სახლი ყოფილ ოლღას ქუჩაზე, რომელიც შემდგომ ლენინის ქუჩად იწოდა და დღეს კი მერაბ კოსტავას, ეროვნული გმირის სახელს ატარებს. XX ს. ორმოცდაათიან წლებში, ლენინის ქუჩის გაფართოების დროს, ყაზბეგისეული სახლი (სავარაუდოდ, №4), სადაც საფოსტო განყოფილება იყო განთავსებული, დაანგრიეს. ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, მეცნიერს, მწერალ რამაზ სურმანიძეს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ამ ბოლო ხანებში საზოგადოების ინტერესი გიორგი ყაზბეგის პიროვნების მიმართ გაიზარდა. სწორედ ბატონ რამაზ სურმანიძის ნაყოფიერმა მუშაობამ განაპირობა ის გარემოება, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 2017 წ. დეკემბრის თვეში თურქეთის რესპუბლიკაში მიავლინეს მეცნიერთა ჯგუფი გიორგი

ყაზბეგის დაკარგული საფლავის მოსაძებნად. მის შემადგენლობაში შედიოდნენ აწ განსვენებულნი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წ.კ. გურამ ლორთქიფანიძე და პროფესორი გურამ გრიგოლია; პროფესორები: როინ მალაყმაძე, კონსტანტინე ფიცხელაური, ქეთევან ლორთქიფანიძე. საძიებო ჯგუფმა ქ.სტამბოლში, შიშლის ქართველ კათოლიკეთა სავანეში, ფერიქოის უბანში, ანუ იქ, სადაც 1921 წლის მარტში თავშესაფარი პოვა დემოკრატიული საქართველოს პირველი რესპუბლიკის ლტოლვილმა მთავრობამ, თავისი სიცოცხლის ბოლო დღეები გაატარა გიორგი ყაზბეგმა. ბსუ-ის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფის [შუშანა ფუტკარაძე (ხელმძღვანელი), როინ მალაყმაძე, ელზა ფუტკარაძე, თამილა ლომთათიძე, ნაილა ჩელებაძე] მიერ სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა არქივის დამუშავებისას მიკვლეულ იქნა „ქართველ ემიგრანტთა-ლტოლვილთა სიები“, სადაც მითითებული იყო გენერალი გიორგი ყაზბეგი და მისი ოჯახის წევრები. ისინი გარკვეული დროის განმავლობაში ცხოვრობდნენ და შემწეობას ღებულობდნენ სავანეში.

ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა მონასტრის ტერიტორია, რის შედეგადაც მცდარი აღმოჩნდა ინფორმაცია იმის თაობაზეც, თითქოს გიორგი ყაზბეგი სავანის ეზოში დაკრძალეს. საძიებო ჯგუფის მიერ ჩატარებულმა დაზვერვითმა სამუშაოებმა ჩვენს პერიოდიკაში გამოთქმული ეს ინფორმაცია არ დაადასტურა. სავანის კედელთან გაიწმინდა XVIII-XIX ს. მარმარილოს საფლავის ქვები ქართული მხედრული წარწერებით. ახალციხიდან ამოსულ კათოლიკეთა ეს საფლავის ქვები სტამბოლის ცენტრიდან, კერძოდ, თაქსიმის მოედნის მახლობლად ძველი ქრისტიანული სასაფლაოდან ცნობილ მეცენატსა და საზოგადო მოღვაწეს, სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანის მფლობელ სიმონ ზაზაძეს 1956 წელს სასტუმრო „DIVAN“-ის მშენებლობის პერიოდში გადმოუტანია. გ.ყაზბეგის საფლავი არც სტამბოლის ფერიქოის კათოლიკურ სასაფლაოზე აღმოჩ-

ნდა, სადაც რამდენიმე ქართველი კათოლიკეა დაკრძალული. საძიებო ჯგუფმა მთელი ყურადღება შიშლის ბერძენ მართლმადიდებელთა ნეკროპოლზე გადაიტანა. აქ მოქმედი ფერისცვალების ეკლესიის ღვთისმსახურის, მამა დემეტრიოსის დახმარებით მივაკვლიეთ შიშლის ნეკროპოლის გარდაცვლილთა დავთარს, „სულთა მატიანეს“, რომელიც ამჟამად წმინდა მარიამის სახელობის ბერძნული ორთოდოქსული ეკლესიის არქივში ინახება. დავთრის ჩანაწერი გვამცნობს: გიორგი ყაზბეგი გარდაიცვალა 1921 წლის 24 მარტს. დაკრძალვის ხარჯები, №15674 ქვითრის შესაბამისად, 540 ყურუში (თანამედროვე კურსით, მიახლოებით, 250 ევრო – ქ.ლ.), როგორ გასაოცრადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, გადაუხდია საბჭოთა რუსეთის საკონსულოს. სამწუხაროდ, 1924 წელს, ამ №519 საფლავის შენახვის და მოვლის ხარჯების გადაუხდელობის გამო, გიორგი ყაზბეგის ნეშტი გადაუსვენებიათ აღნიშნული შიშლის სასაფლაოს „რუსული უბნის“ 21г სექტორში, საძმო საფლავში.

საძიებო ჯგუფის მიერ მიკვლეული დოკუმენტებით ცხადი ხდება, რომ გიორგი ყაზბეგი ბათუმიდან არ გაჰყოლია საქართველოს მთავრობას ემიგრაციაში, ის ადრე უნდა ყოფილიყო წასული ოჯახის წევრებთან ერთად. თვეების განმავლობაში ცხოვრობდა და შემწეობას ღებულობდა სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანეში; გარდაცვლილა არა 1921 წლის 14 აპრილს (როგორც აქამდე იყო ცნობილი), არამედ 1921 წლის 24 მარტს. მიგვაჩნია, რომ, თურქეთში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის დახმარებით და შესაბამისი ორგანოების ჩართულობით, შიშლის სასაფლაოზე უნდა განთავსდეს შესაბამისი ფილა წარწერით: აქ განისვენებს გენერალ-ლეიტენანტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე გიორგი ყაზბეგი. ასევე უნდა გაგრძელდეს სხვა ცნობილი ქართველების საფლავების მიკვლევა-ძიება თურქეთში.

ლიტერატურა – REFERENSES

1. სურმანიძე რ. გენერალ-ლეიტენანტი თერგდალეულთა თაობიდან (ახალი ცნობები გიორგი ყაზბეგის ბიოგრაფიიდან), ბათუმი, 2006.
2. გოდერიძე ლ. კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში (ქართული თვითმოქმედი საზოგადოებები), თბ., 2005.

KETEVAN LORTKIPANIDZE
ROIN MALAKMADZE

THE TOMB OF GIORGI KAZBEGI (1839-1921) HAS BEEN TRACED IN ISTANBUL

Summery

The tomb of Giorgi Kazbegi, a prominent public figure,chairman of the Society for Spreading Literacy among Georgians (1908-1921), a graduate of the General Staff of the Russian Empire, lieutenant general, writer and scientist, has not been known until recently.

The Georgian National Academy of Sciences, National Agency for Cultural Heritage Preservation and Batumi Shota Rustaveli State University have sent a team of scientists to the Republic of Turkey,Istanbul to find the lost grave of Giorgi Kazbegi. The search team shifted all its attention to the Greek Orthodox necropolis in Shishli. With the help of Father Demetrios, the pastor of the church of the Transfiguration, we have traced the book of the dead which is now kept in the archive of the Greek Orthodox Church of St.Mary.

The entry in the Latin alphabet of the book informs us: Giorgi Kazbegi died on March 24, 1921.Funeral expenses №15674 in accordance with the receipt in 540 kurush (at a modern exchange rate -appro-

ximately 250 Euros) as it should not seem surprising , paid by Consulate of Soviet Russia. Unfortunately, in 1924 due to nonpayment of maintenance and care costs for this №519 grave, the body of Giorgi Kazbegi was transferred to the collective grave.

საძიებო ჯგუფის წევრები, მარჯვნიდან მარცხნივ:
გ. გრიგოლია, გ. ლორთქიფანიძე, ქ. ლორთქიფანიძე,
როინ მალაყმაძე, გ. შალამბერიძე

წმ. მარიამის სახ. ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია

გარდაცვლილთა დავთარი – „სულთა მატიანე“

სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა
სავანის ეზოში დაცული საფლავის ქვა

მერაბ კალანდაძე

დიმიტრი უზნაძე
კალიგულაზე და ნერონზე

დიმიტრი უზნაძემ თავისი წვლილი შეიტანა და შეძლებისდაგვარად შეეცადა წინ წაეწია საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლება, შესწავლა, პოპულარიზაცია. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე და ამის მიჩქმალვა, მიჩუმათება, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა წლებში, სწორი არ უნდა იყოს. ისტორიულ მეცნიერებაში მის სახელთან ასოცირდება ორი კარგი წამოწყება: 1. ის სკოლაში ასწავლიდა მსოფლიო ისტორიას და 2. აქტიური მონაწილეობა მიიღო მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნის საქმეში. ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მისი მთავარი დამსახურება, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს [5.6].

განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ამ სფეროში მისი საქმიანობა მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა და, უმთავრესად, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთანაა დაკავშირებული. შემდგომ მისმა საქმიანობამ სულ სხვა მიმართულება შეიძინა და ის, ფაქტობრივად, ჩამოშორდა ისტორიულ მეცნიერებას. მნიშვნელოვანწილად, ამით აიხსნება, რომ ისტორიულ მეცნიერებაში მისი წვლილი შედარებით იმაზე უფრო მოკრძალებულად გამოიყურება, ვიდრე სინამდვილეში მას ხელეწიფებოდა. ამიტომ ფართო საზოგადოებისათვის ისტორიულ მეცნიერებაში მისი საქმიანობა შედარებით ნაკლებად იყო ცნობილი. საბჭოთა პერიოდში ეს საკითხი ტაბუდადებულ თემას წარმოადგენდა, რაც 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმატებისადმი ნეგატიური დამოკიდებულების გამოძა-

ხილი იყო. ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი კომპონენტი გახლდათ პოლიტიკური ნება. ამ თემისადმი ამგვარი ინდიფერენტული დამოკიდებულება, ჩვენი აზრით, სწორი არ იყო და დიმიტრი უზნაძის მრავალმხრივ მეცნიერულ საქმიანობაზე სრულყოფილ, ამომწურავ წარმოდგენას ვერ გვიქმნის.

აქვე დავსძენთ, რომ ძველი მსოფლიო ისტორიის სწავლების, შესწავლის, პოპულარიზაციის საქმეში, დიმიტრი უზნაძესთან ერთად, აქტიურად იყვნენ ჩაბმული შემდგომ ცნობილი ისტორიკოსები – ალექსანდრე წერეთელი (1889-1967) და გრიგოლ ნათაძე (1878-1951) [1.7.17.23].

წინამდებარე ნაშრომი, როგორც კარგად ჩანს სათაურიდან, ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს გამოარკვიოს, თუ როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება რომის იმპერატორების, კალიგულას (37-41) და ნერონისადმი (54-68). ამ კუთხით საკითხის გაშუქება, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა. ეს საშუალებას მოგვცემს ისტორიულ მეცნიერებაში დიმიტრი უზნაძის წვლილის გაცნობიერების საქმეში კიდევ ერთი ნაბიჯი წავდგათ წინ; ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული კიდევ ერთი სუფთა ფურცელი შევავსოთ და თეთრი ლაქები ამ სფეროში კიდევ უფრო ნაკლები დარჩება. ამ კუთხით ეს საკითხი დღემდე შესწავლილი არ ყოფილა და წინამდებარე ნაშრომი ამის პირველ მცდელობას წარმოადგენს.

* * *

ჩვენ წინაშე დგას ორი პრობლემა, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქამდე სრულიად შეუსწავლელი იყო და ეს ნაშრომი ამის პირველი მცდელობაა: 1. კალიგულას და ნერონის მოღვაწეობით დაინტერესება საქართველოში; 2. დიმიტრი უზნაძის სასკოლო სახელმძღვანელოში კალიგულას

და ნერონის მმართველობის გაშუქება. ის პირველი თემის შემადგენელი ნაწილია. ერთ-ერთი საინტერესო კომპონენტია.

ჩვენ შევეცადეთ შეგვემუშავებინა საქართველოში ძველი მსოფლიოს ისტორიის შესწავლის განსხვავებული ხედვა. სულ სხვა საერთო სურათი და პერიოდიზაცია დავდეთ, რომელიც პრინციპულად განსხვავდებოდა საბჭოთა წარმოდგენისაგან და ამ დარგის განვითარების სულ სხვა ვითარებას გვიხატავს. შევეცადეთ ეს განსხვავებული მიდგომა გაგვევრცელებინა საქართველოში ძველი მსოფლიო ისტორიის შესწავლის საკვანძო საკითხებზე და გამოჩენილ პიროვნებებზე (8.9). ამგვარი განსხვავებული მიდგომის მთავარ წყაროს წარმოადგენს 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოსული ძველი მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები (7.9-25). განსხვავებულ მიდგომას საფუძვლად უძევს ამ დარგში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ შეტანილი მოკრძალებული წვლილის რეანიმაცია, რეაბილიტაცია, რომელიც საბჭოთა პერიოდში ელიმინირებულ, ამოღებულ იქნა ამ დარგის განვითარებიდან. თითქოს არც კი არსებობდა, გაქრა, გაუჩინარდა; მივიწყების სქელ ნისლში გაეხვია, რაც საქართველოში ამ დარგის განვითარების ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს. საბჭოთა მიდგომა იყო ძალზე ცალმხრივი, უაღრესად ტენდენციური, ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებული; ძირშივე მცდარი. მეტად ხისტად მიგვაჩნია და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ანტიეროვნული და არაპატრიოტულია.

საქართველოში კალიგულას და ნერონის საქმიანობით დაინტერესებას თავისი ტრადიცია გააჩნია და იმაზე ცოტა უფრო ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს, ვიდრე ეს საბჭოთა გადასახედიდან მოჩანს.

მისმა პირველმა სიმპტომებმა თავი იჩინა საქართველოს გასაბჭოებამდე. ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში, კალი-

გულას სახელი გვხვდება ვარლამ ჩერქეზიშვილის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში. ის ახსენებს კალიგულას სახელს და, რა თქმა უნდა, უარყოფით კონტექსტში მოიაზრებს [24, 229]. კალიგულას და ნერონის შესახებ მცირე ინფორმაციას გადავაწყდებით გიროს და ლაკურ-გეიეს წიგნში „ძველი რომაელების ისტორია“ [3, 319-321, 322-324]. ეს სპორადული ცნობები, ცხადია, ძალიან ცოტაა, საკმარისი არ უნდა იყოს, უფრო შემთხვევითია, ინდივიდუალურ ხასიათს ატარებს და 1918 წლამდე კალიგულას და ნერონის მოღვაწეობის დაინტერესებაზე საუბარი ნაადრევად მიგვაჩნია.

ამ დაინტერესების პირველ სიმპტომებს ადგილი ჰქონდა არა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როგორც ამას დიდი ხნის განმავლობაში გვიმტკიცებდნენ, არამედ გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამ წლებში გამოსული რომის ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს [21, 26]. ეს იმ პერიოდის ქართული რეალობის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ფაქტობრივად, საქმე ეხება ქართულ სინამდვილეში მათი მოღვაწეობის გაშუქების პირველ თუ არა, ერთ-ერთ პირველ მცდელობას. აი, ეს გახლავთ რეალობა, რომელიც, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, ფართო საზოგადოების თვალთახედვის არეალში ვერ ხვდებოდა.

როგორც ირკვევა, საქართველოში გასაბჭოების შემდეგ, კალიგულას და ნერონის ცხოვრებით და მოღვაწეობით დაინტერესება ცარიელი ნიადაგიდან, ნულიდან კი არ დაუწყიათ, როგორც ამას საბჭოთა წლებში გვიმტკიცებდნენ, არამედ გარკვეული ტრადიცია არსებობდა, რომლის მიჩქმალვას, მიჩუმათებას, ამაოდ ცდილობდნენ.

უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური იდეოლოგიის ძალისხმევით, საქართველოში კალიგულას და ნერონის მოღვაწეობის გაშუქების საერთო სურათი და პერიოდიზაცია

გამრუდებულ იქნა. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. სულ სხვა აქცენტები დავსვით, სულ სხვა ღირებულებებზე გავამახვილეთ ყურადღება და ამ საკითხით დაინტერესების სულ სხვა სურათი დავდეთ, რომელიც პრინციპულად განსხვავდებოდა საბჭოთა მიდგომისაგან. ამ საკითხის გაშუქება ძალზე პოლიტიზებული და იდეოლოგიზებული იყო და ვცადეთ ის აკადემიურ ჩარჩოებში დაგვებრუნებინა. ეს თემა აშკარად სცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია. ის, პირობით, სამ პერიოდად შეიძლება დაიყოს:

1. კალიგულას და ნერონის მოღვაწეობით დაინტერესება 1918-1921 წლებში სქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში;

2. კალიგულას და ნერონის საქმიანობის შესწავლა და პოპულარიზაცია საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში 1921-1991 წლებში;

3. კალიგულას და ნერონის მოღვაწეობის გაშუქება პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ის იწყება 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და დღემდე გრძელდება.

ვფიქრობთ არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ქართული ისტორიოგრაფია კალიგულას და ნერონის მოღვაწეობის გაშუქების დროს სწორი, მეცნიერული გზით მიდიოდა, სწორი ვექტორი უნდა ჰქონოდა დასახული; სწორ აქცენტებს სვამდა, სწორ არჩევანს აკეთებდა. ის, უპირატესად, თავისუფალ აზროვნებაზე, ისტორიული მოღვაწეობისადმი მინავალ-ვარიანტულ მიდგომაზე, პლურალიზმზე, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე იყო ორიენტირებული, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები.

ეტყობა დიმიტრი უზნაძე სავსებით იზიარებდა ისტორიულ-სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას და კალიგულას და ნერონის მმართველობაზე მაღალი აზრის

არ უნდა ჩანდეს. ეს ადვილი გასაგებიცაა. დიმიტრი უზნაძისათვის სრულიად მიუღებელი იყო კალიგულას და ნერონის მმართველობის დროს გავრცელებული ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, ძალმომრეობა, განუკითხაობა, უზნეობა, სრული ამორალიზმი.

ამგვარი დამოკიდებულება, ვფიქრობთ, სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს და ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის ექოდ გაისმა.

თუ არა პოლიტიკური კატაკლიზმები, არსებობდა დიდი ალბათობა, რომ ეს გზა გაგრძელდებოდა და დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანდნენ, მაგრამ, სინამდვილეში, ეს ასე არ მოხდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მოვლენები სულ სხვა სცენარის მიხედვით წარიმართა, რომელიც თავდაპირველი გზის გაგრძელება, წინგადადგმული ნაბიჯი არ ყოფილა. ჩვენი აზრით, ეს მონაკვეთი, პირობით, საქართველოში კალიგულას და ნერონის მოღვაწეობით დაინტერესების პირველ პერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ. ამის შემდეგ იწყება ახალი, მეორე პერიოდი – საბჭოთა ხანა. მათი მმართველობისადმი ნეგატიური დამოკიდებულება კვლავ ძალაში რჩება. ეს არის სწორი შეფასება, მაგრამ მინიმალური განსხვავება მაინც არის. ჩვენი აზრით, ის ნიუანსობრივია და მხედველობიდან არ უნდა გაგვეპაროს, თორემ აღნიშნული საკითხის ადეკვატურ სურათს ვერ მივიღებთ. თუ პირველ შემთხვევაში კალიგულას და ნერონისადმი ნეგატიური დამოკიდებულება მეცნიერულ ხასიათს ატარებს, მეორე შემთხვევაზე ამას ვერ ვიტყვით. ის ძალზე პოლიტიზებული და იდეოლოგიზებული აღმოჩნდა. მთავარი განსხვავება სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს. აქცენტი კეთდება საკითხისადმი ვიწროკლასობრივ მიდგომაზე და მათი მმართველობისადმი უარყოფითი მიდგომა „კლასობრივი მტრისადმი“ ნეგატიური დამოკიდებულების გამოძახილია. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. მათი მოღვაწეობისადმი

დამოკიდებულება ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჩარჩოებში აღმოჩნდა მოქცეული [11, 12, 25].

უახლესი ქართული ისტორიოგრაფია კვლავ ცდილობს აღადგინოს საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა. კალიგულას და ნერონის მმართველობისადმი დამოკიდებულება სწორია და კვლავ უარყოფითი რჩება [4. 18].

ქართულ ისტორიოგრაფიაში კალიგულას და ნერონის მოღვაწეობით დაინტერესება, ვფიქრობთ, სულაც არ ატარებდა ისეთ სწორხაზოვან, ერთგვაროვან ხასიათს, როგორც ეს საბჭოთა პერიოდში ეგონათ. მან საინტერესო მეტამორფოზი, ევოლუცია განიცადა, რომელიც უფრო სპირალისებურად, ზიგზაგისებურად წარმოგვიდგენია. ძალიან მოკლედ მისი შინაარსი ასეთია. თავდაპირველად აქცენტი კეთდებოდა საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომაზე; პრიორიტეტული იყო პროგრესულ-ლიბერალური ღირებულებები, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები. საბჭოთა პერიოდში ის ჩაანაცვლა საკითხისადმი ვიწროდოგმატურად გაგებულმა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დიქტატმა, მონოპოლიამ. ამ გზას ჩიხში მივყავართ. ისტორიას არ ხელეწიფება ერთი ჭეშმარიტება. ეს ისტორიული მეცნიერების სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისის გასაღები სწორედ აქ უნდა ვეძიოთ. ბოლოსდაბოლოს ის ლეტალურ ანუ სასიკვდილო ხასიათს იძენს. უახლეს ქართულ ისტორიოგრაფიაში ვითარება მკვეთრად იცვლება, რაც იმით გამოიხატება, რომ აქცენტი კეთდება საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომაზე. ეს გახლავთ ამ საკითხით დაინტერესების მესამე პერიოდი.

ამ კუთხით საკითხის გაშუქება აქტუალურია და საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ ორი საინტერესო დასკვნა. ჩვენ ვცადეთ, რომ განსხვავებული მიდგომა ძველი მსოფლიოს ისტორიის საკვანძო საკითხებზე გაგვევრცელებინა. ამ კონკრე-

ტულ შემთხვევაში, ცხადია, იგულისხმება კალიგულას და ნერონის მმართველობა. საქართველოში ამ თემით დაინტერესება შეუქცევად ხასიათს იძენს არა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ეს დიდი ხნის განმავლობაში ესახებოდათ, არამედ გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამ წლებში გამოსული ძველი მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი მაგალითია.

ამ საკითხით დაინტერესების საქმეში თვისებრივ, ხარისხობრივ ცვლილებებს ადგილი ჰქონდა 1918-1921 წლებში საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკაში და არა საბჭოთა სინამდვილეში, როგორც ამას საბჭოთა წლებში გვიმტკიცებდნენ საქართველოში მსოფლიო ისტორიის, ძველი მსოფლიო ისტორიის ამ ეპოქის აქტუალური საკითხების და ცნობილი ადამიანების საქმიანობით. დაინტერესების საქმეში ეტაპობრივ მოვლენად გვევლინება 1918 წლის 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის სულის ხსენების დღეს, დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა და 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ამ პერიოდში კალიგულას და ნერონის მოღვაწეობით დაინტერესებამ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და, უმთავრესად, ასახვა პოვა ძველი მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. იკვეთება საკითხისადმი მეცნიერული მიდგომის კონტურები, წანამძღვრები, სიმპტომები, პირველი ნიშნები. საქმე გვაქვს მათი მოღვაწეობის მეცნიერული გაშუქების წინაპირობასთან. ეს კარგად იკითხება და, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს.

საქართველოში კალიგულას და ნერონის მოღვაწეობის გაშუქებას ორი ასპექტი გააჩნია. პირველს, პირობით, პროგრამა მინიმუმი შეიძლება ვუწოდოთ, ხოლო მეორეს – პროგრამა მაქსიმუმი. პირველი, ცხადია, ითვალისწინებს კალიგულას და

ნერონის საქმიანობის პოპულარიზაციას, ხოლო მეორე კი მეცნიერულ შესწავლას, კვლევას. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ საქართველოში კალიგულას და ნერონის მმართველობით დაინტერესება ამ ორი კომპონენტის შერწყმის, შეხამების მცდელობად გვევლინება. ის რომის საგარეო პოლიტიკასთან ასოცირდება და შეეხება რომის ურთიერთობას ამიერკავკასიის ქვეყნებთან. აქ კალიგულას და ნერონის სახელები ქართულ კონტექსტში მოიხსენიება. ეს, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს [13; 16; 19; 20; 22; 31; 32].

* * *

განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ჩვენი წყაროთმცოდნეობითი ბაზა მეტად მოკრძალებულად გამოიყურება, ძალზე მწირია. ეს გახლავთ სკოლის სახელმძღვანელო, სადაც დიმიტრი უზნაძე, ბუნებრივია, მოკლედ განიხილავს კალიგულას (37-41) და ნერონის (54-68) მოღვაწეობას. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცოტაა, საკმარისი არ უნდა იყოს. სასურველი იქნებოდა აღნიშნულ საკითხზე გაცილებით უფრო მეტი ინფორმაცია რომ გვქონოდა, მაგრამ, სინამდვილეში, ეს ასე არაა. სხვა გამოსავალი არ ჩანს, იმ მასალას უნდა დავჯერდეთ, რაც გაგვაჩნია. ამ ინფორმაციისადმი ნიჰილისტური მიდგომა სრულიად უადგილო იქნებოდა და საბჭოთა პოზიციის წისქვილზე ასხამს წყალს. ეს მასალა საგულისხმო უნდა იყოს და ამის წაყრუება, გვერდის ავლა, მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საქართველოში კალიგულას და ნერონის მმართველობით დაინტერესების პირველ თუ არა, ერთ-ერთ პირველ მცდელობასთან. მისი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს.

საკითხს გააჩნია ორი მხარე. წმინდა კონცეპტუალური, რომელიც ითვალისწინებს გამოარკვიოს, თუ როგორი შეიძლე-

ბა ყოფილიყო დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება კალიგულას და ნერონის მმართველობისადმი და მეორე, – ემპირიული, ფაქტოლოგიური. რამდენად ჩახედული ჩანდა ის კალიგულას და ნერონის საქმიანობაში? ამ კუთხით საკითხის გაშუქება მიგვაჩნია, რომ საინტერესო და აქტუალურია.

კალიგულას და ნერონის პიროვნებისადმი დიმიტრი უზნაძის უარყოფითი დამოკიდებულება ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს, პირდაპირ ზედაპირზე ძევს და, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალეა. ის იზიარებდა სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას და მათი საქმიანობისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს. საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომასთან, რომელიც 1918-1921 წლებში საქართველოს რესპუბლიკაში არსებული დემოკრატიული გარემოს გამოძახილია.

სახელმძღვანელო არ წარმოადგენს ფაქტების მშრალ თხრობას. ის არ გახლავთ ფაქტების უბრალო გროვა. ასეთი სახელმძღვანელო მეტად უინტერესო იქნებოდა. სახელმძღვანელოში ამავე დროს ყურადღება ექცევა ფაქტებს შორის მიზეზშედეგობრივ კავშირებს. ეს, ვფიქრობთ, საინტერესოა და შეიცავს გარკვეულ მინიშნებას იმის თაობაზე, თუ როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო მისი დამოკიდებულება ანტიკური ისტორიის საკვანძო საკითხების და ცნობილი ადამიანებისადმი. ეს სახელმძღვანელოებში ამ თემის განხილვას ისტორიოგრაფიულ მუხტს ანიჭებს. ვფიქრობთ, ეს უკვე საინტერესოა.

აქვე უნდა შევეხოთ ერთ, ჩვენი აზრით, საინტერესო და აქტუალურ თემას, რომელიც კიდევ უფრო დაგვეხმარება კალიგულას და ნერონისადმი დიმიტრი უზნაძის მსჯელობაზე სრულყოფილი წარმოდგენის ჩამოყალიბებაში. აქ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს ერთი გარემოება. დიმიტრი უზნაძე კალიგულას და ნერონის საქმიანობაზე გაცილებით უკეთესად უნდა ყოფილიყო ინფორმირებული, ვიდრე ეს სასკოლო სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთიდან შეიძლება ჩანდეს. ამ შემ-

თხვევაში, ჩვენი აზრით, საქმე გვაქვს აღნიშნულ საკითხზე მისი ცოდნის მხოლოდ ფრაგმენტთან, რომლის შეტანაც სახელმძღვანელოში მიზანშეწონილად ცნო.

დიმიტრი უზნაძე კალიგულას და ნერონის მოღვაწეობაზე საკმაოდ ინფორმირებული უნდა ჩანდეს. ეს არცაა გასაკვირი და ემპირიული, ფაქტობრივი, მასალის ცოდნის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის კიდევ ერთი პლუსია. კალიგულას და ნერონის მოღვაწეობის სწორი, მეცნიერული შეფასების და ემპირიული, ფაქტოლოგიური, მასალის ცოდნის შერწყმის, შეხამების მცდელობა აღნიშნულ საკითხზე დიმიტრი უზნაძის მსჯელობის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიგვაჩნია.

პირველ ყოვლისა, სასურველია შევიმუშაოთ სწორი კრიტერიუმი, რაც მნიშვნელოვანია და დაგვეხმარება აღნიშნულ საკითხზე ადეკვატური წარმოდგენა შევიქმნათ. აქ, რა თქმა უნდა, მკაცრი მეცნიერული კრიტერიუმი საზომად არ გამოდგება. ასეთ მაღალ მეცნიერულ მიზნებს არც არავინ არ ისახავდა. საქმე ეხება სასკოლო სახელმძღვანელოს დაწერას. მის წინაშე გაცილებით უფრო მოკრძალებული ამოცანა იდგა. ის, უწინარესად, აღნიშნული საკითხის პოპულარიზაციას ითვალისწინებდა და მკვეთრად გამოკვეთილი შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა. ამ კულტურტრეგერულ მისიას მან, შეიძლება ითქვას, რომ ურიგოდ როდი გაართვა თავი. ეს იყო მთავარი. ამ თემაზე მისი მსჯელობის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს.

ამ მარტივი, მიამიტური მსჯელობის დღევანდელი გადასახედიდან მკაცრად განსჯა მიზანშეწონილი არ უნდა ჩანდეს, ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. მას წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია და ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, მოსწავლე ახალგაზრდობას კარგად დააკვალიანებდა და კალიგულას და ნერონის მმართველობაზე ზოგადი წარმოდგენის ჩა-

მოყალიბებაში დაეხმარებოდა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. მთავარიც სწორედ ეს უნდა იყოს.

არის კიდევ ერთი გარემოება, რომლის გვერდის ავლა მიზანშეწონილი არ იქნებოდა და კალიგულას და ნერონის მმართველობისადმი დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულებაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ შეგვიქმნიდა. მას თეორიული დატვირთვა გააჩნია. საქმე შეეხება ისტორიაში პიროვნების როლს. დიმიტრი უზნაძეს კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული ისტორიაში პიროვნების როლი. ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის დადებითი მხარეა. მას კარგად ესმოდა, რომ პიროვნება ისტორიაში მარტო დადებით როლს არ ასრულებს. ეს მედლის ერთი მხარეა. მას გააჩნია მეორე მხარეც. პიროვნებამ შეიძლება ისტორიაში უარყოფითი როლი ითამაშოს და ხელი კი არ შეუწყოს პროგრესს, არამედ განაპირობოს სტაგნაცია, რეგრესი. ასეთი პიროვნების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად დიმიტრი უზნაძეს, როგორც ჩანს, სწორედ რომის იმპერატორები კალიგულა და ნერონი ესახებოდა. ამაში არის ჭეშმარიტების რაციონალური მარცვალი. მას სურს ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, მოსწავლე ახალგაზრდობას უჩვენოს იმისი მაგალითი, თუ როგორი არ უნდა იყოს პოლიტიკოსი. ცუდი პიროვნება არ შეიძლება იყოს კარგი მმართველი. ამაზე მინიშნება კარგად იკითხება და, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და დიმიტრი უზნაძის მსჯელობის კიდევ ერთი პოზიტიური მომენტია.

დაბოლოს კიდევ ერთ გარემოებას მივაპყრობთ ყურადღებას. შესაძლოა, ეს უფრო ადრე უნდა გვეთქვა, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ამას აქვს მნიშვნელობა და ამ საკითხში ჩვენს პოზიციას კიდევ უფრო გამჭვირვალეს გახდის. ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს ორი საკითხი. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენს უშუალო ამოცანას წარმოადგენს არა ამ საკითხზე დიმიტრი უზნაძის შეხედულებების განხილვა, არამედ

ჩვენი ამოცანა გაცილებით უფრო მოკრძალებულად გამოიყურება და ითვალისწინებს იმის გარკვევას, თუ როგორ იყო ეს თემა განხილული დიმიტრი უზნაძის სასკოლო სახელმძღვანელოში. ამ სფეროში დიმიტრი უზნაძის საქმიანობის გაშუქების დროს სწორედ ამ კრიტერიუმით ვსარგებლობდით, თუმცა ასე ხაზგასმით ამას პირველად ვამბობთ.

* * *

დავიწყოთ რომის იმპერატორ კალიგულას მმართველობით (37-41), რომელიც წინ უსწრებდა ნერონის (54-68) ზეობის პერიოდს.

დიმიტრი უზნაძის მიერ კალიგულას და ნერონის საქმიანობისადმი დამოკიდებულება, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა. მთელის შემადგენელი ნაწილია და იულიუს კლავდიუსების დინასტიისადმი უარყოფითი მიდგომის ლოგიკურ გაგრძელებად გვევლინება, მის ექოდ გაისმა; მისი ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი კომპონენტია.

იმისათვის, რომ კარგად გამოვარკვიოთ დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება კალიგულასადმი, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოვიყვანოთ მთელი ამონარიდი მისი სახელმძღვანელოდან. აი, რას ვკითხულობთ დიმიტრი უზნაძის სასკოლო სახელმძღვანელოში.

„ტიბერიუსის მმართველობის დროს დაწყებული პროცესი იმპერატორთა ძალაუფლების ბოროტად ხმარების მისი მემკვიდრეების კალიგულას, კლაუდიუსის და ნერონის დროს დასრულდა. კალიგულა გერმანიკუსის შვილი, რომელიც ტიბერიუსის ერთადერთ მემკვიდრედ ითვლებოდა, პირველ ხანებში ყველას იმედს უღვივებდა. დიდებულების კანონის შეჩერება, პატიმართა გათავისუფლება, ღარიბ-ღატაკთა დახმარება - აი ეს საქმეები, რომლითაც კალიგულამ თავისი მოღვაწეობა დაიწყო, მაგრამ არ გასულა დიდი ხანი, რომ იმპერატორის პოლი-

ტიკა ძირიანად შეიცვალა. ახლა მისი ერთადერთ მიზანი თავისი ძალაუფლების განუსაზღვრელობის განმტკიცება იყო. მისმა სისასტიკემ და ბოროტებამ ყველას თავზარი დასცა. კალიგულა ნამდვილი გიჟი იყო. თუ რა მდგომარეობაში იყო მაშინ სახელმწიფო, ეს იქიდან ჩანს, რომ იმპერატორმა თავის ცხენს სპილოს ძვლის ბაგა გაუკეთა და მისი კონსულად დანიშვნასაც აპირებდა“ [21. 87].

დავიწყოთ, როგორც წესია, პოზიტივით. დიმიტრი უზნაძის მსჯელობის დადებით მხარეს წარმოადგენს: 1. ის იზიარებდა ისტორიოგრაფიაში გავრცელებულ შეხედულებას და კალიგულას მოღვაწეობაზე ძალიან დაბალი აზრისაა. ამგვარი ინდიფერენტული დამოკიდებულება, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და ძირითადად ორი გარემოებით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული. ის კალიგულას მმართველობის ობიექტური მიდგომის და ემპირული, ფაქტობრივი, მასალის ცოდნის ლოგიკურ შედეგად გვევლინება. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ამას აქვს შემეცნებითი დატვირთვა და კარგად დააკვალიანებდა ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, მოსწავლე ახალგაზრდობას. კალიგულას პიროვნება ზოგად წარმოდგენას ჩამოუყალიბებდა. ამ პიროვნებისადმი მიდგომის ლოგიკური გაგრძელებაა მისი მმართველობისადმი უარყოფითი დამოკიდებულება. ამ ლაკონიური მსჯელობის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს.

2. ის იზიარებდა სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას კალიგულას მმართველობის ორ მონაკვეთად დაყოფისა. თავდაპირველი ოპტიმალური ხანა ჩაანაცვლა ძალაუფლების ბოროტად გამოყენებამ, წრეგადასულმა განუკითხაობამ, უკონტროლობამ [18. 107; 15. 48-50], ეს კი, ცხადია, დიმიტრი უზნაძისათვის აბსოლუტურად მიუღებელი იყო. კალიგულას წინამორბედ იმპერატორებზე – ტიბერიუსსა (14-37) და კლავდიუსზე (41-54) სახელმძღვანელოს ავტორი მაღალი აზრის არ უნდა ჩანდეს. ის იზიარებდა ლიტერატურაში გავ-

რცელებულ ისტორიკოსთა მოსაზრებას, რომლებიც მათ მმართველობას ძირითადად უარყოფითად აფასებდნენ [18. 96-103. 103-113; 15. 44-48. 53-60].

საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ იულიუს კლავდიუსების დინასტიისადმი დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება მკვეთრად და გამოკვეთილად ნეგატიურია. ეს ადვილი გასაგებია. დიმიტრი უზნაძისათვის მიუღებელი იყო ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, ძალმომრეობა, წრეგადასული განუკითხაობა, ამორალიზმი, რაც ამ თემაზე დიმიტრი უზნაძის მსჯელობის კიდევ ერთი პლუსია.

კალიგულას პერსონისადმი დიმიტრი უზნაძის მიდგომის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს მისი მმართველობისადმი უარყოფითი დამოკიდებულება. ამ მიმართულებით საკითხის გაშლა, გავრცობა, გამორიცხულად არ მიგვაჩნია და სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთს ძალიან წაადგებოდა, მხოლოდ მომგებიან ქულებს შესძენდა და შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა. მნიშვნელოვანწილად, ამით აიხსნება, რომ კალიგულას მოღვაწეობას სახელმძღვანელოში ძალიან მცირე ადგილი აქვს დათმობილი და ცოტა მშრალ შთაბეჭდილებას ტოვებს.

კალიგულას მმართველობას მხოლოდ ერთი გვერდი აქვს დათმობილი. ეს გახლავთ სულ ერთი აბზაცი, თხუთმეტი სტრიქონი, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა. საკმარისი არ უნდა იყოს და გარკვეული უკმარობის გრძნობა დაგვიტოვა, შესიტყვების სურვილი გაგვიჩინა. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს ფაქტის კონსტატაციასთან, რაც აღნიშნული საკითხის იგნორირების ტოლფასად მიგვაჩნია. კალიგულას საშინაო და საგარეო პოლიტიკა, პრაქტიკულად, კადრში ვერ ხვდება. ეს ამ თემაზე დიმიტრი უზნაძის მსჯელობის აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია.

შეიძლება გადამეტებულად გვეჩვენება, რომ დიმიტრი უზნაძე გაცილებით უფრო მეტ ყურადღებას უთმობს კალიგუ-

ლას პიროვნულ თვისებებს და არა მის პოლიტიკას. ვფიქრობთ, ეს შემთხვევითი არ ყოფილა. გამოვთქვამთ ძალზე ფრთხილ ვარაუდს, რომ დიმიტრი უზნაძეს შეიძლება კალიგულა უფრო მეტად აინტერესებდა წმინდა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, როგორც ფსიქოლოგიური პერსონა, ვიდრე ისტორიული კუთხით, როგორც პოლიტიკური ფიგურა. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში საქმე შეიძლება გვქონდეს დიმიტრი უზნაძის ორი მთავარი მეცნიერული ინტერესის – ფსიქოლოგიის და ისტორიის კვეთასთან. იგივე შეიძლება ითქვას ნერონზეც. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამგვარი გადაწყვეტა მაინც ცოტა უცნაური შეიძლება ჩანდეს და არათანამიმდევრულად მიგვაჩნია. საქმე ისაა, რომ სახელმძღვანელოში ნერონის მმართველობას გაცილებით უფრო მეტი ადგილი და ყურადღება აქვს დათმობილი, ვიდრე კალიგულას. ის არ შემოიფარგლება მხოლოდ ნერონის პერსონით. ლაკონიურად ეხება სხვა საკითხებსაც.

სასურველი იქნებოდა აღნიშნულიყო, რომ, პატარაობიდან ჩექმების ტარების გამო, ჯარისკაცებმა მას კალიგულა შეარქვეს და ამ სახელით შევიდა ისტორიაში. ამას შემეცნებითი დატვირთვა ექნებოდა და მოსწავლეებს დააინტერესებდა, ისტორიისადმი ინტერესის გრძნობას გაუღვიძებდა. რატომ არ გააკეთა მან ეს, ძნელი სათქმელია. მან ასე გადაწყვიტა.

სასურველი იქნებოდა მითითებული ყოფილიყო კალიგულას (37-41) მმართველობის წლები. ამას წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა და მოწაფეების მიერ ემპირიული, ფაქტობრივი, მასალის ათვისებას შეუწყობდა ხელს. ჩვენ არ ვართ სასკოლო სახელმძღვანელოს ფაქტობრივი მასალით გადატვირთვის მომხრე, მაგრამ ძირითადი თარიღების მითითება აუცილებელია და მიზანშეწონილად მიგვაჩნია. ასეთია კალიგულას მმართველობა. სასურველი იქნებოდა აღნიშნულიყო, რომ კალიგულა 41 წელს შეიქმნა შეთქმულების მსხვერპლი, რაც მოსწავლეებს უთუოდ დააინტერესებდა.

მაშ ასე, დიმიტრი უზნაძე იზიარებდა სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას და კალიგულას მოღვაწეობის უარყოფითი დახასიათებაც სავსებით მართლზომიერი და მეცნიერულია. ის უეჭველად შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს და სავსებით მისაღები უნდა ჩანდეს. ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის დადებით მხარეს წარმოადგენს. ეს გახლავთ მედლის ერთი მხარე. მას მეორე მხარეც გააჩნია. ეს მსჯელობა ძალზე ზოგადია. სასურველი იქნებოდა უფრო მეტი კონკრეტიკა. ორიოდე სიტყვა უნდა ყოფილიყო თქმული კალიგულას მმართველობაზე, მის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, რაც შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთს.

* * *

ახლა გადავდივართ დიმიტრი უზნაძის სახელმძღვანელოში ნერონის, რომელიც, კალიგულაზე უარესი თუ არა, უკეთესი არაფრით არ ყოფილა, მოღვაწეობის განხილვაზე. ეს სასკოლო სახელმძღვანელო გახლავთ ამ საკითხზე ჩვენი ერთადერთი წყარო. სხვა, უფრო ვრცელი მასალა არ გაგვაჩნია, ამიტომ იმას უნდა დავჯერდეთ, რაც გვაქვს. სხვა გამოსვალი არ ჩანს. დიმიტრი უზნაძის მიდგომა ნერონის მოღვაწეობისადმი, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და იულიუს კლავდიუსების დინასტიისადმი უარყოფითი დამოკიდებულების დასკვნით აკორდად გვევლინება.

მანამდე, ვიდრე ნერონზე (54-68) დიმიტრი უზნაძის მსჯელობის გაშუქებაზე გადავიდოდეთ, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა ორიოდე სიტყვით, ძალიან მოკლედ შევეხოთ დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულებას ნერონის წინამორბედის, იმპერატორ კლავდიუსის (41-54) მმართველობისადმი, რომელიც კალიგულას გარდაცვალების შემდეგ გახდა იმპერატორი. ეს ამ საკითხის გაშუქებას ისტორიულ ფონს შეუქმნი-

და. კლავდიუსის მმართველობისადმი დიმიტრი უზნაძის ნეგატიური დამოკიდებულება, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს და არავითარ აზრთა სხვადასხვაობას არ იწვევს. „მთელი მისი ბატონობის ხანას მისი ცოლის ჯერ გარყვნილი მესალინას და შემდეგ აგრიპინას ინტრიგები ახასიათებენ, რომელსაც თავისი შვილის ნერონის გამეფება ჰქონდა მიზნად დასახული. გადამწყვეტი მნიშვნელობა მის დროს აგრეთვე ლიბერტინების გავლენას ჰქონდა. აგრიპინას გარდა რომის ფაქტობრივ მმართველად ოთხი რჩეული ლიბერტინი იყო. სუსტი და უმოქმედო კლაუდიუსი მათ ხელში უსულო სათამაშო საგანს წარმოადგენდა“ [21. 87].

ამ მიამიტური, მარტივი მსჯელობის უკან კარგად ჩანს დიმიტრი უზნაძის ინფორმირებულობა, ფაქტობრივი მასალის ცოდნა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. მიუხედავად კლავდიუსის მმართველობის უარყოფითი დამოკიდებულებისა, დიმიტრი უზნაძე არ უგულებელყოფს მისი მმართველობის დროს განხორციელებულ დადებით ღონისძიებებს და კონკრეტულად ჩამოთვლის მათ [11. 87]. ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის პლუსია. დიმიტრი უზნაძეს კარგად ესმის, რომ მაინც ჩრდილი დომინირებს შუქზე [18. 113-120; 15. 50-52], მაგრამ ამაზე უარესს ის ნამდვილად სჯობდა. ეს დიმიტრი უზნაძეს, ვფიქრობთ, კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული.

ახლა გადავიდეთ უშუალოდ ნერონისადმი დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულებაზე. ეს, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს. რომის იმპერატორი ნერონი (54-68) მსოფლიო ისტორიაში, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე ოდიოზური ფიგურა იყო. მას შეიძლება შევადაროთ მხოლოდ ლენინი, სტალინი, ჰიტლერი, პოლპოტი, მაო-ძე დუნი. თანამედროვე პოლიტიკოსებიდან, ცხადია, ვლადიმერ პუტინი, ბაშარ ასადი, ალექსანდრე ლუკაშენკო. ნერონისადმი დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება გამოკვეთილად ნეგატიურია. ის უარყოფით ეპითეტებს არ იშურებს ნერონის მიმართ. „ნერონი თვითნება, ულმობელი, დეს-

პოტის ნიმუშად ითვლებოდა“ [21. 88]. ეს არცაა გასაკვირი. დიმიტრი უზნაძისათვის, როგორც ლიბერალისათვის, მიუღებელი იყო ნერონის მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენება. დაუსჯელობის სინდრომი, ძალმომრეობა, განუკითხაობა, ამორალიზმი – ნერონისადმი დიმიტრი უზნაძის უარყოფითი დამოკიდებულება სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს და ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის ექოდ გაისმა. ის იზიარებდა ლიტერატურაში გავრცელებულ თვალსაზრისს.

აბა, მაშინ რას წარმოიდგენდა დიმიტრი უზნაძე, რომ საბჭოთა კავშირის სახით მას მოუხდებოდა ცხოვრება სახელმწიფოში, სადაც ძალაუფლების ბოროტად გამოყენება არნახულ მასშტაბებს შეიძენდა, რომელსაც ისტორიაში ანალოგი ძალიან ძნელია მოეძებნოს. ალბათ, ყველაზე უფრო უპრიანი იქნებოდა გვეფიქრა, რომ საბჭოთა რეჟიმისადმი დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება გარეგნულად ლოიალური უნდა ყოფილიყო, ხოლო შინაგანად კი – გამოკვეთილად უარყოფითი. ლენინი, სტალინი, ჰიტლერი და სხვა მისი მსგავსნი, კალიგულაზე და ნერონზე უარესები თუ არა, უკეთესები არაფრით არ იყვნენ.

„ნერონს ორი მნიშვნელოვანი აღმზრდელი ჰყავდა: სენეკა და ბურუსი. სენეკა სტოიციზმის ფილოსოფიური სისტემის მიმდევარი იყო და თავის მოწაფეზე ამ სისტემით ახდენდა ზეგავლენას. მის ნაწერებს შორის განსაკუთრებით მისი დიალოგები (12 წიგნი) და წერილებია (20 წიგნი) აღსანიშნავი, სადაც სენეკა მუდამ ზნეობრივი საკითხების შესახებ მსჯელობს. მისი მორალი საერთოდ არსებული უზნეობის წინააღმდეგ არის მიმართული და ხშირად ქრისტეს მოძღვრებას უახლოვდება. მტრის პატიება და მისთვის სიკეთის ყოფა, გლადიატორთა ასპარეზობის და საერთოდ ომის უარყოფა. ადამიანის თანასწორობა და მაშასადამე მონათა სრულუფლებიან ადამიანებად

აღიარება. აი ის ზნეობრივი პრინციპები, რომელსაც სენეკა აღიარებდა და თავის მოწაფეთ ასწავლიდა. გარდა ფილოსოფიური განათლებისა ნერონმა ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდაც მიიღო, ასე რომ მოსალოდნელი იყო, რომ მისი სახით ხელახლა კარგი იმპერატორი მიეღო რომს, მაგრამ მთელმა მისმა მოღვაწეობამ მალე დაამტკიცა, რომ აღზრდას მისი სუსტი მხარეები სრულიად ვერ შეენელებინა“ [21.88].

ნერონის მოღვაწეობისადმი სწორი, მეცნიერული მიდგომა და ემპირიული, ფაქტობრივი მასალის ცოდნა, ამ თემაზე დიმიტრი უზნაძის მსჯელობის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიგვაჩნია. დიმიტრი უზნაძე ნერონის მმართველობაში საკმაოდ ჩახედულებას ამჟღავნებს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია.

სახელმძღვანელოში მოცემულია ნერონის მოღვაწეობის პერიოდიზაცია. როგორც ჩანს, დიმიტრი უზნაძე იზიარებდა სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას ნერონის მმართველობის ორ პერიოდად დაყოფის თაობაზე. ამგვარი მიდგომა სავსებით აკმაყოფილებდა იმ პერიოდის ისტორიოგრაფიის საერთო მოთხოვნებს და დღესაც ჰყავს მომხრეები [18. 122-231; 15. 54]. ასეთ მიჯნად მას ესახებოდა 59 წელი – აგრიპინას მკვლელობა. იწყება ნერონის ერთპიროვნული მმართველობა. „მისი მმართველობა ორ ხანად იყოფა. პირველი ხუთი წლის განმავლობაში კარგ შთაბეჭდილებას სტოვებდა, თუმცა თავისი ხასიათის მთავარი მიმართულება: ულმობელობა და უმადურობა უკვე მაშინაც საკმაოდ გამოიჩინა. 18 წლისა იყო, როდესაც კლავდიუსის შვილი ბრიტანიკუსი მოაწამლინა და შემდეგ საკუთარი დედა აგრიპინა მოაკვლევინა, მაგრამ საერთოდ მაინც მისი პირველი სიტყვის ქვეშ იმყოფებოდნენ, რომელიც მან თავის იმპერატორად არჩევის შემდეგ სენატში წარმოთქვა და რომელიც სენატს აუგუსტის პოლიტიკის განახლებას ჰპირდებოდა. პირველად საქმე თითქოსდა რიგზე მიდიოდა. გლადიატორთა ასპარეზობის დროს მან გლადიატორის მოკვლა აკრძალა, ხოლო როდესაც ერთხელ სიკ-

ვდილის განაჩენი მოუტანეს ხელმოსაწერად პათეტიკურად წამოაძახა. „რა ბედნიერი ვიქნებოდი წერა, რომ არ მცოდნოდაო“. მაგრამ მდგომარეობა ძალიან მალე შეიცვალა, ნერონმა სენეკა თავიდან მოიშორა და გარყვნილ ლიბერტინეს ტიჰილინას დაუახლოვდა, რომელსაც ნერონის მეორე ცოლთან პოპეი საბინასთან ერთად იმპერატორზე ძლიერ ცუდი გავლენა ჰქონდა“ [21. 88-89].

„დიდებულების კანონი რომში ხელახლა ამოქმედდა, და მრავალი რომაელი მსხვერპლად შეიწირა. სახელმწიფო საქმეებზე არავინ ზრუნავდა, რადგანაც თვითონ იმპერატორი განდიდების მანიამ შეიპყრო და თავს დიდებულ არტისტად და გლადიატორად აცხადებდა. სხვადასხვა გასართობებში თავადვე მონაწილეობდა და ხალხის წინაშე ცირკსა და თეატრში გლადიატორებთან ერთად იბრძოდა. 64 წელს რომში დიდი ხანძარი გაჩნდა, რომელმაც თითქმის მთელი ქალაქი გაანადგურა. ხალხში ხმა გავარდა ნერონმა თვითონ ბრძანა ხანძრის გაჩენა, რათა დიდებული სანახაობით დამტკბარიყო და შემდეგ ქალაქი თავის ნებაზე გადაეკეთებინა. თვითონ მთავრობამ კი ცეცხლის გაჩენა ქრისტიანებს დააბრალა და ამ მიზეზით ყველა ქრისტიანის დატუსაღება ბრძანა. ბევრი მათგანი ხალხის გასართობად არენაზე მხეცებთან ბრძოლაში დაიღუპა, ხოლო დანარჩენები ნერონმა კუპრში ამოავლო და მათგან ბაღში საჯარო სეირნობის დროს, ცოცხალი ჩირაღდნები მოაწყობინა. იმპერატორი უბრალო ხალხს მოსწონდა და უყვარდა კიდეც. იზიდავდა ერთის მხრივ მისი მტრული განწყობილება არისტოკრატიისადმი, ხოლო მეორეს მხრივ ხშირი გასართობი, რომელსაც იგი ხალხს უმართავდა, ხოლო ყოველივე ეს რომის უსაქმო და ზარმაცი ბრბოს სიყვარულის დასამსახურებლად სრულიად საკმარისი აღმოჩნდა. მაგრამ მტრები მაინც ბევრი ჰყავდა იმპერატორს. მოეწყო შეთქმულება, რომელმაც აიძულა ნერონი, რომიდან გაქცეულიყო. სენატმა მისი გადაყენება და დატყვევება გადაწყვიტა. როდესაც ნერონი

დარწმუნდა, რომ მისი საქმე წასული იყო, საკუთარი ხელით და მისი საყვარელი ლიბერტინის დახმარებით, თავი მოიკლა (68წ.)“ [21. 89].

ალბათ დამეთანხმებით, რომ აქ დიმიტრი უზნაძე საკმაო ჩახედულებას ამჟღავნებდა ნერონის საშინაო პოლიტიკაში; მიუთითებს თარიღებსაც. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და ამ თემაზე მისი მსჯელობის დადებით მხარედ გვევლინება.

ამ თემაზე საუბარს, ალბათ, აქ დავასრულებდით, რომ არა ერთი გარემოება, რომელიც აზრთა სხვადასხვაობას წარმოშობს და უახლეს ისტორიოგრაფიაში სხვაგვარად დადგა. ცხადია, საქმე ეხება 64 წლის ხანძარს რომში. თარიღი მითითებულია და ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია. დაირხა ხმა თითქოს ნერონმა გადაწვა რომი. ამაზე მინიშნება წყაროებშიც იკითხება (სვეტონიუსი, დიონ კასიოსი). ამ მოსაზრებას ძალიან ბევრი მომხრე ჰყავდა მაშინაც და ახლაც. დიმიტრი უზნაძე ერთ-ერთი მათგანია. ისტორიკოსთა ერთი ნაწილი ამ ხმებს ცოტა სკეპტიკურად მოეკიდა. პირველ რიგში, ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი, აწყობდა თუ არა ეს ნერონს? ამ კითხვაზე პასუხი ერთმნიშვნელოვნად უარყოფითია. მათ მიაჩნიათ, რომ ხანძრის შედეგად ნერონმა უფრო მეტი დაკარგა, ვიდრე მოიგო. ხანძარმა შთანთქა ნერონის სასახლე, სურათების კოლექცია, სკულპტურები, ფული. ის სრულიად უსახსროდ დარჩა. ამავე დროს ნერონი იმპერატორი იყო და პირადად გახლდათ პასუხისმგებელი, რომ მისი ქვეშევრდომები ღია ცის ქვეშ და მშივრები არ დარჩენილიყვნენ. ნერონის ბიოგრაფი ისტორიკოსი ფილიპ ვანდერბერგი სკეპტიკურად უყურებს ნერონის მიერ რომის დაწვას და ფიქრობს, რომ „ყველა ეს ლეგენდები გახლავთ არა ისტორია, არამედ ისტორიები“ (30. 201-202). კატეგორიულად არაფერს ვამტკიცებთ. არ ვამბობთ, რომ დიმიტრი უზნაძე სწორი არ იყო. ეს გამართლებული არ იქნებოდა. ჩვენ, უბრალოდ, მკითხველს გავაცანით განსხვავებული აზრი.

ალბათ, სასურველი იქნებოდა, ფაქტის კონსტატაციის დონეზე, სულ ორიოდე სიტყვა თქმულიყო, 64 წლის ხანძრის შემდეგ, ნერონის ძალისხმევით, რომში გაჩაღებულ აღმშენებლობით საქმიანობაზე. ეს ნერონის მმართველობის მეორე პერიოდის ნათელი წერტილი გახლდათ. მისი წინ წამოწევა ურიგო არ იქნებოდა [18. 123] და შინაარსობრივად კიდევ უფრო მეტად გაამდიდრებდა ამ მონაკვეთს.

ფაქტობრივად, ეს გახლავთ ნერონის საშინაო პოლიტიკა, რომლის გაშუქებას დიმიტრი უზნაძის სასკოლო სახელმძღვანელოში სათანადო ყურადღება და ადგილი აქვს დათმობილი, რაც, ცხადია, ძალიან კარგია; ამ თემაზე მისი მსჯელობის პლუსია. ამას ვერ ვიტყვით ნერონის საგარეო პოლიტიკაზე.

დიმიტრი უზნაძის სასკოლო სახელმძღვანელოში ნერონის საგარეო პოლიტიკის გაშუქებამ გარკვეული უკმარობის გრძნობა დაგვიტოვა და შესიტყვების სურვილი გაგვიჩინა, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია. მნიშვნელოვანწილად, სწორედ ამით აიხსნება, რომ ნერონის საგარეო პოლიტიკის საკვანძო საკითხები, ფაქტობრივად, კადრში ვერ ხვდება. ასეთად გვესახება:

1. ა) სასურველი იქნებოდა ორიოდე სიტყვა თქმულიყო 61 წელს ბრიტანეთში ბოდისეას (ბოუდიკას) მეთაურობით მომხდარ აჯანყებაზე. რომაელებმა აჯანყება სასტიკად ჩაახშვეს, ხოლო აჯანყების მეთაურმა ტყვეობას სიკვდილი ამჯობინა [2. 10-14]; ბ) იგივე შეიძლება ითქვას იუდეველებთან კონფლიქტზე [33, 273-310]; გ) აგრეთვე არაფერია ნათქვამი რომსა და პართიას შორის უთანხმოებაზე [33. 317-399]. ეს, ვფიქრობთ, მხოლოდ მომგებიან ქულებს შესძენდა სახელმძღვანელოს და შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა.

2. რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა, სულ ორიოდე სიტყვით, ძალიან მოკლედ, აღნიშნული ყოფილიყო, ფაქტის კონსტატაციის დონეზე, თქმულიყო, ნერონის პოლიტიკაზე ამიერკავკასიაში, კერძოდ კი საქართველოში [13; 16; 19; 20;

22; 31; 32]. ქართული კონტექსტის ჩართვა, ცხადია, საინტერესო იქნებოდა და მოწაფეებს კიდევ უფრო მეტ ინტერესს გაუღვივებდა ისტორიის მიმართ. შესაძლოა, ეს იმითაც ყოფილიყო განპირობებული, რომ ეს საკითხი იმ პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ არ ყოფილა სათანადოდ შესწავლილი, თუმცა უნდა ითქვას, რომ მისი კვალი წყაროებში მკაფიოდ იკითხება. ამ საკითხისადმი ამგვარი ინდიფერენტული დამოკიდებულება, ცხადია, შეთხვევითი არ ყოფილა და ნერონის საგარეო პოლიტიკისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამოძახილია [27; 28; 29; 34; 35].

* * *

მაშ ასე, დიმიტრი უზნაძის სასკოლო სახელმძღვანელოს ეს მონაკვეთი, ფაქტობრივად, ქართულ სინამდვილეში კალიგულას და ნერონის მმართველობის პოპულარიზაციის, პირველ თუ არა, ერთ-ერთ პირველ მცდელობად გვევლინება. მას წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია. ამ კულტურტრეგერულ მისიას მან, შეიძლება ითქვას, რომ ურიგოდ როდი გაართვა თავი, რაც მის წარმატებად მიგვაჩნია. როგორც უკვე ითქვა, ეს ინფორმაცია ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, მოსწავლე ახალგაზრდობას კარგად დააკვალიანებს და კალიგულას და ნერონის საქმიანობაზე ზოგადი წარმოდგენის ჩამოყალიბებაში დაეხმარება. მთავარი სწორედ აი ეს უნდა იყოს. ამ მსჯელობის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს.

დიმიტრი უზნაძის მიერ კალიგულას და ნერონის მმართველობის სწორი, მეცნიერული შეფასება და ინფორმირებულობა, ემპირიული, ფაქტობრივი მასალის ცოდნა, ამ თემაზე მისი მსჯელობის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია. ის იზიარებდა სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას და კალიგულას და ნერონის მოღვაწეობას უარყოფითად ეკიდება.

ზოგიერთი საკითხის შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს. უწინარესად, ასეთად მიგვაჩნია: ნერონის საგარეო პოლიტიკისადმი დიმიტრი უზნაძის ინდიფერენტული დამოკიდებულება. ეს აქტუალური თემა კადრში ვერ ხვდება. დიმიტრი უზნაძე დიდ ყურადღებას უთმობს კალიგულას პიროვნების უარყოფით დახასიათებას. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის დადებით მომენტს წარმოადგენს, მაგრამ, ფაქტობრივად, კრინტს არ ძრავს კალიგულას საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. სასურველი იქნებოდა, თუ ის ამ თემას ძალიან მოკლედ, სულ ორიოდე სიტყვით შეეხებოდა. ეს კალიგულას მმართველობაზე სრულყოფილ, ამომწურავ წარმოდგენას ჩამოგვიყალიბებდა. გასაგებია, რომ, როგორც აღნიშნული საკითხის გაშუქების პირველი მცდელობა, ის, ბუნებრივია, უნაკლო ვერ იქნებოდა. მიმდინარეობდა მუშაობა სახელმძღვანელოს შემდგომ სრულყოფაზე, დახვეწაზე, მაგრამ, პოლიტიკური ქარტეხილების გამო, დაწყებული პროცესის ბოლომდე მიყვანა ვერ მოხერხდა, ხოლო, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, მისი მეცნიერული საქმიანობა სულ სხვა მიმართულებით წარიმართა და ისტორიულ მეცნიერებას მეტი აღარ მიბრუნებია.

ლიტერატურა – REFERENSES

1. გამრეკელი გ. პედაგოგის გახსენება - ალექსანდრე წერეთელი, ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში, N1, 1980.
2. გაჩეჩილაძე რ. ინგლისის გეოგრაფია, ისტორია, კულტურა, თბ., 1994.
3. გირო, ლაკურ-გეიე, ძველ რომაელთა ისტორია, თბ., 1906.

4. თვალიაშვილი ქ., ჩიკვაიძე ც. ძველი მსოფლიოს ისტორია, მეექვსე კლასის სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, თბ., 2005.
5. კალანდაძე მ. დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე და ნაპოლეონზე, თბ., 2016.
6. კალანდაძე მ. დიმიტრი უზნაძე, როგორც ისტორიკოსი, ანალები, N9, 2013.
7. კალანდაძე მ. დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1999.
8. კალანდაძე მ. საქართველოში ძველი მსოფლიო ისტორიის შესწავლის ძირითადი ეტაპები, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, N19, თბ., 2021.
9. კალანდაძე მ. ყველა სიკეთე საბჭოთა რეალობასთან როდი ასოცირდება, თბ., 2021.
10. კალანდაძე მ. ინგლისის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2005.
11. კაროვკინი ი. ძველი მსოფლიო ისტორია, VI კლასის სახელმძღვანელო, თბ., 1989.
12. კოვალიოვი ს. ძველი მსოფლიო ისტორია, თბ., 1957.
13. ლომოური ნ. რომის და ამიერკავკასიის ქვეყნების ურთიერთობისათვის ახ. წ. I საუკუნეში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 77, თბ., 1959.
14. მენთეშაშვილი ივ. ინგლისის ისტორია, თბ., 2004.
15. სანიკიძე ლ. რომის იმპერია, თბ., 1984.
16. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1. თბ., 1970.
17. სურგულაძე ა., არდავიწყება მოყვრისა, თბ., 1986.
18. ქავთარია გ., რომის ისტორია, ნაწილი მეორე, თბ., 2020.
19. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, პირველი ნაწილი, თბ., 1998.
20. ქართლის ცხოვრება, ტ. 1, თბ., 1955.
21. უზნაძე დ. მსოფლიო ისტორია, რომი, ნაწ. 3., თბ., 1920.

22. ფიფია კ. ნერონის კავკასიური ლაშქრობის მიზნების და მიმართულების საკითხისათვის, სოხუმის უნივერსიტეტის შრომები, ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია, N1, 2007.
23. ყორანაშვილი გ. მოძღვრის არდავიწყება, ლიტერატურული საქართველო, N2, მარტი, 1990.
24. ჩერქეზიშვილი ვ. თხზულებები, შემდგენელი და რედაქტორი დიმიტრი შველიძე, ტ. 1, თბ., 2011.
25. ძველი მსოფლიო ისტორია, ა. მიშულინის რედაქციით, თბ., 1951.
26. წერეთელი ალ. მსოფლიო ისტორია, ნაწილი 1. ძველი საუკუნეთა ისტორია, თბ., 1920.
27. Горскии А., Нерон. денди, которого считоли сатаной, Санкт-Петербу́рг, 2005.
28. Князкин И., Калигула, Москва, 2009.
29. Князкин И., Нерон, Москва, 2007.
30. Кремер В., Тренклер Г., Лексикон популарных заблуждении, Москва, 2000.
31. Ломоури Н., Грузино-римские взаимо-отношения, Тб., 1981
32. Меликишвили Г., История древиеи Грузии, Тб., 1959
33. Момзен Т., История Рима, том. 5., Москва, 1949.
34. Нонга Д., Калигула, Ростов-на-Дону, 1998.
35. Сизек, Нерон, Ростов-на-Дону, 1998.

MERAB KALANDADZE

DIMITRI UZNADZE ON CALIGULA AND NERO

Summary

The present paper is historiographical in nature and aims to identify two interesting issues that have not been studied in the historical literature to date:

1. Interest in Caligula and Nero's work in Georgian historiography and 2. Dimitri Uznadze on Caligula and Nero. This issue is an integral part of the first problem.

In Georgia, the interest in this issue has a much longer history than it was thought during the Soviet period. We consider its beginning in 1921 to be delayed by the Sovietization of Georgia. He took the first modest steps not after the Sovietization of Georgia, as it was thought until now, but a little earlier. The opening of Tbilisi State University on January 26, 1918 by the great Ivane Javakhishvili and the creation of the Democratic Republic of Georgia in 1918-1921 are a gradual event in the study of ancient world history in Georgia. This was a reality that the Bolsheviks did not spare their strength to somehow erase from the consciousness of the Georgian society, but in vain. The interest in this issue in Georgia became scientifically popular in the Democratic Republic of Georgia in 1918-1921 and was mainly reflected in the textbooks of ancient world history. They just could not do more. Whatever they managed to do, of course, it was no small matter. As it turns out, the Georgian historiography of the Soviet period in this field did not even start its activity on an empty ground, from scratch, but met a prepared environment, which they tried in vain to silence.

A general picture and periodization of the study of this issue in Georgia, which was distorted by the efforts of the totalitarian-Bolshevik regime. We tried to correct this inconsistency and restore reality. Not all good deeds are associated with the Soviet government. The main starting point of a different approach was the resuscitation and rehabilitation of the contribution of the Democratic Republic of Georgia in this field in 1918-1921. The precondition for the scientific development of this field in Georgia is clearly read.

Whether or not political cataclysms, the Sovietization of Georgia, there is a high probability that the work started will be completed, but in reality it did not happen. The development of Georgian historiography has taken a completely different direction, which is difficult to consider as a continuation of the original path, a step forward.

Particularly painful is the fact that our source base looks very modest. This is the only school textbook where he naturally pauses briefly on the rule of Caligula and Nero. This, of course, is too little, it should not be enough, but we do not have other more extensive material and we have to believe what we have.

Dimitri Uznadze's attitude towards the rule of Caligula and Nero, obviously, is not accidental, did not arise on empty ground, and the echo of his negative attitude towards the dynasty of Julius Claudius was rebound. Is one of its constituent components.

This section of Dimitri Uznadze's textbook is, in fact, the first or not one of the first attempts to popularize Caligula and Nero's rule in Georgian reality. It has a purely cognitive load. He can say that he did not miss this cultural mission. We consider this to be his success. This information would help the Georgian society, first and foremost, of course, the student youth, and help to form a general idea of the rule of Caligula and Nero. The main thing, this is what it should be, the meaning of this reasoning, we think, this is exactly what it should be.

We consider the correct, scientific, assessment and awareness of the rule of Caligula and Nero by Dimitri Uznadze, the knowledge of empirical, factual, material as the main dignity of his discussion on this topic. He shared the opinion spread in the scientific literature and perceived Caligula and Nero's work negatively.

As the first attempt to cover this issue, naturally, it could not be flawless. Resolving some issues has left us feeling a certain sense of inadequacy. As for Caligula's personality, Crint has no engine in his domestic and foreign policy. The same can be said of Nero's foreign policy.

ხატია ცეცხლაძე

ტრადიციული ქალის სახე გურიის საზოგადოების მაგალითზე

საქართველოს ყველა კუთხე თავისებური ზნე-ჩვეულებებითა და ხასიათით გამოირჩევა. ქართული სული პოლივალენტურია, მთლიანობაში მაინც ქმნის ერთიან ქართულ სახეს, ისევე, როგორც ქართული მუსიკა – მეგრული ნანა, გურული კრიმანჭული, კახური მრავალჟამიერი, სვანური ლილე და სხვა. ქართული ხასიათის ეს მრავალფეროვნება ყველაზე მკაფიოდ ქართულ კლასიკურ მწერლობაშია ასახული. ჩვენ ვიცით როგორები იყვნენ ილია ჭავჭავაძის კახელი, დავით კლდიაშვილის იმერელი, ეგნატე ნინოშვილისა და ნოდარ დუმბაძის გურული პერსონაჟი ქალები, რომლებიც თავიანთი ხასიათითა და კოლორიტულობით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მათ ხასიათსა და განსხვავებულობაზე კი გავლენას ახდენდა გეოგრაფიული გარემო.

ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანია საქართველოს ერთერთი ულამაზესი კუთხის – გურიის მკვიდრი ქალის სახის თავისებურებათა წარმოჩენა.

ერთი მხრივ, ოჯახში მამაკაცის ქალისადმი დამოკიდებულებით განისაზღვრება საზოგადოებრივი წყობის სოციალური ბუნება; მეორე მხრივ, საზოგადოების ტიპის მიხედვით, საოჯახო ურთიერთობები და ქალის როლი მასში. ქალის როლისა და უფლება-მოვალეობების გაუთვალისწინებლად სრულ წარმოდგენას ვერ შევქმნით საზოგადოების განვითარების შესახებ. ეს ვითარება შესამჩნევი გახდა ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილების დროს. თუ საზოგადოების ფორმირების ხანაში მატრიარქალური გვარის არსებობის პერიოდში პრიორიტეტი ქალის მხარეზე იყო, პატრიარქალური გვარისთვის დამახასია-

თებელია მისი უფლებების შეზღუდვა და მამაკაცის უფლება-მოვალეობების ზრდა.

რევოლუციამდელი ქალის მდგომარეობის შესწავლისას ყურადღებას იწვევს შემდეგი ფაქტორები: ქალის სოციალური წარმოშობა, ასაკი და ოჯახური მდგომარეობა. მაღალი წრის წარმომადგენელ ქალთა როგორც საოჯახო, ისე საზოგადოებრივი მდგომარეობა მკვეთრად განსხვავდებოდა დაბალი წრიდან გამოსული ქალის მდგომარეობისაგან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ წოდებათა შიგნითაც განსხვავებული იყო მამაკაცისა და ქალის უფლებები. თუ მაღალი წოდების სინამდვილეში ქალი ჩაგრულად გრძნობდა თავს მამაკაცთან შედარებით, საზოგადოებრივი და ოჯახური ცხოვრების სფეროში, არც დაბალი ფენების შიგნით შეიძლებოდა აღმოგვეჩინა ამ ორ სქესს შორის თანასწორობა.

ეთნოგრაფიული მასალა გვიჩვენებს, რომ დიდი ხნის წინათ მრავალრიცხოვან ოჯახებში რძლები მორიგეობით დიასახლისობდნენ. ეს ეხებოდა სადილისა და ვახშმის მომზადებას, საქონლის მოვლას, სისუფთავეს, სტუმრის მიღებას, პურის ცხობას, რეცხვას და ა.შ, მაგრამ ჰქონდათ მიდგომები ისეთიც, როგორიცაა ორსულის გათავისუფლება მორიგეობისგან. ისინი პატივს სცემდნენ მას. ვისაც პატარა ბავშვი ჰყავდა, ის იქნებოდა მორიგე, რადგან ბავშვს ასეთ დროს დედამთილი უვლიდა. ასევე, მორიგეობის სანაცვლოს გადახდაც აუცილებელი ფაქტორი იყო. გაუყოფელ ოჯახებში საქმე ნაწილდებოდა წინა ღამით. მოილაპარაკებდნენ ვინ რას გააკეთებდა და ასე საქმიანობდნენ შეთანხმებულად. თუ რძალი დედამთილთან ცხოვრობდა, მაშინ რძალ-დედამთილი ერთად ასრულებდნენ ყოველგვარ საოჯახო საქმეს.

ქალის – დედისა და ბებიის მთავარი მოვალეობა შვილებისა და შვილიშვილების აღზრდა იყო. ხშირი იყო მრავალშვილიანობა, რაც კიდევ უფრო ზრდიდა ქალის როლს ბავშვის აღზრდაში. როგორც აღვნიშნეთ, გურიაში ქალის წვლილი სამე-

ურნეო საქმიანობაში მცირე იყო, ვინაიდან ამ რეგიონში წამ-ყვანი დარგი მიწათმოქმედება იყო. ამ სფეროში კი ფუნქციები ძირითადად მამაკაცებს შორის ნაწილდებოდა. ქალისთვის სირცხვილადაც ითვლებოდა თოხით მუშაობა. ხვნა-თესვისა და თოხნის დროს ყანაში, ქალის მოვალეობას საჭმლის მიტანა წარმოადგენდა, მაგრამ აქტიურად მონაწილეობდა მოსავლის აღებაში. ბოსტნის მოვლა-პატრონობა გურული ქალის ერთ-ერთი ძირითადი საქმე იყო; ასევე მნიშვნელოვანი საქმიანობა იყო მეაბრეშუმეობა. ისინი ამზადებდნენ სხვადასხვა ქსო-ვილს; ქსოვდნენ როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიუ-რად. მოგვიანებით და შედარებით სუსტად განვითარდა მესა-ქონლეობა ქალის საქმიანობაში, მაგრამ საქონლის წველა და ნაწველის მოვლა-პატრონობა საოჯახო პირობებში ქალს ევა-ლებოდა. საქონლის მოვლით გურული ქალი განთქმული იყო და უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ახლაც წინა რიგებში შეიძ-ლება აღმოჩნდნენ.

ქალისთვის საოჯახო საქმის სწავლებას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ადრეული ასაკიდან. გოგონას საქმეს ძი-რითადად 5-6 წლიდან აჩვევდნენ, მაგრამ დავალებას უფრო მეტად 10-12 წლიდან აძლევდნენ. მათ ავალებდნენ მსუბუქ საქმეს, ისეთს, როგორიც იყო: სახლის დაგვა, ფიჩხების შეგ-როვება და ა.შ. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ხელ-საქმის – ქსოვის, ქარგვის, კერვის სწავლებას. მოზრდილ გო-გონებს ხელსაქმე კარგად უნდა სცოდნოდათ.

კვლევის შედეგები მოწმობს, რომ საოჯახო საქმე გურია-ში, როგორც საქართველოს ბარისთვის, დამახასიათებელი მოვლენა იყო. საოჯახო საქმესთან ერთად, ზოგჯერ უბნის სა-ერთო საქმის ხელმძღვანელობაც ევალებოდა ქალს, რომელ-საც თავი ქალი ეწოდებოდა. ეს სახელწოდება კი დღემდე მოქ-მედებს გურიაში მსგავსი საქმიანობების დროს.

გურიაში, თანამედროვე ყოფაში, ნაწილობრივ შეიცვალა ოჯახის მართვისა და შრომის ორგანიზაციის სისტემა. ოჯახის

უფროსის უფლებები თანამედროვე რეალობაში შესუსტდა. ცნება „ოჯახის თავი“ მოძველებულია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც არსებობს მართვის ასეთი ფორმა. უფროსი მამაკაცის გარდაცვალების შემდეგ, ოჯახში უფროსი ქალის ხელში გადადის ხელმძღვანელობა მთელი რიგი საკითხებისა.

თანამედროვე პირობებში შეიცვალა საოჯახო საქმეების დანაწილების პრინციპებიც. სქესის მიხედვით საოჯახო საქმის მკვეთრი დაყოფა არ შეინიშნება. სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ ქალს ოჯახში მამაკაცი ეხმარება. სახალხო საქმიანობას კი წარმოადგენს ძირითადად ჩაის კრეფა. ქალის ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ისევე, როგორც იურიდიული თანასწორობა მამაკაცთან, არის ოჯახის წევრთა ურთიერთობის ახალი ფორმის განმსაზღვრელი ფაქტორი. ქალი თანდათან გადაიქცა ოჯახის დამოუკიდებელ დიასახლისად, გახდა სრულუფლებიანი წევრი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბევრ საკითხს იგი მეუღლის გარეშე მაინც არ გადაწყვეტს. მართალია იგი ბევრად დამოუკიდებელია დღეს, მაგრამ, იმავდროულად, მეტად დატვირთულიც.

ამგვარად, თანამედროვე პირობებში ქალისა და მამაკაცის მდგომარეობა გურიაში თანაბარია, მაგრამ კვლავ ძალაშია ქმრის განსაკუთრებული უფლებები ცოლის მიმართ მორალურ-ზნეობრივი ურთიერთობების სფეროში.

ბევრი თავისებურება არსებობდა ქალის მიმართ ქორწინების საკითხებშიც. ცნობილია, რომ საქართველოში საოჯახო ქონებიდან ქალს არაფერი ერგებოდა, მხოლოდ მზითვი ეძლეოდა, რაც მამის ოჯახიდან გატანებული ქონება იყო. მზითვის მიცემა წესად იყო ყველა წოდებისა და მდგომარეობის ქალისთვის. გურიაში მზითვი ქალის ოჯახს უნდა მოემზადებინა. გამზითვება საკმაოდ მძიმედ აწვა ოჯახს, ამიტომაც, ხშირ შემთხვევაში, მზითვი უმნიშვნელო რაოდენობისა იყო. მასში შედიოდა: ქვეშაგები, ტანსაცმელი, საოჯახო ჭურჭელი, ძირითადად სპილენძეულობა. მზითვის შემადგენლობა, დროისა და

ოჯახის ეკონომიური მდგომარეობის შესაბამისად, განსხვავებული იყო. გათხოვებისას ქალს ასევე აძლევდნენ მცირე რაოდენობით ფულს, საქონელს – ძირითადად ძროხას, როგორც სამიწათმოქმედო რეგიონებისთვის იყო დამახასიათებელი; იშვიათ შემთხვევაში – მიწის ნაკვეთს, ოღონდ მხოლოდ სარგებლობისთვის და არა როგორც საკუთრება. ასეთი მზითვის გატანება საქართველოში XIX ს-ში გაჩენილი მოვლენა ჩანს. გურიაში ეს წესი ძირითადად წარჩინებული და საეკლესიო წრის ოჯახებში იყო გავრცელებული. ეს ნამზითვი ცოლ-ქმრის საერთო საკუთრებად იქცეოდა და მარტო ქალს არ ჰქონდა უფლება ამ ქონებაზე. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ გურიაში წარჩინებულთა წრეში ქალისთვის მზითევში ყმების გატანების წესიც არსებობდა.

ქართული მემკვიდრეობითი სამართალი ქალებსაც აძლევდა საკუთრების დამკვიდრების უფლებას, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ ის გათხოვილი არ იყო. ამ რეგიონში, კაცების მსგავსად, ქალებმაც იცოდნენ ხელის წაკვრა და ნადი, რომელშიც კაცი არანაირ მონაწილეობას არ ღებულობდა. მეზობელი ქალები ერთიმეორეს ვახშმის შემდეგ ეშველებოდნენ; შემოდგომა-ზამთრის გრძელ ღამეებში ნაშუაღამემდე მუშაობდნენ და მსუბუქი ვახშმით უმასპინძლდებოდნენ ერთმანეთს.

აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი საკითხიც, რომელშიც გურული ქალები არ ჩამორჩებოდნენ სხვა ქვეყნების ქალებს, ეს იყო ლამაზად ჩაცმა და, საერთოდ, აქსესუარების მოხმარება.

XIX ს-ში ფაბრიკულმა ნაწარმმა სიიაფითა და სილამაზით კონკურენცია გაუწია შინაურ ნაწარმს. XX ს-ის დასაწყისში გურიაში ფაბრიკული ქსოვილების ასორტიმენტი საგრძნობლად გაიზარდა და, შესაბამისად, გურულები ტანსაცმლის მასალას ადგილებზე გახსნილ სავაჭრო დუქნებში იძენდნენ. ეწყობოდა აგრეთვე ბაზრობები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამ ბაზართა შორის იყო „ნაგომრობა“, რომელიც 13 ივლისს იწყებოდა და ორ კვირას გრძელდებოდა. ტრადიციული სამოსელი კი

ძირითადად ადგილობრივი ძალებით მზადდებოდა. ფეხმოკიდებული ახალი ფორმის ჩაცმულობას კი „მოდისტკებთან“ განსწავლული შეგირდები კერავდნენ. „მოდისტკას“ ქალის კაბაში 1 მანეთს უხდიდნენ. ზოგიერთი ოსტატი თანაუგრძნობდა ხოლმე სოფლელ ქალებს და ზოგჯერ ნატურით ან ყანაში მიხმარებით იღებდა შრომის საფასურს. აკაკი წერეთლის თქმით, ადვილად მიმბაძველი ხალხია გურულები. ამ მხრივ კი განსაკუთრებული მონდომებით არიან დახასიათებულნი გურული ქალები, ისინი, რომელთა გარემოებამაც ზოგიერთს სამხრეთ იტალიის ქალები გაახსენა. ბევრი ხალხი არაა ქვეყანაზე ბუნებით ისეთი ცოცხალი, როგორც გურულები; ყველაფერი ახლისა და უცხოს ადვილად მიმღები, შემთვისებელი. ოზურგეთის „განათლებულ და სწავლულ ქალებს“ ძალიან ფრანტი, მდიდრულ მოდაზე შეკერილი კაბები ეცვათ. მოდურად ჩაცმის წესს გურიაში, უპირველეს ყოვლისა, მაღალი საზოგადოების ქალები შემოიტანდნენ, ისიც ოზურგეთში, სადაც ძველთაგანვე გურიელთა სახელი ევროპული კულტურის [1.77-89; 2.48-60; 3.102] გადმოღების საუკეთესო მაგალითს იძლეოდა, მაგრამ მონაცემები იმის მაუწყებელნიც არიან, რომ ამ ხმას გლეხი ქალებიც აჰყოლიან.

საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენის მეგზურში ვკითხულობთ: „გამოფენაზე წარმოდგენილია მაღალი წოდების გურული ქალის ტანსაცმელი, ელეგი სახელოებიანი (ზედატანი), რომელსაც გაჭრილი სახელოების ნაწიბურები და გულისპირი მდიდრულად აქვს მოქარგული, ოქრომკერდის ნაქარგი სარტყელი და გულისპირი, ლეჩაქი, აბრეშუმის კაბა და ტყავის ქოშები“.

გავრცელებული იყო მოკლე ზედატანი – შინდისფერი ხავერდისაგან დამზადებული, რომელიც ხელით ნაკერი იყო, ამიტომ ტანზე მომდგარი და მთლიანად დასარჩულებული გახლდათ თეთრი მიტკლით. მას გრძლად დაშვებული დეკორატიული სახელოები ჰქონდა.

ასევე გამოირჩევა ხუთნაჭრიანი ქვედატანი კაბა შემკულობით. იგი ზემოდან უხვადაა ნაქარგი აბრეშუმის ძაფით; ორნამენტის სახე ყვავილოვანია; ნაქარგებში ჩართულია ფერადი შუშის სხვადასხვა ზომისა და ფორმის მძივები, ასევე ფირფიტებიც.

იყო აგრეთვე ქოში – ყავისფერი ტყავის დაბალქუსლიანი.

ქართული ჩაცმულობის დროს ქართულადაც იხურავდნენ; შუაში ან ზემოთ ავარცხნილ თმას ორ ან ერთ ნაწილად იყოფდნენ; ყურებთან თმები ჯანჯუხებივით ეკიდათ და თავზე თავსაბურავი ედგათ. ქალები იშვიათად გამოიყენებდნენ ქალამანს და ქეჩხოს. XIX ს-ის II ნახევარში საქართველოში ფეხმოკიდებულია ტანსაცმლის ყველა ფორმა: „კაბა-კურტკა“, „კაბა-კოფთა“, „კაბა-კესერი“ და აგრეთვე გარეთა სამოსელი. თავსაბურავი ზაფხულში, ზამთარში თავშალი, ფეხსაცმელი უყელო, დახურული, ქუსლიანი თუ უქუსლო ...

დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ გურიაში საინტერესო იყო ქალის, როგორც პიროვნების, როლი ოჯახშიც და საზოგადოებაშიც. მისი პირდაპირი მოვალეობა იყო „ოჯახისთვის შთამომავლობის შექმნა, ოჯახში ბავშვის აღზრდა, საოჯახო მეურნეობის განაწილება და საზოგადოებაში გამოსვლაც“, მაგრამ რამდენადაც პასიური იყო გურული ქალი საზოგადოებრივ ურთიერთობებში, იმდენად დიდი და განმსაზღვრელი იყო მისი როლი ოჯახურ ცხოვრებაში.

გურული ქალის ლაღმა და ხალისიანმა საერთო ხასიათმა ასახვა პოვა გურიის კუთხის კოლორიტის შექმნაში.

ლიტერატურა – REFERENSES L

1. ცეცხლაძე გ. გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბ., 1992.
2. წულაძე ა. ეთნოგრაფიული გურია, თბ., 1971.
3. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია – მასალები გურიის ეთნოგრაფიული შესწავლისთვის (გურია), თბ., 1980.

KHATIA TSETSKHLADZE

THE FACE OF A TRADITIONAL WOMAN AS IN THE CASE OF GURIAN COMMUNITY

Summary

The paper refers to the face and role of a woman in a society in the case of one of the most interesting regions of Georgia - Guria, based on historical and modern ethnographic material. The cultural and moral status of a woman in society, which is fairly defined according to family and social status.

The explanation and characterization of these circumstances begins, first of all, with the condition of a woman and her social nature on the example of the family, otherwise, neglecting her rights and responsibilities we cannot create a complete picture of Guria society, as its development was different in the wake of transformation, this situation became noticeable and remarkable from the tribal community. While at the time of the formation of the society, during the existence of the matriarchal society, the priority was on the female side, the patriarchal society was characterized by the restriction of her rights and the increase of the rights and duties of a man. The study of the status of women in the pre-revolutionary period focused on the following factors: the social origin, age and status of women. It should be noted that the marital and social status of high-ranking women was markedly different from that of low-income women.

The paper thoroughly discusses the development of Gurian woman according to the periodicals and presents in all aspects their activities in the development of spiritual or material culture, starting with their role in the family atmosphere: that of mother, daughter-in-law , wife, as well as well as by determining her material condition before getting married – by giving a dowry, which was determined by her social origin, this meant giving a dowry, taking into account all the details from her fa-

mily property, these factors were evident in nineteenth-century Guria, which was also compounded by the rather high-quality development of the culture of dress. Gurian women did not lag behind the women of any region and even of other countries in dressing nicely or in consuming various accessories at all, in tasteful clothes, in the use of clothes made of fabric textiles, which were sewn by apprentices trained by "Fashionists" and many other details ...

In conclusion, we must say that, in Guria, the role of a woman as a person in the family and society was interesting, her direct duty was to create offspring for the family, raise a child in the family, distribute the family farm and appear in society, Georgian inheritance law also gave women the right to establish themselves, but the more passive the Gurian woman was in public relations, the greater and more defined her role was in family life.

In general, the ethnographic material characteristic of a Gurian woman is voluminous, the carefree and cheerful general character of a Gurian woman was reflected in the creation of the flair of the Guria region.

ელენე გეგეშიძე

ებრაული თემა ქართულ კულტურაში (XX საუკუნე)

საუკუნეებს ითვლის ქართველი და ებრაელი ხალხის საქართველოში თანაცხოვრების წლები, რომელსაც მუდამ ავსებდა ომხრივი სიყვარული, შეზავებული სითბო, თანადგომა, მოკრძალება და პატივისცემა. საქართველოში ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეს. ჩვენ სამართლიანად შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ ჩვენს სათაყვანებელ სამშობლოში საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები მკვიდრობენ და მშვიდობიანად ახერხებენ თანაცხოვრებას. ამის ნათელი მაგალითია XX საუკუნეში ქართველი და ებრაელი ხალხის კულტურული თანაცხოვრების საინტერესო ისტორიები.

ჰარმონიულმა თანაცხოვრებამ გარკვეული გავლენა იქონია ორივე ხალხის ყოფასა და კულტურაზე. ებრაელმა ერმა იმთავითვე გაითავისა მთელი რიგი ქართული წესებისა, ქართველებისთვის დამახასიათებელი ურთიერთობის ფორმები და ყოფითი კულტურის ელემენტები, რაც ნათლად ვლინდება ებრაული ქორწილის, დაკრძალვის, გლოვის რიტუალებში. ქართველებთან მათი ახლო კონტაქტები აისახა ქართულ ონომასტიკაშიც – ადამიანთა საკუთარ სახელებსა და გვარებში. ებრაელთა გვარების წარმოქმნა საერთო ქართულ პრინციპებს ემორჩილება და ოდითგანვე ყალიბდება „ძე“-ზე და „შვილ“-ზე დამთავრებული გვარები: ბათიაშვილი, ეფრამაშვილი, ბერიკაშვილი, ხახიაშვილი, დავითაშვილი, იაკობაშვილი, მაღალაშვილი, პაატაშვილი, მეგრელიშვილი, სიმონიშვილი და ა. შ. „მოქცევაჲ ქართლისაში“ ხაზგასმულია იერუსალიმისა და ებრაელთა განსაკუთრებული როლი საქართველოში მონოთეიზ-

მის იდეის გავრცელებისა და საქართველოს გაქრისტიანების საქმეში. „მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით, მცხეთელი ებრაელი ქალი სიდონია ქართული ეკლესიის პირველი წმინდანია, ხოლო ქართველი ებრაელი ელიოზ მცხეთელი – ქრისტეს კვართის ჩამომტანია საქართველოში [6].

XX საუკუნეში ქართველი ებრაელები აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პირველ ქართველ პარლამენტართა შორის აბრამ ბუზიაშვილი და მოსე დავარაშვილიც იყვნენ და ასევე 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის მნიშვნელოვან პოლიტიკურ აქტს სამმა ებრაელმა მოაწერა ხელი: მ. დავარაშვილმა, ი. ელიგულაშვილმა და ი. გოლდმანმა [5]. საქართველოში მცხოვრები ებრაელები საუკუნეების განმავლობაში ქართველების მხარდამხარ იბრძოდნენ მოძალებული მტრის მოგერიებისა თუ ქვეყნის განთავისუფლებისათვის. ცნობილია ახალციხელი ებრაელების საგმირო საქმეები თურქეთის შემოტევისას 1918-20 წლებში. ისტორიამ შემოინახა არაერთი სახელი იმ ებრაელებისა, რომელთაც თავი დადეს საქართველოსთვის. 1915 წელს განმანათლებელი დავით ბააზოვი ერთ-ერთ თავის სტატიაში წერდა: „აღვზარდოთ იმისთანა მოზარდები, რომლებიც სარგებლობას მოუტანენ ჩვენს ერს – ებრაელებს, ჩვენს სამშობლო საქართველოს და ჩვენ მოძმე ქართველ ხალხს“ [1.4]. ეს ციტატა კი ბევრის მთქმელია.

საუკუნოვანმა მშვიდობიანმა თანაცხოვრებამ შექმნა ქართველი ებრაელის ფენომენი. იგი სიმბოლურად ორი ერის შვილია: ქართულ მიწას ამუშავებს, ქართულად მეტყველებს, ქართულ სახლს აშენებს და, ამავე დროს, მტკიცედ იცავს რელიგიური ცხოვრების წესს [5.77].

ებრაელთა მშობლიური ენა, ბიბლიის ენა – ივრითი საქართველოშიც განაგრძობდა არსებობას სწავლულ რაბინთა – იუდაიზმის ერთგულთა წრეებში. ღირსშესანიშნავი ფაქტია, რომ თავდაპირველად ამ ენაზე დაიწერა კაცობრიობის უპირველე-

სი წიგნი „ბიბლია“ და სრულდებოდა ღვთისმსახურება ებრაულ სალოცავებში. ბეით ქნესეთი და მისი ეზო ყველა ჭირთათმენისა და სიხარულის ადგილი იყო ებრაელთათვის. ჯამაათის ზრდასთან ერთად, ქალაქებსა თუ სხვა სახის დასახლებებში მატულობდა სალოცავების რიცხვიც. საქართველოს ებრაელობა ამაყობს თავისი დიდი თალმიდ-ხახმებითა და რაბინებით, რომელნიც თორის ღრმა ცოდნითა და ტრადიციებისადმი ერთგულებით სულიერად აპურებდნენ ჯამაათს. სწორედ მათმა მოღვაწეობამ (ხშირად საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასადაც) დღემდე შემოუნახა საქართველოს ებრაელებს რწმენა. იმავდროულად, ისინი მკაფიოდ გამოხატავდნენ ქართველი ერის დიდ სიყვარულს, რაშიც მათდამი ქართველი ხალხის ტოლერანტობასაც მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი. 1916 წელს ქართველმა ინტელექტუალმა ივანე გომართელმა გაზეთში „თეატრი და ცხოვრება“ გამოაქვეყნა სტატია „ქართველი ისრაელები“, სადაც იგი იზიარებდა იოსებ და მიხაკო ხახანაშვილების კონცეფციას ქართველ ებრაელთა იდენტობის შესახებ. ივანე გომართელის აზრით, ქართველი ებრაელი შერეული წარმოშობისაა: „ერის წარმოშობაში ჩამომავლობას არა აქვს იმდენი ძალა და მნიშვნელობა, რამდენიც ისტორიას... ქართველებთან საერთო ისტორიულმა ცხოვრებამ ქართველი ისრაელები ნელ-ნელა გააქართველა და დღეს ისინი ქართველები არიან. მართლაც, ქართველი ერის ისტორია ამავე დროს არის ისტორია ქართველი ებრაელისა“ [2.4-5].

საქართველოში ებრაელები თითქმის ყველა რეგიონში იყვნენ დასახლებული: აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში. თბილისშიც ებრაელთა უბანს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა ებრაელებმა ჩაუყარეს საფუძველი. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ეს უბანი „სიონის მახლობლად, ფეთხაინის ეკლესიის ძირას ყოფილა“. XX საუკუნის პირველ ნახევარში ებრაელებმა თხოვნით მიმართეს გუბერნატორს, რათა მას დედაქალაქში მათთვის ახალი სამლოცველოს

აშენების ნება დაერთო. 1905-1906 წლებში ახალი სინაგოგის მშენებლობა დასრულებულა და ებრაული მოსახლეობაც, ძირითადად, მის მახლობლად განსახლებულა. ისინი კომპაქტურად ცხოვრობდნენ ლესელიძისა და ვერცხლის ქუჩის მიდამოებში. აღმოსავლეთ საქართველოს ებრაელთა დასახლებებიც მჭიდრო, კომპაქტური იყო, საცხოვრებელი ნაგებობანი კი, ძირითადად, მიწური და დარბაზული სახლის ტიპისა, ოჯახები – დიდი, პატრიარქალური (20-25 სული). დასავლეთ საქართველოს ებრაელთა დასახლებებში გავრცელებული იყო ხის ქართული ოდა სახლი, დიდი საკარმიდამო ეზოთი გარშემორტყმული, სადაც განლაგებული იყო სამეურნეო ნაგებობები: ბოსელი, საქათმე, ბეღელი; შიგნით გაშენებული იყო ვენახი და ხეხილის ბაღი. მიუხედავად იმისა, რომ ებრაელთა საცხოვრებელი კომპლექსი ძირითადად ქართული ეროვნული საცხოვრებლის ტრადიციას ემყარება, მასში მაინც მკაფიოდ ჩანს ებრაელი ხალხის სულიერი კულტურის სპეციფიკასთან დაკავშირებული დეტალები. ყოველი ებრაელის სახლს ჰყავდა თავისი მფარველი, მშვიდობისა და დოვლათიანობის მცველი, რომელსაც მეზუზა ჰქვია. იმავდროულად, მეზუზა ოთხკუთხა, თავდახურული თხელი ყუთია, რომელშიც ჩასვენებულია სოფერის (წმიდა ტექსტის გადამწერის) მიერ პერგამენტის ქაღალდზე ნაწერი „მეორე სჯულის“ ფრაგმენტი თორიდან და მიმაგრებულია შესასვლელი კარის მარჯვენა მხარეს. დღესდღეობითაც ოჯახის ყველა წევრი სახლიდან გასვლისას და დაბრუნებისას გარკვეულ რიტუალს ასრულებს, რათა მშვიდობიანი დღისთვის მადლობა უთხრას გამჩენს. საკარმიდამო ნაკვეთებს გარდა, ებრაელები სახნავ-სათეს მიწებს, ბაღებსა და ვენახებსაც ფლობდნენ [6]. XX საუკუნის დამდეგის სოციალურ-ეკონომიკური ძვრების შედეგად დიდი ოჯახები იშლება და მათ ადგილს ერთპიროვნული ოჯახები იკავებს [7]. სოფელ ლაილაში დგას ებრაელთა ძველი სინაგოგა. დღემდე მოქმედი სინა-

გოგები კი გვხვდება: თბილისში, ბათუმში, გორში, ქუთაისში, ონში, ახალციხესა და სურამში.

მე-XX საუკუნეში საქართველოში მყოფი ებრაელები ქართველებთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი არა მარტო საერთო ტერიტორიაზე ცხოვრებით, არამედ საერთო ეკონომიკური ბაზის წარმოებითაც. ისინი ქართველებთან ერთად მისდევდნენ მიწათმოქმედებას; წარმატებით ეწეოდნენ მევენახეობა-მეღვინეობას. სოფლის მეურნეობასთან ერთად, ებრაელთა ერთი ნაწილი ხელოსნობასა და შინამრეწველობას მისდევდა: მეთუნეობას, დურგლობას, მეწაღეობას, მექუდეობას, მღებრობას, მჭედლობას. ებრაელი ხელოსნები ქმნიდნენ საკუთარ სახელოსნოებს ან მცირე საწარმოო გაერთიანებებს – „ამხანაგობებს“, რომლებშიც ძირითადი პროფესიის მიხედვით 2-3 ხელოსანი ერთიანდებოდა. ქართლში (გორში, ცხინვალში) ებრაელებს ჰქონდათ ღვინისა და არყის ჩამოსასხმელი ქარხნები, ჩაის შემფუთავი საამქრო, ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის სამკერვალოები და სხვ. ნიქოზში ებრაელების მფლობელობაში იყო აგურის მცირე ქარხნები, სადაც ამზადებდნენ ალიზს, აგურს და კრამიტს; ჰქონდათ სამხერხაოები, წისქვილები. რაჭაში ცნობილები იყვნენ ებრაელი მეთუნეები [7].

განსაკუთრებით აღსანიშნავია ებრაული სამზარეულო, რომელიც განსაზღვრავს ებრაელთა პურობის ხასიათს. მაგრამ, როგორი შინაარსის ან სიდიდისაც არ უნდა იყოს ებრაელთა პურობა, მას ყოველთვის ახლავს სამი საკრალური ელემენტი: მარილი, პური, ღვინო. მარილზე დაწებული პურის ნატეხის („ჰამოცის“ და „კლდუშის“) და ღვინის კურთხევის რიტუალები პურობის დაწყების აუცილებელი ეტიკეტის სავალდებულო წესია. ყოველი ეთნოსის სამზარეულოში დასტურდება კანონით განსაზღვრული დასაშვები და აკრძალული საკვების არსებობა. ქართველ ებრაელთა კვებაში არსებული აკრძალვები ზოგადებრაულია. მკვლევართა აზრით, სწორედ ამ აკრძალ-

ვების დაცვა გახდა ებრაელი ხალხის მორალური და ფიზიკური სიმტკიცის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

რელიგიური ტრადიციის ერთგულებამ განაპირობა ისიც, რომ ქართველ ებრაელებს შესისხლხორცებული ჰქონდათ საქველმოქმედო საქმიანობა: უსასყიდლოდ მომსახურება, სუსტთა, ობოლთა, ღატაკთა დახმარება, ამიტომ საზოგადოებას თითქმის არ ჰყავდა უსახლკაროები და კარდაკარ მოხეტიალე მათხოვრები. ყველა ებრაელი ვალდებული იყო დავრდომილისთვის ლუკმაპური გაენაწილებინა, თავშესაფრით უზრუნველეყო და დაგლახაკების უფლება არ მიეცა. გარდა ამისა, ებრაელებში მაღალ დონეზე იდგა თანადგომის კულტურა შრომაში, ლხინსა თუ ტირილში.

ცნობილია, რომ ებრაელისათვის არსებობა იუდეველად ყოფნას ნიშნავს, რაც რჯულის დაცვას ანუ წეს-ჩვეულებათა ერთგულებას გულისხმობს. ამიტომ ქართველ ებრაელთა კალენდარულ თუ რელიგიურ დღეებს მათ ყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და მთელი რიგი თავისებურება-სპეციფიკურობით გამოირჩევა.

დღეობა-დღესასწაულები ებრაელების სოციალური ურთიერთობების, სულიერი თუ მატერიალური კულტურის განვითარების გარკვეულ დონეზე მიუთითებს და თითოეულ მათგანში თვალნათლივ იკვეთება მდიდარი, დახვეწილი, ამავე დროს, განსაკუთრებული, სპეციფიკური ნიშნების მატარებელი ყოფითი ტრადიციები. საქართველოს ებრაელობამ სათუთად შემოინახა და დღემდე მოიტანა ებრაული რელიგიური ტრადიციისთვის დამახასიათებელი რეალიები. ამან განაპირობა ის, რომ საქართველოში ებრაელებმა არ დაკარგეს თავიანთი ეროვნულობა და თვითმყოფადობა. ამასთან, ისინი საქართველოში უცხოელებად არ იყვნენ მიჩნეულნი, პირიქით, ქართველი ებრაელები თანაზიარნი იყვნენ ქართველი ხალხის გაჭირვებისა თუ ლხინისა.

1902 წელს თბილისში დაარსდა რელიგიური სკოლა ქართველ ებრაელთა შვილებისთვის. 1912 წლისთვის ამ სასწავლებელში მოსწავლეთა რიცხვი 390-ს აღწევდა. 1918 წელს ებრაული თემის ლიდერის, დავით ბააზოვის ინიციატივით ქუთაისში გამოსვლა დაიწყო ქართულენოვანმა გაზეთმა „ხმა ებრაელისა“, რომელიც ხელს უწყობდა ებრაელთა იდენტობის განვითარებას. 1924 წ. თბილისში გამოდიოდა ასევე ქართულენოვანი ებრაული გაზეთი „მაკაველი“. ორივე გაზეთის მიზანდასახულობა გაცხადებულია პირველსავე ნომრის სარედაქციო წერილში. ისინი მოწოდებული იყვნენ გამოეფხიზლებინათ ქართველ ებრაელთა მასები, შეეტანათ მათში განათლების მიღების აუცილებლობის შეგნება და ხელი შეეწყოთ მათი კულტურული დონის ამაღლებისათვის. სამწუხაროდ, აღნიშნულ გაზეთებს დიდი დღე არ ეწერათ. „ხმა ებრაელისა“ გამოვიდა 15 ნომერი, ხოლო „მაკაველი“ – 3 ნომერი.

ბედის ირონიაა, მაგრამ ქართველ ებრაელთა კულტურული წინსვლა სწორედ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო. შეიქმნა ბიბლიოთეკები, სკოლები ქართველ ებრაელთა ბავშვებისათვის. თბილისის 102-ე შრომითი სკოლის მოსწავლეთა ბაზაზე შეიქმნა დრამატული დასი „კადიმა“, რომელმაც რამდენიმე წარმოდგენა გამართა თბილისში. ამ კულტურული პროგრესის ხელმძღვანელები იყვნენ: ნათან ელიაშვილი, გერცელ ბააზოვი და სხვ. პრესაში იბეჭდებოდა საქებარი წერილები ქართველ ებრაელთა მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი კონცერტებისა და სპექტაკლების შესახებ.

ყინული დაიძრა და ამ მოზღვავებას ვერცერთი ძალა ვერ შეაჩერებდა. ქართველი ებრაელობა უდავოდ პროგრესის გზას დაადგა. მაგრამ, სამწუხაროდ, არასწორმა ეროვნულმა პოლიტიკამ ბევრი პრობლემაც წარმოშვა.

რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკა გამუდმებით ცდილობდა დაეპირისპირებინა ებრაელი და ქართველი მოსახლეობა („სისხლის შარი“ – სურამის პროცესი, 1850 წ., ქუთაისი-

საჩხერის პროცესი, 1879 წ. და სხვ.), თუმცა ამას რაიმე შედეგი არ მოჰყოლია. საქართველოში ანტისემიტიზმმა გასაქანი ვერ პოვა.

ისტორიულ სამშობლოში ებრაელთა თავმოყრისა და გაერთიანების იდეამ სიონიზმის სახით შეისხა ხორცი. საქართველოში ამ იდეის შემომტანები და გამავრცელებლები ძირითადად აშკენაზები იყვნენ. სიონისტური წრეები თბილისში, ფოთში, ქუთაისში, ბათუმსა და სოხუმში XIX საუკუნის დამლევს ამოქმედდა. 1905 წლის რევოლუციის დროს შეიქმნა ებრაელთა ეროვნული კომიტეტი, რომელმაც 1919 წლის ივნისში თავი საქართველოს სიონისტურ კომიტეტად გამოაცხადა, აგვისტოში კი საქართველოს პირველი სიონისტური კონფერენცია მოიწვია. მეექვსე სიონისტური კონგრესის მუშაობაში (ბაზელი, 1903 წ.) მონაწილეობა მიიღო რაბინმა დავით ბააზოვმა, რომელიც საქართველოს ებრაელთა სიონისტური მოძრაობის ერთ-ერთი თავკაცი იყო. XX საუკუნის პირველ ათწლეულში მასთან ერთად სიონისტურ მოღვაწეობას ეწეოდა ნათან ელიაშვილი (1893-1929) [4.16].

1918 წლის იანვარში თბილისში დაარსდა ნაციონალური საქმეების ებრაული კომისარიატი. ქართველ ებრაელთა ლიდერებმა ბეით ქნესეთის ოქროს მარაგის ნაწილი საქართველოს ხაზინაში შეიტანეს ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობის ეკონომიკური საფუძვლის განსამტკიცებლად, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. „მეცნიერული“ ათეიზმის მძვინვარების მიუხედავად, იუდაიზმის ტრადიციების რღვევის საქმეში კომუნისტურმა ხელისუფლებამ მნიშვნელოვან წარმატებას ვერ მიაღწია.

საბჭოთა კავშირში პირველმა სწორედ საქართველოს ებრაელობამ შეძლო კომუნისტური „რკინის ფარდის“ გარღვევა. 1960-70-იან წლებში ქართველ ებრაელთა უმრავლესობა განაგრძობდა სინაგოგაში სიარულს, იცავდა ქაშრუთს (გარკვეული საკვების აკრძალვა), წესს. წინადაცვეთა, ქორწინება და

დასაფლავება რელიგიური წესების დაცვით სრულდებოდა. ბავშვები 13 წლის ასაკამდე სწავლობდნენ იატაკქვეშა არალეგალურ ხედერებში. მართალია, მათი არსებობის შესახებ ხელისუფლებამ იცოდა, მაგრამ ამჯობინებდნენ ამ ფაქტისათვის ყურადღება არ მიექციათ [7].

XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით გაჩაღდა ბრძოლა ალიასთვის (ისრაელში ასვლისთვის). ქართველი ებრაელებიც ჩაებნენ ამ მოძრაობაში. ეს ისტორიული სამშობლოსადმი მათი ლტოლვით აიხსნება და არა საქართველოში მათი რაიმე სახის დისკრიმინაციით.

დიდი გმირობა იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელზე ქართველ ებრაელთა 18 ოჯახის მიერ 1967 წლის 9 აგვისტოს გაგზავნილი მიმართვა და მათი ბრძოლა ისრაელში დაბრუნების უფლების მოსაპოვებლად (ამ თემაზე 2006 წელს დოკუმენტური ფილმიც შეიქმნა – „თუ დაგივიწყო იერუშალაიმ“; რეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი; იდეისა და სცენარის ავტორი გურამ ბათიაშვილი). ეს დიდი ალიის დასაწყისი იყო. როცა საბჭოთა კავშირში ზღვარდაუდებელი ანტიისრაელური კამპანია იყო გაჩაღებული, საქართველოდან შედარებით უმტკივნეულოდ ხდებოდა ებრაელების რეპატრიაცია. საქართველოდან ებრაელთა გადინებამ კულმინაციას 1991-1994 წლებში მიაღწია.

XX საუკუნის საქართველოში მცხოვრებ ებრაულ თემს დიდ თანადგომას უწევენ საერთაშორისო ორგანიზაციები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამერიკის ებრაელთა გაერთიანებული გამავრცელებელი კომიტეტი „ჯოინთი“ (დაარსდა 1914 წ.), რომელიც 1992 წლიდან თბილისში საქველმოქმედო, სოციალურ, კულტურულ-საგანმანათლებლო და თემის აღმშენებლობის პროგრამებს ახორციელებს. „ჯოინთის“ საქველმოქმედო ცენტრები („ხესედები“) მოქმედებს: თბილისში, ქუთაისში, გორში, ბათუმში, რუსთავსა და ონში. კომიტეტის ეგიდით ფუნქციონირებს: ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი, საბავ-

შვო ბაღი, ქართულ-ებრაული ცეკვის თეატრი „იონათ ჰაშალომი“, ახალგაზრდული ორგანიზაცია „ჰილელი-თბილისი“, ვოკალურ-მუსიკალური ჯგუფები, სხვადასხვა კლუბი; ეწყობა საზაფხული ბანაკები. „ჯოინთი“ აქტიურადაა ჩართული საგამომცემლო საქმიანობაში – გამოდის ჟურნალ-გაზეთები, სამეცნიერო ნაშრომები. 2003 წლის 1 აგვისტოს საქართველოში „ჯოინთის“ მოღვაწეობის მეათე წლისთავს დაუკავშირდა საქართველოს ებრაელთა მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში პირველი „ებრაული სათემო სახლის“ გახსნა თბილისში.

საქართველოს თანამედროვე ებრაული თემის არსებობასა და განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ებრაული სააგენტო ისრაელისათვის („სოხნუთი“), რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მსოფლიო ებრაელთა შეკავშირებასა და ისრაელის სახელმწიფოსთან თანამშრომლობას (გაიხსნა 1989 წ.). „სოხნუთის“ საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მხარეა ინფორმაციის მიწოდება და დახმარების გაწევა იმ ებრაელთათვის, რომლებსაც ისრაელში ასვლა (რეპატრიაცია) აქვთ გადაწყვეტილი. ბოლო დროს „სოხნუთის“ მხარდაჭერით მნიშვნელოვნად გაიზარდა ისრაელის უნივერსიტეტებსა და სკოლებში სასწავლებლად წარგზავნილი ახალგაზრდების რაოდენობა. სააგენტოს ეგიდით მუშაობს „ულფანები“ (ებრაული ენის შემსწავლელი კურსები). 1993 წლიდან ფუნქციონირებს ებრაული კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი, რომლის მხარდაჭერით გამოიცემა ჟურნალი „ნაბიჯი თორისაკენ“; მოქმედებს საბავშვო ჯგუფი „შალომ სეზამი“, ებრაული კულტურის სახალხო უნივერსიტეტი; ხორციელდება პროგრამა „ჰათიკვა“, მიმდინარეობს ებრაული და ინგლისური ენების შესწავლა, მუშაობს პოეზიის მოყვარულთა წრე და სხვ. ფონდთან ფუნქციონირებს პროგრამა აფხაზეთიდან დევნილთათვის. 1997 წლიდან ყოველწლიურად ფონდი ატარებს ებრაული წიგნის ფესტივალს საქართველოში.

საქართველოს მთავარი რაბინის, არიელ ლევინის, თაოსნობითა და უშუალო ხელმძღვანელობით შექმნილ საგანმანათლებლო ცენტრში („თიფერეთ ცვი“) კარგა ხანია მოქმედებს: ებრაული სკოლა, საბავშვო ბაღი, რელიგიური აკადემია „იეშივა“, ქალთა ორგანიზაცია „ემუნა“, კლუბი „მიშფახა“, პროგრამები „მეხინა“, „STARS“ (ახალგაზრდებისათვის) და სხვ.

1975 წლიდან დღემდე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ისრაელის საგანმანათლებლო სამეცნიერი ცენტრი, სადაც მეცნიერ-მკვლევრები წლებია ვიკვლევთ ქართულ-ებრაული კულტურული ურთიერთობის საკითხებს და ვეწევით მის პოპულარიზაციას. უნივერსიტეტში ამასთანავე ისწავლება ივრითი (ივრითის სწავლება აქ შემოღებულ იქნა 1944 წელს აკად. კონსტანტინე წერეთლის თაოსნობით). ივრითული ენა ასევე ისწავლება ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტში, ღია ებრაულ უნივერსიტეტში, ებრაულ კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდში, საშუალო და საკვირაო სკოლებში.

1987 წლის 27 დეკემბერს დაფუძნდა საქართველოს ებრაელთა კულტურის ცენტრი, რომელმაც, დღიდან დაარსებისა, დიდი წვლილი შეიტანა ებრაული კულტურული გარემოს შექმნის, განვითარებისა და აღორძინების საქმეში. ცენტრის პრეზიდენტად დაინიშნა მისი დამაარსებელი გურამ პაატაშვილი, რომელიც 1989 წლიდან ასევე მსოფლიო კავშირის საქართველოს საზოგადოება „მაქაბის“ საინიციატივო ჯგუფის თავმჯდომარეა. საქართველოში 1992 წლიდან ფუნქციონირებს საკალათბურთო კლუბი „მაქაბი“, რომლის პრეზიდენტი და მთავარი მწვრთნელია ჯამლეტ ხუხაშვილი – სპორტული რადიოს („ჯაკო“) გენერალური დირექტორი, სპორტული კომენტატორი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ღირსების ორდენის კავალერი. საქართველოს „მაქაბის“ საზოგადოების სპორტსმენებმა (მაქაბიელებმა) დიდ წარმატებებს მიაღწიეს მსოფლიო თუ ევროპის მაქაბიადებზე, რაზეც მეტყველებს

მათ მიერ მოპოვებული მრავალრიცხოვანი – ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს – მედალი, მსოფლიო და ევროპის მაქაბიადების ჩემპიონის ტიტულები და სხვა საპრიზო ადგილები.

საქართველოს „მაქაბის“ ებრაელთა საზოგადოების წევრებად არჩეული იყვნენ საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები: ნონა გაფრინდაშვილი, ვაჟა შუბლაძე, ჯანო ბაგრატიონი, მიხეილ გოლდმანი, დავით ქლიბაძე, შალვა შალოლაშვილი, შოთა იაკობაშვილი, ომარ გოგიაშვილი, ბორის ჩაჩანაშვილი, ემზარ ზენოშვილი, ვიქტორ ბაქში და მიხეილ ბენიაშვილი.

1993 წელს ისრაელში გამართულ მსოფლიო „მაქაბიადაზე“ საქართველოს „მაქაბის“ ნაკრებმა პირველად მიიღო მონაწილეობა, სადაც ჩვენმა გუნდმა თვალსაჩინო შედეგებს მიაღწია, ხოლო ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა შორის ოქროს მედალი მოიპოვა [3].

1989 წლის არჩევნებამდე, საქართველოს ებრაელთა საერთაშორისო კულტურის ცენტრი ფუნქციონირებდა საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში. აღნიშნული დროიდან დღემდე ოპერისა და ბალეტის ექსპერიმენტულ კამერულ თეატრთან ერთად იმართება: კონცერტები, ფესტივალები, კულტურის დღეები, სამეცნიერო კონფერენციები, საღამოები, გამოფენები, შეხვედრები, წიგნების პრეზენტაციები, თეატრალური დადგმები. კულტურის ცენტრში შედგა ახალი მუსიკალური ანსამბლებისა და კოლექტივების პირველი გამოსვლები: „დერეხ ლეშალომ“-ის, ბავშვთა თეატრის, კამერული ორკესტრის, სიმებიანი კვარტეტის, ინსტრუმენტული, ვოკალური, საგუნდო, ქორეოგრაფიული ანსამბლების.

ებრაელთა საერთაშორისო კულტურის ცენტრისა და მუსიკალური თეატრის ერთობლივ ღონისძიებებს ხშირად ესწრებოდნენ, მისასალმებელი სიტყვებით გამოდიოდნენ და, საერთოდ, კულტურის ცენტრთან აქტიურად თანამშრომლობდნენ საქართველოს ხელოვნების სხვადასხვა დარგისა და მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლები, აკადემიკოსები: ან-

დრია აფაქიძე, ირაკლი და გრიგოლ აბაშიძეები, კოტე წერეთელი, მარიკა ლორთქიფანიძე, ვახტანგ ბერიძე, ლადო პაპავა; კომპოზიტორები: ალექსი მაჭავარიანი და ანდრია ბალანჩივაძე, შოთა მილორავა და ოთარ გორდელი, დირიჟორი ჯანსუღ კახიძე; მსახიობები: ოთარ მეღვინეთუხუცესი, რამაზ ჩხიკვაძე, გიორგი გეგეჭკორი, კახი კავსაძე; კანის საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი თენგიზ აბულაძე, ვახტანგ ტაბლიაშვილი; პროფესორები: ლევან სანიკიძე, ოთარ ეგაძე, ეთერ გუგუშვილი, აკაკი ძიძიგური, გურამ და ქეთევან ლორთქიფანიძეები და სხვები.

1992 წელს აღდგენილ იქნა 1933 წლის 23 ნოემბერს დაარსებული და 1950 წელს გაუქმებული საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელსაც რაბინ დავით ბააზოვის სახელი მიანიჭეს. მუზეუმს ათეული წლებია წარმატებით უძღვება პროფესორი გივი ღამბაშიძე.

1993 წლიდან გამოიცემა ქართულენოვანი ებრაული გაზეთი „მენორა“. იგი მკითხველს სისტემატურად აწვდის ინფორმაციას ისრაელში მიმდინარე პროცესების თაობაზე, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველ ებრაელებს საქართველოს ყოველდღიურობაზე უამბობს.

XX საუკუნის დამდეგს ებრაელ ქალთა მხოლოდ ცალკეული წარმომადგენლები ცდილობდნენ დაუფარავად შებრძოლებოდნენ კარჩაკეტილობას, მასობრივ გაუნათლებლობას, სტიქიურ რელიგიურ ფანატიზმს (აღსანიშნავია მწერლისა და ჟურნალისტის, როზა თავდიდიშვილის (1886-1967) წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრება, მისი ეთნოგრაფიული ნარკვევი „ქუთაისელ ებრაელთა ყოფაცხოვრებიდან“ და რაბინ დავით ბააზოვის ქალიშვილების – ფაინასა (1911-1980) და პოლინას (1915-2003) თემის სიყვარულისა და სამართლიანობისათვის ბრძოლაში გატარებული ცხოვრების საინტერესო ისტორიები).

XX საუკუნის ბოლოდან დღემდე საქართველოში არსებობს ებრაელ ქალთა რამდენიმე აქტიურად მოქმედი ორგანიზაცია: საქართველოს ებრაელ ქალთა ასოციაცია „მირიამი“; ებრაელ ქალთა ფონდი, საერთაშორისო ფონდი „ლეა“. 1999 წელს საქართველოს მთავარი რაბინის, არიელ ლევინის ინიციატივით დაარსდა მსოფლიო ქალთა ორგანიზაციის „ემუნა“ (რწმენა) თბილისის ფილიალი. „ემუნა“ მორწმუნე ქალების მოძრაობაა, რომელიც ისწრაფვის დააფუძნოს ცხოვრება თორის მიხედვით (ანუ, უმშვენიერესი არსის ცხოვრების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად).

საქართველოს ებრაელთა ცხოვრება XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქვეყანაში განვითარებული მოვლენებისა და საერთო ვითარების შესაბამისად მიმდინარეობდა. საქართველოს ებრაელებმა ამ პერიოდში მრავალმხრივ გამოიჩინეს თავი. დიდი ებრაელი განმანათლებლებისა და მოღვაწეების – რაბინ დავით ბააზოვის, მწერლისა და დრამატურგ გერცელ ბააზოვის შემდგომი თაობები მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგში მიღწეული წარმატებებით გამოირჩევიან. საქართველოს ებრაულ თემს ათობით აკადემიკოსი, მეცნიერების დოქტორი, პროფესორი, მეცნიერებათა კანდიდატი, ღირსების ორდენის კავალერი და საქართველოს სახელმწიფო პრემიის 5 ლაურეატი ჰყავს. ებრაელთა შორის არიან საქართველოს საპატიო მოქალაქეები და „საპატიო თბილისელები“.

საქართველოს საპატიო მოქალაქეების წოდებას ატარებენ: იცხაკ დავიდი, შალომ დავიდი, დავით ბააზოვი, თამარ მამისთვალოვი-კეზერაშვილი; გინესის რეკორდსმენი, აღიარებული ვირტუოზი გიტარისტი, ღირსების ორდენის კავალერი თემურ ყვითელაშვილი; თბილისის ერთგულების მედლის მფლობელი, მოდელიორ-დიზაინერი, ღირსების ორდენის კავალერი აბრამ ბაზელი; ებრაული კულტურის აღორძინების სიმბოლო, „ვეფხისტყაოსნის“ ებრაულ ენაზე – ივრითზე – მთარგმნელი ბორის გაპონოვი; ჯემალ აჯიაშვილი, გურამ ბათიაშ-

ვილი; ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი ჯემალ სეფიაშვილი; არქიტექტურის აკადემიის ნამდვილი წევრი, ღირსების ორდენის კავალერი შოთა ბოსტანაშვილი; პოეტი-მთარგმნელი, ღირსების ორდენის კავალერი ნათან ბააზოვი; დრამატურგი, პოეტი, კრიტიკოსი, ღირსების ორდენის კავალერი გიგლა ხუხაშვილი.

ქართული სპორტის ისტორიაში ჩაიწერა ებრაელ სპორტსმენთა სახელები, მათ შორის არიან: მოჭიდავე გოჩა ციციაშვილი (ოქროსმედალოსანი, 1993 წ.), სსრკ ორგზის ჩემპიონი კრივში გაბრიელ ხანუკაევი, მსოფლიოს რეკორდსმენი ძალოსნობაში რობერტ დათიკაშვილი, საქართველოს ერთადერთი საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ფეხბურთში გურამ სეფიაშვილი, სსრკ ჩემპიონი გემთმოდელიზმში ზურაბ წიწუაშვილი, მსოფლიოს რეკორდსმენი ძალოსნობაში ხაიმ ხუბელაშვილი, სსრკ ჩემპიონი საჭადრაკო კომპოზიციაში იოსებ კრიხელი, საერთაშორისო დიდოსტატები ჭადრაკში.

1998 წლის სექტემბერში საქართველოში უპრეცედენტო იუბილე გაიმართა, უნიკალური თავისი შინაარსითა და მნიშვნელობით – ქართველებისა და ებრაელების 26-საუკუნოვან თანაცხოვრებას ზეიმობდა ორი სხვადასხვა აღმსარებლობის ერი. მსოფლიოს ვერცერთი ქვეყანა, რომელშიც ებრაული დიასპორაა, ვერ მოიწონებს თავს იმით, რომ საზეიმოდ აღენიშნოს ამ ქვეყანაში ებრაელთა შემოსვლისა და დასახლების თარიღი [5.77,89].

XX საუკუნის ქართულ პერიოდულ გამოცემათა შორის ებრაელთა საკითხი ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემას წარმოადგენდა.

საქართველოში მცხოვრები ებრაელები ორ დიდ ჯგუფად იყოფიან: 1. ქართველი ებრაელები (სეფარადები, დაახლ. 80%) და 2. ევროპელი ებრაელები (აშკენაზები). ქართველებსა და ებრაელებს შორის ურთიერთობები დღემდე წარმატებულად გრძელდება. საქართველოდან წასულმა უამრავმა ებრაელმა დიდ წარმატებას მიაღწია ისრაელში.

დღეს ქართველი ებრაელების უმრავლესობა ისრაელშია და მათი ისრაელის სხვა ებრაელ მოსახლეობასთან ინტეგრაციის და ასიმილაციის პროცესი თანდათან ჩქარდება. საბედნიეროდ, საქართველოდან წასული ქართველი ებრაელების ძალისხმევით გრძელდება ქართული ენისა და ქართული ტრადიციების მომავალი თაობისათვის გადაცემა. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში აშკარად ჩანს ახალგაზრდების დაინტერესება, შეინარჩუნონ ქართული ენა.

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ეთნოკულტურული თავისებურებების ობიექტურად წარმოჩენა მეტად მნიშვნელოვანი საქმეა. ქართველი ხალხისა და საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფთა ყოფა-ცხოვრების წესის ურთიერთშედარება, ტრადიციულ კულტურათა ელემენტების განსხვავებებსა და მსგავსებებზე დაკვირვება კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ამ სფეროში არსებული მრავალფეროვნება ჩვენი სიმდიდრეა [5.26,27].

XX საუკუნის ქართულ პერიოდულ გამოცემათა შორის ქართულ-ებრაული კულტურული ურთიერთობის საკითხი ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემას წარმოადგენდა. 1990 წელს საქართველოში გაიხსნა „ებრაული სააგენტო ისრაელისათვის“, რომელიც დღემდე აგრძელებს მონაწილეობას ებრაული სახელმწიფოს მშენებლობაში, აერთიანებს რა განუყრელი კავშირებით მსოფლიოს ებრაელებს; აძლიერებს მათ სულიერ და მატერიალურ კავშირს XXI საუკუნის ისრაელთან, რითაც ეწევა უნიკალური ფენომენის – ქართველი და ებრაელი ხალხის 26-საუკუნოვანი ძმური თანაცხოვრების პროპაგანდას.

ლიტერატურა – REFERENSES

1. ბააზოვი დ. გაზეთი „სამშობლო“, ქუთაისის რაბინის წერილის გამო, №247, 1915.

2. გომართელი ი. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, ქართველი ისრაელები, №39, 1916.
3. გაზეთი „სარბიელი“, მაქაბის მსოფლიო საქართველოს საზოგადოება, 17.05, 1991.
4. გაზეთი „ხმა ებრაელისა“, №2, 1918.
5. დავარაშვილი ზ., ცაგარეიშვილი თ. „ეთნოსები საქართველოში“, 2009.
6. „ეთნოსები საქართველოში“, საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, გამოსაცემად მომზადებულია სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ, თბ., 2008.
7. ჭიჭინაძე ზ. „ქართველი ებრაელნი“, 1904.

ELENE GEGESHIDZE

THE JEWISH THEME IN GEORGIAN CULTURE IN THE TWENTIETH CENTURY

Summary

In Georgian periodicals of the twentieth century, the issue of the Jews was one of the most important topics. For centuries, harmonious coexistence between Georgians and Jews has had some impact on the lives and culture of both peoples. Jewish life has embraced a number of Georgian rules, which are clearly manifested in the rituals of Jewish wedding, burial, and mourning. One of the main factors in the viability of the Jewish community was the existence of a morally and economically strong family.

Georgian Jews actively participated in the political and public life of Georgia, in particular, in 1918, in the formation of the first parliament of independent Georgia.

The Jews in Georgia were closely connected with the Georgians not only by living in a common territory, but also by producing a common economic base. They pursued agriculture together with Georgians, successfully engaged in viticulture and winemaking. Along with agriculture, one part of the Jews pursued handicrafts and domestic industry: metallurgy, carpentry, handicrafts, carpentry, painting, and blacksmithing. Jewish artisans formed their own workshops or small industrial associations - "communities", in which 2-3 artisans were united according to their main profession. In Kartli (Gori, Tskhinvali) the Jews had wine and vodka bottling factories, a tea-packing workshop, a shoemaker and a garment factory, and so on. In Nikozi, the Jews owned small brick factories where they made alize, brick and tile. They had sawmills, mills. Jewish meths were known in Racha.

In 1918, the Georgian-language Jewish newspaper "Voice of a Jew" started publishing in Kutaisi, and in 1924. The Georgian-language Hebrew newspaper Makaveli was also published in Tbilisi. The Jewish Cultural-Educational Foundation has been operating in the capital since 1993, with the support of which the magazine "Step to the Torah" is published. From the same year, the newspaper "Menora" was published, which systematically provides readers with information about the ongoing processes in Israel, and tells Georgian Jews living outside Georgia about the daily life of Georgia.

უჩა ოქროპირიძე

„დიდი ღამის“ შემამზადებელი გარემოებანი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ქართული არაფორმალური პრესის მიხედვით

ნაწილი პირველი

ვფიქრობთ, ისტორიაში შემთხვევით არაფერი ხდება და საქართველოში ჩამოწოლილი „დიდი ღამის“ შემამზადებელი გარემოებანი საბჭოური ლოგიკის ულოგიკო ფორმატში, თავისთავად, ყოველგვარი გადამეტების გარეშე ჯდება. 1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა საქართველოს ისტორიული კრახის შემდეგ, კომუნისტებმა საქართველოში თავიანთი ქმედებების სტრატეგია და ტაქტიკა რადიკალურად შეცვალეს – გარეგნულად სიმართლისა და სამართლიანობის უპირველეს მაძიებლებად გამოაცხადეს თავი, შინაგანად კი საბჭოთა რუსული სისტემის ერთგულ მსახურებად და სამშობლოს ბედისადმი კოლაბორაციონისტულად განწყობილ კონდოტიერებად დარჩნენ. მათ, უპირველეს ყოვლისა, ყველაფერი გააკეთეს თბილისის 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის ნამდვილ შემოქმედთა მისაჩქმალავად და ეცადნენ ზოგიერთი მათგანი (მაგალითად, ედუარდ შევარდნაძე) საქართველოსათვის თავსმოხვეული საბჭოთა რეპრესიული მანქანის შემჩერებელ-გამნეიტრალებლად გამოეყვანათ და ამ საშინელების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორისთვის არა მარტო მართებული ბრალდებები აეცილებინათ, არამედ 9 აპრილის ტრაგედიის ხარჯზე მას საშუალება მისცეს დადებითი ქულები ჩაეწერა, რათა საქართველოს რესპუბლიკის ბედზე მზრუნველ პატრიოტად წარმოეჩინათ. და ეს მაშინ, როდესაც გენერალი ლებედი თავის ჩვენებაში პირდაპირ ამბობს, რომ მან ე. შევარდნაძე თბილისში ჯერ

კიდევ 1989 წლის 8 აპრილს ნახა. მაგრამ საბჭოური ინსპირაციის საშუალებით, ეს ფაქტი ფართო საზოგადოებისთვის დღემდე მიჩქმალული და უცნობია; შევარდნაძის „საგმირო საქმეებზე“ კი ფართოდ ახდენენ რეკლამირებას მისი ქართველი კომპანიონ-თანამზრახველნი. კომუნისტურმა ხელისუფლებამ და მისმა მოკავშირე დამქაშებმა საქართველოში სრულიად გაამართლეს მათი სერგეი ესენინისეული შეფასება:

ქვეყანა უღვთო, რწმენის გარეშე,
ქვეყანა დიდი ჩინოვნიკების,
კანონიერი ძარცვის ქვეყანა -
აი, ქვეყანა ბოლშევიკების - [28]

მათ, ნაცვლად იმისა, საქართველოს ინტერესები დაეცვათ, ერთგულად ამოუდგნენ მხარში საბჭოთა იმპერიის მსახურებს საკუთარ ქვეყანაში და გააჩაღეს დემაგოგიური კამპანია ქართველი ხალხის გასაბიაბრუებლად. ქართველი კომუნისტების გამცემლური იმიჯის შენიღბვის მიზნით, თითქოსდა ისინი 9 აპრილის შემდეგ შეიცვალნენ და ქართველი ხალხის სამსახურში უპირობოდ ჩადგნენ, მიიღეს რამდენიმე კანონი და დადგენილება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ, შემდეგ კი დაიწყეს მათი ექსპლოატაცია საკუთარი ავტორიტეტის რეაბილიტაცია-განმტკიცებისათვის.

ცნობილმა რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ 1989 წლის 17 ნოემბერს გამართულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე განაცხადა: „სულ არ გამიკვირდება, სერგო ორჯონიკიძე რომ ამოვიდეს ტრიბუნაზე და გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს, შესძახოსო“[3]; ხოლო რეჟისორმა ლანა ღოღობერიძემ იმავე სესიის შესახებ, რომელმაც მიიღო საქართველოს კონსტიტუციაში შესატანი ე. წ. შესწორებები, 20 ნოემბერს გადაცემისათვის „ვრემია“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „...სესიაზე მიღებული კონსტიტუციის შესწორებე-

ბი უფრო მეტია, ვიდრე რესპუბლიკის სუვერენიტეტი...“ [იქვე]. ეტყობა საბჭოთა სისტემის ერთგულ მსახურებას შეწირულ დეპუტატს წარმოდგენაც არა აქვს, რას ნიშნავს ცნება სუვერენიტეტი, თორემ ასეთი რა უნდა მიეღო მოსკოვის პირში მაცქერალ მარიონეტ დეპუტატთა აღნიშნულ სესიას, რომ დეპუტატს თავისთვის ასეთი შეფასების უფლება მიეცა და ამით კიდევ ერთხელ დაემტკიცებინა „მეტსაც გეტყვით“-ის მათი კასტისთვის დამახასიათებელი სინდრომი. და ეს მაშინ, როდესაც, საყოველთაო გაგებით, „ცენტრიდან“ სსრ კავშირის ტერიტორიაზე ინსპირირებულ ყოველ აქციას წინ უსწრებს საზოგადოებრივი აზრის მისთვის ხელსაყრელად დასამუშავებელი პუბლიკაციები დასავლეთის პრესაში, ამიტომ თვით აქციას დასავლეთი შემზადებული ხვდება.

ჩვენი სოციალისტური სისტემის კარგად მცოდნე „სოვეტოლოგებიც“ კი ვერ ჩასწვდნენ ჩვენს პრობლემებს ღრმად – ამბობს პუბლიცისტი და იქვე განაგრძობს: – „რამეთუ ისინი, ჭეშმარიტი თავისუფლებისა და დემოკრატიის პრინციპებზე აღზრდილი და მოაზროვნე ადამიანები, ვერც კი უშვებენ მრავალფეროვანი და ყოვლისმომცველი ტოტალიტარიზმის, უწესიერობის, ძალადობისა და ქაოსის სისტემაში დამკვიდრებული იმ უპატიოსნო ქმედებების უკვე ავტომატურად მოქმედი მექანიზმების არსებობას, რომელიც ხანგრძლივ მოქმედი ნაღმივით დაპროგრამდა და ჩაიდო საბჭოთა ბოლშევიკური სისტემის თეორიულ და პრაქტიკულ სათავეებში“ [12. 3].

როგორ იქცევა ასეთ დროს საბჭოთა დემაგოგიით აღზრდილ-დაპროგრამებული ე. წ. ქართული ჟურნალისტიკა? იგი, „მიუხედავად 9 აპრილისა და თავისივე ფიცის აღიარებისა: „ჩვენ, ქართველი ჟურნალისტები უკვე ერის მსახურნი ვართ და ერთ ტყუილსაც არ ვიტყვითო“, დეზინფორმაციის წყაროა; კვლავ არ აშუქებენ იმას, რაც რეალობაა დღეს... დიქტორები მომღიმარი სახეებით... კვლავ ომახიანად გვიკითხავენ შინაგან საქმეთა პრეს-ჯგუფის დეზინფორმაციებს... ერთი

სიტყვით, რაც იყვნენ, იგივენი დარჩნენ სავარძლებსა და იაფ-ფასიან რეკლამებს ჩაბღაუჭებულნი, არაქრისტიანული გზით მიმავალნი... ერთი სენი გჭირთ,– **ოპერატიულები ნამდვილად ხართ, ეროვნულის გარდა ყველაფერში...**

პროტესტს გიცხადებთ ქართველი ერის, სრულიად საქარ-თველოს ამ განსაცდელის დროს ანტიქართული მოქმედები-სათვის, რუსიფიკატორული მისიის განვრცობა-გაღვივებისათ-ვის... დიახ, თქვენ კვლავ კრემლის ბრმა და მოქნილ იარაღად რჩებით, საკუთარ ხალხს დაპირისპირებულნი...

ვაშა, თქვენს ინტერნაციონალურ-რუსულ ჟურნალის-ტურ - რა თქმა უნდა, დიდმპყრობელურ შემოქმედებას!“ – მიმართავენ მათ წერილის ავტორები (როგორ მოგვაგონებს ზოგიერთი დღევანდელი ჟურნალისტის საქმიანობას... – უ. ო.) საპროტესტო წერილს ხელს აწერს 14 პირი [26. 10-11].

ასეთ მძიმე ვითარებაში, ვნახოთ რა დღეშია საბჭოთა იდე-ოლოგიური პრესის მიერ დაბოლებული, ე. წ. დასავლეთის სა-ინფორმაციო ველი. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა გაზეთის „ელ ჯორნალი“ მთავარი რედაქტორის, ინდრო მონტელის და-უფარავი პოზიცია: **„... ეს ტრაგიკული და სევდიანი მოვლე-ნები ჩვენს მიერ აღიქმება, როგორც შედეგი ისეთი ევოლუ-ციისა, რომელიც არ შეიძლება იყოს წყნარი, უხარვეზო და რომელიც შესაძლოა ძალზე ძვირი დაჯდეს... ამიტომაც ის ჩვენში აღშფოთებას ვერ გამოიწვევს“,** – სრული გახსნილო-ბით ამბობს მონტელი და ამ მისი გახსნილობის გამო მადლო-ბელიც უნდა ვიყოთ, რადგან ზოგიერთივით არ ფარისევლობს და მისეულ სიმართლეს პირდაპირ გვეუბნება. რედაქცია იქვე აგრძელებს: **„ამ სიტყვების გამო სენიორ მონტელის სიამოვ-ნებით უწვდის ხელს, როგორც 40 წლის სტაჟიანი კომუნის-ტი, გაზეთ „იზვესტიის“ პოლიტიკური მიმომხილველი ა. ბოვინი...“** (ამაზე უკეთესს თვით ბოვინიც კი ვერ მოიფიქრებ-და, საბჭოთა პოზიციის გასამართლებლად – უ. ო.), ხოლო გა-ზეთი მონტელის პირით იქვე განაგრძობს: **„...სოციალისტურ**

პლურალიზმს, არაფერი საერთო არა აქვს პლურალიზმთან, ხოლო კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ყოველთვის რჩება კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივნად, როგორ სიტყვებსაც არ უნდა წარმოთქვამდეს იგი..."[21; 32]. გაზეთის „ქართული ქრონიკა" იმავე ნომერში კი ვკითხულობთ; **„თბილისის „სისხლიანი კვირა" ჩაფიქრებული იყო, როგორც გაკვეთილი ყველასათვის, ვინც ბედავს და ხმამაღლა აცხადებს კომუნისტური დიქტატურისადმი თავის უარყოფით დამოკიდებულების შესახებ"** [იქვე].

საერთაშორისო თუ საშინაო საინფორმაციო საშუალებების ასეთი განწყობის ფონზე დასავლელი პოლიტოლოგები გვთავაზობენ საბჭოთა საფრთხის წინააღმდეგ თავიანთ სტრატეგიას დღეს და მომავალში [24].

ასეთ საერთაშორისო და საშინაო გარემოში საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციები თავიანთ ერთობლივ კომუნიკეში პირდაპირ აცხადებენ: **„ჩვენი მიზანი ერთია, საქართველოს დამოუკიდებლობა",** რომელსაც 1989 წლის 29 ოქტომბერს თბილისში ხელს აწერენ: ზვიად გამსახურდია, ირაკლი ქადაგიძე, ირინა სარიშვილი, გიორგი ჭანტურია, ირაკლი წერეთელი, ირაკლი ბათიაშვილი და სხვები. ხოლო ზუსტად ერთი წლის შემდეგ, მრავალპარტიულ არჩევნებში გამარჯვების მეორე დღეს, 1990 წლის 29 ოქტომბერს თბილისში მთავრობის სახლის წინ გამართულ საზეიმო მიტინგზე ზვიად გამსახურდია თავის საპროგრამო სიტყვაში პირდაპირ ამბობს: **„ჩვენი უმთავრესი მიზანია – ეროვნული შემწყნარებლობა, შერიგება, სიყვარული, ურთიერთ გაგება"**[29].

ალბათ ბევრი იგრძნობს, თუ როგორ ჰგავს აქ ზოგიერთი მომენტი ჩვენი თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების სურათებს და მაშინაც ზუსტად ისევე, როგორც დღეს, გონიერების ხმა დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა და გარკვეულ ე. წ. ოპოზიციურ ძალებს ქვეყანა შეგნებულად კატასტროფისკენ მიჰყავდათ, რაც 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის

სამხედრო-კრიმინალური გადატრიალებით დააგვირგვინეს, რომლის დამღუპველი პოლიტიკური და, განსაკუთრებით, სამართლებრივი შედეგები დღემდე არ არის აღმოფხვრილი და ჩვენი სამშობლოს თავზე დამოკლეს მახვილივით ჰკიდია. დღევანდელობაში კი უკვე პირიქით ხდება და საქართველოს ხელისუფლება არ მიდის არავითარ კომპრომისსა და შერიგებაზე, თუმცა ამჯერადაც ქვეყნის ინტერესების საზიანოდ.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს მაშინდელი კომუნისტური ხელისუფლებაც, მიუხედავად 9 აპრილს მომხდარი საკუთარი კატასტროფისა, აგრძელებდა თავის მარიონეტულ პოლიტიკას და დემაგოგიითა და ტყუილით ცდილობდა ფონს გასვლას, მაგრამ ეროვნული მიმართულების საინფორმაციო საშუალებები, თავგანწირვის ფასად, არ ერიდებიან სიმართლის სააშკარაოზე გამოტანას და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებენ ოფიციალურ, კოლაბორაციონისტულ პოლიტიკას. ეს ბრძოლა პრინციპულ ხასიათს ღებულობს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშიც, განსაკუთრებით 1989 წლის თბილისის 9 აპრილის ტრაგიკული ამბების შემდეგ. საყოველთაო გამოსვლა-მანიფესტაციებმა და მიტინგებმა მოიცვა: ბათუმი, ქობულეთი, ოზურგეთი, ახალციხე და სხვა [2.4]. შეუწყვეტლივ ქვეყნდება საქართველოს ხელისუფლებისა და საბჭოთა მთავრობის მამხილებელი წერილები – „როგორ აპირებენ კომუნისტები „დემოკრატიული“ არჩევნების ჩატარებას“ [27.1], „ვინ არის დამნაშავე? მსხვერპლი თუ ჯალათი?“, რომელშიც მხილებული იყო 9 აპრილის ტრაგიკული ამბების სადამსჯელო ხასიათი, აგრეთვე „გარდაქმნის“ ნამდვილი სახე. განსაკუთრებით რეზონანსული იყო სტატია „ქიმიური იარაღი ხალხის წინააღმდეგ“, რომელსაც გაზეთ „ქართული ქრონიკის“ ნომრებში სტატიათა სერიალები მიეძღვნა [17].

დაიწყო აქციები საქართველოს გასაბჭოებისა და საოკუპაციო არმიის ნაწილებში ქართველი ახალგაზრდების გაწვევის წინააღმდეგ და აქტიური გახდა ლოზუნგი: „ძირს საბჭოთა

იმპერია!“[18]. ამავე გაზეთში კრიტიკულადაა განხილული დასავლეთის მიერ გამოვლენილი პოზიცია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში, როდესაც ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ლოიდ ჯორჯმა 1919 წელს, ბოლშევიკების საქართველოში შემოჭრამდე დიდი ხნით ადრე, ვერსალის კონფერენციაზე განაცხადა: **„მე ვიღებ ჰენრი ვილსონის რჩევას და ვასკვნი, რომ არ არის აუცილებელი ამიერკავკასიის რესპუბლიკებისათვის ჯარით დახმარება მათ ბრძოლაში ბოლშევიკების წინააღმდეგ“** [1. 6], **რითაც ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თანამედროვე მესვეურთ კიდევ ერთხელ შეახსენეს, თუ რის იმედი შეიძლება ჰქონდეთ მათ დასავლეთის მხრიდან საკუთარი დამოუკიდებლობისათვის თავგანწირული ბრძოლის დროს,** რაც არცთუ უსაფუძვლო აღმოჩნდა როგორც საქართველოს პირველი რესპუბლიკის, ისე თანამედროვე პერიოდში. დასავლეთი დღესაც რჩება საქართველოსთან მეგობრობის მოსურნე იმ ახლობლად, რომელიც მისი რეალური გაჭირვების მომენტში ძალიან შორს აღმოჩნდება ხოლმე და მას საკმაოდ ილუზორული იმედებით კვებავს. ეს ასე იყო 1921 წლის ბოლშევიკური ექსპანსიისა თუ 1991-1992 წლების სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების დროს. მან ყველაფერი გააკეთა, რომ ამ საქმიდან „სუფთად“ გამოსულიყო და, პირიქით, ჩვენი გამტყუნების მცდელობის ხარჯზე, თავიც კი ემართლებინა. ევროპის რეგიონთა ასამბლეის ეგიდით, 2000 წლის აპრილში გამართულ ბათუმის კონფერენციაზე, რომელსაც ქართული ეროვნული მოძრაობის ცნობილ ლიდერებთან, აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილთან, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატ ირაკლი კენჭოშვილსა და სოსო სიგუასთან ერთად მეც ვესწრებოდი, ბატონმა ვახტანგმა ვერაფრით მიაღწია, რომ მის უცხოელ მესვეურთ შეეფასებინათ საქართველოში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში მომხდარი სამხედრო-კრიმინალური გადატრიალება და პროტესტის ნიშნად კონფერენციის

დარბაზი მხლებლებთან ერთად დატოვა. ჩემმა რადიკალურმა გამოსვლამ და განსაკუთრებით იმაზე მითითებამ, რომ მათ არ ჰქონდათ ამ კონფერენციის გაგრძელების უფლება, თუ არ უპასუხებდნენ ქართველი ხალხისათვის ამ ყველაზე საჭირბოროტო კითხვაზე, ისინი აიძულა სათანადო პასუხი გაეცათ მასზე და ამით თავიდან აეცილებინათ ღონისძიების საბოლოო კრახი. 2008 წლის აგვისტოს ომის დროსაც, რომ არა ევროპის რამდენიმე სახელმწიფოთა ლიდერისა და აშშ-ის თავგანწირული ძალისხმევა, საქართველო რუსეთის მიერ ისევ ოკუპირებული აღმოჩნდებოდა. თუმცა აგრესორი, ყოველგვარი საერთაშორისო ნორმებისა და მისგანვე აღებული ვალდებულებების იგნორირების გზით, კვლავაც აგრძელებს საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაციას და ამაში, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია ე. წ. დასავლეთის უნიათო პოლიტიკის როლი და, აქედან გამომდინარე, „დამსახურებაც“.

ამ პერიოდში ეროვნული მოძრაობის ყურადღების ცენტრშია მოქცეული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში არსებული პრობლემები. კიდევ ერთხელ მხილებულ იქნა ჯერ კიდევ **დეკაბრისტ ნ. პ. პესტელისეულ „რუსსკაია პრავდაში“ ასახული რუსეთის დიდმპყრობელური პოლიტიკა კავკასიაში – „დავაარსოთ კავკასიის მიწებზე რუსული დასახლებები და ამ რუს გადმოსახლებულებს შორის დავანაწილოთ ურჩი ხალხების მიწები, რათა ამ ხერხით წაიშალოს კავკასიაში ყოფილ (ანუ ახლანდელ) მცხოვრებთა ყველა ნიშანი და გახდეს ეს მხარე მშვიდ და კეთილმოწყობილ რუსულ ოლქად“** [33: 48] **და მისი განხორციელების თანამედროვე საბჭოური მეთოდები.** სტატიაში „აჭარელი ლტოლვილნი“ (რიბაკოვის გეგმა მოქმედებაში) [აღნიშნული სტატიის საბეჭდ მანქანაზე აკრეფილი ასლი, ჯერ კიდევ 1983 წლის ზაფხულში, ქობულეთში სტუმრობისას გადმომცა პოეტმა თემურ ჩალაბაშვილმა – უ. ო.] განხილულია ზემო აჭარიდან რუსეთში, კერძოდ, კრასნოდარის მხარეში გადასახლებულთა პრობლემები

და საბჭოთა ხელისუფლების დემოგრაფიული პოლიტიკა საქართველოს კიდევ უფრო ინტერნაციონალიზაციისა და რუსეთის ფედერაციაში ქართველთა გადასახლების წახალისების მიზნით [19. 5-6].

ამავე გაზეთში საუბარია ე. წ. თურქი მესხების პრობლემის ხელოვნურად შექმნისა და მისი მიზნების შესახებ; კიდევ ერთხელ მხილებულია საბჭოთა კავშირის მახინჯი ეროვნული პოლიტიკა; მოცემულია „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ კორესპონდენტ სტანისლავ გოვორუხინის ვრცელი სტატია საბჭოთა არმიის მიერ ბაქოში დატრიალებული საშინელებების შესახებ [14; 23].

საქართველოსთვის მეტად მგრძნობიარე და მტკივნეული იყო ფერღანაში ე. წ. თურქი მესხების თავს დამტყდარი ტრაგედია, როდესაც 1944 წელს შუა აზიაში გადასახლებული მესხეთის მოსახლეობას პროვოკაციები მოუწყვეს და მათი საქართველოს წინააღმდეგ გამოყენება სცადეს, აქ დესტაბილიზაციისა და დაძაბულობის შექმნის მიზნით [6. 21].

საქართველოში ფართო ხასიათი მიიღო აქციებმა საბჭოთა საოკუპაციო არმიაში ქართველ ახალგაზრდათა გაწვევის წინააღმდეგ. აღნიშნულ საკითხზე ჯერ კიდე 1988 წლის აგვისტოში დაწერილ წერილში „რატომაა საჭირო ნაციონალური არმია“ გაამახვილა ყურადღება მერაბ კოსტავამ [30]. ამავე ბიულეტენში გამოქვეყნდა **„მიმართვა ქართველი ახალგაზრდობისადმი!“, რომელშიც პირდაპირ იყო გაცხადებული, რომ „ქართველმა კაცმა უნდა თქვას უარი დამპყრობლის არმიაში სამსახურზე!“**. მიმართვას ხელს აწერდნენ: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ირაკლი წერეთელი, ირაკლი ბათიაშვილი [იქვე: 3]. ბიულეტენის შემდეგი გვერდები ეძღვნება საბჭოთა არმიაში გაბატონებულ მხეცობათა აღწერას და ბოლოს აქვე მოცემულია სია იმ ქართველი სამხედრო მოსამსახურეებისა, რომლებიც მხოლოდ 1989 წელს დაიღუპნენ სამხედრო სავალდებულო სამსახურის დროს (63 ახალგაზრდა).

ამიტომაც საბჭოთა არმიაში ქართველი ახალგაზრდების გაწვევის საწინააღმდეგო აქციებმა საქართველოში ფართო ხასიათი მიიღო. ამ მოთხოვნით 1989 წლის 11 ოქტომბერს დაიწყო აქცია თბილისში სპორტის სასახლის წინ, რომელსაც შეუერთდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან – გორიდან, ქუთაისიდან, რუსთავიდან, ახალციხიდან... აქციის მონაწილეებმა თანადგომა გამოუცხადეს ქობულეთელ წვევამდელებს, რომელთა მშვიდობიანი, მჯდომარე პროტესტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით მილიციელებმა დაარბიეს, ხოლო მისი მონაწილეები დააპატიმრეს [15] (მათ შორის მეც, დოდო გუგეშაშვილთან და კოტე ბერიძესთან ერთად – უ. ო.).

ეროვნული მოძრაობის შიგნით გაჩაღდა პოლემიკა „თურქი მესხების“ პრობლემათა შესახებ. გ. ჭანტურიამ აღნიშნულ თემაზე გამოაქვეყნა წერილი „ვინ არიან თურქი მესხები?“, სადაც ის წერდა: „...ედპ თვლის, რომ უნდა შეიქმნას სპეციალური კომისია ქართველი ინტელიგენციის ნაწილის და ოპოზიციურ გაერთიანებათა წარმომადგენლებისაგან, რომელიც სამშობლოში დააბრუნებს ნამდვილ მესხებს, პასპორტებში მათი ეროვნების ქართველებად აღნიშვნის შემდეგ და დაასახლებს მათ არა კომპაქტურად, არა ერთ რეგიონში, არამედ ხუთ-ხუთი ოჯახით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში... (?! – უ. ო.) ასევე აუცილებელია დაისვას საკითხი თურქების თურქეთში დაბრუნების თაობაზე... ასე რომ, არავითარი თურქი მესხები არ არსებობენ... ანუ არიან მესხები, რომლებსაც საქართველო გულში ჩაიკრავს და არიან თურქები...“ [21].

ედპ-ის ამ პოზიციის გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს აჭარის ა. რ-ის ხელისუფალთა მიერ, 1988 წლის დეკემბრის მოვლენების შემდეგ, აქ მდგომარეობის ხელოვნურად დაძაბვის ცდა და აფხაზეთის ავტონომიაში ვითარების ესკალაციაც. გაზეთში „ქართული ქრონიკა“ 1989 წლის 30 ივლისს გამოქვეყნდა ცნობა: **„16 ივლისიდან** (ანუ სოხუმში პროვოცირებუ-

ლი ტრაგიკული ამბების მეორე დღიდან – უ. ო.) **თბილისში მიმდინარეობს მიტინგები და დემონსტრაციები ეთნიკურ პრობლემებთან დაკავშირებით... კრემლის გეგმა ნათელია – მთელს საქართველოში სამხედრო რეჟიმის დამყარება, იმის განხორციელება, რაც მან ვერ შეძლო აპრილში და ქართველი ხალხის გენოციდის განხორციელება საქართველოში მცხოვრები მუსულმანების ხელით“** – ნათქვამია გაზეთში და შემდეგ „საქართველოს დემოკრატიული ალიანსი“, ედპ-ის მეთაურობით გაკეთებულ მიმართვაში, აშშ-ის კონგრესს წარუდგენს, მათი აზრით, საქართველოში მდგომარეობის დეესკალაციისათვის **გასატარებელ აუცილებელ ღონისძიებათა შესახებ თავის მოთხოვნებს, რომელშიც მთავარი ადგილი უჭირავს აფხაზეთის ხელისუფლებიდან კრემლის ყველა აგენტის განთავისუფლებას და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თბილისიდან სპეციალური კომისიის მეშვეობით მართვის მოთხოვნას.** შემდეგ კი იქვე ნათქვამია, რომ **„დემოკრატიული ალიანსი ქმნის თავდაცვის შტაბებს აფხაზეთად წოდებული ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ქართველთა სიცოცხლის დაცვის მიზნით, ეძებს გზებს აფხაზ მოსახლეობასთან, რათა აუხსნას მას, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ ბრმა იარაღია კრემლის ხელში და რომ ქართველებსა და აფხაზებს არაფერი აქვთ გასაყოფი...“.** იქვე ნათქვამია, რომ **„ისლამისა და კრემლის ალიანსი უფრო და უფრო საშიშ ფორმებს იძენს. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება... რომ ქართველები მართლა ჩაგრავენ და ავიწროებენ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს. მტკიცება იმისა, რომ ეს ასე არ არის, ზედმეტად მიგვაჩნია...“.** და ბოლოს მიმართვა ასე მთავრდება: **„ვეყრდნობით რა სენატის №110 რეზოლუციას, საქართველოს ედპ-ს სახელით ვთხოვთ აშშ-ს კონგრესს აქტიურად ჩაერთოს საქართველოში დღეს მიმდინარე პროცესებში, რათა თავიდან იქნას აცილებული კრემლის ჩანაფიქრი – საქართველოში სამხედრო**

რეჟიმის დამყარების გზით ქართველი ხალხის გენოციდის განხორციელება“[20].

ფაქტია, რომ კრემლმა საქართველოში ყველა მისი ბერკეტი აამუშავა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, ქართული ეროვნული მოძრაობის ავანგარდში ყოფნაზე პრეტენზიის მქონე ძალებსაც მეტი სიფრთხილე და დიპლომატია უნდა გამოეჩინათ, როდესაც ჯერ კიდევ საბჭოთა საქართველოში კონსტიტუციურად დაკანონებულ ავტონომიურ ერთეულზე საუბრობდნენ. მით უმეტეს, როდესაც მასთან დიალოგის აუცილებლობაზე ლაპარაკობ, ამ დიალოგისათვის საჭირო სივრცე მაინც უნდა დატოვო... რის უნარიც, როგორც ჩანს, აღნიშნულ ალიანსის ამ ფრთას ნამდვილად აკლდა. თუმცა აღსანიშნავია ამავე ძალების მიერ საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციების კომუნიკეში დაფიქსირებული თავგანწირული სიმამაცის ფაქტიც, რომელიც გამოხატეს 1989 წლის 7 ნოემბრის პარადის ჩაშლის ღონისძიებათა შესახებ განცხადებაში, სადაც ისინი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-ის პირველ მდივანს, გივი გუმბარიძეს უხსნიან 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებისადმი საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა დამოკიდებულებას და პირდაპირ ეუბნებიან, რომ ამ ღონისძიების თბილისში აღნიშვნის მცდელობას მოჰყვებოდა მხოლოდ პოლიტპარტიათა წარმომადგენლების მიერ აღმართული ცოცხალი ჯაჭვით გზის გადაღობვა... „ამ გზით კი ტანკების დამარცხებას.... მერაბ კოსტავა იზეიმებს ჭეშმარიტ უკვდავებას...“ [13]. აქაც პირდაპირ უნდა ითქვას, რომ, სიმამაცე სიმამაცედ, მაგრამ იგი დიდ გონიერებას არ მოითხოვს და არც შეიცავს, მით უმეტეს, რომ, რუსული პრესის პრესრელიზის და მისი ქართველი სატელიტების გამო, დასავლეთში გამოიკვეთა ტენდენცია აფხაზეთის, როგორც საქართველოს გარეთ არსებული მიწა-წყლისა (TACC)

და იმავე ყალბი ინფორმაციების წყალობით ქართველები შეირაცხნენ იმპერიალისტებად [7. 2].

ამასთან, საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება აგრძელებს რესპუბლიკაში ვითარების ხელოვნურად დაძაბვის პოლიტიკას და გაზეთში „ოზურგეთის მოამბე“ კორესპონდენტს აძლევს საშუალებას სტატიის სათაურშივე დასვას კითხვა: „შემთხვევითობა თუ მასირებული შეტევის გაგრძელება?“. მასში საუბარია ოზურგეთს რაიონის სოფელ შემოქმედის, ძიმითის მე-2 საშუალო სკოლაში მოსწავლეთა მოწამვლის ფაქტებზე; საუბარია ქობულეთის რაიონის სოფელ აჭყვისთავის სკოლის ადმინისტრაციაზე, რომელმაც 9 აპრილს სწავლა არ შეწყვიტა...[10].

1989 წლის 9 აპრილის თბილისის ტრაგედიის შემდეგ საქართველოში დაიწყო კომუნისტური სტრუქტურების შეუქცევადი დემონტაჟის პროცესი. კომუნისტური პარტიიდან და მისი სატელიტი კომკავშირული ორგანიზაციის რიგებიდან დაიწყო პიროვნებათა გამოსვლა და სათანადო აქციები ამ პროცესის დასაჩქარებლად. მან სასწრაფო გამოხმაურება პოვა ქალაქ ბათუმში, ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებში. ქალაქ ბათუმში, გაზეთ „აჭარის“ ყოფილ რედაქციაში (ახლანდელი მემედ აბაშიძის ქუჩაზე), აჭარაში მოქმედ კომკავშირული ორგანიზაციის საოლქო კომიტეტს, ედუარდ სურმანიძით სათავეში, მოლაპარაკების მაგიდასთან შევხვდით ეროვნული მოძრაობის ადგილობრივი წარმომადგენლები: კობა ხაბაზი, ედპ-ის ბათუმის ორგანიზაციის თავმჯდომარე მერაბ კოპლატაძე და მე, უჩა ოქროპირიძე.

მოლაპარაკებამ საკმაოდ გაჭიანურებული და მძიმე ხასიათი მიიღო, რის გამოც ჩვენ იძულებული გავხდით კომუნისტური იდეოლოგიით გაბრუებულ და გაკერპებულ ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ორგანიზაციის წევრებისათვის პირდაპირ განგვეცხადებინა: „თქვენი ნებაა. თქვენ გსურთ მიწაში ჩაყვეთ მიცვალებულს, რომელსაც, დამარხვის გარდა,

სხვა არაფერი ეგების... და რაც უფრო დიდხანს გავაჩერებთ მას, კიდევ უფრო მოწამლავს ატმოსფეროს...“. ამასთანავე, როგორც მახსოვს, კობა ხაბაზმა დაამატა, რომ „ჩვენ ეს არ გვინდა, რადგან დასაკარგავი ქართველები ნამდვილად არ გვყავსო...“.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება, საქართველოს მარიონეტულ მთავრობასთან ტანდემში, ეროვნული ძალების დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც ცდილობდა გაეგრძელებინა თავისი ანტიეროვნული, კოლაბორაციონისტული პოლიტიკა რეგიონში. ასეთი ვითარების ფონზე აჭარის მეზობელ გურიაშიც კიდევ უფრო ძლიერდება ეროვნული ძალისხმევა და 1990 წლის გაზაფხულზე იქმნება 9 აპრილს თბილისში დაღუპული ნინო თოიძის საზოგადოება, რომელმაც მოიცვა გურიის მახლობელი აჭარის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი სოფლები: აჭი, ქაქუთი, ნაცხავატევი, ტყემაკარავი[8], ხოლო შედარებით უფრო ადრე, 1989 წლის ზაფხულში შეიქმნა ოზურგეთის სახალხო ფრონტი [9].

სეპარატისტულ პოლიტიკას ადგა ე. წ. სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებაც, რომლის აშკარად გამოხატული ანტიქართული პოზიციების გამო, ამ რეგიონისაკენ 1989 წლის 23 ნოემბერს თბილისიდან მშვიდობიანი მარშით დაიძრა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ათასობით წარმომადგენელი. მაგრამ მათ ცხინვალის შესასვლელთან გზა გადაუღობა საბჭოთა არმიის კორდონმა და ცხინვალში მიმდინარე მიტინგზე არ შეუშვა. ოსური მხარის დელეგაციამ მათ შესთავაზა მხოლოდ 300 მანიფესტანტის შეშვება, რაზედაც ქართულმა მხარემ უარით უპასუხა. ამის გამო გამოქვეყნდა საქართველოს სახალხო ფრონტის მიმართვა აღნიშნულ საკითხზე, რომელსაც ხელს აწერენ: ნ. ნათაძე, შ. ნადირაშვილი, გ. აბულაძე, გ. პეტრიაშვილი, ა. იმნაძე. გ. ყორანაშვილი, ე. შენგელია, გ. მარჯანიშვილი, რ. გოცირიძე, რ. პეტრიაშვილი,

კ. არაბული, ა. მარშანია, დ. ადეიშვილი, თ. კიკაჩეიშვილი და სხვა [15].

სულ მალე ამის შემდეგ, კერძოდ, 1990 წლის დასაწყისიდან წინ წამოიწია კიდევ უფრო რადიკალური მოთხოვნები: „ა) საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებისა და წყობილების გაუქმება, ბ) რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის საოკუპაციო ჯარების მიერ საქართველოს ტერიტორიების დატოვება, გ) საქართველოში დემოკრატიული ქვეყნებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან სპეციალური მისიებისა და დელეგაციების ჩამოსვლა, დ) საყოველთაო კენჭისყრით ნამდვილი ეროვნული მთავრობის არჩევა, ე) „ჯვაროსნული ომი კომუნიზმს! წინ თავისუფლებისაკენ! 5. 01. 1990“ [11].

ძალიან მძიმე ვითარებაა საქართველოს მეზობელ აზერბაიჯანშიც, რის შესახებაც მოგვითხრობს ცნობილი რუსი კინორეჟისორი სტანისლავ გოვორუხინი: – „ბაქოში ნანახის შემდეგ მე განადგურებული და გაოგნებული ჩამოვედი. მაშინვე დავჯექი მაგიდასთან – ამ შემზარავი შთაბეჭდილებების დატოვება საკუთარ თავში შეუძლებელი იყო“ – შენიშნავს იგი და შემდეგ მოგვითხრობს: „...ჯარი ქალაქში მაშინ შევიდა, როდესაც სომხები იქ აღარ იყვნენ. ცოცხლები გაემგზავრნენ, ხოლო მიცვალებულები დაიკრძალნენ. დასაცავი აღარაფერი იყო... 106 მოკლული, დაჭრილთა რაოდენობა უთვლელია... მსხვერპლი გაცილებით ნაკლები იქნებოდა, ხალხს რწმენა რომ არ ჰქონოდა, თავისი ჯარი თავის მოქალაქეებს არ ესვრისო“ – ამბობს ავტორი და შემდეგ ჰყვება წარმოუდგენელ საშინელებას: „სუმგაითის გზაზე, ქუჩის პირას, რათა ტანკების კოლონისათვის გზა დაეთმო, იდგა მსუბუქი ავტომანქანა. მასში ისხდნენ – აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის სამი მეცნიერი, პროფესორი, მათ შორის ერთი ქალი. უცებ კოლონიდან გამოვიდა ერთი ტანკი, ლითონზე მუხლუხების ღრჭიალით გადაუარა მანქანას, გაჭყლიტა შიგ მსხდომნი. კოლონა არ შეჩერებულა – წავიდა ქალაქში შეფარებული მტრის გასანადგურებლად“ [31].

აზერბაიჯანისა და ბაქოს საშინელებებმა ფართო გამოხმაურება პოვეს უცხოეთის პრესაში. გაზეთში „ლუმანიტე“ კორესპონდენტმა დრა პორუჟემ გამოაქვეყნა წერილი „მგლოვიარე ბაქო“, რომელიც ფრანგულიდან ქართულად თარგმნა რუსუდან ორაგველიძემ. მასში, უპირველეს ყოვლისა, ხაზგასმულია ბაქოში გამოფენილი ტრანსპარანტები: „გორბაჩოვი ჯალათია – ყაზახი, ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხისა! ვინ იქნება შემდეგი?“, „ძირს ფაშისტური კომუნისტური პარტია“ და ა.შ. „...მრავალი ასეული აზერბაიჯანელია მკვდარი და დაკარგული... აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის ცნობით, 20 იანვრის 12 საათისთვის, საბუთების მქონე დაღუპულთა რიცხვი 124 იყო... დაჭრილებთან ექიმებს არ უშვებენ, არამედ მათ ტყვიების დამატებითი ჯერით უმასპინძლდებიან. ბაქოში 1990 წლის 22 იანვარს119 საფლავი გაიჭრა“ [2].

19-20 იანვრის ბაქოს სისხლიანი მოვლენების ფაქტების შემსწავლელი წინასწარი საგამოძიებო კომისიის ცნობით, 20 თებერვალს... მოკლულია 160 კაცი... დაჭრილია 400...

შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი გვამების ცალკეული ნაწილების, სამხედრო ტექნიკით გაჭყლეტილთა რიცხვი – უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შესახებ არსებულ ცნობებთან შეპირისპირებით – 140 კაცი... „ბევრია გატანილი მოვლენათა ადგილებიდან, ჩადენილი მხეცობის დამალვის მიზნით“ [14].

საქართველოსა და აზერბაიჯანში საბჭოთა არმიის მიერ ჩადენილ მხეცობათა განმცდელი ქართველი ავტორი იგორ გიორგაძე სტატიაში – „9 აპრილი მარტო ტკივილი არ არის“ – იგონებს დაჭრილი კურდღლის სოროში შემალვისა და გიურზების ამბავს და აღნიშნავს, რომ ადამიანებმა გიურზებიც ვერ გაიმეტეს გამოსაწვავადო... შემდეგ კი იქვე მოაქვს პასაჟი სოკრატეს დიალოგიდან: „– რა არის მშვენიერება? მშვენიერია ქალიშვილი და რა შეიძლება ეწოდოს იმას, ვინც მშვენიერებაზე ხელს აღმართავს, მოკლავს მშვენიერებას?...“ სოკრატე არაფერს ამბობს ამის თაობაზე, რადგან ვერ წარმოუდგენია,

ალბათ, სისაძაგლის ასეთი ხარისხი... შენიშნავს ავტორი და იქვე დაასკვნის: „ინგლისის მლეწავ ველურ ვანდალებს ეს წითელარმიელები შეგირდებადაც არ აიყვანდნენ“ [16. 2]. და იქვე – „დაღუპულთა ნათესავებმა, ჭირისუფლებმა სამძიმრის დეპეშები მიიღეს სსრ კავშირის მთავრობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსაგან – ცინიზმის ეს რეკორდი უდავოდ გინესის წიგნშია შესატანი“.

და ბოლოს, ავტორს მოაქვს ჩადაევის ცნობილი პოსტულატი: „რუსეთი არსებობს მხოლოდ იმისთვის, რომ მსოფლიოს საშინელებათა გაკვეთილები მისცეს“.

ნაწილი მეორე

ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უდიდესმა გაქანებამ გავლენა მოახდინა მეზობელი თურქეთის რესპუბლიკის, ქართულ ისტორიულ ტერიტორიებზე მცხოვრებ და, განსაკუთრებით, ძნელბედობისას იქ გადასახლებულ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებზე, რომელთა ერთ-ერთი წარმომადგენელი ქ. ფაცადან სულეიმან ინაიშვილი ლექსში „წმინდა ილიასადმი“, ასე მიმართავს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია მეორეს – „შენ ჩვენი რწმენის აღმშენებელო კათალიკოსო...“ და შემდეგ, ეხება რა ზოგად ქართულ სატკივარს, ამბობს:

„საქართველოს ახლა სჭირია შეკავშირება და
ერთობა,
ჩვენ ძმანები ვართ, არ იქნება აფხაზობა, აჭარლობა
და ოსეთობა,
...გვჭირია ჩვენ ჩვენი სახელმწიფო და
თავისუფლება!“

9 აპრილის ტრაგედიის შესახებ კი ავტორი განცდით აღნიშნავს:

„ჩვენთვის დასავიწყარი დღე არ არის, შავი დღეა 9
აპრილი,
იმ დაუმიწყარ დღეში იყო ქართველები ქუჩაში დაყრილი,
ჩვენ თავისუფლება გვინდაო, ყველგან თავი ჰქონდათ
მოყრილი...“
„... კაი რამე არ გეგონოთ აგი საბჭოთა კავშირი, -
...სულ რომ ტვირთი ჩვენ მოგვკიდეს, გაგვხადეს
მაგენმა ვირი,
გადავირჩინოთ უნდა თავი ღმერთით, განა რა იქნება
სულზე ძვირი“[23].

აი, რაც ასეთი უბრალო და გასაგები იყო ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებისათვის, რატომღაც დღემდე ძალიან რთული და გაუგებარი აღმოჩნდა ქართული ნომენკლატურისა და მისი სატელიტი წითელი ინტელიგენციის უდიდესი ნაწილისთვის და ესეც მასში აღზრდილი საბჭოთა რუსული იმპერიული აზროვნების უშუალო შედეგია.

თუმცა საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციები მაინც ვერ ელეოდნენ საკუთარი სტრუქტურების გაეროვნულების ილუზიას (იმდენად დიდი იყო ხელისუფლებაში დარჩენის ცდუნება) და ამიტომაც დღის წესრიგში დადგა მათი თვითლიკვიდაციის აუცილებლობა. მაგრამ ამ აუცილებლობას მათ ახალი სიყალბითა და დემაგოგიით უპასუხეს, რაც გამოიხატა „საქართველოს კომუნისტური პარტიის მიმართვაში კომუნისტებისა და მშრომელებისადმი, უპარტიო ინტელიგენციის, ახალგაზრდობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი, სადაც ისინი, მიუხედავად ყველაფრისა, უტიფრად აცხადებდნენ, რომ **„კომუნისტებს სურთ დარჩნენ საზოგადოების ავანგარდში“, ურთიერთობის აუცილებლობად აღიარებენ**

„პოლიტიკურ დიალოგს და ოპონენტის დარწმუნების ფორმას“, და რომ „კომუნისტური პარტიისათვის დასაშვებია აზრთა ჭეშმარიტი პლურალიზმი“ [5.3]. ამის პარალელურად კი ცდილობენ ეროვნული მიმართულების ორგანიზაციებში შეღწევას და იქ დომინანტური პოზიციის მოპოვებით, თავიანთ სასარგებლოდ მათ დეზორიენტაციას. იგივე საინფორმაციო საშუალება გვატყობინებს, რომ „ყაზბეგის რაიონის სახალხო ფრონტი, კომპარტიის ადგილობრივი ორგანოს პარტუჯრედია; აქვე აღნიშნულია კომუნისტური ნომენკლატურის გაბატონებული მდგომარეობა სახალხო ფრონტის ზოგიერთ სხვა რაიონულ ორგანიზაციებშიც [იქვე].

ამასთანავე აღსანიშნავია ადგილობრივი კომუნისტური ნომენკლატურის თვითნებობა და ანტიეროვნული პოზა საქართველოს რეგიონებში. სწორედ ამის შესახებ გვიამბობს საქართველოს სამართალი – რადიკალური კავშირი, ეროვნული სამართლიანობის კავშირის წევრების, გიორგი გოდერძიშვილისა და ბესო საბაშვილის ინიციატივით 1990 წლის 29 ივლისს ასპინძაში ჩატარებული მიტინგი, რომლის დროსაც ასპინძის მილიციის უფროსი ტივაძე აცხადებდა, რომ ასპინძა მისია და იქ მიტინგს ვერავინ ჩაატარებს, თან იმუქრებოდა მომიტინგეთა დაპატიმრებით. მიუხედავად ამისა, მიტინგი მაინც შედგა და მისი მონაწილენი გაეცნენ ადგილობრივი მმართველების მიერ შესრულებულ მათ მოთხოვნებს და მიიღეს რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც, მოთხოვნათა დარჩენილი პუნქტების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შეუერთდებოდნენ ეროვნულ დაუმორჩილებლობას [იქვე: 4].

ანტიქართულ გამოხდომებს ააქტიურებენ ოსები და 1990 წლის თებერვალში „ადამონ ნიხასი“ ითხოვს საქართველოში „თურქი მესხების“ ჩამოსახლებას. პარალელურად, ოსი მოსახლეობის მიერ დაზიანებულ იქნა ცხინვალში მიმავალი სარკინიგზო ლიანდაგი.

თბილისში, კინოს სახლთან საქართველოს ჰელსინკის კავშირმა და ილია მართლის საზოგადოებამ გამართა მიტინგი „თურქი მესხების საკითხთან დაკავშირებით“. მასზე სიტყვით გამოვიდა ზვიად გამსახურდია, რომელმაც დაგმო ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისა და ცალკეულ პიროვნებათა – რ. ჩხეიძე, ნ. გელაშვილი, გ. მამულია – პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით; აქვე სიტყვით გამოვიდნენ სამცხე-ჯავახეთიდან ჩამოსული მესხები, რომელთაც მოიგონეს „თურქ მესხებთან თანაცხოვრების წლები და დაუშვებლად მიიჩნიეს მათი საქართველოში ჩამოსახლება“ [25. 1]. უფრო ადრე, 1989 წლის 14 დეკემბერს მოეწყო ოზურგეთის საზოგადოების წარმომადგენელთა შეხვედრა მერაბ კოსტავას, თამარ ჩხეიძესა და ზ. მამალაძესთან, საქართველოში 10 „თურქი მესხის“ ჩამოსახლების საკითხთან დაკავშირებით, რამაც აღნიშნული საზოგადოების სასტიკი წინააღმდეგობა და შეშფოთება გამოიწვია, რადგანაც ისინი ფიქრობდნენ, რომ ეს გახდებოდა დასაწყისი საქართველოში თურქების ჩამოსახლებისა [4].

1990 წლის 2 მარტს წმიდა ილია მართლის საზოგადოებისა და საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ინიციატივით „თურქი მესხების“ საკითხზე მიტინგი ჩატარდა ოზურგეთში. სულ ცოტა ხანში ანალოგიური აქცია გაიმართა ლანჩხუთშიც, სადაც მოსახლეობამ მიიღო რეზოლუცია, რომ „იგი სასტიკი წინააღმდეგია „თურქი მესხების“ საქართველოში ჩამოსახლებისა“. მიტინგის დადგენილებაში აგრეთვე ნათქვამია: „სანამ საქართველო დამოუკიდებლობას არ აღიდგენს, ყოველგვარ ჩამოსახლებაზე ლაპარაკი ზედმეტია“ [25. 8].

დიდი ყურადღება ექცეოდა გურიაში ჩამოყალიბებული ორგანიზაციების საქმიანობასა და მათ მჭიდრო ურთიერთობას მეზობელ აჭარასთან. 1989 წლის სექტემბერში ლანჩხუთსა და ოზურგეთში არსებულ ედპ-ის ქვეკომიტეტებისაგან შეიქმნა ერთიანი, გურიის ედპ-ის კომიტეტი. ამავე წლის 7 სექტემბერს ოზურგეთში მოეწყო ედპ-ის ბათუმის, ლანჩხუთისა და ადგი-

ლობრივი (ოზურგეთის) კომიტეტების წარმომადგენელთა შეხვედრა, სადაც გადაწყდა შექმნილიყო ედპ-ის გურია-აჭარის ბიურო – ბიძინა აფხაზავას (ბათუმი), ვახტანგ ზენეიშვილის, ბეჟან თავართქილაძის, მერაბ სადღობელაშვილის, მერაბ ფირცხალაიშვილის და გურამ ჩახვაძის შემადგენლობით [4].

ამავე პერიოდში ბორჯომში წმ. ილია მართლის საზოგადოებამ ულტიმატუმი წარუდგინა ბორჯომის რაიკომის პირველ მდივანს, გ. პეტრიაშვილს ლენინის ძეგლის აღების მოთხოვნით. მასზე უარის მიღების შემდეგ, დასვეს საკითხი რაიკომის მდივნის გადაყენების შესახებ. 1990 წლის 18 მარტს ზვიად გამსახურდიასა და ადგილობრივ ეროვნულ ორგანიზაციათა ძალისხმევით ლენინის ძეგლები ჩამოგდებულ იქნა ქობულეთსა და ბათუმში, ხოლო ცოტა მოგვიანებით, ხულოსა და აჭარის სხვა რაიონულ ცენტრებში.

საქართველოსადმი საბჭოთა მთავრობის ვერაგული მტრობის კიდევ ერთ გამოვლინებას წარმოადგენდა ჩერნობილის ოლქიდან საქართველოში რადიაციით დასხივებული ხორცის დიდი რაოდენობით შემოტანა, რომლის ბათუმის საწყობებში გამოვლენასა და გატანაში, შემდგომ კი მის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაგზავნაში, მერაბ კუტუბიძესა და ბათუმის სახალხო ფრონტის აქტივისტებთან ერთად ვმონაწილეობდი. 1990 წლის 1 მარტს ჩატარებული მიტინგის შედეგად, ასეთივე ხორცი გატანილი და ბელორუსიაში გაგზავნილ იქნა გორიდანაც [25].

1990 წლის 5 იანვარს თბილისში, მთავრობის სახლის წინ, საქართველოს დამოუკიდებლობის პარტიის, წმ. ილია მართლის საზოგადოებისა და მონარქისტული პარტიის ინიციატივით დაიწყო აქცია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით (მეც ვესწრებოდი – უ. ო), მაგრამ აქციის საწყის ეტაპზე და მას შემდეგაც, რაც მას საქართველოს ედპ შეუერთდა, მის მონაწილეთა რიცხვი 200 კაცს ვერ გასცდა; მხოლოდ საღამოს, დაგეგმილი მიტინგისა

და რუსთაველის ქუჩის გადაკეტვას რომ კრახი დაემუქრა, ზვიად გამსახურდიას წინამძღოლობით აქციას შეუერთდა მის მიერ მოყვანილი ათეულ ათასობით მანიფესტანტთა ტალღები, რის გამოც გახარებული ირაკლი წერეთელი იქეთ-აქეთ აწყდებოდა და გაიძახოდა, „აგორდა აქცია!“. შემდეგ დღეებში აქციას შეუერთდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, მათ შორის, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან ჩამოსული ეროვნული მოძრაობის აქტივისტები. 10 იანვარს ხალხმა „პედესტალებიდან“ ჩამოაგდო და მომიტინგეთა წინაშე თრევა--თრევით ჩამოატარა ძერჟინსკის, კამოსა და ბორის ძნელაძის ძეგლები თუ მათი ნამუსრევები [22].

განსაკუთრებით შემზარავ ხასიათს ატარებდა ოსი ექსტრემისტის მიერ აკვანში ჩაკლული საკუთარი დისშვილის, 9 თვის ქართველი ყრმის, გიორგი ნიკორიშვილის მკვლელობის გარშემო დატრიალებული ამბები, როდესაც მოკლული ბავშვის ბებია, ვარვარა გაგლოევა-თედეევა, ცხინვალის სამშობიარო სახლში მიეჭრა ექიმ ნათელა ნიჟარაძეს და აძალებდა ბავშვის მკვლელობა თავის თავზე აეღებინებინა მოკლული ბავშვის მამისთვის [იქვე, გვ. 2].

ალბათ ყველა დაგვეთანხმება, რომ ადამიანური სიმდაბლე და ნაძირალობა ამაზე ქვემოთ ვერ დაეშვება, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არის ქართულ-ოსურ ურთიერთობაში საბჭოური სიმახინჯის მიერ გაღვივებული არაადამიანობის კიდევ ერთი გამოვლინება, რომელიც მის ავტორთათვის ისეთ მითიურ სისაძაგლედ გამოვლინდა, რომელიც მხოლოდ კორინთელების მიერ ბერძენი ტრაგიკოსის, ევრიპიდეს მოსყიდვას შეიძლება დაედაროს, მედეას საკუთარი შვილების მკვლელად გამოყვანის მიზნით. ასეთ საქმეთა ჩამდენნი კი არა მარტო აგრძელებენ ქართულ მიწაზე ცხოვრებას, არამედ მათ მართლმსაჯულებისაგან თავგამოდებით იცავს რუსული არმია და სახელმწიფო.

მოკლედ, ასეთია ის გარემოებანი, რომლებიც წინ უძღოდა და, ფაქტობრივად, განაპირობა „დიდი ღამის“ შემზადება საქართველოს უახლოეს წარსულში. როდესაც ვლაპარაკობთ ზემომოყვანილ ფაქტებზე და ვაანალიზებთ ქვეყნისათვის მისგან გამომდინარე სამომავლო განვითარების ისტორიულ პერსპექტივას, სხვა არაფერი დაგვრჩენია, გარდა აღიარებისა, რომ ასეთი ფსიქოიდეოლოგიური და პოლიტიკური გარემოცვის პირობებში „დიდი ღამის“ დადგომა ჩვეულებრივ გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს, რაც ასეც არის... დღესაც.

ლიტერატურა – REFERENSES

1. „არჩილ ხანთაძის მოხსენება „პარიზი 89“ - ქრისტიან-დემოკრატთა შეკრებაზე“, გაზ. „ქართვლის დედა“, 1989, 6 ნოემბერი, №6, გვ. 6.
2. „ბაქოს ტრაგიკული ამბები“, გაზ. „ამბიონი“ (რეგიონალური საინფორმაციო ბიულეტენი - სდპ-IV დასი, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის კომიტეტი), 1990, №1, გვ. 4.
3. ბერიძე კ. გაზ. „ოზურგეთის მოამბე“, 1990, №1.
4. გაზ. „გურია“, ედპ-IV დასი, 1989, №2.
5. გაზ. „დღესი“, 1989, 9 აგვისტო, №2, გვ. 3.
6. გაზ. „დღესი“, 1989 წ., 9 აგვისტო, №2, გვ. 21.
7. გაზ. „დღესი“, 1989, 9 აგვისტო, №2, გვ. 2.
8. გაზ. „ლეხაური“, 1990, 26 მაისი, №2.
9. გაზ. „ოზურგეთის მოამბე“ (ოზურგეთის სახალხო ფრონტი), 1989, ნოემბერი, №11.
10. გაზ. „ოზურგეთის მოამბე“, 1990, №5.
11. გაზ. „ქართვლის დედა“, 1990, 13 იანვარი, №1(8); აქვე: „მიმართვა ქართველი ერისადმი“.
12. გაზ. „ქართვლის დედა“, 1989, 30 ნოემბერი, №7, გვ. 3.
13. გაზ. „ქართვლის დედა“, 1989, 6 ნოემბერი, №6, გვ. 6.

14. გაზ. „ქართვლის დედა“, 1990, 16 მარტი, №9.
15. გაზ. „ქართვლის დედა“, 1989, 30 ნოემბერი, №7.
16. გაზ. „ქართლი“ (ქართლის სახალხო ფრონტი), 1990, იგრიკა, №4, გვ. 2.
17. გაზ. „ქართული ქრონიკა“, 1989, №№39, 40, 41, 44, 45.
18. გაზ. „ქართული ქრონიკა“, 1990, 25 თებერვალი, №3 (60).
19. გაზ. „ქართული ქრონიკა“, 1990, 25 თებერვალი, №3(60), გვ. 5-6.
20. გაზ. „ქართული ქრონიკა“, 1989, 30 ივლისი, №45.
21. გაზ. „ქართული ქრონიკა“, 1989, 20 ივნისი, №41.
22. „ეროვნულ დემოკრატი“, საქართველოს ედპ-IV დასის კახეთის კომიტეტის ბიულეტენი, № 1, 1990.
23. კიკნაველიძე დარეჯან. „სხვა საქართველო სად არის“, გაზ. „ქართვლის დედა“, 1990, 16 მარტი, №9, გვ. 5.
24. პაიპსი რიჩარდ. „რა უნდა ვიღონოთ საბჭოთა საფრთხის წინააღმდეგ. დასავლეთის სტრატეგია დღეს და მომავალში“, საქართველოს ედპ-ს მოამბე, 1990, №10.
25. პრეს-ბიულეტენი, №7, 4 მარტი, 1990, ქართული საინფორმაციო ცენტრი, გვ. 1.
26. საინფორმაციო წყარო, №1, ქრისტეშობისთვე, 1989, საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენა-აღორძინების პარტია, გვ. 10-11.
27. საქართველოს რესპუბლიკის ფედერალური პარტიის კონსტიტუციური ფრაქცია, № 1, 1990 წლის 25 მარტამდე, გვ. 1.
28. სერგეი ესენინი (თარგმ. უჩა ძიძავასი), გაზ. „გზა“ (პერიოდული თვითგამოცემა), ტყიბული,1989,1 სექტემბერი.
29. „შავლეგო“ (სრულიად საქართველოს წმ. ილია მართლის საზოგადოების ბიულეტენი), 1990, ოქტომბერი, №1.
30. წმ. ილია მართლის საზოგადოების სამხედრო საქმეთა საინფორმაციო ბიულეტენი, № 2, 1989.

31. Говорухин Станислав. «Репетиция».Газ. «Московские новости». 1990, 17 февраля, №7.
32. Корсунский Владимир. Газ. «Экспресс-хроника», 1989, №18.
33. Пестель П.И., «РусскаяПравда».С.-Петербург, 1906. с. 48.

UCHA OKROPIRIDZE

BIG NIGHT PREPARATIONS AND SOUTHWEST GEORGIA ACCORDING TO THE GEORGIAN INFORMAL PRESS

Summary

The paper presents an understanding oft hepreparatory circumstances for the military-criminal coupin Georgiain December-January 1991-1992 and the events that followed, according to the materials of the Georgian informal press (1988-1990). Against its background in southwestern Georgia - Adjara, Samtskhe-Javakheti, partly Turkish Georgia and Georgians, current events. At the same time, the role of the Soviet press and media, as well as Georgian official journalism, is analyzed - the non-objective and unjust, distorted background created by them for the Georgian National Liberation Movement abroad. Against this background, the problems artificially created for the Georgian National Liberation Movement and the difficulties arising from them, with possible consequences, are presented.

The impact of the tragedy that took place in Tbilisi on April 9, 1989 on the processes taking place here is discussed. The cooperative--flattering position of the Soviet Georgian nomenclature towards the Kremlin and its hypocritical attitude towards the vital interests of the Georgian people. At the same time, similar processes are taking place in neighboring Azerbaijan and the horrors committed by the Soviet state and its army - the tragedies of Baku and Sumgait and the cynical attitude of the Soviet government towards it. The anti-Georgian policy of the

Soviet Union is analyzed by the detonation of the slow-acting bombs previously planted here in the autonomous formations in the republic, and in them e. g. In an attempt to create manageable chaos, which continues to this day, in order to maintain and politically manipulate the centers of destabilization in Georgia and the Caucasus in general.

Attempts to use the tragedies of the Turk-Meskhetians and Fergana against the Georgian National Movement, as well as other interesting events taking place in these regions of Georgia, which have any connection with the Georgian National Movement.

ახალი წიგნი

გამოვიდა მაესტრო გურამ პაატაშვილის „ცხოვრებისა და შემოქმედების ფურცლების“ პირველი და მეორე ნაწილი. წიგნში ასახულია გამოჩენილი შემოქმედისა და საზოგადო მოღვაწის, კომპოზიტორის, მეცნიერისა და პუბლიცისტის, საერთაშორისო პრემიების ლაურეატის, აკადემიკოს გურამ პაატაშვილის მოღვაწეობა და შემოქმედებითი გზა; წარმოდგენილია მისი აზრთა კრებული „მაესტროს აზრთა სამყარო“. წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისთვის. გთავაზობთ ნაწყვეტს წიგნის მეორე ნაწილიდან „მაესტროს აზრთა სამყარო“.

გურამ პაატაშვილი

აზრთა კრებული „მაესტროს აზრთა სამყარო“

- ყველაზე დიდი ბედნიერებაა – მრავალ ადამიანს ანიჭებდე ბედნიერებას.
- სიკვდილის მრავალი მიზეზი და საშუალება არსებობს. სიცოცხლისთვის კი ერთადერთი – სიყვარული.
- ვინც სხვათა ნიჭს, ღვაწლსა და ღირსებას არ აფასებს, თვითონაც შორს დგას მისგან.
- ეროვნული კულტურა – სიამაყეა. ეს არის სულიერების ტაძარი.
- რაც უფრო მდიდარია შემოქმედი გონებრივი და სულიერი კულტურით, მით უფრო დახვეწილია მისი გრძნობები.

- სიყვარული – ცხოვრებაა. ეს მუსიკა, პოეზია, ფერწერაა. ეს სიკვდილზე გამარჯვებაა.
- ყველა მთავრობას თავისი ჯინჯილიანი ტაკიმასხარები ჰყავს.
- ჭეშმარიტი შემოქმედი თავისი ქმნილებებით ეპოქას ქმნის. მთელი თავისი არსებით, ნიჭითა და ინტელექტით დღენიადაგ შემოქმედებაშია ჩაფლული.
- სამყარო ემყარება წიგნთა წიგნის სიბრძნეს, სიყვარულს, სამართლიანობას, ქველმოქმედებას, ისტორიულ მეხსიერებასა და ნიჭიერებას.
- შემოქმედი თავისი შემოქმედებით ცხოვრების დიდ საოცრებას ქმნის; ჭეშმარიტად აამაღლებს და სულიერი განათლების გზით გააბრწყინებს ადამიანებსა და სამყაროს.
- ხელისუფლება იცვლება, მომხვეჭელები და თაღლითები კი იგივენი არიან.
- ნიჭიერებითა და ღირსებით შემკული პიროვნება განსახიერებაა იმისა, თუ როგორი ზნეობრივი და ინტელექტუალური ერთიანობა არსებობს ნიჭითა და ღირსებით დაჯილდოებულ ადამიანში.
- სულიერების ტაძართან ადამიანები ყოველთვის ახლოს უნდა იმყოფებოდნენ, მის სიახლოვეს ხალხს ერთობისა და ღრმა სიყვარულის გრძნობა აკავშირებთ.
- შემოქმედი ადამიანი როგორც თავის, ისე სხვა ხალხებში პოულობს ისტორიულ და მონათესავე საერთო ნიშნებს, თავისი ქმნილებით სულიერად აკავშირებს მათ, რითაც ჭეშმარიტი დესპანის უკეთილშობილეს მისიას ასრულებს.
- ცხოვრებაში ყველაზე დიდი სტიმული და სიამოვნებაა, როცა განუწყვეტლივ წინ მიისწრაფი.
- შემოქმედი ადამიანისთვის მარადიულობა მაშინ იწყება, როცა მისი მაჯისცემა ქრება.

- სულიერებასა და ამაღლებისკენ სწრაფვა ადამიანების ცნობიერებაში მაშინ გახდება შესაძლებელი, როდესაც მათ შორის ურთიერთკავშირი სიძულვილიდან სიყვარულისკენ იქნება მიმართული.
- ადამიანების უმრავლესობას უფრო უკეთესი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე, ვიდრე ისინი სინამდვილეში არიან და ეს მათი ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა.
- მონანიება უწყვეტი სულიერი პროცესია, რომელსაც თან ახლავს წარსული ცოდვების უარყოფა და მისწრაფება ახალი ნათელი მიზნებისკენ. როდესაც პასუხი ადეკვატურია, ეს იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანს აქვს მონანიების უნარი და სწორი გზით მიდის.
- პესიმიზმი ის ფუფუნებაა, რისი უფლებაც ღარიბ ადამიანს არა აქვს.
- ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ადამიანმა ხანდაზმულობაშიც არ დაკარგოს სისულელის კეთების სურვილი და შინაგანად ახალგაზრდად იგრძნოს თავი.
- სულიერი ოკუპაცია ადამიანს არარაობად აქცევს.
- ყველა ადამიანს თავისი აღმაფრენის დრო აქვს, მხოლოდ დროშია სხვაობა, ვის რამდენი ხანი ერგება ეს ნეტარება.
- პოლიტიკოსების მოლაპარაკებას არავითარი აზრი არა აქვს, თუ საზოგადოებრივი აქტივობის გზით მხარდაჭერას არ პოვებს.
- როდესაც ერთი ქვეყნის ხალხი გულმხურვალედ იღებს და იწოვს სხვა ქვეყნის ნიჭიერ შემოქმედ ადამიანებს, ამით ისინი თავიანთ კულტურას ამდიდრებენ და ეს მათ სიდიადეზე მეტყველებს.
- ხელოვნება დიდი სამყაროა და ადამიანი ამ სამყაროს დიდი შემოქმედია.
- ძნელია შეეგუო საყვარელი ადამიანების არყოფნას. ისე გგონია, სადღაც არიან წასულები და მალე დაბრუნდებიან.

- საშინელებაა, როდესაც მიმდინარეობს მიზანმიმართული პროცესი ახალგაზრდების და, საერთოდ, ადამიანების გამოტვინებისა, ფიზიკურად ჯანსაღი არსების გახრწნისა და მისი მკვდარ სულად გადაქცევისა. ეს ცოცხალი სხეულისა და სულის პანაშვიდია, მისი უაზრო და ნაადრევი დასამარებაა.
- ძალაუფლება სატყუარა მინასავითაა, მასზე მოკალათება სანუკვარი ოცნების აღსრულებაა, დროულად მასთან განშორება არავის ეთმობა, მოგვიანებით მშვიდობიანი წასვლა კი ხშირად შეუძლებელი ხდება, რადგან, როგორც კი მისგან ჩამოსკუპდები, შეიძლება იფეთქოს.
- ადამიანის სულიერი გარდაქმნის პროცესში მთავარია შემობრუნების მომენტი, როდესაც იცვლება ადამიანის არა მხოლოდ ცხოვრებისეული პოზიცია, არამედ ის, რომ იგი სრულ მეტამორფოზას განიცდის.
- ქვეყანა ყალბი ისტორიითა და გმირებით ვერ გაძლიერდება.
- ადამიანმა დაფიქრებით, ანუ გონებით უნდა წარმოთქვას სიტყვა, ნათქვამს უნდა გაუფრთხილდეს. სიტყვა გონების პირმშოა და მის რაობაზე მიუთითებს.
- როცა ადამიანი აღარ განასხვავებს ეროვნულობას, კულტურას და ტრადიციებს, კაცობრიობის ისტორიაც დამთავრდება.
- რამდენი დროც არ უნდა გავიდეს, შემოქმედის ჭეშმარიტი ქმნილება ყოველთვის დარჩება ფიქრისა და განსჯის საგნად.
- როცა წმიდა ტაძარი ინგრევა, ხალხი ხანგრძლივ დევნილობასა და უბედურებაში აღმოჩნდება, მაგრამ ტაძარი კვლავინდებურად სულში რჩებათ მარადჟამს.
- სინანული გონიერებასთან ერთად მოგვიანებით მოდის.
- ქორწინება სიყვარულის ხანგრძლივი და ძვირად ღირებული სიამოვნებაა.

- ყველა დროს თავისი სირთულეები და აღმაფრენის წარმატებები ახლავს, ის ზემოქმედებს და ცვლის ადამიანების მენტალიტეტს.
- დაუკმაყოფილებლობის და მიუღწევლობის შეგრძნება ხშირ შემთხვევაში პროგრესისაკენ უბიძგებს ადამიანებს.
- იმას, რასაც მამაკაცები ქალებს ხშირად ყურებზე კიდებენ, ქალები შემდეგ იმას მამაკაცებს რქებზე ჩამოაცმევენ ხოლმე.
- ადრე გვასწავლიდნენ, თუ როგორი იყო ხალხი და ქვეყანა; გვხიბლავდნენ მისი გმირებითა და იდეალებით. დღეს ტელევიზია, რადიო, კინო თუ ესტრადა ძერწავენ და წარმოაჩენენ ჩვენი დროის ახალ მისაბაძ გმირებს: ოლიგარქებს, პოლიტიკოსებს, ბანკირებს, ვინ რა სიმდიდრე დააგროვა და შეიძინა. ყოველდღიურად გვესმის და ვკითხულობთ: ვინ ვისთან წევს და დროს სად და როგორ ატარებს. ლიტერატურიდან და ხელოვნებიდან თანდათან ქრება დადებითი გმირის სახე. ჩვენ თვალწინ იცვლება სულიერი მემკვიდრეობა, რომელიც საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა.
- პოლიტიკური კორექტულობა – იშვიათი, მაგრამ დიდებული რამაა.
- ხელოვნების გარეშე ძალიან ძნელია დარჩე ადამიანად.
- შემოქმედის უნიკალური ქმნილება თავისი ეპოქის ისტორიული ძეგლია.
- გენიოსი საკუთარი აღმოჩენებისა და ცივილიზაციის განვითარებისათვის იმ გზებს პოულობს, რომელსაც სხვები ვერ ამჩნევენ.
- ჭადრაკის დაფაზე მეფესთან ყველაზე ახლოს პაიკებია განლაგებული. ცხოვრებაშიც პაიკების გარემოცვა ზოგიერთს იმის ილუზიას უჩენს, რომ მეფეა.

- თუ რაიმე ჭეშმარიტი იყო, იგი არ გაქრება და თუ რაიმე ანაბეჭდი დარჩა – განცდა ჭეშმარიტი ყოფილა.
- მართალია, მამაკაცები ზოგჯერ ცუდად ფიქრობენ ქალებზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც მთელი სიცოცხლე მათზე აგრძელებენ ფიქრს.
- ადამიანების კაცობრიობისადმი სიყვარულში ბავშვებს დიდი როლი მიუძღვით.
- სოკოებივით მომრავლებული საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ორგანიზაციები ცდილობენ წარმმართველი როლი ითამაშონ პოლიტიკურ აზროვნებაში. ყველა ნეგატიური ტენდენციის სათავე დემოკრატიისა და კომპეტენტურობის არქონაში დევს, რწმენის შესუსტებასა და ურთიერთგაუტანლობაშია, რაც ადეკვატურ ზემოქმედებას ახდენს ქვეყანაზე და მიზეზი უპირველესად ისაა, რომ მას წინ არ დაუხვდა მტკიცე, პასუხისმგებლობით აღსავსე სამოქალაქო საზოგადოება.
- შემოქმედი ადამიანი შემოქმედებითი აზრის ტიტანია, რომელიც ნათელს ჰფენს ადამიანის სულს.
- როდესაც სარკეში იყურებით, ნუ ჩქარობთ, ყურადღებით შეათვალიერეთ საკუთარი თავი და რაღაცას აუცილებლად შეამჩნევთ.
- მხოლოდ მოაზროვნე და შორსმჭვრეტელ ადამიანს შესწევს უნარი აწმყოს ჰორიზონტის მიღმა ცქერისა.
- ლოცვის დროს მორწმუნე ადამიანი არა მხოლოდ შეერწყმის მის რაობას – სიწმინდეს, არამედ თვითონაც მისი განსახიერებაა იმ სამყაროში, რომელშიც ის იმ დროს იმყოფება.
- რეჟისორმა მაყურებელი სპექტაკლის თანამონაწილედ უნდა აქციოს.

- ნებისმიერი ადამიანი თავისი ქცევით, გამოხედვით, საუბრით, ჭამა-სმით თუ სიცილით საკუთარი თავის ლუსტრაციას ახდენს.
- ცხოვრებაში ყოველთვის მრავლად არის სადღესასწაულო ადგილები, ოღონდ იქ, უბრალოდ, ყველასათვის ადგილი არ მოიძებნება.
- ზოგჯერ არ აინტერესებთ ის, რაც სიღრმეშია და არ ჩანს, მხოლოდ იმით კმაყოფილდებიან, რაც ზედაპირზე ტივტივებს და ფასადური სილამაზით თვალისმომჭრელად ბზინავს.
- შესაძლოა ესა თუ ის მეთოდი ან საშუალება არ იძლეოდეს ამოცანის ან მიზნის მიღწევის, გადაწყვეტის გარანტიას, მაგრამ გიჩვენებდეს მისკენ მიმავალ სწორ გზას. გონიერი ადამიანისათვის კი ეს სავსებით საკმარისი უნდა იყოს.
- განსწავლული და მოაზროვნე ადამიანის მზერაში სიბრძნე გამოსჭვივის, ცხოვრებისეული და წიგნიერების სიბრძნე, რომელიც გულით ჭვრეტისა და გონებით ხედვის ნაყოფია.
- ქალი ხიბლავს და აჯადოებს მამაკაცს, იპყრობს მის სულსა და გულს. ზოგიერთ მამაკაცს კი ჰგონია, რომ ქალთან წარმატება მისი დამსახურებაა.
- ხანდაზმულობის თანამგზავრი, არცთუ იშვიათად, მარტოობაა. საბოლოოდ ადამიანს ზოგჯერ მხოლოდ იუმორის გრძნობა თუ შემორჩება და დარდი და სიყვარული იმისა, რაც უკვე აღარ არის. სიცოცხლე დასასრულს უახლოვდება და ზოგი კი ვერ მიმხვდარა რა, რატომ, როგორ...
- პოლიტიკაში იდეალების ადგილი არ არის, ყველაფერი ინტერესების სფეროს უკავშირდება.
- ადამიანი იმისათვის მოევლინა და არსებობს, რომ გააუმჯობესოს და სრულყოს სამყარო.

- არისტოკრატი თავისი ბუნებით, სხვებისაგან განსხვავებით, ყველაზე უბრალო, თავმდაბალი, ლმობიერი და დახვეწილი ადამიანია.
- განსწავლული და შემოქმედი ადამიანი თავისი ღვაწლით ცხოვრების დიდ ენციკლოპედიას ქმნის.
- ჭეშმარიტი შემოქმედის ქმნილება სულიერების ოაზისია.
- სალიერის სინდრომი ჩვენი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრია.
- ადამიანი მატერიალურ გაძარცვას როგორღაც ეგუება, სულიერი გაძარცვა კი მორალურად ანადგურებს მას.
- დემაგოგია განდიდების მანიით შეპყრობილი ადამიანის ბასრი იარაღია, ამავე დროს, დამღუპველიც.
- ზოგიერთი ისეთია, შეხედავ... და არ იცი, საით გაგზავნო... თუ ყურადღებით დააკვირდები, მიხვდები, რომ ის უკვე ყველგან ნამყოფია.
- ჭეშმარიტი შემოქმედი ნოვატორია, მუდამ ახლის ძიებაშია. ეს არის მისი სიცოცხლის არსი.
- ადამიანის ცხოვრების სიხარულის შეგრძნებაში ისე არაფერი და არავინ უშლით ხელს, როგორც თავად ადამიანები.
- იქ, სადაც სიმართლე არ არის, სულიერებაც არ არის.
- ადამიანმა, გარდა ბოროტებისა და სიბინძურისა, ყველაფერს შეიძლება ფილოსოფიურად და იუმორით უცქიროს.
- ნიჭის, სულისა და გუნება-განწყობილების დამალვა შეუძლებელია. მას ძალდაუტანებლად ამჟღავნებს ადამიანი.
- რა სულისაც არის შემოქმედი, შემოქმედებაშიც და ცხოვრებაშიც ისეთივე კვალს ტოვებს.
- ტრაგედია ისაა, როდესაც ისეთი დრო დგება, როცა ჭკუას იმას ეკითხებიან, ვისაც ის არ გააჩნია.
- საკმარისი არ არის, იყო ნიჭიერი, კეთილგონიერიც უნდა იყო.

- გაიძვერამ და რეგვენმა თუ ოდესმე დღის შუქი იხილა და სადავეები ხელთ იგდო, ცდილობს ყველაფერს მოეპოტინოს, ცხოვრებას ნაღები მოხადოს. მწიფე ხილი პირველად ხომ ღორისაა – ხიდან ჩამოცვივდება თუ არა, იმწამსვე მიირბენს და შეჭამს.
- გზებს, რომლებსაც ჩვენ ვირჩევთ, ტაძარში უნდა მივყავდეთ.
- სამეფო ტახტთან შექუჩებული ბრბო მუდამ სარგებლის მოლოდინშია.
- ადამიანები თავად პოულობენ გზას ტაძრისკენ და ტაძარი თავად ირჩევს მათში უკეთესს.
- როდესაც ადამიანს სიბინძურეს ესვრი, გახსოვდეს, რომ ის შენს ხელებზეც დარჩება.
- ჭეშმარიტ შემოქმედს თავისი ქმნილებებით ადამიანებისთვის ბედნიერება მოაქვს.
- ადამიანში მთავარია სული, ყოველ მათგანშია ღვთაებრივი ძალა. სწორედ ეს სიწმინდე უნდა უყვარდეთ ადამიანებს ერთმანეთში.
- გაზვიადებული და მოჩვენებითი ყველგან და ყველაფერში დროებითია და უკვალოდ ქრება.
- ვინც დღენიადაგ თავისი უნიჭო შემოქმედების წარმოჩენას ცდილობს, საბოლოოდ, როგორც სხვა ყველა უღიმღამო ქმნილება, მისი „შედევრებიც“ სანაგვე ყუთში აღმოჩნდება.
- ვისაც გულში სიყვარულისა და სიკეთის გრძნობა არ გააჩნია, ის დიდს და მნიშვნელოვანს ვერაფერს შექმნის.
- ადამიანი განსაკუთრებით ორი თვისებით უნდა გამოირჩეოდეს: პიროვნული და პროფესიონალური ღირსებებით. ერთით მაინც უნდა ბრწყინავდეს. უბედურებაა, როცა მას არცერთი ამ თვისებათაგანი არ გააჩნია!

- თვალსაზრისს ისე მკვეთრად არაფერი ცვლის ხოლმე, როგორც ცხვირ-პირში ბარაქიანი გალაწუნება, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს უებარი სამკურნალო საშუალება მხოლოდ ისეთებზე მოქმედებს, ვისაც სინდისის ნატამალი ჯერ კიდევ შერჩენილი აქვს.
- შემოქმედი და მისი ქმნილება, როგორც ნებისმიერი სხვა ცოცხალი არსება, აზრის გარეშე მკვდარია.
- შემოქმედი ადამიანი სხვისი მონა და ზრახვების ამსრულებელი არასოდეს გახდება.
- უნიჭო, უინტელექტო და უსინდისო ადამიანი სხვათა ქმნილებებისა და მიღწევების განმქიქებელია.
- ჭეშმარიტი შემოქმედი ადამიანი ქმნის, ის ძალაუფლებისკენ არ მიილტვის.
- შეუძლებელია, ისეთი ადამიანი იყოს შემოქმედი, რომელიც სულით მახინჯია და სილამაზეს ებრძვის, უნიჭოა და ნიჭიერებას ებრძვის, ბოროტია და სიკეთეს ებრძვის.
- შემოქმედი თავისი ქმნილებებით და არსებით უნდა იღვწოდეს სხვათა სულების გადასარჩენად. ეს მისი მოწოდებაა.
- ბუნებით ლაჩარი, ფარისეველი და ტაკიმასხარა ლიდერი ვერ იქნება. კაცუნას ლიდერობა ღიმილის მომგვრელია, რადგან, ჩვეულებრივ, ლიდერებად იბადებიან.
- უნდა ეცადო, იყო ბედნიერი და სხვებიც გააბედნიერო.
- უდიდესი ბედნიერებაა, ისეთ გარემოცვაში იცხოვრო, სადაც ადამიანებს ერთმანეთი უყვართ და პატივს სცემენ.
- ზოგიერთებს თავისი სიტყვებისა და საქმის თავად არ სჯერათ და სხვებს აიძულებენ მის დაჯერებას.
- შემოქმედი უნდა ხედავდეს იმას, რასაც სხვები ვერ ამჩნევენ. ხელოვანი და მეცნიერი თავის ქმნილებასთან ერთად ისტორიასაც ქმნის.

- ყოველმა ადამიანმა საკუთარ თავში უნდა ააგოს სულიერების ტაძარი.
- შემოქმედი ადამიანი ერთდროულად მუსიკოსიც არის, პოეტიც და მხატვარიც, ის ყველაფერს შეიგრძნობს და განიცდის, სხვანაირად დიდს ვერაფერს შექმნის.
- ხელოვნება და მეცნიერება პოლიტიკაზე მაღლა უნდა იდგეს. ეს ის სფეროა, რომელსაც ნებისმიერი ხალხისა და სახელმწიფოების დამეგობრება და გაერთიანება ძალუძს.
- არჩევნების გზით შეიძლება რაიმეს თავკაცი გახდე, მაგრამ ვერასოდეს გახდები ის, რაც არა ხარ.
- შეიძლება იყო ნიჭიერი, მაგრამ, თუ არ გაგაჩნია რევოლუციური ჟინი იმისა, გააკეთო ის, რაც ადრე არ ყოფილა, მნიშვნელოვანს ვერაფერს მიაღწევ.
- ზღაპრები ადრე მართლაც რომ ზღაპრები იყო, ახლანდელი ზღაპრები კი ბავშვებს ცხოვრების რეალობისთვის ამზადებს.
- ქალთა საერთაშორისო დღის დადგომას მანდილოსნებს ულოცავენ, დამთავრებას კი – მამაკაცებს.
- ქათმის ფეხებზე შემდგარი დემოკრატიის ხმა შორიდან, ისიც ყრუდ ისმის ხოლმე.
- არის ქალაქი, სადაც არსებობს ერთი ეროვნება, რომელსაც ქალაქელი ჰქვია და მას სულიერებითა და აკადემიურობით წინ ვერაფერი აღუდგება. ყოველ შემთხვევაში, იმ ქალაქში – თბილისში, რომელშიც მე დავიბადე, ასე იყო.
- ზოგჯერ გამარჯვების მუსიკა უფრო ხმამაღლა ჟღერს, ვიდრე თავად გამარჯვება. ასეთ დროს მით უფრო მწარე და გულსატკენია თითოეული დანაკარგი.
- ზოგჯერ შემოქმედ ადამიანს თავისი ქვეყნის არანაირი ტიტული გააჩნია, წესიერად არც კი იცნობენ და ამავე დროს მსოფლიო დონის მოღვაწეა.

- ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, პოლიტიკური დიალოგი ყველასთან საჭიროა. აგრესიულობა და მუხლებზე ხოხვა უაზროა. გამოუვალი სიტუაციები არ არსებობს და მიუღწეველიც არაფერია, უბრალოდ თავად არ უნდა შეხვიდე ჩიხში.
- ყველა თავისი ნიჭისა და გამოცდილების წყალობით ერთსა და იმავე პარტიტურას თავისებურად კითხულობს და აჟღერებს.
- ევროპული სულისკვეთებით ცხოვრება და აზიური სტილით მართვა იშვიათი მენტალობის ხალხს თუ ხელეწიფებათ.
- იმ პოლიტიკოსებმა და ქვეყნის თავკაცებმა, რომლებიც ცდილობენ საუზმე და სადილი ევროპასა და ამერიკაში მირთვან, ურიგო არ იქნება ზოგჯერ მოსკოვშიც რომ ივახშმონ. დიპლომატიაში ერთს მიუმატოთ ერთი ყოველთვის ორი როდია.
- ხალხი ახალ ხელისუფლებას, როგორც ყოველთვის, ნდობის კრედიტს გადასცემს და ასევე, როგორც ყოველთვის, თავადვე უწევს ამ კრედიტის გადახდა.
- მცირერიცხოვან პატარა ქვეყანას შეცდომების დაშვების ფუფუნება არ გააჩნია.
- უხერხემლო პოლიტიკოსები და ხელისუფალნი საათებსაც კი უცხო ქვეყნის მმართველთა დერეფნებში ასწორებენ.
- ნიჭიერი ადამიანები ყველა ეპოქაში იბადებიან, სწორედ ისინი წარმოაჩენენ თავიანთ ეპოქალურ ქმნილებებში დიად ეპოქას.
- თუ თავიდანვე პირველი ნოტი, ფრაზა, ფერი ბუნებრივად მოდის, ქმნილებაც სათანადოდ გაიჟღერებს.
- სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყნად, სადაც არ უნდა წახვიდე, ყველგან თან დაგყვება.

- შემოქმედის ქმნილება ქვეყნისა და ხალხის ცხოვრების სარკეა.
- რწმენა არის ერის მაცოცხლებელი დვრიტა! რწმენა გადაარჩენს ერს ჟამთა სიავისგან.
- ვინც ძალაუფლებისკენ მიილტვის, უნდა ახსოვდეს, რომ სამეფო ტახტიდან სახრჩობელამდე ორიოდე ნაბიჯია.
- იქ, სადაც ძალაუფლება და ფული იმარჯვებს, ჭეშმარიტებას არაფერი ესაქმება.
- ადამიანი თავის დროს ეკუთვნის, წარსული, აწმყო და მომავალი მასშია.
- არცერთი ერის კულტურა არ უპირისპირდება სხვა ერის კულტურას, პირიქით, ერთი მეორეს ავსებს და ამდიდრებს.
- ადამიანს ოცნების უნარი რომ არ შესწევდეს, ცხოვრება უაზრო იქნებოდა, სამყარო კი ერთფეროვანი და მოსაწყენი.
- ხელისუფლებას ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ მისი უმაღლესი კანონი და მოვალეობა – ხალხის კეთილდღეობაა.
- ღვთის ქმნილება, მთელი ნივთიერი სამყარო – ერთი ღვთიური კულტურაა, რომელიც ბუნების სახით გვეძლევა. ადამიანი თავად ღვთის ქმნილებაა, ღვთის მიერ ნაბოძები კულტურისგან ქმნის და ავითარებს ახალ კულტურას.
- როდესაც რაიმე საკითხი საყოველთაო სახალხო განხილვისთვის გამოაქვთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ხშირად სათანადო გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვთ.
- კაცობრიობამ დროულად უნდა გაითავისოს, თუ რას უქადის ესა თუ ის პოლიტიკოსი მომავალს, რა რეალობას ქმნიან ისინი. დიდი როლი აკისრია შემოქმედებით ინტე-

ლიგენციას, რადგან მარადიულობას სწორედ შემოქმედნი ქმნიან და არა პოლიტიკოსები.

- სიტყვა – თავისუფლება ამაყად და სასიამოვნოდ ჟღერს, ოღონდ ზოგჯერ მწარე შეგრძნებას ტოვებს.
- შეუძლებელია წარსულის, დიადი ეპოქისა და კულტურის ძეგლების განადგურება, დარჩენილი ნაშთი მაინც ღაღადებს იმ სიცოცხლეზე, რომელიც ოდესღაც არსებობდა.
- შემოქმედი ადამიანისთვის იუბილე და ბენეფისი მაშინ არის, როცა ის ქმნის.
- ზოგიერთი ხალხი დიდხანს ვერ ითმენს ვერანაირ უსამართლობას და ამიტომ, სამწუხაროდ, მალე ეგუება მას.
- ნებისმიერ დროს საზოგადოებას იდეალები სჭირდება, ისინი მისთვის შუქურასავით არიან.
- ადამიანის მრავალრიცხოვან ბუნებრივ სიმდიდრესთან ერთერთი – ხმა და სიტყვაა, რითიც ის სამყაროს ეხმიანება.
- ცხოვრებაში მოვლენები მრავლად არის, სასიამოვნო და მნიშვნელოვანი ცოტა რამ ხდება, ძირითადად კი ყველაფერი სახეშეცვლილი მეორდება.
- ყველაზე ეფექტური პირველი სიტყვაა, საჭირო და მნიშვნელოვანი კი ბოლოს ნათქვამი.
- ის, რაც შენს გარშემო ხდება და თუ ვერაფერს ცვლი, ნებსით თუ უნებლიეთ, თანამონაწილე ხარ.
- ზოგიერთი მტრედივითაა, შეიფარებ, აჭმევ, ასმევ, ის კი პირდაპირ თავზე გასკინტლავს ხოლმე.
- მშობლიური ენა ის ფენომენია, რომელიც ერისა და ქვეყნის განვითარებაში უდიდეს როლს ასრულებს და მას გადაგვარებისგან იცავს.
- ხშირად ნიჭიერი ადამიანი დროს წინ უსწრებს, დრო კი ყოველთვის არ ჩქარობს მის აღიარებას.

- ზოგჯერ რევოლუციონერებს რევოლუციებისა თავად არ სჯერათ, მაგრამ ცდილობენ სხვები დააჯერონ მის აუცილებლობაში.
- შემოქმედის სულს და მის ქმნილებებს სიბერე არ ეპარება.
- ადამიანი თავისი ბუნებით შემოქმედია, მაგრამ დროთა განმავლობაში მან თავისი თავი მჭამელად გადააქცია. სმაჭამა და სექსი თანამედროვე ადამიანს უპირველეს მოთხოვნილებად ექცა.
- ქალი მამაკაცს თავდაპირველად აჯადოებს, შემდეგ ფრთებს შეასხამს და ცაში ანავარდებს, ბოლოს კი მიწაზე დაუშვებს და სამუდამოდ მიწიერ ვალდებულებებს დააკისრებს.
- კარგ და ცუდ ერებად დაყოფა ცივილიზებული სამყაროს სამარცხვინო და შემზარავი მოვლენაა.
- ერთგულება ღირსეულთა ხვედრია, ის სიყვარულისა და გონიერების ნაყოფია.
- ადამიანებს ყველაზე მეტად ერთმანეთის პატიება სჭირდებათ.
- საუკეთესო მუსიკა ადამიანის გულის საგალობელია.
- შემოქმედი სივრცეში შესაძლოა შეზღუდულია, მაგრამ შემოქმედებაში აბსოლუტურად თავისუფალია და ბატონპატრონია დროში მოგზაურობის.
- შემოქმედის მთავარი ღირსება მის შემოქმედებაში არსებული ინდივიდუალობა, სილამაზე, სიმართლე და უშუალობაა.
- ზეცა მიწიერი სამყაროს სულიერი ძალის გამომსახველია, სამყაროს გვირგვინია.
- ცხოვრების არსებული დონე და მისი მიმდინარეობა ხელს არ აძლევს გენიოსებსა და რევოლუციონერებს.
- მწერლის ყველაზე ძლიერი იარაღი მისი მშობლიური ენაა.

- სადაც სიცოცხლე ჩქეფს, სიყვარული და სილამაზეა, იქ შემოქმედებაცაა. იქ მუდამ დიდებული მუსიკა ჟღერს.
- ერთადერთი საშუალება დიდხანს სიცოცხლისა, სიბერეა. ეს ბედნიერების გარეშე ბედნიერებაა.
- საჭირო წიგნებს ბავშვობაში ვკითხულობთ.
- შურიანი კოლეგები ძმარნარევ ტკბილეულს მოგაგონებენ.
- შენი წარმატება შურიანი კოლეგების წინაშე ერთადერთი მიუტევებელი ცოდვაა.
- ზოგჯერ პოლიტიკური შოუ ტვინზე განხორციელებული შეტევაა.
- შემოქმედმა თავის ქმნილებაში ილუსტრაციად კი არ უნდა ასახოს მოვლენები, არამედ უნდა წარმოაჩინოს მისი შედეგი, ის, თუ რას განიცდის ადამიანი.
- ცხოვრება მარადიული ძილის წინ ბედნიერების წამიერი გაელვება, მზე და ბურუსია.
- სიყვარულზე ხშირად ლეგენდებს ყვებიან. დროთა განმავლობაში ზოგჯერ სიყვარული ქრება, ლეგენდა კი მაინც ცოცხლობს.
- ცხოვრება ხშირად ყველაზე დაუფიქრებელი და გაწელილი ნახტომია დედობრივი სამოთხიდან საფლავისკენ.
- ზოგჯერ ოპტიმიზმი შველის ადამიანს და, საერთოდ, გონივრული ოპტიმიზმი დასაფასებელია.
- დიდების თანმდევი ხშირად მარტოობაა, რომელიც მკურნალობას არ ექვემდებარება.
- მუსიკა და პოეზია ფერწერაცაა, რომელიც გესმის.
- ადამიანმა ღრუბლებში რომ არ იფრინოს, საკუთარ თავს იუმორით და ირონიით უნდა უცქიროს.
- თეატრი თავისებური სხეულია, სპექტაკლი კი გული. სცენა დაბადების ადგილია, სადაც ახალი როლი, წარმოდგენა და მასთან ერთად მაყურებლის ცოცხალი რეაქციაც იბა-

დება, რასაც ურთიერთკავშირი, სიცოცხლე და ბედნიერება ჰქვია.

- სანამ ქვეყნად ორი შეყვარებული მომღერალი არსებობს, ყოველთვის შესაძლებელი იქნება სამყაროს შეცვლა, სინათლისკენ და სიკეთისკენ მისი შემობრუნება.
- ინტუიცია, მგრძნობელობა, კონცენტრირება, თვითჩაღრმავებისა და სტრესის განდევნის უნარი, საკუთარი თავის ფლობის საუკეთესო ხელოვნებაა.
- შემოქმედის შინაგანი სამყარო სულის სიმფონიაა.
- ერი ერთობის იდეით ინარჩუნებს და იდეის წყალობით გადაირჩენს თავს.
- პოლიტიკური თამაშის სცენარი ზოგჯერ ერთ ქვეყანაში იწერება, დირიჟორობენ მეორე ქვეყნის კულისებიდან, არანჟირებაც სხვებს ეკუთვნით, ხოლო ასრულებენ სულ სხვა ქვეყანაში, ისიც იმპროვიზაციის გარეშე.
- ისტორია მაშინ არის საინტერესო, როდესაც ის მართლა ისტორიულია.
- ყოველი ადამიანისთვის სამშობლო მისი სულის შემადგენელი ნაწილია.
- იცვლება წყობილება, მთავრობა კი ხშირად ისევ ისეთია, როგორიც ადრე იყო.
- რა კარგი დროა, როცა კალამი გიჭრის, ზეცაში ნავარდობ და ხელი არ გიკანკალებს.
- ჭეშმარიტების შემეცნებისკენ მისწრაფება, ცოდნის წყურვილი და სამართლიანობა – სიბრძნის სათავეა.
- ზოგიერთი პოლიტიკოსი თავის იმიჯს კუბოში თავადვე ასვენებს და კუბოს ფიცარს ბოლო ლურსმანსაც თვითონვე ასობს.
- მეცნიერს ისტორიული წვლილი შეაქვს მეცნიერებისა და ცხოვრების განვითარებაში, ის წინ უსწრებს დროს, ავითა-

რებს უკვე არსებულს და ამ პროცესს დასასრული არ უჩანს.

- არაზნეობრივი განზრახვა ხშირად ზნეობრივი სახით ხორციელდება.
- სარკე და ფოტოსურათი, გარეგნულ სილამაზესთან ერთად, ადამიანის შინაგან სიმდაბლესა და სიმახინჯესაც წარმოაჩენს.
- კარგმა მასწავლებელმა მოსწავლეს ჭეშმარიტების შემეცნება ვერცხლის ლანგრით კი არ უნდა მიართვას, არამედ აღმოჩენის და მიგნების გზით უნდა ასწავლოს.
- შემოქმედი ადამიანის პიროვნული სიდიადე და გონიერება იმდენად მასშტაბურია, რომ ხშირად ვერ იცლის პირადი ცხოვრებისა და ბედნიერებისთვის. უმრავლესობა მათგანისა ბედნიერებას მხოლოდ შემოქმედებაში პოვებს.
- ფორმა უნდა შეესიტყვებოდეს შინაარსს, რაც მათ შორის გემოვნების ჰარმონიაზეა დამოკიდებული.
- უნდა შეგეძლოს, პარტნიორს მის ენაზე ესაუბრო, მან კი შენსაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ანსამბლი არ შედგება.
- სასიამოვნოსთან ერთად სასარგებლოს შეთავაზება იშვიათი მოვლენაა, მას მხოლოდ მდიდარი საცოლე თუ აჩუქებს მამაკაცს.
- ნიჭიერები თავის ეპოქას აშენებენ, უნიჭოები კი ნგრევით თავის ეპოქას ქმნიან.
- საკითხავია, რა უფრო უკეთესია – სტაბილურობა თუ დამოუკიდებლობა და დემოკრატია? რა თქმა უნდა, ორივე ერთად, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგჯერ ორივე ერთად ყოველთვის ვერ თავსდება.
- ადამიანებმა ერთმანეთში ის უნდა ეძებონ, რაც მათ აახლოებს.
- სიმართლე და სიყალბე ნებისმიერ რეალობაში თვალნათლივ იკვეთება.

- სულიერების კაცისთვის ასაკი არ არსებობს, ის მარად ჭაბუკია, მისი შემოქმედება კი უბერებელი.
- დემოკრატიული იდეები, თავისუფლება და დამოუკიდებლობა ბელადებთან შეუთავსებელი ფარსია. ვისაც ბელადომანია ხიბლავს, უნდა ესმოდეს, რომ ეს მონობაა და თავისუფლებასთან შეუთავსებელია.
- ადამიანი თავად აქუცმაცებს დროს და თავადვე იმყოფება ნამსხვრევებად დაქუცმაცებული დროის ტყვეობაში.
- სპექტაკლის მოქმედება ისე უნდა ვითარდებოდეს და გაღელვებდეს, რომ რეალობის შეგრძნებას კარგავდე. სცენაზე გამოსვლის და მასში მონაწილეობის სურვილი უნდა აღგეძრას.
- თუ შვილს თავიდანვე სულიერებას, სიკეთეს და კულტურას არ აზიარებ, მას ისეთ რამეს ართმევ, რასაც ვერაფრით ველარ აინაზღაურებს.
- ზოგიერთი პოლიტიკოსი უბრალოდ „სხვაგან მოხვდა“. იცის, რომ სხვაგან ხვდება და მაინც განაგრძობს რეკვას.
- ყველაზე წარმატებული წუთიც კი წარმავალია.
- მომავლის წინაშე პასუხისმგებლობა ყოველ ადამიანს აკისრია. იმის იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ ამას მის მაგივრად სხვა გააკეთებს.
- მუსიკის, სიტყვისა და ფერის ზემოქმედების ძალა შეუდარებელი და უსაზღვროა, ის მთელი სამყაროს, ყველასი და ყველაფრის გამგებელია, აზრთა და სულთა მპყრობელია.
- ადამიანი უპირველესად სულიერი არსებაა და მან თვითონვე უნდა გააცნობიეროს, რომ სულის მდგომარეობა ცხოვრების გზის არჩევანი და მისი კონსტიტუციაა.
- შემოქმედი თავისებურად აღიქვამს და ქმნის ახალ სამყაროს.
- ცხოვრებაში „ორი მამალი“ ერთად უბედურებაა. დათმობა არცერთს არ სურს, არ ეხერხება. სრული ჰარმონიისთვის დედალი აუცილებელია.

- წლები კი მიჰქრიან, მაგრამ რეალურად ადამიანები თავად მიჰქრიან უსასრულო დროსა და სივრცეში.
- ბავშვობა საბოლოოდ მაშინ დამთავრდება, როდესაც გულით საყვარელი და სათაყვანებელი დედ-მამა, მშობლები დაგტოვებენ. გრძნობ, თითქოს სამყარო დაგემხო თავზე და მიწა გამოგეცალა ფეხქვეშ.
- ხელისუფალი, რომელსაც იმ ჩანაფიქრის რეალობისა თავად არ სწამს, რომლის განხორციელებასაც აპირებს, სიკეთეს ვერ მოუტანს თავის ქვეყანასა და ხალხს..
- შემოქმედის ნიჭი, მისი შემოქმედებითი ბუნება არა მარტო ინდივიდუალური თვისებაა, არამედ ეროვნული თავისებურებაც, გენეტიკური ფაქტორიც.
- შემოქმედის ქმნილება აღსავსე უნდა იყოს ფაქიზი, ნათელი ლირიკით, ოპტიმისტური, სიცოცხლის დამამკვიდრებელი პათოსით; ეს უნდა იყოს ნაწარმოები გამორჩეული მძაფრი დრამატიზმით, გრანდიოზული კულმინაციური აფეთქებებითა და ასევე, არანაკლებ შთამბეჭდავი ჩუმი კულმინაციებით; ქმნილება, რომელსაც ადამიანისთვის მოაქვს უმაღლესი სიბრძნე – სიცოცხლის სიყვარული.
- გულწრფელობა შეუფასებელი სიმდიდრეა, მის წინაშე ყველამ ქედი უნდა მოიხაროს.
- უნიჭო ნაწარმოების შექმნა იგივეა, ზურგი შეაქციო საზოგადოებას, მიაფურთხო მომავალს და მუდმივ ღირებულებებს.
- ცხოვრება დითირამბებს არ გიმღერის.
- შემოქმედის ვალია, გააკეთილშობილოს და სულიერებით გაალამაზოს ადამიანთა სამყარო.
- წყვდიადსა და მდუმარებას თავისებური მუსიკა ახლავს. შემოქმედი ჩქამის გახმიანებასაც კი გრძნობს, ქმნის და მსმენელს აზიარებს ამ ღვთაებრივ მუსიკალურ სამყაროს.

- ყოველთვის უნდა გახსოვდეს და არასოდეს არ უნდა დაივიწყო, რომ ადამიანი გქვია.
- შემოქმედებაში ინდივიდუალიზმის და იმპროვიზაციის უშრეტი ძალა გზაა ზეციური სიმაღლისა და უსასრულობისკენ.
- რელიგიის როლის დაკნინებით ეროვნული სულიერი კულტურის განვითარებაც შემცირდება. რელიგია არის ერის უმთავრესი თვისება და მისი დასუსტება ერის დასუსტებას გამოიწვევს.
- გენიოსი ცარიელ ადგილზე არ იბადება, მას წინამორბედი ჰყავს.
- შემოქმედი ადამიანების ცხოვრებას უცნაურობები თან სდევს, ის მათი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, შეიძლება ითქვას, ცხოვრების თანამგზავრია.
- სურვილები ხშირად მაშინ სრულდება, როცა ის აღარ ახსოვთ.
- ქალები ქმნიან განწყობას, ზემოქმედებენ სამყაროზე, მართავენ მთელ მსოფლიოს, ისტორია კი მეტწილად მამაკაცების სახელებით არის გაჯერებული.
- ყველაზე მწარე იმ ხელით გაწნილი სილაა, რომელიც ადრე გეალერსებოდა და გეფერებოდა.
- ძნელია დაშორდე იმას, რაც მოგწონს, გაღელვებს და გაფიქრებს. სადაც არ უნდა იყო, ეს გრძნობა მუდამ თან გდევს.
- ადამიანების აზროვნებაში არის რამდენიმე კითხვა, რომელიც თითოეულში ინდივიდუალურ ასოცირებას იწვევს: „რა ვაკეთოთ?“, „ყოფნა-არყოფნა?“, „ვინ არის დამნაშავე?“. დღემდე გამოუცნობი რჩება გამოცანა, რომელშიც ადამიანის აზროვნების, გრძნობის თუ ბედის ტრაგედია იმალება.

- ლიდერს ვერც აირჩევ, ვერც დანიშნავ და ვერც გადააყენებ და მოხსნი, რადგან ლიდერებად იბადებიან და მათი დანიშვნა და არჩევა მხოლოდ ღიმილის მომგვრელია. ლიდერს ავლენს დრო, მისი მოღვაწეობა, შინაგანი ბუნება და მასშტაბურობა.
- ვისთვისაც უპირველესი სტომაქია, ყველაფერს საკუთარი ჯიბით ზომავს.
- საყვარელი ადამიანის ამოსუნთქულ ჰაერსაც კი სიყვარულის სუნი ასდის.
- არცთუ იშვიათად, პრობლემები სიდუხჭირის კი არა, რწმენის, კულტურისა და ცოდნის უკმარობის გამო იჩენს თავს.
- ადამიანი სამყაროს სიცოცხლეში იხილავს, მის სულიერ დონეზეა დამოკიდებული, თუ როგორ აღიქვამს მას.
- ადრინდელი დროიდან მოყოლებული, ხალხს ვირივით ამუშავებენ და ძროხასავით წველიან. ზოგჯერ კი ისეთი დრო დგება, როცა უმუშევარსაც გვარიანად წველიან.
- მეცნიერების აზრით, გარკვეული სიზუსტით რაიმე მოვლენის პროგნოზირება არცთუ ისე იოლია. პოლიტიკოსების უმრავლესობა კი თარიღებს წინასწარ ასახელებს ხოლმე.
- გათითოებული ადამიანები დროთა განმავლობაში უკვალოდ იკარგებიან და ქრებიან.
- ჭკვიანი ადამიანი გამოუვალ სიტუაციებშიც კი მზის ქვეშ თავის ადგილს თავადვე გამოძებნის.
- ბელადებს ისეთი ბედი აქვთ, როგორიც სხვას არავის, არც სიცოცხლეში და არც საიქიოში მათი მოსვენება არ არის.
- ზოგჯერ რეალობას ჯობია შემოქმედებით ებრძოლო, მაგრამ, სამწუხაროდ, მუშტიც აუცილებელი ხდება ხოლმე.
- ზოგჯერ იდეებთან ჭიდილი გაცილებით ძნელია, ვიდრე სამხედრო ძალასთან გამკლავება.

- ყოველმა ადამიანმა თავისი სულიერების ტაძარი უნდა აააგოს და მომავალ თაობას გაუნათოს გზა.
- გაბედული და მამაცი ქალბატონი ორმხრივად მომხიბლავი და მიმზიდველია.
- ძველ, დრომოჭმულ ტრადიციებზე დაყრდნობით ახალი აზროვნება ვერ შეიქმნება, რადგან ის მხოლოდ სახეშეცვლილი იმავე ძველს გაიმეორებს.
- შეიძლება ადამიანს მოერიო, წააქციო, დასცე კიდეც ძირს, მაგრამ ვერ დააჩოქო, რადგან წაქცევა დაჩოქებას არ ნიშნავს.
- შემოქმედის თვისებაა – სამყაროს გასხივოსნებული თვალთახედვით აღქმა და მისი ანალიზი.
- ერს სულიერება, კულტურა და გონიერება გადაარჩენს.
- ცხოვრებაში ცვლილებების შეტანა რთულია, დროთა განმავლობაში მათი იქიდან აღმოფხვრა კი გაცილებით ძნელი.
- მოწინააღმდეგეები წინდაუხედაობის გამო თავად აწვდიან ერთმანეთს იმ თოკს, რომელზეც ერთი მეორეს ჩამოახრჩობს ხოლმე.
- კლასიკური კულტურა ის გაუხუნარი და მარადიული საგანძურია, სადაც ღვთაებრივი და დიადი დავიწყებას არასდროს ეძლევა.
- სიყვარულის მომატებასთან ერთად გონიერება კლებულობს ხოლმე.
- შემოქმედი ადამიანი მარადიულ სიცოცხლეს თავის ქმნილებებში აგრძელებს. მხოლოდ თითოეულის ხვედრია, სიცოცხლეშივე პოვონ აღიარება.
- ყველაზე მეტად იმას უნდა უფრთხილდე, ვისაც შენი ეშინია.
- ნატიფი ხელოვნება უწინარესად ბგერის, ფრაზის, სიტყვისა და ფერის განცდა, მიგნება-აღმოჩენაა.

- ჭეშმარიტი შემოქმედი ადამიანი თავის ეროვნულობასთან ერთად მსოფლიოს ხალხთა ინტელექტისა და მიღწევების მატარებელიცაა.
- ღირსებადაკარგულ ჯუჯებს, როგორც წესი, ყოველთვის ათვალწუნებული ჰყავთ ერის საამაყო შვილები.
- შემოქმედი თავისი შემოქმედებით ეპოქას ქმნის. ეს მისი ეპოქაა, რომელშიც თაობები აღიზრდებიან.
- დიადი ერის სულიერებას ნიჰილიზმი არასოდეს შეეპარება.
- შემოქმედებითი ძიების შეწყვეტა გულისცემის შეწყვეტის ტოლფასია.
- ცხოვრება ერთი გაელვებაა, ერთი ამოსუნთქვაა. მაგრამ არის მასში მუდმივობაც, რომელიც გრანდიოზულ ცვლილებებს იწვევს, გარდაქმნის სამყაროს, ქმნის ახალ ეპოქას.
- ერი მაშინ დაიწყებს აღორძინებას, როდესაც მისი ხალხი განთავისუფლდება მატერიალისტური დოგმებისა და ურწმუნობის სინდრომისგან; დაამარცხებს ურთიერთგაუტანლობას, შურისა და ქიშპობის სამარცხვინო სენს. დიდი ეპოქები დიდი რწმენითა და სულის სიმტკიცით იქმნება.
- პოეზია სულის მუსიკაა, სიმღერა კი მუსიკის გარეშე არ არსებობს. ეს ისტორიაა, რომელიც ღიღინებს და მღერის.
- ეროვნული დამოუკიდებლობისთვის უპირველესად საჭიროა ეროვნული თვითშეგნება, თავისუფლება, დედაენის, ეროვნული კულტურის შენარჩუნება და განვითარება. თუ ყოველივე ეს უგულებელყოფილი იქნება, მცირერიცხოვანი ერი შესაძლოა, მრავალი აბორიგენი ტომის მსგავსად, სამუზეუმო ექსპონატად გადაიქცეს რომელიმე დიდი ერის იმპერიის ხელში.
- ცხოვრებაში რასაც არ დაეუფლები, ის შენი არც იქნება.
- სიახლის ძიება და იმპროვიზაციულობა ახალ სუნთქვას მატებს შემოქმედის ქმნილებას. შესაძლოა ავტორმა სხვა-

დასხვა ქვეყნისა და ხალხის სიუჟეტები ქარგოს თავის ქმნილებებში და იგი ჟღერდეს და მეტყველებდეს თავისი ეროვნული ენით.

- შემოქმედის ქმნილება უნდა გამოხატავდეს მისი სამშობლოსა და ხალხის სულს; ამავე დროს უნდა იყოს თანამედროვე და წარმოადგენდეს ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს.
- სიბრძნე – ტალანტი, ჭკუა, ცოდნა, ცხოვრებისეული გამოცდილება, პატიოსნება და ადამიანობაა.
- დიდი ქმნილებები და ეპოქები იქმნება დიდი შემართებით, რწმენით, ნიჭიერებითა და ცოდნით.
- თეატრი ცოცხალი ორგანიზმია, ის არ შეიძლება მუზეუმს დაემსგავსოს.
- დემოკრატია დემოკრატი ხალხის ძალაუფლებაა.
- ისტორია მხოლოდ ფაქტები არ არის. მისი მთელი სიცხადით წარმოსახვა ადამიანების კეთილგონიერებაზეა დამოკიდებული.
- შემოქმედის დაუშრეტელი ფანტაზია მშვენიერებასა და სილამაზეზე ღაღადი, ზებუნებრივი წვა და სულიერი აწყვეტა – უკიდეგანო შემოქმედებითი ნავარდია.
- მხოლოდ ძლიერი ფესვის, დიდი ისტორიის, კულტურისა და ტრადიციების ხალხს ძალუძს გახდეს სხვა ერის ერთგული და ორიგინალური ნაწილი ისე, რომ, ამავე დროს, მთლიანად შეინარჩუნოს თავისი თვითმყოფადობა, რელიგია, ენა, წესი და კანონი.
- სამწუხაროდ, ადამიანებმა უხსოვარი დროიდან დაივიწყეს, რომ მათ აკისრიათ უდიდესი ღვთაებრივი მისია – ყოველი ჩვენგანი პასუხისმგებელია ყველა დანარჩენზე.
- როდესაც ქმნი ეროვნულ მოტივებზე, ისე უნდა შექმნა, რომ ქმნილება ინტერნაციონალური გახდეს.

- თუ ადამიანების სულიერი ძალები ამოიწურება, ვერანაირი ეკონომიკური განვითარება და სიძლიერე ვერ იხსნის ერს გადაგვარებისგან.
- ქალისკენ აზრით, გულისა და ხორციელი ძახილით უნდა მიილტვოდე.
- ზოგიერთ ქმნილებაში თავად უფალი მეტყველებს შემოქმედის კალმის მეშვეობით. შთაგონების პროცესში შემოქმედს მიუწვდომელ, სრულიად სხვა სამყაროსთან და ზეციურ ძალებთან, მოვლენებთან აქვს კავშირი, რაც მხოლოდ უხილავი სამყაროსა და შემოქმედის საიდუმლოა...
- დროებას ადამიანები ტყუილუბრალოდ უჩივიან, სწორედ მათ უნდა გააუმჯობესონ ის.
- დიდ შემოქმედ ადამიანებს არასოდეს ასვენებთ მეამბოხის სული. ისინი შინაგანი ბუნების სიდიადის გამო ყოველთვის კრიტიკულად არიან განწყობილნი არსებული უსამართლობისადმი.
- ზოგჯერ ქურდობა უმძიმესი ტვირთია, რადგან არნახული კონკურენციით სარგებლობს.
- ღირსეულმა ადამიანმა ცხოვრების ლაბირინთებს შუქი უნდა მოჰფინოს.
- მასწავლებლებს უდიდესი მისია აკისრიათ, განსაკუთრებით კი ეპოქათა გასაყარის ჟამს, გზააბნეულთათვის ჭეშმარიტი გზისკენ სავალი გზის ჩვენებისა.
- ცხოვრება ადამიანების ვნებათაღელვის და ბრძოლის დაუსრულებელი არენაა.
- ბუნებაში, ისევე, როგორც ცხოვრებაში, მდგრადი ის არის, რაც ჰარმონიულია.
- პოლიტიკის ავკარგიანობა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი პოლიტიკოსების ხელში აღმოჩნდება ის. პოლიტიკა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და დიდია, ვიდრე ეს პოლიტიკოსთა უმრავლესობას მიაჩნია.

- ზოგიერთების ფიქრს აზრთან საერთო არაფერი აქვს, მხოლოდ ოცნებაა.
- კომპრომისების, ხიდან ფოთლის ჩამოუგდებლობის პოლიტიკა ყოველთვის არ ამართლებს, მას თავისი დანიშნულება აქვს. პოლიტიკა მიმდინარე პროცესების ადეკვატურად უნდა ხორციელდებოდეს და ზოგჯერ მოვლენებს წინ უნდა უსწრებდეს.
- შემოქმედის ჩანაფიქრი შემოქმედებით პროცესში იხვეწება, ქმნილების სულის ჩამდგმელი კი სანთელივით იწვის.
- ქორწინება სიყვარულის ვალდებულებებზე გაცვლის საზეიმო ცერემონიაა.
- იუმორი განტვირთვის და ნეგატიური ენერგიის განდევნის საუკეთესო საშუალებაა.
- შემოქმედმა ადამიანმა თავისი ქმნილებით ისეთი სამყარო უნდა შექმნას, საიდანაც გამოსვლა არავის მოუნდება.
- ვინც არ იცის, რა უნდა, იმას მიიღებს, რასაც სხვები გაიმეტებენ მისთვის.
- ბედნიერებისთვის ისიც კმარა, რომ ყოველდღე ამოდის მზე, ვსუნთქავთ ჰაერს, გვაქვს წყალი და პური, იბადებიან ბავშვები, ჟღერს მუსიკა...
- ადამიანს ცხოვრებაში ბევრი არჩევანის საშუალება აქვს. მხოლოდ სამშობლოსა და მშობელს ვერ აირჩევს. სამშობლოსადმი, დედ-მამისადმი სიყვარული თანდაყოლილი გრძნობაა.
- შემოქმედი უნდა გამოირჩეოდეს თავისი შემოქმედებითი ენის დემოკრატიზმით; თავისი ქმნილებით შესწევდეს მსმენელისა და მაყურებლის დაპყრობის უნარი, რითაც აიძულებს, უდრტვინველად გაჰყვეს შემოქმედის აზრთა დინებას. თავისი ქმნილებით ჩასწვდეს ადამიანის სულიერ სამყაროს და ჩაუნერგოს მათ იმედი, სიკეთის განცდა და აზიაროს სილამაზის სამყაროს.

- განსაკუთრებულ ემოციას და გრძნობას ბადებს ქვაში გაცხადებული ქანდაკების ტიტანური ძალა – სულიერების, მშვენიერებისა და სილამაზის ჭეშმარიტი ტაძარი, აღსავსე აზრით, სიწმინდით, გამორჩეული ფორმის სრულყოფით, მთლიანი, მკვიდრი და მარადი; ნაზი ლირიკიდან დრამატულ ვნებამდე აყვანილი; სივრცისა და დროის განსაკუთრებული, უსასრულო მასშტაბი ეროვნულობიდან განზოგადებული და ზოგადსაკაცობრიო ფენომენში განსახიერებული.
- ადამიანის ბედნიერება სილამაზესთან და მუსიკასთან ზიარებაა.
- მუსიკალური სპექტაკლის პარტიტურის ჟღერადობამ სრულყოფილად უნდა დაიპყროს ყურთასმენა, ხოლო დადგმამ, რეჟისურამ – თვალთახედვა.
- მწვავე პრობლემების უმტკივნეულოდ მოგვარება დიდი ხელოვნებაა.
- შემოქმედებით პროცესში რასაც ვერ ხედავ, ის გესმის, წარმოიდგენ, მოსვენებას არ გაძლევს, რაც შენს წარმოსახვაშია, იმას ქმნი და უდიდეს ნეტარებას განიცდი.
- თანამედროვე ცხოვრება პარადოქსებითაა აღსავსე, მიუხედავად იმისა, რომ მორწმუნენი მომრავლდნენ, მორალურმა მხარემ უკიდურესად დაბლა დაიწყო დაცემა.
- შემოქმედი ოპტიმისტიც არის და პესიმისტიც, ის სევდანარევი ოპტიმისტი ადამიანია.
- ადრე ისტორიას ძირითადად ნიჭიერი ადამიანები და მეამბოხეები ქმნიდნენ. ახლა ყველა ცდილობს, თავი ისტორიაში ამოყოს. სამწუხაროდ, სანამ შეტოპავენ, ბევრს ავიწყდება ჭუჭყიანი ფეხების გაწმენდა.
- ზოგიერთი მთელი სიცოცხლე ერთ კარზე აკაკუნებს, თურმე კარი შეშლია, ის კი კვლავ განაგრძობს კაკუნს.

- შემოქმედი თავის ქმნილებებში, მსახიობი კი სცენაზე, როგორც ზეციური მოვლენა, ისე უნდა ბრწყინავდნენ.
- თავდაპირველად სათაური და დასახელება წარმოაჩენს ქმნილებას, შემდეგ კი თავად ნაწარმოები განსაზღვრავს ქმნილების სიდიადეს.
- მაიმუნმა საკუთარი თავი სარკეში რომ დაინახა, ირონიულად გაეღიმა, თვალებმოჭუტულმა მრავალმნიშვნელოვნად დიდხანს უყურა თავის თავს და ამის შემდეგ ადამიანი დაიბადა.
- ადამიანების უმრავლესობა მხოლოდ იმ ზღუდეებს გადააბიჯებს, რაც მათ საშუალებას არ აღემატება.
- შემოქმედ ადამიანს უზენაესთან უხილავი სულიერი ურთიერთობა აკავშირებს.
- ზოგჯერ ხალხის ყველაზე დიდი პრობლემა საკუთარი მშობლიური მთავრობაა, რომელთან ერთადაც იძინებენ და იღვიძებენ, ოღონდ არ ვახშმობენ.
- ხელოვნებამ ადამიანებს თვითშეგნება უნდა გაუფაქიზოს და თითოეულს გულზე უნდა მიუკაკუნოს.
- გონიერი და ღირსეული ხალხი ბნელსა და უკუნეთში არ აღმოჩნდება, მით უმეტეს ჯოჯოხეთში არ ამოყოფს თავს.
- ქალი ღვთაებრივი მოვლენაა, ის სიცოცხლის არსებობის მიზანია.
- ადამიანები ადრე იქით მიეშურებოდნენ, სადაც ელოდებოდნენ, ახლა კი ზოგჯერ იქით მიიჩქარიან, სადაც არავინ ელოდებათ.
- ყველას აქვს უფლება ისე იფიქროს, როგორც თვითონ მიაჩნია საჭიროდ, ეს მის ინტელექტუალურ დონეზეა დამოკიდებული, ოღონდ ჭეშმარიტების გზას არ უნდა ასცდეს.
- პოლიტიკოსების გაფუჭებულ საქმეს სამხედროები ზოგჯერ ომით ასწორებენ, თუმცა ეს დროებითი მოვლენაა, რადგან ნებისმიერი ძალადობა ახალ ძალადობას წარმოშობს.

- ყველაზე სასტიკები და დაუნდობლები ლაჩრები არიან.
- ზოგიერთი მთელი სიცოცხლე სიკეთეს თესავს, საქვეყნო საქმეს აკეთებს და თითო-ოროლა თუ იცნობს, ზოგს კი მთელი სიცოცხლე ცხვირიდან თითი არ გამოუღია და ყველა იცნობს.
- გონებისა და გრძნობების გარეშე მნიშვნელოვანი არაფერი შეიქმნება, და თუ იქმნება, უკვალოდ ქრება.
- ყველა დღესასწაულს თავისებური ნაღველი თან სდევს. ბედნიერებას ხშირად ცრემლიც თან ახლავს.
- პოლიტიკა ზნეობას მხოლოდ უზნეო პოლიტიკოსებს აკარგვინებს.
- ბიბლიურ ხალხს მთელი ისტორიის მანძილზე ტალახს ესროდნენ, ისინი ეცემოდნენ კიდეც, მაგრამ მათი ვარსკვლავების სიკაშკაშე არასოდეს განელებულა და მუდამ ცამდე მაღლდებოდნენ.
- მკაცრ ეპოქას დაუნდობელი და მკაცრი ლიდერები ქმნიან.
- ხელოვნება სიკეთის დიდ ნათელ სვეტზეა დაფუძნებული, რომელიც ჩვენ ცხოვრებას ასხივოსნებს და საშუალებას აძლევს ადამიანებს, შეიგრძნონ სამყაროს სილამაზე.
- შემოქმედი არ ელოდება შთაგონებას, ის მას არასდროს ტოვებს, ყოველთვის მასში და მის გვერდითაა.
- ადამიანი ყველაფერს ფილოსოფიურად, იუმორით და თვითირონიით უნდა უმზერდეს.
- საზოგადოებაში ენის ლიტერატურული სიწმინდის დაქვეითება და მის სანაცვლოდ პროვინციული, კუთხური ჟარგონის დამკვიდრება ამ საზოგადოების საერთო კულტურის დონის დაცემის შედეგია.
- სიტყვისა და მუსიკის შერწყმა, სიტყვის აუცილებლობა მუსიკაში უძველესი დროიდან წარმოიშვა, როდესაც ადამიანმა მოისურვა თავისი აზრების ღიღინით, სიმღერით

გამოხატვა. მუსიკის შერწყმა სიტყვასთან კი ხელოვნებაა; უკვე დასაწყისია სინთეზური ხელოვნებისა.

- კეთილმოსურნეობა, აზრთა გაზიარება, დიალოგი საუკეთესო, ხშირად კი ერთადერთი გზაა პრობლემების მოსაგვარებლად.
- მხოლოდ ნიჭიერება, ქველმოქმედება და სიბრძნეა ის, რაც აამაღლებს და წარმოაჩენს ადამიანს.
- ომის იარებს სიყვარული მოაშუშებს. ამაზე ძლიერი იარაღი არ არსებობს.
- სამყაროს ყველა თავისებურად ხედავს და აღიქვამს, მათ შორის, შემოქმედი ადამიანიც. სამყარო რომ ასახო, არ არის საკმარისი მხოლოდ განცდის, წარმოსახვისა და ფანტაზიის ქონა, საჭიროა გქონდეს ანალიტიკური აზროვნების უნარი; საჭიროა ამ სამყაროს სწორი შეგრძნება და ასევე სწორად ასახვა. ფანტაზიის უნარი კი შემოქმედს საშუალებას აძლევს შექმნას თავის წარმოდგენაში აღთქმული და გარდატეხილი რეალური სამყარო.
- შესაძლოა ხალხი დუმდეს, მაგრამ ძალიან ხშირად დუმილი საგანგაშოდ რეკავს ხოლმე.
- ქვაში გაცხადებული უძველესი ისტორია საოცარი ძეგლია ჩვენი წარსულისა, სიძველისა თუ კულტურის უმაღლესი დონისა. ქვაში ჩაკირული, გაქვავებული, მაგრამ საოცრად მეტყველი, ამღერებული უდიდესი ხელოვნება უტყუარი ნიშანია კაცობრიობის უხსოვარ დროთა ურღვევი კავშირისა დღევანდელობასთან.
- ოცნება ალამაზებს ადამიანის ცხოვრებას. ზოგჯერ ფუჭი ოცნება იმედგაცრუებას იწვევს, მაგრამ რა ქნას ადამიანმა, სიცარიელე რამით ხომ უნდა შეავსოს.
- სხვებზე ძლიერი იმარჯვებს, საკუთარ თავზე კი – უძლიერესი.

- მშვენიერების ქმნა სამყაროსა და ღვთის მიმართ გატყორცნილი ნათელი სხივია.
- იყო შემოქმედი და, საერთოდ, ნიჭიერი ადამიანი – მძიმე ტვირთია.
- ადამიანმა უნდა შექმნას თავისი მრავალმნიშვნელოვანი და საინტერესო სამყარო და ფართოდ უნდა გაუხსნას ყველას მასში შესასვლელი კარი.
- დრომ კი არ უნდა შეგქმნას, პირიქით, დრო და დროება თავად უნდა შექმნა.
- ადამიანი დროთა განმავლობაში იცვლება, გამოცდილებას იძენს, ინტელექტს სრულყოფს, მაგრამ ადამიანური ნატურა წლების განმავლობაში მნიშვნელოვან ცვლილებებს არ განიცდის.
- სამოთხეში წმინდა ადამიანი ხვდება, რადგან თავად წმინდანშია სამოთხე.
- ვინც ცხოვრებაში უწიგნოდ მოგზაურობს, ის ბუტაფორიაა.
- მთავრობის მოხელის კარი მძიმედ იღება. ზოგიერთს, სანამ იქამდე მიაღწევდეს, ძალ-ღონე ელევა და კარს ვეღარ ერევა.
- არარაობიდან არარაობა აღმოცენდება, დროთა განმავლობაში სარეველასავით მრავლდება და ირგვლივ ყველაფერს არარაობად აქცევს.
- ისტორიულ რარიტეტებს, ისევე, როგორც ადამიანებს, თავისი ბედი და უბედობა სდევთ.
- როგორც წესი, ხალხს ცხოვრების დონის მინიმუმს ისინი უწესებენ, ვინც ცხოვრების დონის მაქსიმუმით არიან უზრუნველყოფილნი.
- ჯუჯების პოლიტიკას ჯუჯა მართავს, ის მხოლოდ ჯუჯების წარმოდგენაშია გიგანტი.

- ზოგჯერ როგორი ბრწყინვალე ტრაგედიაც არ უნდა დაწერო, მას კომედიას ამჯობინებენ, იმიტომ, რომ ხალხი გართობით ცდილობს უამრავი დარდის გაქარვებას.
- ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ძეგლები ხალხის გულებშია აღმართული.
- მოსაუბრის გულიდან გამოსული სიტყვები მსმენელის გულში აღწევს.
- ღმერთის არსებობის გამცნობიერებელი უფრო ბევრია, ვიდრე მისი ჭეშმარიტი მიმდევარი, რაც ცხოვრების ავკარგიანობაზე თვალნათლივ აისახება.
- შემოქმედი ადამიანის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება თვითმყოფადობაა. აზროვნების, მოქმედების, ცხოვრების წესისა თუ გრძნობების გამოხატვის თავისებურება, რაც მის შემოქმედებას სხვა ავტორთა ნაწარმოებებისგან გამოარჩევს.
- უვიცი ადამიანები ფუჭ საქმეს დიდ მნიშვნელობას იმიტომ ანიჭებენ, რომ მნიშვნელოვანი საქმე არ ესმით.
- სულიერება ის უდიდესი საგანძურია, რომელიც ძალას მატებს და ახანგრძლივებს ერის არსებობას.
- ქალი გამოცანასავითაა, სანამ ვერ ამოხსნი, მისდამი ინტერესი არ გინელდება და ყოველთვის იარსებებს.
- ჭეშმარიტი შემოქმედი დროს არ ემორჩილება, თავისი ქმნილებით მას თავად იმორჩილებს.
- გულწრფელობაზე მეტად ქალების უმრავლესობას კომპლიმენტები უფრო ხიბლავს.
- ყოველთვის ფრთხილად უნდა იყო იმასთან, ვისაც ძალით იმორჩილებ.
- ზოგს გამარჯვება ხიბლავს, ზოგს ბრძოლის პროცესი, ზოგს ერთიც და მეორეც, ოღონდ სხვების მონაწილეობით.
- როდესაც მშობლიურ კერას ტოვებ, სანთელი დაანთე, რათა წარსული გააბრწყინოს და მომავლის გზა გაგინათდეს.

- ცივილიზაციის გარიჟრაჟზე ხალხმა მაშინ დაიწყო შრომა, როდესაც ერთ-ერთმა მათგანმა ხელში ჯოხი დაიჭირა.
- გენიოსებში მთელი სიცოცხლის მანძილზე მიამიტი ბავშვი ცოცხლობს. გარემოცვასთან დამოკიდებულებაში თავისებურები, ხშირად განსხვავებულები და უცნაურებიც არიან, მათი ქმნილებები კი სამყაროსთან აბსოლუტურ ჰარმონიაში არიან.
- ზოგჯერ მთავრობა საკუთარ ხალხს ზურგს იმიტომ აქცევს, რომ შიშობს, მათი სახის დანახვაზე ხალხმა ზურგი არ შეაქციოს.
- ევოლუცია ხელმეორედ მაშინ დაიწყება, როცა მაიმუნები კიდევ ერთხელ იგრძნობენ თავს ადამიანებად.
- არასოდეს შეირთო ცოლად ისეთი ქალი, ვისთანაც ცხოვრება შეიძლება. ცოლად ისეთი ქალი უნდა შეირთო, ვის გარეშეც ცხოვრება არ შეგიძლია.
- სულელების გარეშე ცხოვრება ინტერესმოკლებულია, მათ გვერდით ადამიანების უმრავლესობა უფრო ჭკვიანი ჩანს.
- პიროვნების გარდაქმნის პროცესში მკვეთრი ცვლილება, ორიენტაციის შეცვლა და ახალი ფასეულობებისკენ მოუთმენელი სწრაფვა მუდმივად განახლებადი აღმაფრენის პროცესია.
- ტაძარი ყოველთვის თავის ადგილზე დგას. ვინც მისკენ მიმავალ გზას გაჰყვება, ტაძარი იქ დახვდება, ვინც არ გაჰყვება, ტაძარი მაინც იქ იქნება.
- გონებადახშული ადამიანები თავისუფლებას თავისებურად აღიქვამენ. თავისუფლება გონებრივად მოაზროვნე ადამიანების ხვედრია.
- თვითირონია მხოლოდ ძლიერ და განათლებულ ადამიანებს ახასიათებთ.

- დიდი პიროვნების სახელს გარდაცვალების შემდეგაც შეუძლია გაუწიოს მნიშვნელოვანი სამსახური არა მარტო თავის ერს და ქვეყანას, არამედ სხვა ხალხსაც.
- ადამიანები არცთუ იშვიათად ერთმანეთისგან იმას ითხოვენ, რისი გაცემაც ერთმანეთისთვის არცერთს არ სურს.
- ბედნიერება საუკეთესო მეგობარი ნამდვილად არ არის. ხშირად ის მაშინ გეწვევა, როცა დალხინებული ხარ და გტოვებს, როცა თავს ცუდად გრძნობ.
- პიროვნება ქმნის ისტორიას. მასზეა დამოკიდებული, როგორ გარდაქმნის გარემოს, როგორ გააუმჯობესებს მას.
- სილამაზე და ჭკუა უდიდესი ძალაა, ზოგჯერ ძალაუფლებაც კი.
- ნათელი ადამიანი მომავალი თაობის წინ დანთებული სანთელივითაა, რომლისკენაც კი არ მიდიხარ, მიფრინავ, კი არ მიილტვი, მიგიხარია.
- პოლიტიკას არაფერი ესაქმება ხელოვნებაში. პოლიტიკა უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს და ის არ უნდა იყოს მოუქნელი, შემთხვევითი და სპონტანურად გამოხატული.
- მხოლოდ ღირსეულ ადამიანს ძალუძს ადამიანები ბედნიერჰყოს. ადამიანების გაბედნიერებაზე უმაღლესი მისია და ჯილდო არ არსებობს.
- ხალხი იმ უდიდესი კულტურის ნაწილია, რომელიც ყველა ხალხმა შექმნა.
- ოცნება დიდებული რამაა, მაგრამ ფანტაზიად გადაქცეული ოცნება – ილუზიაა.
- მანამდე იქნება ყველაფერი კარგად, სანამ კაცობრიობას ღმერთი უთმენს.
- ადამიანების უმრავლესობისთვის ჰამლეტისეული მთავარი კითხვა „ყოფნა არყოფნა“ გადაწყვეტილ იქნა ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ და ერთმნიშვნელოვნად - „ყოფნა“.

- მთავრობა ქალივითაა. ხშირად მას არ ვენდობით, მაგრამ მის გარეშე ჩვენი ცხოვრება რატომღაც არ ხერხდება. ის ჩვენ ცხოვრების საშუალებას გვაძლევს, მაგრამ ყოველთვის არა ისე, როგორც ჩვენ გვსურს. მიუხედავად იმისა, რომ დღენიადაგ ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნავს, მაინც არ ენდობა მათ. დღემდის ასე სიამტკბილობით ვცხოვრობთ.
- იმედი ადამიანის სიცოცხლეს ახანგრძლივებს. ის ხომ მთლად უიმედო არ არის?
- ადამიანი ისაა, რომელიც სამყაროს უკეთესობისაკენ შეცვლას ცდილობს. თითოეულ ჩვენგანს ღირსეული ადამიანებისადმი ვალი გაგვაჩნია და უნდა ვეცადოთ სიკეთით გადახდა.
- არავის შეუძლია წარსულში დაბრუნება და მისი შეცვლა, მაგრამ ყველას შეუძლია თავისი დარჩენილი ცხოვრების შეცვლა.
- ადამიანი სიბრძნეს ყველზე უკეთ განრისხებულობისა და ძნელბედობის ჟამს ავლენს.
- ღორი და ღორის მსგავსი ტალახს ყოველთვის მოძებნის, წუმპე მისი სტიქიაა.
- ვისაც არასოდეს თავისი პროფესიის ტრიბუნა არ გააჩნდა და თავი არაფრით გამოუჩენია, დღეს, არცთუ იშვიათად, „ხალხის რჩეულად“ წარმოაჩენს ხოლმე თავს. სკამისა და დიდების მაძიებელნი სოკოებივით მრავლდებიან. ყველას ლიდერობა სურს. ლიდერებად კი იბადებიან. არარაობიდან მხოლოდ ისევ არარაობა აღმოცენდება.
- განდიდების მანიით შეპყრობილებს უნდა ახსოვდეთ, რომ შეუცვლელები არ არსებობენ; არიან მხოლოდ დაუვიწყარები.

- ჭეშმარიტ შემოქმედს მხოლოდ ერთი რამ არ შეუძლია – იყოს მონა და შეკვეთით თხზას. შემოქმედის ქმნილებანი ცისა და დედამიწის დამაკავშირებელი კიბეა.
- პრობლემა ისაა, როცა ფული გქონდა და აღარ გაქვს. უფულობა კი ჩვეულებრივი ცხოვრებაა.
- მთელს სამყაროში ადამიანებს ღმერთი მფარველობს და სწყალობს, მაგრამ წყალობის ვადა ყველას რატომღაც ერთნაირი არ აქვს.
- როგორც ადრე, დღესაც ნიჭიერი და მცოდნე ადამიანები მრავლად არიან, უბრალოდ, ისინი ყოველთვის ან არ სჭირდებათ, ან საერთოდ არ ამჩნევენ.
- ადამიანებმა არ იციან, რა არის ჯოჯოხეთი, სამაგიეროდ იციან, რა არის ცხოვრება. სამწუხაროდ, მცირედნი არიან რჩეულნი და ეს ჩვეულებრივი მოვლენაა.
- მედროვე კაცუნების და ჯინჯილოსან-ჩინოსანთა „ელიტა“ ყველა დროის და ხელისუფლების მეხოტბეა.
- ადამიანმა ისე უნდა იცხოვროს, რომ მისთვისაც და სხვებისთვისაც სასიამოვნო და საინტერესო იყოს მისი ცხოვრების წესი, უფლისთვის კი მისაღები.
- პოლიტიკური მონანიება – ფანტაზიის სფეროა, ანტიკვარული იშვიათობაა.
- ზოგიერთებისთვის ცხოვრება პოლიტიკური ზღაპარია, ტრაგიკომედია პაროდიის ელემენტებით. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანს ორი მთავარი ღირსება გააჩნია – სიცოცხლე და თავისუფლება, უმრავლესობა თავის როლს ასრულებს ამ ტრაგიკომედიურ ზღაპარში.
- დიდი ხელოვნება ყველაზე და ყველაფერზე ღიმილით იმარჯვებს.
- პიარის მოყვარულთა უმრავლესობა ეროტიკით იწყებს და სრული პორნოგრაფიით ასრულებს.

- მდუმარება ან მჭერმეტყველება არ არის ჭკუის მანიშნებელი; სულელიც შეიძლება იყოს მდუმარე ან მოლაყბე.
- კეთილშობილი ადამიანი სხვის სიყვარულშიც საკუთარ ბედნიერებას პოულობს.
- ქორწინება სიყვარულის ხანგრძლივი და ძვირად ღირებული სიამოვნებაა.
- დიდი შემოქმედის შეცვლა შეუძლებელია... და თუ ვინმეს შეცვლა შესაძლებელია, ის არც არის დიდი შემოქმედი.
- ქალის გაცნობის საუკეთესო საშუალებაა, როცა ის შეყვარებულია.
- სამართალი მაშინ ზეიმობს, როცა კანონი კანონობს; სამართალიც, შესაბამისად, ყოველთვის ვერ ზეიმობს.
- მეგობრობა უძვირფასესი განძია, მაგრამ ადამიანების უმრავლესობა მანამდის მეგობრობს, სანამ ეს მათთვის ხელსაყრელია.
- ცხოვრებაგამოვლილ ხანდაზმულ ადამიანს ბევრ კითხვაზე შეუძლია პასუხის გაცემა, მაგრამ, სამწუხაროდ, შვილიშვილების გარდა მას აღარავინ არაფერს ეკითხება.
- ზოგჯერ ადამიანს ყველაზე მეტად გული უშლის ხელს, მაგრამ ვერანაირად ვერ ახერხებს რომ უგულო გახდეს.
- ქალი უსაზღვროდ ბედნიერია მაშინ, როდესაც ის საყვარელ ადამიანს უყვარს.
- ადამიანმა საკუთარი ბედნიერებისათვის ზოგჯერ თავადვე უნდა გამოიგონოს და შეთხზას პატარ-პატარა ზღაპრები და თავგადასავლები.
- თქვენ თუ ხატვა არ გეხერხებათ, ეს არაფერს ნიშნავს. ესე იგი თქვენ ავანგარდისტი ხართ. როგორც სხვებს, თქვენც შეგიძლიათ რამე მიათხაპნოთ ქაღალდს და პერფორმანსი გამოაცხადოთ. რა თქმა უნდა, ეს ხუმრო-

ბით. ავანგარდი – სიახლის, მიგნების, ახალი განსაკუთრებული აზრისა და ხედვის უკიდეგანო სივრცეა. ხელოვნების ნებისმიერი ქმნილება შემოქმედის ნიჭზე, მხატვრულ დონეზე და ოსტატობაზეა დამოკიდებული.

- ინტელიგენცია ხშირად, სამწუხაროდ, ისეთ მდგომარეობაშია, როცა მათი ხმა თითქმის არ ისმის და, საერთოდ, უნდათ კი მისი მოსმენა?
- კოშმარი თავისი მუსიკის თანხლებით ისაა, როცა ერთი ადგილი გტკივა, რომელსაც ვერც შენ ხედავ, ვერც სხვებს ანახებ, დაუპატიჟებელი სტუმრები კი წასვლას არ ჩქარობენ.
- ტრაგიკომედია – ეს ტრაგედიაა ბედნიერი დასასრულით. ეს ის არის, რაც ხშირად ზღაპარში და იშვიათად ჩვენს ცხოვრებაში ხდება.
- ყველაზე თბილი ხელები იმათ აქვთ, ვისაც ისინი მუდამ სხვის ჯიბეში უწყვიათ.
- პროგრესული ადამიანის გონება ყოველთვის ღიაა, მზად არის შეისწავლოს არა მარტო სხვათა გონიერება, არამედ სხვების სისულელეც.
- ვინც სხვათა ძეგლებს ხელყოფს, ჯერ კიდევ არაღმართულ საკუთარ ძეგლსაც ანგრევს.
- ზოგჯერ შემოქმედს სურს გაფანტოს თავისი მოწყენილობა, სევდიანი აზრები, მაგრამ ეჩვენება, რომ მოწყენილია თავად ბუნება. შესაძლოა შემოქმედი ამ გარკვეულ შემთხვევაში მართლაც მინორულ ჟღერადობაში აღიქვამს ბუნებას, თუმცა რეალურად პლანეტარული მოწყენილობა – მისტიკაა.
- რა უნდა ქნას უბრალო ადამიანმა, როდესაც ღმერთი ზეცაშია, ხელისუფლება კი მიუწვდომელია; ათეისტები კი ისედაც იმედგაცრუებულებს თავისებურად მოძღვრავენ. ყველა თავის მისიას ასრულებს. თუმცა რა გასაკ-

ვირია, ღმერთის გარეშე ათეისტების არსებობა ხომ სრულიად უაზრო იქნებოდა.

- ზოგიერთს არ ძალუძს რაიმე ახალი შექმნას, მუდამ სხვისი ქმნილების გადამღერება/გადაკეთებაშია. იქ იქქებიან, სადაც ადრე წარმატება და გამარჯვება უკვე აჟღერებულია. ჭეშმარიტი შემოქმედის ქმნილებაში კი ყველაფერი ორიგინალური უნდა იყოს. ყოველი ფრაზა, ნოტი თუ ფერი ბუნებრივად უნდა ჟღერდეს და ბრწყინავდეს. სადაც ბუნებრივობა და სიმართლე არ არის, იქ არც სულიერებაა. შემოქმედი განსაკუთრებული შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანია. მისი თვითმყოფადი უნიკალური შემოქმედება ზეცაში აჭრილი ფრთებგაშლილი არწივივითაა.
- არცთუ იშვიათად შორს ყოფნა, დიდი ხნით განშორება, სიყვარულს კლავს.
- სიმართლე კარგია, ოღონდ არა ყოველთვის. ბედნიერება უკეთესია, მით უმეტეს ყოველთვის, ხანმოკლე რომ არ იყოს.
- თუ ადამიანი მეოცნებე არ არის, მოკლებულია ფანტაზიის, აღმაფრენის, აღფრთოვანების უნარს, ვერ გახდება შემოქმედი. თუ არ ხარ დაჯილდოებული ღვთაებრივი განძით – ნიჭიერებით, ღირებულს ვერაფერს შექმნი.
- არასოდეს უნდა იცხოვრო ადამიანთან ფულის, ბავშვებისა და სიბრალულის გამო. ფული გამოილევა, ბავშვები გაიზრდებიან და თავიანთ გზას დაადგებიან, სიბრალული კი შეიძლება ზიზღსა და სიძულვილში გადაიზარდოს.
- შემოქმედის შემოქმედებითი სამზარეულო მისი ზღაპრული სამყაროა, სადაც ის ყოვლისშემძლეა. ჭეშმარიტი შემოქმედება არასდროს კვდება თავის ავტორთან ერთად.

- უბრალო ადამიანები სიმართლეს ეძებენ, მედროვენი ფულს, მდგომარეობას, ინტელიგენტებს კი თავისნაირების ძებნა სჩვევიათ.
- პოლიტიკოსები ხელისუფლებისკენ მიისწრაფვიან, აკაკუნებენ ყველა კარზე, რაც გზაზე შეხვდებათ, გამუდმებით რეკავენ ტელეფონით, მიუხედავად იმისა, რომ იციან, იქ არ მოხვდნენ. ხშირ შემთხვევაში ღირსეულ ადგილს უღირსნი იკავებენ. პოლიტიკა ისეთია, როგორიც პოლიტიკოსები არიან. ყველაფერი ადამიანზეა დამოკიდებული.
- შემოქმედისთვის შემოქმედება ჯილდოცაა და გამოწვევაც. ეს ზეციური საჩუქარია, მოწოდება და პრივილეგიაა. შემოქმედმა არასდროს უნდა დაივიწყოს, რომ ის დიდებული წარსულის მემკვიდრეა.
- გამოჩენილი ადამიანების შეცდომები ისევე საინტერესოა, როგორც მათი მიღწევები.
- არასდროს არ ღირს ადამიანზე განაწყენება, უბრალოდ, საჭიროა წყნარად შეიცვალო ზოგიერთ მათგანზე აზრი. დღეს ისეთი დრო დადგა, რომ ადამიანები ხშირად უნდა უყურებდნენ და უსმენდენენ მხოლოდ სულიერად ამაღლებულ მუსიკას, სიტყვას, წარმოდგენას... ეს აუცილებელია.
- ისტორიის დემონტაჟი ჩვეულებრივი მოვლენაა. ხსოვნა – ძლიერთა პრივილეგიაა.
- ზოგიერთები მთელი სიცოცხლე დაკეტილ კარს თავით და ფეხებით ამტვრევენ, ბრახუნის ხმაურისგან ექსტაზში ვარდებიან, რომ ვერ აღებენ და გვერდით ფართოდ გაღებულ კარს ვერ ამჩნევენ.
- ოპტიმისტს, ცხოვრება როგორიც არ უნდა იყოს, ის ყოველთვის მოსწონს; პესიმისტს კი, როგორც ყოველთვის, ყველაფერთან შეგუება უწევს. პესიმისტს მიმატებული

სიხალისე და გამოკლებული უიმედობა – წარმატების საწინდარია.

- ზოგჯერ ზოგიერთს სურს მიეხმაროს ადამიანს, მაგრამ ფიქრობს: მივეხმარო თუ, უბრალოდ, ხელი არ შევუშალოო.
- მთელი თავისი ისტორიის მანძილზე კაცობრიობის საუკეთესო მიღწევა ოჯახია.
- ადამიანი ერთადერთი არსებაა ყველა სხვა არსებათაგან, რომელთაც ყველაფერი ან ყველაფრიდან ბევრი უნდათ, რაც მათ არ სჭირდებათ.
- რა შეიძლება ასწავლოს წარსულმა ადამიანებს, თუ ისტორიას გამუდმებით აყალბებენ?
- შემოქმედის მოდერნის ქმნილებაში სასურველია მისი ელეგანტური არისტოკრატიზმი არ გადაიზარდოს სალონურ ზედაპირობაში, ერთ მხატვრულ სივრცეში უნდა გრძნობდეს თავს; არ უნდა დაუპირისპიროს მოდერნის ელიტარული და მისტიკურ-მხატვრული სახესხვაობა სივრცეში ერთმანეთს; უნდა ერთ მთლიანობაში შეერწყას თვითონ და თავისი ქმნილება.
- მთელი თავისი სიცოცხლე ადამიანი აზვირთებული მდინარის გაცურვას ცდილობს და, სამწუხაროდ, ხშირად ნაპირამდე ვერ აღწევს.
- ნიჭიერ ადამიანებს, გენიოსებს და ნოვატორებს არაფრიდან სასწაულების შექმნა ხელეწიფებათ. იშვიათად თუ ღირსებიათ მათ თავიანთი მიღწევებით და შრომის ნაყოფით ტკბობა. მათი მიღწევებითა და იდეების წყალობით არცთუ იშვიათად სხვები ტკბებიან და ხელს ითბობენ – ნაკლებად მცოდნენი, უნიჭოები, მაგრამ ეშმაკები, მოხერხებულები და მომხვეჭელები.
- ადამიანების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა იმაშია, რომ მათ უმრავლესობას არ შეუძლია ცხოვრებით

დატკბეს და ისიამოვნოს. წარსულმა ისინი ამას გადააჩვია, ახალმა რეალობამ კი ჯერ არ მიაჩვია. მუდმივად ხვალინდელ დღეზე წუხილი და ფიქრი ტანჯავთ. ცხოვრება კი მნიშვნელოვნად შეიცვალა. დღეს იდიოტს ან სულელს ვერ შეხვდებით. თითქმის ყველას ცენზი ან საპატიო წოდება აქვს. სულელებმა ჭკვიანებზე უკეთესად მოიწყვეს ცხოვრება. მათი აზრით, შეუძლებელი არაფერია; უბრალოდ, არაფრის შემძლენი არიან. ახლა ჩვენი დროა, გაიძახიან.

- ვინც ყოველთვის სხვებისთვის თავდადებულია, ხშირად არავინ გამოჩნდება მის მხარდასაჭერად, თუნდაც ერთი სიტყვის შემწევად.
- ქალი საოცრებაა. ზოგჯერ მისგან ფრთები შეგესხმება, შესაძლოა, იმედგაცრუება და დეპრესიაც დაგემართოს. ის, როგორც ძლიერი ნარკოტიკი, თან გიზიდავს და ზურგსაც გაქცევს; ყველაფერს გაპატიებს, რაც იყო სიტყვებამდე „მე შენ მიყვარხარნ, მაგრამ ამ სიტყვების შემდეგ ყველაფერი სათვალავშია. ქალი მოვიდა, ქალი წავიდა, მეგობარი კი რჩება, თუმცა ზოგჯერ ქალიც რჩება.
- თავისუფლება – გონივრული და სულიერი მდგომარეობის კატეგორიაა. ეს უფლება, პასუხისმგებლობა და იმის პატივისცემაა, რომ ნებისმიერ ადამიანს უფლება აქვს თავისებურად ფიქრისა; ჰქონდეს განსხვავებული აზრი და არჩევანი; იყოს ხელშეუხებელი და დაცული.
- სუყველამ დროულად უნდა ისწავლოს როგორც შემოქმედებითი, ისე პოლიტიკური სცენიდან წასვლა.
- ქალებს ლურსმნის დაჭედება არ ეხერხებათ, მაგრამ კარგად იციან ზუსტად სად და როგორ ჩააჭედონ.
- ღმერთმა პირველად მამაკაცი შექმნა და დაისვენა. შეეცოდა მამაკაცი, თავს ეულად რომ გრძნობდა. დიდი ხნის ყოყ-

მანის შემდეგ, მეორე ქმნილებად ქალი შექმნა და სწორედ მას შემდეგ ვერც კაცმა და ვერც ღმერთმა ვეღარ დაისვენა.

- ქალი რომ ყოველთვის ახალგაზრდად გამოიყურებოდეს და მიმზიდველი იყოს, მას თაყვანისმცემელი სჭირდება.
- იდეალური ქორწინება – როდესაც ცოლი პირველ ვიოლინოს უკრავს, ქმარი კი აკომპანემენტს უწევს.
- გპატიებს მხოლოდ ძლიერი და ჭკვიანი; შეცდომას ან ბრალს აღიარებს მხოლოდ ძლიერი და ჭკვიანი; წაქცეულს წამოდგომაში ხელს გაუწვდის მხოლოდ ძლიერი და ჭკვიანი; გულიანად იცინის და გულჩვილი ბავშვივით ცრემლებს ღვრის მხოლოდ ძლიერი და ჭკვიანი.
- ცივილიზაციის გვერდითი მოვლენა: სულელი უმაღლესი განათლებით.
- საკუთარი ცხოვრება მანამ უნდა მოიწყო, სანამ ცხოვრება თავად მოგიწყობს მას.
- ოჰ, ყოველთვის როგორ უდროოდ გადის დრო! და ყოველთვის რატომღაც ის დრო მოდის, რომლის დროც უკვე გასულია.
- ზოგიერთი დედა იმედოვნებს, რომ მის ქალიშვილს უკეთესი ქმარი შეხვდება, ვიდრე თავად მას შეხვდა, და დარწმუნებულია, რომ მის ვაჟიშვილს არასოდეს ეყოლება ისეთი კარგი ცოლი, როგორიც მამამისს ჰყავს.
- ქალი ყოველთვის სიურპრიზი და ნეტარებაა, მაგრამ ყოველთვის საჩუქარი არ არის.
- არ არსებობს ქვეყნად იმაზე დიდი ძალა, ვიდრე ადამიანის აზრი და ძალა.
- ცხოვრების ყველაზე დიდი სიმართლე და საგანძური – კლასიკური მემკვიდრეობაა.
- ცხოვრება დიდი თამაშია, სადაც სუყველა თავისი წესებით თამაშობს.

- სიბრძნე – სახალხო მნიშვნელობის უდიდესი ძალაა, სისულელე კი – საერთაშორისო მნიშვნელობის, სუყველას ულევად თავისი გააჩნია.
- ძალიან საშიშია, როდესაც კორუფციის პირამიდა ფუნდამენტურადაა ჩაცემენტებული. და თუ ვინმე სერიოზულად მოინდომებს ამ პირამიდის ციხესიმაგრის შერყევას, ის ნებისმიერს წალეკავს და აღგვის პირისაგან მიწისა.
- ოცნება, როგორც აყვავებული ვარდი, ცხოვრებას ალამაზებს. აუხდენელი ოცნება კი, როგორც დამჭკნარი ვარდი, ეკლებით იჩხვლიტება.
- ცხოვრება, როგორც სამეჯლისო ცეკვები, ისეა, ძალზედ მნიშვნელოვანია უნარი შეგწევდეს ფეხების დროულად გამორიდების, სანამ დაგაბიჯებენ.
- ის, რაც ზემოდან ქვეითებს დაჰპირდნენ და არ მიუციათ, ვერც ვერავინ წაართმევს მათ. თუმცა, ზოგჯერ, რაც არ მოუციათ, ისიც კი წაუგლეჯიათ.
- სამთავრობო მანქანა ხშირად არ ბუქსაობს, უბრალოდ, ის არსაით არ მიდის, ადგილზე დგას. სამაგიეროდ, ტრახტრახებს, ერთი ადგილიდან ბოლს უშვებს და თვალებში ნაცარს აფრქვევს.
- მართალია ჩვენი ორთქლმავალი ისე ვერ ქაჩავს, როგორც საჭიროა, მაგრამ, სამაგიეროდ, როგორი ომახიანი საყვირით გაჰკივის.
- უკვე წესად იქცა, ვინც ფოფხვისთვისაა გაჩენილი, სუყველას ასწავლის და უხსნის, თუ როგორ უნდა იფრინოს.
- ზოგიერთი ქვეყნის „დიდი პოლიტიკოსების“ უმრავლესობას რატომღაც ძალზედ ხიბლავთ უცხოელი პოლიტიკოსების და მაღალჩინოსნების სასკოლო მერხებზე ჯდომა და მოქცევის წესების სწავლება. ისიც კარგად უწყით, თუ არ შეისმენენ მათ გაკვეთილებს, არ ასცდებათ კუთხეში დგომა და ყურის აწევა.

- ბედი და წარმატება მიზანმიმართულ გულად ადამიანებს უღიმის, ზოგჯერ კი არაფრის მაქნისებსაც სწყალობს.
- რიგ შემთხვევებში ყველაზე სასიამოვნო და კეთილშობილური შურისძიება – პატიებაა.
- როდესაც პოლიტიკოსი პოლიტიკურ გვამად გადაიქცევა, ყველასათვის ბარიერი და მიუღებელი გახდება.
- ხანდაზმულობისას სასიყვარულო ურთიერთობის დროს ყურებში თუ ხმაურისა და მუსიკის ხმა ჩაგესმის, საინტერესოა ეს რას ნიშნავს? – ბაბუ, ალბათ ეს აპლოდისმენტებია!....
- ადამიანი თავად არის საკუთარი თავის საუკეთესო მსაჯულიც და ჯალათიც.
- ქალების უმრავლესობისათვის სიყვარული ცხოვრების ისტორიის ნაწილია, ზოგიერთი მამაკაცისთვის კი სასიყვარულო ისტორიის ნაწილი.
- სიტყვა, სიმღერა და ცეკვა-თამაში, როგორც ცხოვრება, ისეა, თუ შეგეშალა, ნუ შეჩერდები, გააგრძელე.
- ქალის სიყვარულზე უფრო ძლიერი რიგ შემთხვევებში ქალური სიძულვილი და შურისძიებაა.
- მეჯლისს მამაკაცი მართავს და დირიჟორობს, მუსიკას კი, როგორც წესი, მისი აღმატებულება – ქალბატონი უკვეთავს.
- ზოგჯერ ქალი მდინარე გგონია და აღმოჩნდება, რომ ოკეანეა. შენ კი ცურვა არ იცი, მდინარეში ჭყუმპალაობას ხარ მიჩვეული.
- იმის ცოდნა, თუ როგორ უნდა უსაყვედურო ადამიანს, – ხელოვნებაა.
- დიდი მადლობა წარსულ ცუდ ცხოვრებას. დროთა განმავლობაში ის რატომღაც სულ უფრო საუკეთესოდ გვახსენებს თავს.

- სიყვარული და სინდისი არასოდეს არის ზედმეტი. როდესაც მთელი ღამე ვერ მოხუჭავ თვალს, ეს სიყვარული მღერის, ეს სინდისი ყვირის.
- რწმენა, ცოდნა და ქველმოქმედება ყოველთვის იყო ჩვენი მფარველი წარსულში, გვიფარავს დღესაც და დაგვიფარავს მომავალშიც.
- ხალხი და ხელისუფლება სულიერების უქონლობას ისევე უნდა ებრძოლოს, როგორც სტიქიას ებრძვის.
- ბავშვის ბაგეზე დედის სახელი სიტყვა დედა – ღმერთის ტოლფასი სახელია. ღვთაებრივი არსებები, რომელთა წინაშე ჩვენ ყოველთვის ვალში ვართ – ეს ჩვენი მშობლებია.
- დონ-კიხოტები ყველა დროს და ეპოქებს სჭირდება. როდესაც ისინი გადაშენდებიან, თავგადასავლების ისტორიაც დასრულდება; მოსაწყენი და ერთფეროვანი გახდება ჩვენი ცხოვრება.
- ადამიანის, მეტადრე ხელოვანისა და მეცნიერის ჭკუა-გონება ფრთებს ვერ გაშლის, თუ მას ოცნების უნარი არ გააჩნია. აზრი, ოცნება და ფანტაზია ერთნაირად აუცილებელია შემოქმედებითი და მეცნიერული მიღწევებისათვის. ნათელი მომავლის შექმნას ისე არაფერი ეხმიანება, როგორც საღი, ხალასი, ნოვატორული აზრი და თამამი ოცნებები.
- უდიდესი ბედნიერებაა იყო და იწოდებოდე ადამიანად. შეიძლება ყოველთვის არ იყო ლამაზი, ძლიერი, ნიჭიერი, მაგრამ ყოველთვის უნდა რჩებოდე ადამიანად.
- რით განსხვავდება ამოცანები პრობლემებისგან? ამოცანა ამოხსნას და მიზანში მოხვედრას მოითხოვს, პრობლემაა, როდესაც სამიზნე თავად ხარ.
- ადამიანი რეალურად ის არის, როგორიც წვრილმან საქმეებში არის.

- ყველაზე დიდ კმაყოფილებას და სიამოვნებას იმ საქმის გაკეთება იწვევს, რაც, სხვების აზრით, თქვენთვის მიუწვდომელი და მათთვის ღიმილის მომგვრელი იყო.
- უნიათო პოლიტიკოსების აშენებული ქვეყანა ფანტაზიის ნაყოფია. როდესაც სხვისი ფეხსაცმელი გაცვია და ნათხოვარი ზონრით იკრავ ფეხიდან რომ არ გაგძვრეს, ტყუილად ნუ ცდილობ და ვერავის ვერ დააჯერებ, რომ ყოვლისშემძლე ხარ.
- ქალები მამაკაცებზე გაცილებით უფრო ჭკვიანები არიან. მამაკაცებისაგან განსხვავებით, ისინი არასოდეს კარგავენ თავს მხოლოდ იმისთვის, რომ მამაკაცს ლამაზი ფეხები და უკანალი აქვს. ქალური ლოგიკის გაგება ადვილი არ არის, რიგ შემთხვევებში კი უბრალოდ შეუძლებელია, თუმცა რა საჭიროა ქალური ლოგიკის გაგება, როცა ისინი ასე ლამაზები და მიმზიდველები არიან.
- როდესაც საქმე არაფერი აქვთ, ზოგიერთები დიდ და ხმაურიან საქმეებს ეპოტინებიან.
- სიმწიფის ასაკი – ეს ახალგაზრდული ილუზიის დასასრული და სიბერის ჰალუცინაციების დასაწყისის გარდამავალი პერიოდია.
- ადამიანებმა იციან, რომ ლამაზად, კარგად ცხოვრებას ვერავის აუკრძალავ, მაგრამ ისიც კარგად იციან, რომ ხელის შეშლაც შეიძლება.
- ცხოვრება – მცირეოდენი სამხიარულო გასეირნება და ცრემლნარევი ბედნიერებაა მარადიული ძილის წინ.
- სიბრალულის გრძნობა ზოგჯერ კეთილგონიერებაზე უფრო ძლიერია.
- ქალი ამოუცნობი, ღვთაებრივი არსებაა. როცა უკან მისდევ, ის გაგირბის; როცა გაურბიხარ, ის უკან მოგდევს. ქალს შეიძლება ერთი მამაკაცი ჰყავდეს და ყველაფერი

იცოდეს მთელ მამაკაცებზე; კაცს შეიძლება ბევრი ქალი ჰყავდეს და არაფერი იცოდეს ქალების შესახებ.

- ადამიანების უმრავლესობას მშიერ კუჭზე არაფრის ფიქრი და გაკეთება არ უნდა, მაძღარზე კი არ შეუძლია.
- ცხოვრებაში ყველაფერს სწავლა და მართვა სჭირდება, მათ შორის დროს – მის მართვასაც სწავლა სჭირდება.
- თუ გვერდით საყვარელი ადამიანები არ გიდგას, ირგვლივ მხოლოდ ოთხი კედელია.
- ხელოვნურად შექმნილ ურთულეს სიტუაციაში ყველა მხარე თავის სარგებელს მოელის.
- სიბერეში ადამიანს თვალის ჩინი აკლდება, უარესად ხედავს, მაგრამ გაცილებით ბევრს ხედავს.
- შორიდან ადამიანები არც ისე ცუდები ჩანან, სიახლოვეს კი ის ჩანს, რაც შორიდან არ მოჩანს.
- მშვიდობა – წარსულის ნოსტალგია და მომავლის ოცნებაა, ზოგჯერ კი იმედგაცრუებაა.
- დღეს ბევრი საუბრობს, რომ ქვეყანა მორალურმა კრიზისმა შთანთქა. ურიგო არ იქნებოდა პოლიტიკაში მორალური და ღვთიური საწყისების აღდგენა. იდეა თითქოს ცუდი არ უნდა იყოს, მაგრამ როგორი იქნება უკვე ასეთი პოლიტიკა?
- ადამიანს ყველაზე ძნელად ის ეძლევა, რაც მას არ ეძლევა. ზოგჯერ კი ყველაზე ადვილად ის ეძლევა, რაც მას არ ეკუთვნის.
- როგორც ჩანს, ღმერთს ყოველთვის ერთდროულად არ შეუძლია ყველგან და ყველასთან ყოფნა, ამიტომ მან სამყაროს დედები მოუვლინა.
- თუ გამოჩნდა ისეთი პიროვნება, რომელსაც მთების შეძვრა ხელეწიფება, აუცილებლად გამოჩნდებიან ისეთებიც, მას კისერს რომ მოუგრეხენ.

- ადამიანების უმრავლესობა თავისი ბედნიერების და სხვათა უბედურების მჭედელია.
- უხერხულობის უმაღლესი ხარისხი ისაა, როდესაც კარების ჭუჭრუტანაში ორი მზერა მოულოდნელად ერთმანეთს შეხვდება.
- ამაყად თავაწეული ხოხვა ძალზე ძნელია, თუმცა ზოგიერთებისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა.
- ჭკვიანი კაცი საკუთარ შეცდომებზე სწავლობს, სხვის შეცდომებზე კი კარიერას იწყობს.
- სიკეთე ბოროტებას ყოველთვის ამარცხებს, ესე იგი იმარჯვებს ყოველთვის ის, ვინც კეთილია?...
- ზოგიერთი მედგრად მანამდე გამოიყურება, სანამ გაქცევას მოასწრებს.
- ვინც ფოფხვისთვისაა დაბადებული, ის ყველგან გაძვრება.
- თუ ადამიანმა იცის რა უნდა მას ცხოვრებაში, ესე იგი მან ან ბევრი იცის, ან ცოტა უნდა.
- ნულიდან რომ დაიწყონ, ზოგიერთებს კიდევ დიდხანს მოუწევთ ზემოთ, ნულისაკენ ფოფხვა.
- ვინც გასასვლელს პირველი მიაგნებს, ბრბო პირველად მას გადაუვლის.
- არასოდეს გადაჭარბებით არ აღიქვათ მტრის სისულელე და მეგობრის ერთგულება.
- რაც ვიცით – დიდებულია, ოღონდ არასაკმარისი. რაც ჯერ არ ვიცით – მიუწვდომელი და უსასრულოა. ცხოვრების მთელი აზრი ახლის ძიებისა და აღმოჩენის დაუფლებაა.
- ყოველთვის და ყველგან ადამიანის უპირველესი ღირსების გამოვლინება თავმდაბლობა და კაცთმოყვარეობა იყო.
- პესიმისტი მხოლოდ ჩაბნელებულ ტუნელს ხედავს; ოპტიმისტი – შუქს ტუნელის ბოლოს; რეალისტი – შუქს, ტუნელს და მატარებელს. მხოლოდ მატარებლის მემანქანე ხედავს ლიანდაგზე მოსიარულე სამ სულელს და ფიქრობს:

შემთხვევით ტუნელში შუქი რომ გამოირთოს, რა ეშველებათ ლიანდაგზე მოხეტიალე ამ იდიოტებს?

- რამდენჯერაც არ უნდა დაეხმარო და ხელი გაუმართო ადამიანებს, თითო-ოროლას გარდა, სამწუხაროდ, ხშირად ბევრს ავიწყდება. ერთხელ რამე მიზეზის გამო დახმარებაზე უარი რომ უთხრა, მთელი სიცოცხლე დაამახსოვრდებათ.
- როდესაც დიდი ხნის მანძილზე „მხსნელს“ ელოდებიან და ის კი არსად ჩანს, თუ ოდესღაც მოულოდნელად გამოანათებს და ისიც ამაოდ, ამით ტრაგიკომედია დასრულდება და აბსურდის თეატრშიც ფარდა დაეშვება.
- ჩვენი ცხოვრება მოგზაურობაა; გზამკვლევი – იდეაა. თუ იდეა არ არსებობს, არც მიზანი და არც მოქმედებაა. სიცოცხლე კი იდეის, მიზნისა და მოქმედების გარეშე რა სიცოცხლეა.

GURAM PAATASHVILI

WORLD OF MAESTRO'S IDEAS

Summary

Academician Guram Paatashvili's "Pages of life and activity"- first part has been published. The book describes the life and activity of well-known public creator, composer, scientist and publicist, laureate of the international awards academician – Guram Paatashvili. It presents collection of his thoughts "Rhe World of Maestro's adeas". The book is issued for the wide circle of readers.

We offer the second part of th the book.

გამომცემლობის რედაქტორები:	**მარინე ვარამაშვილი**
	მარინა ჭყონია
დამკაბადონებელი	**ხათუთა ბადრიძე**
გარეკანის დიზაინერი	**ნინო ებრალიძე**

0128 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0128
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
https://www.tsu.ge/ka/publishing-house